

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

1 სექტემბერი 2006

№18



პილატეს სახარება

ინგლისური დეტექტივი

ჯოზეფ კონრადის ნოველა

სარტრის დარღვეული ჰარმონია

ყველაზე პოპულარული ბელეტრისტი

ცხოვრება, სულ ერთ სადამოს წასაკითხი

**შინაარსი**

<b>პრეზენი</b>	<b>2</b>	<b>ვინ იყო ყველაზე პოპულარული პედაგოგისტი კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქაში</b>
<b>ღიაღობი</b>	<b>4</b>	<b>ენქელას ავგაროზი (საუბარი ნუნუ ქადეიშვილთან)</b>
<b>პროზა</b>	<b>8</b>	<b>ზურაბ ლავრელაშვილი პილათის სახარება</b>
<b>პოეზია</b>	<b>15</b>	<b>გიორგი ლობჯანიძე სიყვარული – ქუდგადიანი და სხვა ლექსები</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	<b>17</b>	<b>მარიამ ლანდია ეს სიმღერა უპავეზის პაპირუსზე ინერებოდა</b>
<b>უხსოვთხს სსოვრებიდან</b>	<b>19</b>	<b>გაგა შურღაია განხეთქილი სამყარო ანუ დარღვეული ჰარმონია (ჟან-პოლ სარტრის „ინტიმურობა“)</b>
<b>თარიღები</b>	<b>23</b>	<b>მერაბ ლაღანიძე ბიზანტიის დაქვრივებული დედოფალი</b>
<b>გამოსმარება</b>	<b>25</b>	<b>ნინო დეკანოიძე რისკი სიმართლის გზაზე</b>
<b>მოგონებათა სკივრიდან</b>	<b>26</b>	<b>მედია აბაშელი ჩემი ცხოვრება, სულ ერთ საღამოს წასაკითხი</b>
<b>ღატაქივი</b>	<b>36</b>	<b>დონალდ ჰონინგი მომხიბლავი მოჩვენება</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>42</b>	<b>მაკა ჯოხაძე მშვიდობიანი დაშვება (ნოდარ ანდღულაძის საჯარო ლექცია)</b>
<b>გამოსმარება</b>	<b>46</b>	<b>ერეკლე ხატისკაცის ვიღრა გველოდებიან, ვიღრა ველოდებით...</b>
<b>ქრიტიკა</b>	<b>47</b>	<b>მაია ჯალიაშვილი „მიამბე რაიმა დმერთზე, დამო ნუშის ხომ...“</b>
<b>უხსოვარი ნოველა</b>	<b>49</b>	<b>ჯოზეფ კონრადი პრინცი რომანი</b>
<b>ნაქვესები</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>შეფარვით მითქვამს...</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: მალბორკის ციხე-სიმაგრე (პოლონეთი)

ნეფერტიტის ქანდაკება

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 15 სექტემბერს

# ვინ იყო ყველაზე პოპულარული ბელეტრისტი კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქაში

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ბევრი რამ აოცებდა ადამიანებისა და განსაკუთრებით მაინც მათი, ვისაც არა ჰყოფნიდა სიმამაცე – დიდხანს ეცოცხლათ.

რატომ ეშინიათ ასე არსებობისა, რა სჯობს ხანგრძლივ ყოფნას წუთისოფელშიო, – ხშირად გაიმეორებდა და ჩუმად ძრახავდა ლორდ ბაირონს: რა ვაჟკაცობას იჩემებდა, თუ ასე ნაადრევად უნდა დაღუპულიყო.

თვითონ გოეთე ლამის მთელს საუკუნეს გამოწვდებოდა.

მიღმა სამყაროდან კი გაამხნევებდა ვიქტორ ჰიუგოსა და ლევ ტოლსტოის: ეგრე, არ გაჩერდეთო.

ბერნარდ შოუს სულაც აღფრთოვანებით გამოხედავდა: ნეტა შენდენი სიმამაცე მეც მყოფნოდაო.

მის იდუმალ გამხნევებას უთუოდ გრძნობდა კონსტანტინე გამსახურდიაც, ვისაც გოეთე ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ სიმბოლოდ დაესახა და მის ბიოგრაფიასაც ასე იმიტომაც შეითვისებდა და გაითავისებდა.

დიდხანს ცხოვრების სიმამაცეშიც ტოლს არ დაუდებდა.

ისიც საუკუნეს გამოჰყვებოდა და საზოგადოებრივ სარბიელზე გამოჩენისთანავე მოექცეოდა ყურადღების შუაგულში – ჯერ თავისი სკანდალური საჯარო გამოსვლებით, პროტესტანტული სულისკვეთებით, მერე – ნოველებითა და რომანებით; სკანდალურ გამოსვლებს კი შემდგომაც არ დაიშლიდა. ციხე-კატორღაც არ მოკლებოდა და მისი სახელის გახმაურებას ესეც ძალიან შველოდა, მოგვიანებით კი შეურიგდებოდა ხელისუფლებას და ახლა უკვე საბჭოთა რეჟიმი იზრუნებდა მის პოპულარობაზე. თუ ადრე დაბეჭდილ ტომებს გადაუდნობდნენ, ახლა თვითონვე მონიდომებდნენ მის გამოცემას. ეგაა, მწვავე მასალებს ამოუკრებდნენ, რათა კონსტანტინე გამსახურდია გაეუფნებელყოთ და ისეთი სახით მიეწოდებინათ მკითხველისათვის, ძალიან რომ არ დატყობოდა პროტესტანტული გაშმაგება.

ერთი სიტყვით, ჯერ ახალი რეჟიმის გმობითა და შეურიგებლობით ემოვნა სახელი, მერე – მისი შემწეობითაც.

მაშ საძიებელ-დასადგენი ყოფილა ამ უაღრესად კოლორიტული პიროვნებისა და დიდებული მწერლის ხასიათის უღრმესი ფენები და მისი შეფარდება ეპოქის თავისებურებებთან; და არა იმის გამორკვევა, თუ ვინ სჭარბობდა ყველა პროზაიკოსს პოპულარობით კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლის ხანგრძლივ ჟამს.

გამორკვეულია და ეგაა.

მაგრამ... ასე იოლადაც ნუ დავიბეჯითებთ.

გვახსოვს, გალაკტიონის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტი.

აკაკის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტიც გვახსოვს.

თვითონ კონსტანტინე გამსახურდიას გარშემო თავისი მჯობნი არც არავინ ეგულებოდა და ალექსანდრე ყაზბეგის აჩრდილს ეჯავახებოდა პირველობის პალმის ჩამოსართმევად, მაგრამ იქნებ ვინმეს პოპულარობას რაღაც წუთას დაეჩრდილა მისი გავლენა?

ვის მაინც?

ვასილ ბარნოვს?

მეოცე საუკუნის ქართული ბელეტრისტიკის ერთი მთავარი გეზი თუ მხატვრული ტენდენცია ვისაც განესაზღვრა და მთელი ლიტერატურული სკოლა შეექმნა, რომლის წევრი თვით კონსტანტინე გამსახურდია ბრძანდებოდა.

შიო არაგვისპირელს?

მის გამოჩენას აკაკი წერეთელი შეგებებოდა აღფრთოვანებით: ჭეშმარიტად, ახალ დვრიტად მოსულხარო. და მისი ნოველებით მკითხველი რომ მოიხიბლებოდა, აკაკის მიერ ბოძებული სიგელი თავისი მადლით შემოსავდა მის სახებას.

დავით კლდიაშვილი?

უნიკალური შემთხვევაა, ბელეტრისტს ასეთი მცირე შემოქმედებითი ნაყოფიერებით ამხელა სახელი და გავლენა მოეხვეჭოს, მაგრამ კომიკური სული კი უაღრესი ხელოვნებით წარმოესახა თავისი ხალხისა და ორიოდ მოთხრობით დიდებული მხატვრული სამყარო გადაეშალა მკითხველის თვალწინ, მართლაც არაბული ზღაპრის დაბოლოების მსგავსი.

გრიგოლ რობაქიძეს?

ვინც, სხვათა შორის, ამავე – ვასილ ბარნოვის – სკოლის მწერალი გახლდათ და აქაც, ჩვენშიც გადიგამოდიოდა მისი სახელი და გერმანიასა და შვეიცარიასი გახიზნულს კიდევ ცალკე მოეხვეჭა ქება-დიდება. და ემიგრანტის სახელი, მისი ნაწერების ოფიციალური აკრძალვა შარავანდს კიდევ უფრო შემატებდა.

მიხეილ ჯავახიშვილს?

ვინც თავისი უზომო პოპულარობასაც ემსხვერპლებოდა – იქნებ პოლიტიკური წარსულიც ეპატიებინათ, იქნებ „ჯავახო ხიზნები“ და „კვაჭი კვაჭანტირაძე“ საბედისწეროდ აღარც შეეხსენებინათ მისთვის, გამორჩეული გავლენა რომ არ მოეპოვებინა წიგნიერ საზოგადოებაზე და ამ გავლენის გამოძახილი კიდევ უფრო შორსაც არ გადაწვდენოდა. შემდგომ კი ტრაგიკული აღსასრული მონამის შარავანდითაც შებურავდა.

ნიკო ლორთქიფანიძეს?

მინიატურებს უაღრესი ლირიზმითაც ალავსებდა და იმ ეპიკურ ქარვასაც გამოუძებნიდა, რითაც ამ ჟანრს პოეზი-

ის საუფლოდან უფრო პროზის საუფლოში გადაიტანდა და იშვიათ ოსტატადაც მოეწვინებოდა. ისტორიულ რომანში კი თავს დააღწევდა ვასილ ბარნოვის გავლენას და, თუმცა სტილისტიკის რომანტიკულ მანერას შეინარჩუნებდა, ხედვას რეალისტურს შემოიტანდა და ამ მხრივ ახალ ესთეტიკასაც დაამკვიდრებდა.

დემნა შენგელაიას?

გაექართველებინა კოლა ბრუნიონი, ქართული სამოსი მოერგო რომენ როლანის გმირისათვის, მაგრამ ცოცხლად საკითხავ ნიგნად კი ექცია მისი თავგადასავალი და, გარშემო ტოლ-სწორი რომ ვერავინ ეპოვნა, ლუარსაბ თათქარძის სახეს აღიარებდა მხატვრული სრულყოფილების ნიმუშად, ოღონდ თვითონ ილია ჭავჭავაძესაც რომ არ გაეგებოდა მთლად მკაფიოდ, ეს რა ხასიათი შეექმნა.

ლევან გოთუას?

„გმირთა ვარამის“ გამოქვეყნება ერთბაშად აღაზვევებდა მის სახელს და ქართული ბელეტრისტიკის საუკეთესო მიღწევებს გაუტოლებდა. მხატვრული შთამბეჭდაობა მხატვრულ შთამბეჭდაობად და ლეგენდური იერიითაც აღიბეჭდებოდა – საკონცენტრაციო ბანაკში რომ შექმნილიყო, წარმოუდგენლად მძიმე პირობებში.

გრიგოლ აბაშიძეს?

აზრთა დიდ შეხლა-შემოხლას გამოიწვევდა აღიარებული პოეტის გადანაცვლება რომანისტიკაში და „ლაშარელას“ გამოჩენა, და მკაცრად რომ გააქაჩებდნენ ამ ისტორიულ ქმნილებას, მის გამონკვევას ავტორი კონსტანტინე გამსახურდიას აბრალებდა... რა გამოდიოდა ვითომ – საფრთხე იგრძნო, ხელისუფლებისაგან დაფასებულმა მწერალმა ჩემი პატივი არ მიისაკუთროსო?

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს?

ხელისუფლება ძალების დაუზოგავად ბუქავდა სახელს იმ კაცისა, ვინც დითირამბს უმღეროდა საბარგო ავტომობილს: რევოლუციის მოლაღატენი შენ დასახვრეტად გადაგიზიდავსო. გვარსაც სხვისას მიითვისებდა, პატივ-დიდებასაც და გამოცხადებდა სოციალისტური რეალიზმის (რაც ვერც საბჭოთა სახელმწიფოში გაიგო ვერავინ, რა მიმდინარეობას გულისხმობდა, და დღესდღეობითაც აუხსენელია) უთვალსაჩინოეს ფიგურად. სასკოლო სახელმძღვანელოს არ მოაკლდებოდა „კოლხეთის ცისკარი“ და მისი უზნეო გმირის დასახვა ზნეობრიობის ნიმუშად. და მკითხველს მოსწონდა თუ არ მოსწონდა ეს პროზაიკოსი, მის სახელს შეჩვევით კი შეჩვეოდა.

ალექსანდრე ქუთათელს?

იქნებ „პირისპირს“ სიუჟეტითა და ხასიათებით დიდად ვერც მოეხიბლა მკითხველი – ვერც გემოვნებიანი და ვერც უბირი – მაგრამ დამოუკიდებლობის წლების საქართველოს სუნთქვა მოჰქონდა, ხელშესახებად გამოხატავდა მაშინდელ ისტორიულ ტიპაჟს და გაფაციცებით ამიტომაც დაეძებდნენ და კითხულობდნენ.

გიორგი შატბერაშვილს?

რალაც განსაკუთრებული წარმატებებით არ გამოირჩეოდა მისი ნოველები, მაგრამ ვრცელი მოთხრობა „მკვდრის მზე“ ისე თვალისმომჭრელად გაიფლავებდა, რა გასაკვირია მისი სახელიც რომ წამოაგონდეს ადამიანს ამ ყაიდის ძიებისას...

ოთარ ჩხეიძეს?

კრიტიკული პათოსი ვისაც შემოეტანა მთელს საბჭოთა სინამდვილეში – და არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში, ორთაბრძოლაში გამოენვია იმპერიული აზროვნება და იდეოლოგია და ხელისუფლებისა და ჩეკისტური კრიტიკის რისხვაც დასტეხოდა თავს. ქართულ ემიგრანტულ წრეებში „ქართველ პასტერნაკადაც“ მოიხსენიებდნენ, თუმცა მისი „ბურუსი“ უფრო ადრე გამოქვეყნებულიყო – 1955 წელს, ვიდრე რუსი მწერლის „ექიმი ჟივავო“.

რევაზ ჯაფარიძეს?

ოთხტომიან „მძიმე ჯვარს“ იმიტომ შექმნიდა, კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ ოთხი ნიგნისაგან რომ შედგებოდა, საერთოდაც, იმის ოცი ტომისათვის თავისი ოცი ტომი უნდოდა ამოეყენებინა გვერდით; მწერალთა ყრილობებზე მწვავე კრიტიკული გამოსვლები – განსაკუთრებით მაინც ქართული ენის დასაცავად – და „ამერიკის ხმის“ გამომხაურება პოპულარობით შემოსავდა... და ხელისუფლებასთანაც საკმაოდ ახლოს ტრიალებდა.

ნოდარ დუმბაძეს?

სულ უფრო და უფრო გაიზრდებოდა მისი სახელი. სახალხო ნიგნად შეუფასებდნენ „მე, ბებია, ილიკო და ილა-რიონს“ და ხელისუფლებაც გულში ჩაიხუტებდა. აღტაცებულიყო მკითხველი მისი მხიარულებითა და კომიზმით, დითირამბებად იღვრებოდა სალიტერატურო კრიტიკა და, მისთვის ლენინური პრემიის მინიჭება რომ წყდებოდა, უმაღლესი ხელისუფალი მოსკოვში გადაფრინდებოდა, მგონი ხელს უშლიან და არ ჩაიპალოსო.

გურამ რჩეულიშვილს?

ლიტერატურულ დებიუტს იშვიათად რგებია ასეთი მღელვარე გამოხმაურება, ყმანვილკაცი ერთბაშად ლიტერატურული ძვრების შუაგულში რომ მოექცეოდა. გამოჩნდებოდა და... გადაიფლავებდა, გაქრებოდა, რათა ტრაგიკულ აღსასრულს ლეგენდაში მიეჩინა ბინა მისთვის და სახელს ეხმაურა, ეხმაურა...

გურამ გეგეშიძეს?

60-იან წლებშივე მოასწრებდა რამდენიმე გახმაურებული ნოველისა და მძაფრსიუჟეტოანი რომანის – „ცოდვილი“ – შექმნას, რომანისა, რომელსაც ხან კნუტ ჰამსუნის „მისტერიების“ ქართულ გარდასახულებად მიიჩნევდნენ და ხან ორიგინალურ ქმნილებად, რაკილა მთავარი გმირის პროტოტიპი გურამ რჩეულიშვილი გახლდათ, მაგრამ უარ-



კონსტანტინე გამსახურდია

ყოფით ვერავინ უარყოფდა, რომ ეს რომანი ახალგაზრდობის საყვარელ წიგნად ქცეულიყო.

ჭაბუა ამირეჯიბს?

„დათა თუთაშხიაც“ სახალხო წიგნებს მიეთვლებოდა და სალიტერატურო კრიტიკა და ხელისუფლება ერთობლივად გაირჯებოდა მისთვის სახელის მოსახვეჭად და გაბედულ მწერლად შერაცხვისათვის, თითქოს მეფისდროინდელი ყაჩაღის გამოხატვა რომანის მთავრ გმირად მეოცე საუკუნის 70-იან წლებში მართლა გაბედულება ყოფილიყო. დაყრილი ხმები კი – არ არის მაგის დაწერილი „დათა თუთაშხია“, მისაკუთრებული აქვს შალვა ამირეჯიბისა თუ ვილაც უცნობი პიროვნების რომანიო; ანდა – „დათა თუთაშხია“ ჭაბუა ამირეჯიბმა კი შექმნა, მაგრამ ეგ არ არის ჭაბუაო – უფრო შემატებდნენ პოპულარობას, ვიდრე მოაკლებდნენ.

ოთარ ჭილაძეს?

განდგომილის საფარველით შებურავდა მის სახელს ხელისუფლება, სალიტერატურო კრიტიკასაც ამ ჰანგზე მომართავდა და ნახევარმეამბოხის მოდელს მოარგებდა, 70-იან წლებში კლასიკური სახით წარმოდგენილს. ეს ნახევარმეამბოხეები უნდა ჩანაცვლებოდნენ ნამდვილ მეამბოხეებსა და დისიდენტებს და ხელისუფლებისაგან დაგეგმილ თამაშში თავიანთი როლი პირნათლად შეესრულებინათ.

გურამ ფანჯიკიძეს?

ხელიდან ხელში გადადიოდა „ცისკრის“ ის ორი ნომერი, სადაც „თვალი პატიოსანი“ გამოქვეყნებულიყო და ოფიციალური კრიტიკა მტკიცებდა რომ მოჰყვებოდა, კრიტიკული თვალთახედვა და პათოსი მხოლოდ ახლა, 70-იანი წლების დამდეგს გაჩნდა ქართულ მწერლობაშიო, მწერალს კრიტიციზმის მამამთავრადაც შერაცხავდნენ.

გურამ დოჩანაშვილს?

თუ მაშინ ჯერ სახელგანთქმულობის კარიბჭესთან დგას და მხოლოდ აწყდება მის კედლებს, რათა „სამოსელი პირველით“ ერთბაშად გაარღვიოს? ჩახედეთ თარიღებს, შეადარეთ, დააზუსტეთ და ამის მიხედვით ივარაუდეთ...

მაინც სადამდე აღწევდა კონსტანტინე გამსახურდიას ხანა, ხანგრძლივი სიცოცხლის სიმამაცითაც აღვსილი!..

ცხადია, არც ის გამოირიცხება, რომ სახელთა ამ წყებაში სადღაც ჩაგვეკარგა, უნებურად გამოგვეპარა ამ ძიების მთავარი გმირი, თავისთვის შემალული, მოკრძალებით გასუდრული, რაც მაშინ ვაფორიაქე მკითხველის გონება და ჩემი სიუჟეტების იქით აღარც ვახედებდი, ახლა მაინც ნულარავის შევანუხებო.

ვითომ არ არის ასეთი რამ მოსალოდნელი?..

... თორემ გვახსოვს აკაკის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტი.

გალაკტიონის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტიც გვახსოვს.

# ენძელას ავბაროზი

\*

## საუბარი ნუნუ ქაღივილითან

– სტუდენტობისას „ლიტერატურულ მატრიანეში“ ნაკვიკითხე წერილი, რომელსაც კოტე ხიმშიაშვილი სწერდა ნუნუ ქაღივილს... ასეთ სიტყვებს მხოლოდ დიდზე დიდი სიყვარული თუ დაანერინებს ადამიანს. ერთი ფრაზა მაინც გამორჩევი და მამაქსოვრდა: „ეს შენ აღმადგინე, ნუკო, გესმის? შენ...“ უფრო სწორად, ერთი სიტყვა – ა ღ მ ა დ გ ი ნ ე ! ვინ ვის შეიძლება უთხრას ასეთი რამ?!..

ამის შემდეგ დავინწყე ძებნა-ძიება, ვინ იყო კოტე ხიმშიაშვილი... ამაში ისევ თქვენი შედგენილი კოტე ხიმშიაშვილის მოთხრობების კრებული და როსტომ ჩხეიძის წიგნი „დაწყვეტილი თაობა“ დამეხმარა.

ქალბატონო ნუნუ, წერილების წაკითხვისთანავე მინდოდა გამომეხატა აღტაცება იმ სიყვარულის გამო, რომელიც მეოცნებე სტუდენტ გოგონას გულში სამუდამოდ ჩამებეჭდა... სიყვარული ზღაპარიაო, ვილაცები ყო-

ველთვის ამტკიცებენ და ასეთი „რეალისტ-პრაგმატიკოსების“ საპასუხოდ გულში ჩამოჰკრავს ხოლმე სიყვარულის ეჟვანი: „აღმადგინე!“ აი, ბატონებო, თუ ზღაპარია! – ვპასუხობ, რა თქმა უნდა, გულშივე, ჩემთვის, უხმოდ.

ქალბატონო ნუნუ, გთხოვთ, ამ დიდი სიყვარულის ამბავი მიაბოთ.

გნებავთ, გაცნობის დღიდან დავინწყით, გნებავთ, იმ მძიმე დღის გახსენებით, კოტემ რომ გითხრათ, ახლა უნდა დაეშორდეთ, შენ სახლში წადი, ისე, რომ უკან არ მოიხედოო. ესეც ზღაპრის ფრაზად იქცეოდა, რომ არა მწარე რეალობა. კოტე გრძნობდა, რომ აუცილებლად დაიჭერდნენ და გაგიფრთხილდით, ჩამომცილდი, წადი, უკან არ მოიხედოო...

– მიჭირს საუბარი... საერთოდ, ვისაც ყვარებია, ჰგონია, რომ მათნაირი სიყვარული არავის სწევია. ჩვენი, მართლაც სხვანაირი რამ იყო.

საიდან უნდა დავინყო?!

ერთმანეთს უნივერსიტეტში შევხვდით. ძალიან მეძნელება ლაპარაკი.

პირველი სექტემბერი იყო და მახსოვს, 99-ე აუდიტორიაში შევიდა ერეკლე ტატიშვილი. ის უნდა შეხვედროდა სამივე უცხო ენის (გერმანულის, ინგლისურისა და ფრანგულის) განყოფილების პირველკურსელებს. ეს ჩვენ დავინახეთ, მე და ჩემმა მეგობრებმა. ჩემთან ერთად იყვნენ: ლალი ჯავახიშვილი – დიდი ივანე ჯავახიშვილის ვაჟი, ოთარ შენგელაია – ლეო ქიაჩელის ვაჟი და ოთარ გიგინეიშვილი. დერეფანში ვიდექით. აიღეს და სასწრაფოდ შემავდეს აუდიტორიაში. ისე მოხდა, რომ ბატონ ერეკლეს არ დაუვნახი-

ვარ, ის კათედრისკენ მიდიოდა. იქვე მერხის კიდეზე ჩამოვჯექი. თურმე კოტეს გვერდით დავმჯდარვარ. სასწრაფოდ ჩაინია და მეც ჩამოვჯექი.

მერე მეუბნებოდა, რომ შემოგხედე, მაშინვე გავიფიქრე, რა ლამაზი თვალები აქვსო. მე კიდევ ვეუბნებოდი, რომ შემოგხედე ვიფიქრე, ნეტავ, რატომ აქვს თვალებში ასეთი დიდი დარდი ჩაბუდებული-მეთქი.

მერე ძალიან დავმეგობრდით. არ იყო დღე, ერთად არ ვყოფილიყავით. დამთავრდებოდა ლექციები და ფეხით დავდიოდით, ხან რომელ უბანში, ხან რომელ ქუჩაზე... საოცარი ერთდღი და განათლებული ყმაწვილი იყო. მე ფრანგული ლიტერატურით ვიყავი გატაცებული, ის – ინგლისურით, და სულ მაბრაზებდა. მახსოვს, პატარა ლექსი ვუთხარი ფრანგულად და თან დავამატე, განა ინგლისური ასე ლამაზად უღერს-მეთქი. მანაც ბაირონის ლექსი მითხრა... ასე გრძელდებოდა ორი წელიწადი. დიდი მეგობრები ვიყავით. შემდეგ ზაფხულში სამხედრო განწვევა ჰქონდათ და იქიდან წერილებს მწერდა. მეც ვწერდი.

ძალიან კარგი კურსელები გვყავდა. მათ შორის იყვნენ პოეტები – ალექსანდრე საჯაია, რეზო მარგიაანი. ხშირად იმართებოდა ხოლმე საღამოები, შეხვედრები. ერთხელ მწერალთა კავშირში ლადო ასათიანი გამაცნო.

სწორედ იმ ხანებში დაიბეჭდა კოტეს ლექსი „ჩემი თვალები“. მთელი ჯგუფი კითხულობდა თურმე და, აუდიტორიაში რომ შევედი, გოგოები ასეთი გადაძახილით შემხვდნენ, „კრეპსატინისთვალება“ ქალი მოვიდაო.

თურმე ლექსში ხავერდოვანი თვალებია ნახსენები და ასე ირონიით იმაზე მიმანიშნებენ თურმე. ამ დროს კოტე შემოვიდა და უცებ ყველა გაჩუმდა. რომ წამოვედით, მკითხა, რა იყო, რა მოხდაო. ასე თქვეს-მეთქი ჩემზე, „კრეპსატინისთვალება ქალი“ მოვიდაო. მერე შენ რა უთხარიო. არაფერი, გავჩუმდი, რა უნდა მეთქვა-მეთქი. ხავერდოვანი თვალები მოგწონსო?

კი, ეს გამიგია, კარგია, მაგრამ ეს კრეპსატინისთვალება რა შუაში იყო-მეთქი. ამის თქმა იყო და ამის შემდეგ ორი დღე უნივერსიტეტში აღარ მოსულა. გამიკვირდა, რა ხდებოდა, ვერ გამეგო. მერე რომ მოვიდა და ვკითხე, მითხრა, თუ აქამდე ვერაფერს ხვდებოდი, რა აზრი აქვს განმარტებასო.

არც სიყვარულის ახსნა დაუნყია, არც არაფერი... სიტყვა არ უთქვამს...

მეც მივხვდი, ყველაფერს მივხვდი...

იმის აღწერა არ შეიძლება, როგორი სიყვარული იყო. ან მისი წერილები რომ ნახოთ... მახსოვს, „შინსახკომში“ მომთხოვეს, წერილები წაგვიკითხეო. რეაბილიტაცია უნდოდათ. უარი ვუთხარი. სულ სიყვარულზე იყო. არა, ისეთი რამე მონახე, სადაც მისი ყოველდღიური ცხოვრება აღწერილიყო. მერე მოვძებნე სამი წერილი, კოტე ჯარში რომ იყო

განვეული გორში. იქ როგორ ჩამოიყვანეს აზერბაიჯანელები და იმათ როგორ წვრთნიდა, იმას მწერს.

დიდხანს გასტანა ასე. არ გვიფიქრია, რომ ხელი მოგვეწერა და ერთად გვეცხოვრა. სახელმწიფო გამოცდები რომ ჩავაბარეთ, მაშინ მითხრა, ახლა კი ერთად უნდა ვიყოთ მე და შენო. მისი ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ერთი პატარა ოთახი ჰქონდათ ნათესავის სახლში ნაქირავები, მე კი ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი. კოტე გადმოვიდა ჩვენთან. 1940 წლის 29 ივნისს მოვანერეთ ხელი. არ ვიცი, ვინმემ დაგვწყევლა, თუ რა იყო... ძალიან ბედნიერები ვიყავით... ბავშვი უნდა მყოლოდა, მაგრამ კოტე რომ დაიჭირეს, მისმა მშობლებმა მომამორეს იმ მიზეზით, შეიძლება შენც დაგაპატიმრონო.

**– მაშინ დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები?**

– დიას, ჯერ მარტო ჩვენი ფაკულტეტიდან თორმეტი ასპირანტი და მეცნიერ-მუშაკი დაპატიმრეს. მათ კიდევ მალე დაემატა ხუთი სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან. ჩვიდმეტი კაცი დაღუპეს...

**– რა იყო ოფიციალური ბრალდება, რის საფუძველზეც დაპატიმრდნენ?**

– შეიარაღებული აჯანყების მცდელობა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

რამდენიმე კაცი რომ დააპატიმრეს, ორგანიზაცია დაარ-

ქვეს ამას. ომის დრო იყო.

კოტე იყო მწერალთა კავშირში, ანტიფაშისტური საღამო ტარდებოდა. იქიდან წავედით უნივერსიტეტში. იქ გავიგეთ, რომ ავჭალაში ხალხი დაუპატიმრებიათ. ამის შეტყობა იყო და მითხრა, ახლავე წავიდეთ სახლშიო. წავედით და, ვორონცოვის ხიდზე რომ გადავდიოდით, კალინინზე (ახლა ივანე ჯავახიშვილის ქუჩაა) ვცხოვრობდით, ფარაჯიანი მამაკაცი შევნიშნეთ. ჩვენკენ მოდიოდა, დაგვინახა და შეტრიალდა. გაზეთების სტენდი იყო იქვე. კოტემ მითხრა, მე კი ვიცანი, მაგრამ აბა, ერთი, თვალი გააპარე, შეხედე, ვინ არის, შენც თუ იცნობო. მაშინვე ვიცანი, ვინც იყო. მისი გვარი არსად არ არის ნახსენები ამ ამბებში. ეს იყო გრიშა აფრიდონიძე. ასეც ვიცოდი, მაგისტრის არაფერი არ უნდა ეთქვათო, კოტემ. მერე უკვე შინ მითხრა, შეიძლება შენც დაგაპატიმრონ ჩემს შემდეგ და იცოდე, თუ რამეს იტყვი, მერე აღარ გადათქვაო, დამარია.

მაშინ ვიცოდი, ბავშვი რომ უნდა მყოლოდა. კოტე დააპატიმრეს და მისი მშობლები დამადგნენ, ბავშვი უნდა მოიშორო. შენც დაგიჭერენ და ბავშვით გაგიჭირდებო...

მე მგონი, ეს დაწყევლა იყო ჩემიც და კოტესიც...

**– კოტეს დაპატიმრების შემდეგ რა ილონეთ?**

– ხშირად დავდიოდი „ტრიბუნალზე“ – სასამართლოში.

პეტროსიანი იყო მდივანი და ერთხელ მითხრა, ხვალ მოიყვანენო. ყველას მშობლებსა და ნათესავებს შევატყობინე, მოდიტ სასამართლოსთან, დანახვით მაინც დავინახავთ-მეთქი.



ნუნუ ქადეიშვილი და კოტე ხიმშიაშვილი (1939 წელი)

პირველად შემოიყვანეს თინა თუშმალიშვილი, მერე სხვები და, აი, კოტე რომ დავინახე, არ ვიცი როგორ გადავრჩი...

საერთოდ, გამხდარი იყო, დახვეწილი... შევხედე და, სახე საშინლად გასიბოდა. რა თქმა უნდა, ცემისაგან... დედამისს, სანყალს, მოეჩვენა, გასუქებულაო. ხომ არ ვეტყოდი, სინამდვილეში რაც სჭირდა.

დაილუპა თავი! კარგი მწერალი დადგებოდა.

**– „ჯონქა ხორნაულის“ ავტორზე ამის თქმა ნამდვილად შეიძლება. კარგი და საინტერესო მწერალია. კითხვულად და მთლად ჩვენი თანამედროვე გგონია. ასეთ განცდას ხომ მხოლოდ ნამდვილი მწერლობა ბადებს? როგორ დაიწყო კოტემ ამ რომანის წერა?**

– თიანეთში იყო მირზა გელოვანთან და იქიდან მომწერა, ძალიან კარგი მასალა შევავსოვო რომანისთვისო. მე კი მთხოვდა, მოლიერის რომელიმე პიესა თარგმნეო. რამდენჯერმე მომწერა. ჩააცვივდა მოლიერს.

მერე წავიდა ნალვერში და ყოველდღიურად მომდიოდა წერილები, რა გააკეთა. თავებად მიგზავნიდა.

სახლში კი ღამის სამ საათამდე იჯდა და წერდა. მანამდე კი, ძილის დრო რომ მოვიდოდა და ვიტყოდი, წავედი და საძინებლად-მეთქი, დამიჯდებოდა სასთუმალთან და ზღაპარს მიაბობდა.

მერე დაჯდებოდა და სამ-ოთხ საათამდე მუშაობდა. სტამბის გრაგნილებზე წერდა.

კოტეს დაპატიმრების შემდეგ სახლში მითხრეს, ალბათ, ჩხრეკაზე მოვლენო, და ხელნაწერები დავწვი.

შეყვარებული იყო თავის გმირზე. ამბობდა, აუცილებლად ამ რომანის მეორე ნაწილსაც დავწერო.

მასხოვს, ერთხელ ფანჯრებთან ხმაური ატყდა. გადავიხედეთ და ჯარისკაცები მიდიოდნენ. კოტემ მითხრა, ახლა ჯონქაც მიდის ჯარშიო.

**– ამ რომანის დაბეჭდვას რა მოჰყვა? რა გამოძახილი ჰქონდა?**

– უნივერსიტეტში ერთი ამბავი ატყდა. ერთ-ერთი პერსონაჟის – კიტის სახეში თავისი მეგობარი ამოიცნო ჩვენმა კურსელმა – ნათელა კეშელავამ და კოტეს დაემდურა. აღარ გველაპარაკებოდა. მეორე იყო ერთი მასწავლებელი და ისიც იცნეს. ეს პიროვნება ამტკიცებდა, მსოფლიო ლიტერატურა რომ წაიკითხო, მთელი ცხოვრება არ გეყოფა. ამიტომ საკმარისია, ყველა წიგნის მხოლოდ 33 გვერდს გაცეცნო და გაიგებ, ვინ როგორი მწერალიაო.

ამის გამო გარიყულებივით ვიყავით მე და კოტე. თუმცა, როდესაც კოტე დაილუპა, ნათელა კეშელავამ ისე დაიტყრა, ის ამბავი ვაპატიე...

**– ძნელია იმ ტრაგიკული დღეების გახსენება, მაგრამ თქვენზე უკეთ ვინ იცის, რა ხდებოდა კოტეს თავს, მისი მეგობრების თავს?**

– რა განაჩენი გამოუტანეს, კარგა ხანს არ ვიცოდით. მარქაროვი იყო – ერთი სასტიკი შინსახკომელი. სასამართლოს დასრულებისთანავე გაქცეულა მოსკოვში, რაც შეიძლება მალე რომ მიეღო განსასჯელების დახვრეტაზე დასტური.

ვგრძნობდი, რომ საშინელება ხდებოდა ჩემს თავს, მაგრამ კარგა ხანს არაფერი ვიცოდი. ისევ ყოველდღე დავდიოდი „ტრიბუნალზე“ და ერთხელაც იმ მდივანმა პეტროსიანმა მაჩვენა საბუთი, სადაც ჩვიდმეტი გვარის გასწვრივ ეწერა „რასტრელ“...

სასამართლოზე კოტეს უთქვამს თინა თუშმალიშვილი-სათვის, რომ გახვალ, ნუნუს ნურაფერს ეტყვი, იქნებ შეგვინყალონო...

შენყალბამდე საქმე არ მისულა... ვინ მიიყვანდა?!

დათრგუნული და განადგურებული მიმიყვანეს სახლში.

ერთი ცრემლიც კი არ დამდენია. გავქვავდი. სამი დღე ტახტზე ვიჯექი. არც ვჭამდი, არც ვსვამდი. აი, მაშინ იყო, მამაჩემმა მომცა პაპიროსი, მოწიეო. ვერ წარმოიდგენთ, ერთი მოვნიე და წამოვიდა და წამოვიდა ცრემლი.

მას შემდეგ ვენევი. რამდენჯერ უთქვამთ, სხვაგანაც და უნივერსიტეტშიც, რატომ ენევი, თავი დაანებეო. მოდი და, ყველას აუხსენი, რატომ ვენევი?!

ერთადერთი აზრი, რაც მაშინ თავში მიტრიალებდა ეს იყო: მეც უნდა მოვკვდე! მეც უნდა მოვკვდე!

**– მადლობა ღმერთს, რომ აჯობეთ სასონარკვეთას! რამ და ვინ გადაგარჩინათ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით?**

– ჩემი პატარა ძმისშვილი, ოთხი წლის მანანა მეფერებოდა...

ამ დროს უნივერსიტეტშიც გიორგი ახვლედიანის წყალობით საათები მომცეს. მიზნად დავისახე, რომ მანანა მე უნდა გამეზარდა. თუმცა მშვენიერი მშობლები ჰყავდა. არ ვიცი, რომელიმე ღვიძლ მშობელს ისე თუ უყვარს თავისი შვილი, როგორც მე მანანა მიყვარდა. აღარც ის შემეჩა. თორმეტი წლის წინათ წამართვა ბედისწერამ. ისევე სულ მარტო დავრჩი.

**– კოტეს ამბის შემდეგ არავინ მოდიოდა, არავინ გკითხულობდა?**

– ერეკლე ტატიშვილის მეგობრები – მისი ყოფილი მონაფეები მოდიოდნენ შაბათობით ჩემთან სახლში. ნამდვილი მეგობრები! მოჰქონდათ ერთი ბოთლი ღვინო, მე ერთ ნამცხვარს დავახვედრებდი და ეს იყო მთელი ჩვენი სუფრა. სადღეგრძელო იყო ასეთი: გაუმარჯოს ბატონ ერეკლესო, და ჩამოთვლიდნენ მის ყველა თვისებას, ღირსებას! ის ერთი ბოთლი ღვინო ასე იცლებოდა.

და კიდევ, შრომა მშველოდა. შრომას შევფარე თავი. თავაულებლად ვმუშაობდი. კოტეს სურვილი ავუსრულე, მოლიერის ერთი პიესა „პრანჭია ქალები“ ვთარგმნე. არ დამიტოვებია, ფრანგულად რაზეც ხელი მიმიწვდა, ვთარგმნე. ამით ვირთობდი თავს და აქამდე მოვატანე. ვიყავი ჩემთვის. ბოლო დროს ვეღარ დავდიოდი კარგად და პენსიაზე გავედი. არც მაშინ გავჩერებულვარ. სამტომეული ლექსიკონი გამოვეცით. შემოვიკრიბე ფრანგულის მასწავლებლები და რობერის – ცნობილი ლექსიკოლოგის – წიგნების საფუძველზე შევადგინეთ ის სამტომეული. ასევე ვიმუშავე დარგობრივ და თემატურ ლექსიკონებზე. რედაქტორი მე ვიყავი.

მორის ლებლანის დეტექტიური მოთხრობების კრებულზეც ვთარგმნე. ფრანსუაზა საგანის ორი რომანი დამიბეჭდეს წიგნად. ჰონორარად ხუთი წიგნი მომცეს, მეტი არაფერი. ერთს როსტომთან გაგატანთ.

მეტს ვერაფერს გიაბობთ.

**– ისევ სიყვარულს მივუბრუნდეთ. თქვენი მონაყოლი მიდასტურებს, რომ მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, ეს გრძნობა გადარჩა. მან კი თქვენ გადაგარჩინათ, სიცოცხლის ძალა მოგცათ.**

**იქნებ გამოგონილ სინამდვილეშიც ჯონქას სიყვარულის – მანანას პროტოტიპი თქვენ იყავით? ან იქნებ ენძელის ავგაროზი უკავშირდება თქვენს სახელს?**

– არა მგონია. თუმცა ბოლისფერი კაბა მეც მქონდა, რომელიც ჯონქას მანანას აცვია და ძალიან უხდება. კოტე სულ მეუბნებოდა, ჩემთან ერთად კონცერტზე ან სადმე სტუმრად რომ წამოხვალ, ის ბოლისფერი კაბა ჩაიცვიო.

ასეთი წვრილმანებით იქმნება, ალბათ, პერსონაჟის სრულყოფილი სახე, მაგრამ ის რომ ვთქვა, მანანა მე ვიყავი-მეთქი, არა!

ყვავილები კი კოტეს ძალიან უყვარდა. განსაკუთრებით – მინდვრის ყვავილები. მომიტანდა და მერე ზღაპრებს მიყვებოდა მათზე.

**– გაგონილსა და წაკითხულს გიყვებოდათ თუ თვითონ თხზავდა, როგორც ჯონქას შეათხზვევინა მანანასთვის ზღაპარი იმაზე, მკვდარი ხეობა როგორ გააცოცხლა გოგონას ზურმუხტისფერმა თვალებმა, რომელთა სიღრმეშიც სიყვარულის დიდი ძალა იდგა?**

– ერთხელ მოხდა ასეთი რამ: ბარამიძის ლექციაზე კოტე რალაცას წერდა. მერე მომანოდა. წავიკითხე. ლექსი იყო:

**შენ წახვალ ჩემგან, მაგივრობას ვერვინ გამიწევს,  
მე მინდა ისევ, რომ დაცინვით მელაპარაკო,  
შენ წახვალ ისე, როგორც წავლენ ჩემგან ყველანი,  
ჩემო პატარავ, ძილგატეხილ ღამის ზღაპარო!**

ვერ დავმაღლე მონონება. ვისი ლექციებიც არ მოგვინონდა, იჯდა და ლექსებს მიწერდა. პოეტი არ იყო, მაგრამ ასეთი თავისებური ლექსები მაინც ჰქონდა ჩემდამი მონერილი.

**– თქვენს შენიშვნებს ითვალისწინებდა?**

– ითვალისწინებდა. აი, „ჯონქა ხორნაულში“, იყო ასეთი ადგილი, პროფესორი აუგად იხსენიებდა სტუდენტებს. ვუთხარი, ეს იგივე პროფესორის ლანძღვაა-მეთქი. დამიჯერა და ამოიღო. ერთი ადგილი იყო კიდევ: უნივერსიტეტი წააგავს ინკუბატორს; ვინ შედის და ვინ გამოდის, ვერ გაიგებო. ერთნაირობის გამო წერდა, მაგრამ ამოვალებინე. მე-რე მაინც დატოვა.

კოტეს წიგნი რომ შევადგინე და გამოიცა, უნივერსიტეტი ერთი ამბავი ატყდა. ფილოსოფოსი – შალვა ხიდაშელი მოვიდა და მკითხა, ვინ არის ეს კაცი და სად არისო? საერთოდაც, ალტაცებულები იყვნენ.

ახლანდელი სტუდენტების ცხოვრებასაც კი ესადაგება, რასაც კოტე მაშინდელ ახალგაზრდობაზე წერდა. თქვენც ხომ ამას ამბობთ, თანამედროვეაო.

**– და მაინც, როგორი იყო თქვენი სტუდენტობა? ფრანგული ენით თქვენი დანტერესება რამ გამოიწვია?**

– ძალიან საინტერესო სტუდენტობა გვქონდა. ხან სად დავდიოდით, ხან – სად. ხან რომელ ტაძართან მივიდოდით, ხან – რომელთან. მე და კოტე სულ დავდიოდით და ბევრს ესაუბრობდით. ასე მოხდა. რალაცანიად გავუქარწყლე ის დიდი დარდი, რაც თვალეში ედგა ჩვენი პირველი შეხვედრისას. თვითონ მეუბნებოდა და ხომ მომწერა კიდევ, აღმადგინეო.

რაც შეეხება ფრანგულს, ეს ენა ძალიან შემიყვარდა ბავშვობიდანვე. თავდაპირველად ძმებთან ერთად გერმანულს ვსწავლობდი. ჩვენი მასწავლებელი – ფრაუ მარია გა-

დასახლეს. შემდეგ ფრანგულის სწავლა დავიწყე. ივანე ჯავახიშვილის მეუღლის მამიდა – მარიამ ორბელიანი მასწავლიდა. ყველა „ნათლიკოს“ ეძახდა. შემდეგ უნივერსიტეტში პოლტარაცკიას ჯგუფში ვიყავი. ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობრის შთამომავალი იყო. სადილომოდ ვოლტერის „ზადიგი“ ვთარგმნე რუსუდან დოდაშვილთან ერთად. მერე „ბაბილონის პრინცესა“ დავუმატე, რუსუდანმა – „კანდიდი“ და გერონტი ქიქოძემ გამოსცა წიგნად.

**– ის, რაც ერეკლე ტატიშვილთან ამეგობრებდა ახალგაზრდებს, ანუ ინდივიდუალობა, საკუთარი „მეს“ შეცნობისა და დაცვის ნყურვილი, თუ სამშობლოს მძაფრი განცდა, ყველა ძვირად დაუჯდა. ბატონ ერეკლე თუ ნახეთ კოტეს დახვედრის შემდეგ?**

– ბატონ ერეკლე ტატიშვილთან დაახლოება არ იყო იოლი საქმე. ყველას არ იკარებდა. არჩევდა.

გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, მივედი მასთან. თავი ვეღარ შევიკავე და ბევრი ვიტირე. გამაჩერა. კოტეს დატირება არ შეიძლებაო.. და მერე საუბარი სხვაზე გადაიტანა.

ბიჭებს, არცერთს არ უხსენებია დაკითხვებზე არც ერეკლე ტატიშვილი და არც მიხეილ ზანდუკელი.

ვის კისერზეც არის ერეკლე ტატიშვილის დაპატიმრება, თავისი მიეზლო.

**– როგორც ჩანს, თქვენ შრომას შეაფარეთ თავი და ამან გადაგარჩინათ. ასეა?**

– ძალიან ბევრს და თავდაუზოგავად ვშრომობდი. დღემდე ვთარგმნი. ახლა ავადმყოფობა მიშლის ხელს, თორემ...

დარდით მხოლოდ ერთი რამ მადარდებს და ვწუხვარ: ახლა უკვე ბევრს წერენ და საუბრობენ კოტესა და მის მეგობრებზე. დანერონ, ოლონდ ტყუილს ნუ იტყვიან! იმას ნუ მიაწერენ, რაც არ ყოფილა! რალაც არარსებულს ნუ შეთხზავენ! ამით ხომ მის სსოვნას შეურაცხყოფენ, მის სახელს აკნინებენ. არ შეხვედრია კოტე ხიმშიაშვილი ანდრე ჟიდს, რომელთანაც თურმე მიხეილ ჯავახიშვილმა გააგზავნა. სიტყვამ მოიტანა და, ანდრე ჟიდთან შეხვედრას და შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ერთი გამორჩეული ახალგაზრდა – გივი ქიქოძე შეენირა.

არც იმიტომ ჩამოსახლებულან ხიმშიაშვილები კოჯრიდან თბილისში, რომ კოტემ იქ ეკლესიის დანგრევა ვერ აიტანა...

**P. S.**

*ერთი რამ განგების ნებით სწორედ ასე უნდა მომხდარიყო: 1935 წლის 1 სექტემბერს ნუნუ ქადეიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 99-ე აუდიტორიაში უცაბედად უნდა აღმოჩენილიყო; ერეკლე ტატიშვილის ზურგს ამოფარებულს პირველივე მერხზე მოექებნა ადგილი და იქვე, იმ ვაჟის გვერდით ჩამომჯდარიყო, დარდით სავსე თვალეები რომ ჰქონდა. . .*

*ჯონქა ხორნაულის ენძელას ავგაროზი მახსენდება – ავი სულისაგან და ხიფათისაგან დასაცავად გულის ჯიბით რომ დაატარებდა.*

*„რატომ გაუხდიათ თავიდანვე ყვავილები სიყვარულის აუცილებელ დამატებად?!.. ალბათ, ყველა ადამიანს აქვს დრო, როცა ყვალაფერს სხვა თვალთ დაუნყებს ცქერას...“*

**ესაუბრა  
თამარ ღონღაძე**

ზურაბ ლავრელაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული სახელი და გვარია მისი თაობის მწერლებში. პირველივე მოთხრობების ერთგვარი (ხაზგასმული) მისტიკა ზოგიერთ მკითხველს თითქოს „სიმძიმისა“ და „გამოუვალობის“ ატმოსფეროს უქმნიდა, რაც მოჩვენებითი შთაბეჭდილება უფრო იყო.

ასეა თუ ისე, ახლანდელი ხელწერა, განსაკუთრებით ძველის ფონზე, ნამდვილი „ლაითია“. მოულოდნელი აღმოჩნდა მისგან ეს პოსტმოდერნისტული თამაშიც, რომელიც ასე ბუნებრივად, ასე ორგანულად ჩაენერა მწერლის მხატვრულ სამყაროში.

ზურაბ ლავრელაშვილი

# პილატეს სახარება

წინათქმა,  
რაც უკანათქმას მოსდევს

ოქსიმორიონის ყალბ ღვთაებას შეგნირით მსხვერპლი: ნაწლევის ჩხირი, თბილი ოყნა და ბაჩუჩები... ნუ დაინანებ ნასადილევს მსუბუქ თვლემასაც! ძველ მისტიკურებს მოედო ჟანგი – ნუმპეში გორავს მისტაგოგი, როგორც ლოთი ან ბებერი მამათმავალი... დრო აუქმებს თავად ღმერთებსაც! ღმერთი ხომ ახლა ჭლექიანის ნახველია ან იმპერატორის დისშვილის ლაბუა ჩიყვი! ძუძუმწოვარა შეშლილობა მართავს მსოფლიოს. ხსნა სადღაა?! მოიშორე ყველა ნიღაბი. ეგეც – იქედნესავით სლიპი გულგრილობა. ვერ დაემალო შენ არარას თუნდაც გქონდეს დუმილის აღთქმა – სარკეში არეკლილ შენს ხატებას მიითვლის ჟამი და დადევქი მე ისტორიის გზაჯვარედინზე, ვით ოჩანი სახედარი, კიცვი ძლიერი...

**Perpetuum mobile** – სინაზის გამწოვი აპარატი.

ფუნჩულა მკლავები აქვს ეროსს. არ აკლია არც ფილოსოფოსთა ხოტბა. ეკალი ვარდში. სამყურა ფოთოლი. ვარსკვლავთა წვეთი. და კიდევ: ოცნება სამყაროზე, რომელიც გეზმანა. მისწებს მკის ჟამი უდგათ – ველარ იხსნის ქვეყანას გონი, რაცოი, სამოქალაქო წყობილება, ბრუტუსის ღალატი ან პოლიტიკური ტირანიის უეცარი აღზევება. შეშლილობის ყველა შემაკავებელი ბორკილი დაცვივდა და უფსკრულს ჩავხედეთ. ყველანი აქ არიან: იუდეველნიც, რომაელნიც, მეგვიპტელნიც და ბარბაროსნი აღმოსავლით. აქ არიან მათი წინასწარმეტყველნი თავიანთი უიმედო შეშლილობით – ხარბი პირი აქვთ, ფიცხი ზნე და თავგასულობა... ცას შეღწავიან, ვით უდედო კნუტები კატის... მმართველის სულს აღაშფოთებს მათი ვედრება.

**Lux Oriens** – ფერთა თამაში.

## რომი

გახელებული ძუ მგელი შობს მთვარეს, იმავე მარსს, მრისხანეს, იარალით ჭურვილს. შვიდი ბორცვი – შვიდი ძუძუა, დედობისათვის განმზადილი. სამორინეს ღრიანცელი დგას დედის საშოში: თანშეზრდილი ტყუპები

პირველობისათვის იბრძვიან.

რა ძნელია იყო კაცი და იყო რომაელი!

პოლიტიკური ვითარება პირმოთნე კარიერიზმს ახალისებს. და ჭვრეტს მეისტორიე ვინმე სურათს ესევეთარს: იმპერატორის მეუღლეს მაგიდაზე ფილოსოფოსის მოჭრილი თავი უდევს და უსათნოესი ქალბატონიც, ვიდრე განთიადიდან მოაქჟამამდე, ქინძისთავით უჩხვლეტს მწარე ენას კანონთმცოდნე ორატორს, რომელმაც, სანამ ცოცხალი იყო, ან ეგონა, რომ ცოცხალი იყო, ელინთა მიბაძვით დაწერა წიგნი ფრიად გონიერი („ღმერთთა ბუნებისათვის“); თხზულებით ამით იგი უცილობლად ასაბუთებს, რომ სამყაროს წესრიგი მართავს, ხოლო კაცი ბუნების გვირგვინია თუ რაღაც ამდაგვარი.

**Mea culpa** – ღმერთებო, დაგვეხსენით!

როგორც იტყვიან, არარაობავ, სიცარიელე უნდა გერქვას შენ!


და კიდევ – ჟრჟოლა, ძრწოლა, ხუმტური, ნევროზული კანკალი. უფრო კიდევ: დიდი ქალაქის ბინძური კლოაკა, სადაც ნაგავსაყრელში საზეიმო მისტიკრია აღესრულება – მისტიკრია გაფანტულობით გამოწვეული ღალატისა, რასაც აგრე გამწარებით ჭვრეტდა რამდენიმე საუკუნის შემდგომ ერთი გალი, პოეტად სახელდებული, გარნა აბსენტით მთვრალი, გულზიდვებს გადაჩვეული.

რარიგ შევმცდარვარ!

სამოქალაქო ომების დროიდან რომს არ ახსოვს ამნაირი აღმშენებლობის ხანა: ჩვენ დიადი მიზანი გვაქვს – აღმოსავლეთის დაყვერვა-დასაჭურისება, რასაც ვიეთნი გლობალიზაციად მოიხსენიებენ. მკვდარი არისტოტელე გავაცოცხლეთ თეზისში: მიზანი ამართლებს... მიზანს! ეგ კიდევ რაა – ჩვენ დავიპყრობთ ჩვენივე თავსაც. ამაში სტოეღნი მოგვეხმარებიან, რომელთა ქადაგების ძალითაც სრულიად იკურნება ნაღვლის ბუშტის ანთება და თვალის სიეღმე; კაბალისტები ხელოვნური ადამიანის შექმნას გვპირდებიან, ხოლო ეტრუსკთა სიბრძნე არაცნობიერის მეუფებას გვიქადის.

წყეული ქალაქი!

კაპიტოლიუმის სიახლოვეს ერთი შინდი ყვავის გაზაფხულობით. ის სასონარკვეთისა და უიმედობის ნაყოფს იხსამს. მთვრალი ბაკუსის განავალში ამ შინდის კურკები უპოვნიათ თურმე.



მე, ჩემდა თავად, სიყმანვილის ხანა მოვლიე.

და თუ ვინმეს საკუთარი კრეტინიზმი ჯერ კიდევ ეეჭვება, მათთვის ბიზნესის სკოლები ავაგეთ – იქ საკუთარი თავისაგან გაქცევის ხელოვნებას ასწავლიან; აგრეთვე ინგლისურსა და კომპიუტერს: **windows, page-maker, corel, kwark**, თვეში სამოცდაათ ლარად, რაიც საბაზრო ფასით ბანკთაშორის ბირჟაზე ერთ სესტერციუმს უდრის.

უფრო იაფად ველარაფერს ისწავლი – ცხოვრება გაძვირდა და ტერორიზმიც ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას ძირს უთხრის.

აი რატომ დავთანხმდი პროვინციაში ხარკის ამკრეფობას! ბიუჯეტს უჭირს, გლობალიზაცია დიდ ფინანსებს ითხოვს; როდი გვანყენს ამ გაქუცულ ებრაელებს ტყავი გავაძროთ – სულერთია, მოგვიანებით ეგენი მაინც ვალში არ დაგვრჩებიან და ფულით მსოფლიოს დაპყრობას მოინადინებენ; ყოველ შემთხვევაში ასე სჯის ღვთაებრივი განგება, რომელი არს საბაზრო ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა მოთხოვნილებსამებრ. მათ, იუდეველებმა, უნდა იცოდნენ, რომ დაპყრობითი ომები მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია. ამიტომაც მათ პატარა ქვეყანას პართიასთან საბრძოლო ბუფერულ ზონად ვაქცევთ.

### ზარი

პირველად იყო კედელი. შემდეგ კაცთაგანმა ვინმემ კედელს ზეთი სცხო.

პირველად იყო აგრეთვე სიმგრგვალე, მანასი, ფარად სახელდებული – კედლისა და ფარის იგივეობა უცილობელია, გარნა ამას ჯიუტად ეწინააღმდეგებიან ჰურიანი. მათი აზრით არა ხამს თაყვანისცემა კერპთა ან კაცისამებრ სახეცვლილ ღმერთთა, გინა იყოს იგი მამა ჩვენი, უავგუსტოესი კეისარი, ვისი უსათნოესი მეუღლეც ესდენ მოიღალა ქინძისთავით მუშაკობითა, ოდეს უჩხვლელად იგი ენასა მქისსა ორატორსა სახელოვანსა, ცერცვად წოდებულსა...

წმინდაო ამნესიავ, შენ შეგვეწიე!

ტვინის გამორეცხვისა თუ გამოლაყების ის მეთოდი, რასაც ანთროპოსოფები მიმართავენ, დიამეტრალურად უპირისპირდება პითაგორელთა სწავლებას რიცხვთა ხდომილების შესახებ; ამას მოგვითხრობს ჭაბუკი შევარდენი გოფინდა, ასევე ბრძენი აღმოსავლეთისანი და დასავლეთისანი, მოძღვარნი შუაგულისანი და არქატნი ზემო თუ ქვემო სოფლისანი; გარე სკნელი და შიგთავსი აღავსებენ ერთურთს, განმსჭვალავნი ცნებითა და დიდებითა, ხოლო ფორმა და შინაარსი ოქროს კვეთის პრინციპზე დაიყვანება. ამ წესის თანახმად ფარი დიახაც კედელზე უნდა ეკიდოს, ისინი კი, ვინც სანინალმდეგო არგუმენტებს ატომეფულური თეორიის წინააღმდეგ ეძიებენ, არც არიან ღირსნი ღვთისმეტყველებად იწოდებოდნენ. მონოთეიზმის იდეა მტკიცებულებებს საჭიროებს. ის ჯერ მეცნიერულად უნდა დასაბუთდეს.

ამიტომაც ფრიად უსუსურია ზოგ-ზოგთა კნავილი, მონოთეიზმის მამად ფარაონი ეხნათონი მივიჩნიოთ, როგორც ამას გვთავაზობს ევკლიდეს გეომეტრია. ჩვენს მოსაზრებას ეთანხმება სახელოვანი სირაკუზელი ბერძენიც, წყლის აბაზანაში ნებისად მწოლი, და ერთიც – სოკრატეს აპოლოგია, შედგენილი ვითარცა მამათმავლობის სახელმძღვანელო, რის შემდეგაც იმ მაიმახმა ათენელმა სანელებლებით და ლაქლაქით გაზავებული სანამლავი მიირთვა და დედამინას ისე დაშორდა, როგორც გულისთქმა და ნარწყევი.

მასთან ერთად აღესრულა მამა-პაპური ალალი რწმენაც! მას შემდეგ ფილოსოფოსები ამაოდ ეძებენ სამების მეოთხე ნევრს, ვითარცა ჰიპოსტაზს იდუმალისა, ჰაერისა, სუნთქვისა, ძილისა, ჭამისა, ფშვინვისა, აღმოქმენანისა, კიდურთა განსხმისა, განყოფისა, შეერთებისა და თავზე ლაფის დასხმისა, რომელი არს კერპი უსახო, მრგვალი, წრიული, მედინი და მარად უძრავი.

ებრაელებს კი იმპერატორი ღმერთი ეგონათ!

თუ ჩვენ ხოტბას აღუვლენთ ავგუსტუსს, ეგ სულ უყმური სიზმრების ბრაღია. ვისაც მარცხენა თეძოზე სძინავს, იმას ქურუმები შავნალვლიანობას უწინასწარმეტყველებენ, მარჯვენა თეძოზე მწოლთ უიღბლობას, მარად მღვიძარნი კი ბუასილს მიირქმევენ, ვითარცა ღვთაებრივ ჯილდოს. მხოლოდ იმპერატორის გაღმერთება გვიხსნის საკუთარი თავის შეცნობისაგან. იმპერატორი ჩვენს მაგივრად ფიქრობს, დადის, სძინავს, ჭამს, მრუშობს, საქმეებს აკვარახტინებს, ცოლს ებუზღუნება, დამნაშავეებს სჯის; კითხულობს ბერძენ კლასიკოსებს, ფეხისალაგში კოლოებს ებრძვის და კანჭსაც ჩვენს მაგივრად იფხანს.

რომაელები პრაქტიკული ხალხნი ვართ. ამიტომაც მივანდეთ ჩვენი ცხოვრება კეისარს. ჩვენთვის ის მტკიცე კედელია, რასაც გვიმონებებს სენატის მორჩილი უმრავლესობა. ის, რაც კედლის იქით ხდება, არ გვიანტიერესებს. ამაზე დაე სხვებმა იფიქრონ, ვისაც მეტაფიზიკური ცრურწმენები სჯერა. ჩვენი ვალი კი ტექნიკური პროგრესი და მსოფლიოს გაერთიანებაა. ამ საქმეში ხელს ვერავინ შეგვიშლის, რადგან დალოცა ზეცამ სიბრყევე კაცთა და სათნოება უწმინდურთა.

### ბიზლიოთეა

ზოგი რამ სიტყვის მავნეობაზეც უნდა ვთქვა. რანი არიან ასონი და ბგერანი? ქვიშაზე წერილი სიმბოლო ისეთივე მარადია, როგორც ილუზორული ყოფიერება. დრო-ჟამის ბრუნვაც ოკეანის მიქცევ-მოქცევას ჰგავს, შიშველ ღრძილებს რომ აჩენს – სილიან ნაპირს. ლარნაკში გასუსული ყვავილი ათასნაირ ხატს შეიცავს. დამჭნარ ფოთლებში სიკვდილი განაბულა. კაცის გულსაც მუდამ ხრავს იმედი, ვით შავი ჭირი ან მშვენიერების წყურვილი.

განვედ, იმედო! უსუსურთა ხვედრი გაფანტულობაა...

და თუ ვინმე იტყვის, რომ ნამდვილად ვარსებობთ, მან ჯერ მარცხენა ლოყაზე უნდა იჩქმიტოს და მერე აკადემიკოსთა ნაშრომებს ჩახედოს, რაკილა სიტყვებს შორის ღრიჭოში ჩანს კიდევ ყოფიერება. არსობრივი სიმრავლე ვერ გვიხსნის ერთიანობისაგან. ეს აქსიომაა, რაც იგივეობრივია ლოგოსით შექმნილი სიცხადისა. ყოველივე საეჭვო სიცხადეში მყოფობს, სიცხადეშივე მიიცილება და მისითვე აღორძინდება – ასე გვასწავლიდნენ მემრუშენი, ვის გონებაშიც აზრი თავისით აზრობდა.

დღეს სიტყვა ხორცშესხმას ითხოვს და მე უძღურთ ვარ ის შევაკავო

ჰოი, კაცთა ცუდმედიდობავ!

სასკოლო სახელმძღვანელოები ფრიად მწირ ინფორმაციას შეიცავენ მატერიალური სამყაროს აგებულების შესახებ. ჩვენს გიმნასიებშიც საგანმანათლებლო რეფორმა მოძველებულ კონცეფციებს ეფუძნება. ამის გამო სახელმწიფო ნიჭიერი ადმინისტრაციული რესურსის ნაკლებობას განიცდის. მარტო იძულებით დაპყრობილ ქვეყნებში ვერაფერს გავხდებით – პოლიტიკენოლოგიების მზარდი საჭიროება გვიბიძგებს შევქმნათ ვირტუალური სისტემა, როცა ადამიანები საკუთარ თავს აღარ მიენდობიან. ვირტუალური ძმობა მომავლის პროექტია – ეს არ იქნება რელიგიური ან პოლიტიკური გაერთიანება, არამედ ნიშანთა სიმრავლეზე დაფუძნებული ნებელობითი აქტი, უმაღლესი უმოქმედობა, ვინემ ფანტასია. მომავლის იდეოლოგია მოითხოვს უღმერთო საზოგადოებას, ვინაიდან ღმერთები მუდამ ხელს გვიშლიდნენ ჩვენი გუნებისად გვეცხოვრა. ჩვენ ისინი უნდა განვაპოთ ცნობიერებიდან, თუ გვსურს, დედამინაზე სიმშვიდემ დაივანოს.

ამინ, ამენ თუ ამონ – კიდევ ერთხელ!

ინსტრუქცია ღვთაებრივი ლოგოსის ნაცვლად; მითითება სიყვარულის წილ; ვირტუალობა სინამდვილის უზნეო მყოფობის მაგიერ. ამიერიდან ეკრძალება ბალახს იყოს ბალახი, ღრუბელს – ღრუბლობა. ველარ იგრძნობ ლოყით ხავსიანი ლოდის სიგრძელს, ვერ დარწყულდები არსებობის მაცთური ღვინით.

### პროკულა

სიზმრის ნაწილი, შენს გვერდით რომ მყოფობს, ყოველთვის როდია განგებით დალდასმული – ეს შეიძლება წმინდა შემთხვევითობა იყოს და თუკი მას შენი ცოლი ჰქვია, ჩათვალე, რომ ფორტუნა გეხუმრა.

იუდეაში ჩამოსვლის შემდეგ გულ-ღვიძლის ამომგდებ ისეთ მარტოობას ვგრძნობდი, პროკულა არც გამხსენებია. ის ჩრდილივით დაიარებოდა ოთახიდან ოთახში, სანამ არყოფნიდან ვილაცას გამოიხმობდნენ.

სიზმარი არასოდეს მინამებია, მაგრამ პროკულა მედიუმის სიჯიუტით მიცხადებს, რომ წინასწარმეტყველური რამ ეზმანა, რასაც ცისა და მიწის განახლება უნდა მოჰყვეს. ვურჩიე ტაძარში უმსხვერპლო შესანიერი –

თაფლაკვერი და ყვავილები წაელო და ძილის ღვთაებას სიმშვიდეს შევედრებოდა.

ასე სჯობს, ჩემო, ვუთხარი მასაც და ჩემს თავსაც. ნუ შეანუხებ ლანდებს, რომელთაგან სიზმარი იქსოვება. ცისა და მიწის განახლება?! წარმოსახვასაც საზღვარი აქვს – იქ თავდება, სადაც ნანღევთა ბუყბუყში სამყაროული წვენი იხარშება. ქაოსია სახელი მისი და მეშიწის, დაო, ზეალმტაცისაგან მისისა, რამეთუ ქრება ნათელი იგი გონებისა ბნელში.

მან არ დამიჯერა. სხვას რას უნდა მოელოდე მდედრისაგან, ვისი ხვედრიც გაფანტულობაა?!..

### ტაძარი

ვინც აღმოსავლეთს იცნობს, საკუთარი თავის ცნობა გაუჭირდება. აქ ხვავრიელად იფურჩქნება ფანატისმი, რომლის მიზანი ღმერთია. აღმოსავლეთში ღმერთი ყველგანაა. მას ვხედავთ და ვერც ვხედავთ, რადგან ამნაირი სათვალე ჯერ არ მოუგონიათ.

დავიღალე.

შესაძლებელია თუ არა ჩვენი გონებიდან განვდეგნოთ ღმერთი? სიტყვა? შეგრძნება? აღვივსოთ სიცარიელით, არარაობით, უპერსპექტივობით?

დავიღალე.

მინდა ისტორია გავაუქმო. ბუნება. მყოფობა. არსი. არარსი.

დავიღალე.

ადამიანი ცოფიანი და ავადმყოფი ცხოველია. მისი გული ქვაშია, რომელსაც უქადაგა არაესთეტურმა წინასწარმეტყველმა ამონიოსმა...

რალაცის მიჯნასთან ვდგავართ. მოძრაობა ნებადართულია, ოღონდ წრიულად.

გარე გახედე: სველია მინა, როს ინვიმა ღმერთის თვალთაგან.

მიუახლოვდი ტაძრის კედელს, მიუახლოვდი – იქ მყოფობს ღმერთი.

წრე? წრენირი? აზრის ზიგზაგი?

სადღაც მიკიოტი კივის, სადღაც ბნელი სამყარო იმუშენება. ვის მიეყრდნობი შენ ამ ბნელში? კედელს ტაძრისას?

ჰოი, კაცთა უსუსურებავ!

ბერძნული გონის დიდი დამსახურებაა, რომ მან სცადა ადამიანის ბუნებიდან ამოეშანთა ირაციონალობის რწმენა. სამყაროს დაშლა ელემენტებად მატერიის სიკვდილია. ჩვენ მკვდარი ღმერთის წიაღში ვცხოვრობთ. სწორედ ამიტომ გვერევა გული. ბუნებას მიცვალებულივით მყრალი სუნი უდის. მატერია გარდაიცვალა – ის ჩვენ მოვკალით ჩვენივე გონებით.

დღე-ღამის მონაცვლეობა მხოლოდ ზიზღს გვიმძაფრებს, რადგან მკვდარი ღმერთის გვამში გვეფლობა ფენი, გვიცვდება მზერა, განკაცების საიდუმლო კი ისევე ამოუნობია, როგორც სიცრუის ალგორითმი. ცხოვრებას ჩვენსას კვლავ სდარაჯობს ზესულიერთა ფიზიკ-

ლი თვალი, რომლის რქოვანაში ისტორიის ბედუკულ-მართობა გაყინულა. ესთეტიურ ნახტომს დავინყების მდინარეზე ფასი აღარ აქვს – ლეთეს წყალი ახლა აფთი-აქში იყიდება, სამარკო ნიშნით: „ესკულაპი და ძმები“, რომელსაც ოპტიმიზმის მომუაყო გემო დაჰკრავს.

დიდება, დიდება და სამგზის დიდება ღვთაებრივ ში-განს!

მე ეს უკვე გამოვცადე – ამო ბუყბუყი ოპტიმიზმის თბილ ტალღებში, ოდეს თავიდან (უკვე მერამდენედ) იქმნებოდა სამყარო. მაშინ-ნაც არარანი ვიყავით და კვლავაც არარად მოვიტყე-ვით, კურთხევის შეუტყევე-დი ძალით, როცა ცდისეული გზით მიიღება ფრიად ამო-რალური კვინტესენცია ქმნადობისა, ესოდენ დანა-წევრებული თანამედროვე მწერლუკათა თავებში ნაირ-ნაირ „იზმად“...

რა არის ეგე: რისხვა თუ გააფთრება არყოფილისა? განაძე იგი, განაძე იჭვნეუ-ლობა, თორემ ბუა შეგვჭამს, როგორც გვიქადოდა ამას ერთი აპოკრიფული ტექსტი. ახლა ამნაირ ტექსტებს დან-ყებით კლასში ასწავლიან შეგონების მიზნით; შიზოფ-რენია კურნავს სნეულთ იმით, რომ სხვათაც ასნეუ-ლებს – როცა ყველა გაგიჟ-დება, ვინღა მიხვდება, რომ ორჯერ ორი ოთხია და არა ცხენებშებმული ფორანი?!

(ამის თაობაზე მოსწრებულად იოხუნჯა იუპიტერმა, ზოგჯერ ხარმა და ზოგჯერ გედმა, ისე კი კაი ბიჭმა და ზნეკეთილმა მამულიშვილმა: მეო, ასე თქვა, კაცის და-ლუპვა თუ მინდა, ჯერ გონებას წავგვიოო. ამნაირ ანდა-ზობანას დღეს გასავალი არა აქვს – კაცის დალუპვა მე-ტისმეტი გონიერებითაც შეიძლება).

და ითქვა ესეც:


რწმენა ის არ არის, რასაც ტოტალიზატორში მოიგებ ან დაკარგავ. ნუ ებრძვი ქარებს, მეგობარო სვეუბედუ-რო; შეეცადე ჩასწვდე იდეას – რომელი მხრიდანაც არ უნდა შეხვიდე ლაბირინთში, მთვარეს ვერ გაექცევი – მთვარე ხომ შემულილი მეზღაპრეა, ვისაც თავისივე სი-გიჟისა რცხვენია და შემოდგომის სადაგ დღეებში სო-ფისტურ ნივთმტკიცებებს აგროვებს კუდიანი დედაბ-რების დასაშოშმინებლად, თუმცა სიავის კრუნჩხვებს თითო აბი ასპირინი თუ გაუქარვებს ამ ალქაჯებს.

ჰო, ასე ითქვა: ადამიანი ღია სისტემაა. სიმძიმელი არას გვარგებს. ამიტომაც კბილთა ღრჭენით უნდა ილ-ხენდე, უნდა გასწირო თავი შენი უსაგნო რწმენისათვის, ვინაიდან ფანატიზმი საჭიროებს კურნებას, რეცეპტი კი

სამყაროული კვერცხის გულშია. მისგან შესანიშნავ ომ-ლეტს ამზადებდა არცთუ ურიგო მზარეული ჰამლეტი, ვისი სახელიც ასე ნართაულად ჰგავს ტაფამწვარს. გინა ერბოკვერცხს, ანთუ გაუნელებელ სევდას კაცობრი-ულს, ცეცხლსა ზედა მოთუშულს სანერწყვე ჯირკვლე-ბის უთავბოლო ტკარცალში.

განაძე, განაძე იჭვნეულობა! სანაცვლოდ ჩანვდი სამყაროულ ლექსს, მთხლესა ქებულსა, ჭია-ჭუათა მის-წრაფებას ამოდ სახილველს! ესე არს ქებაი დროული,

თანაც ზე-დროული, ანთუ ქვე-დროული (ემმაკსაც წაუღია ამათი თავი), ტა-ძარსა შინა ღვთისასა, რომელ იყოფის კიდობანსა შიგან ილიქტრონისა და ბივირისა ფერიტა, ვი-თარცა სული დაუსაბამო, ყოვლის მაცოცხლებელი! ამნაირ ზღაპრებს მიყვე-ბოდა ბიძაჩემი, კაცი დრკუ და ენაბრგვილი. ვი-საც სრულიად შეეტკბო ცრუ მოძღვრებათა ეშყი ნივთობრივი, განსწავლუ-ლი ლუკრეციუსის საგ-ნობრიობითა, რომელი არს დასაბამი ჰეგელის დიალექტიკისა იმ უშორეს ხანაში. მიყვებოდა და გა-დაჰყვა კიდეც უსაზმნო საუბარს ვითომ მდუმარე-ბაში, რაგვარადაც ბაბუ-



მხატვარი ბადრი გაგნიძე

ანვერა გადაჰყვება ხოლმე მონიფულ ქარებს, მკვახე მინდვრებში ალაგ-ალაგ მოზორიალე.

მე კი გკითხვავთ: დაიტევსმცა ბუშტი ნაღვლისა და იპოქონდრიისა ჰეგ ზამეტრებს მისადმი თქმულსა?! შე-მოკრბით, წინასწარმეტყველნო, ქებად ღვთისა, რომე-ლი იძლევის იჭვითა, ანთუ სილოგიზმითა, უარყოფითა, ურწმუნოებითა, ჯორისებრი სიჯიუტითა, ძრწოლა-კანკალითა, ვულგარიზებული მატერიალიზმითა, სიბ-რიყვითა, მეტისმეტი ნაკითხობითა და კაცთა განდიდე-ბითა.

განა იმპერატორი ღმერთი არ იყო?!

გვამსა შიგან შიშის ქარები უქროდა, რომელნი გა-მოსცემდნენ ხმასა დიადსა განსვლითა ნაწლევსა ღრუ-თაგან ანალურის და ორალურის ხვრელებითა, ვითარ გაფანტულობა სამყაროული გაზებისა...

განა არ ვადიდეთ ჩვენ კაცი ცხრანერტილოვანი, სა-იდანაც მიწყვი დაედინება: ზინტლი, ნერწყვი, ცრემლი, შარდი, კურკლი, წვინტლი, ოფლი და სიტყვაი?!

და აღემართა ტაძარსა შინა ქანდაკი, ამ ბრიყვმა ჰუ-რიებმა კი იუკადრისეს იმპერატორის სახება და მთელ ქვეყანას შფოთი მოედო. სწორედ მაშინ გაგზხდი იძულე-ბული ტაძრის შესასვლელიდან ჩამომესხნა ლეგიონის

შტანდარტი და ოქროს ფარი, რომელზეც ავგუსტუსის სახე იყო ამოკვეთილი. ვაი-პატრიოტებმა კი ბუქსა სცეს და იუდეა აჯანყების ცეცხლში გაეხვა.

### ზაპი

**Pax Romana** – დამანყნარებელი სამშაულება.

ვიცი, რასაც იტყვიან მოგვიანებით ჩემზე: რომ ვერ შევძელი იუდეის დაშოშმინება, რომ ვიშიშე მდაბიოთა სიფიცხისაგან. ჰო, ეგრეა – ფანატიკოსებს გააქვთ ზუ-ზუნი. ჰაერში აჯანყების სუნი იგრძნობა. წონასწორობას არისტოკრატისა და კომპრადორული ბურჟუაზიის დახმარებით ვინარჩუნებთ. მაინც ყველანი ვულკანის ყელზე ვცეკვავთ შეშლილი ბაქანტებივით. ებრაელთა თავნებობას საზღვარი არ უქვეს – დღემდე ფუჭი იმედით ბაქებუქებენ, რომ იაჰვემ, მათმა პრიმიტიულმა ღვთაებამ, გამოარჩია ისინი სხვა ხალხთაგან და აღ-თქმაც მისცა ძალმოსილებსა!

აი, რა ზღაპრებით იმშვიდებენ თავს აზიელები! ოზონის ხვრელის გაფართოებას ეგენი განგებას მიაწერენ. ცივილური ფასეულობისადმიც შეუვალნი არიან – რამდენიც უნდა ვიზრუნოთ წესრიგსა და ჰარმონიაზე, ქაოსს ვერ მოვერევი. სანამ ძალა გვყოფნის, იუდეველნიც ქედს გვიდრეკენ, მაგრამ რა იქნება მერე? ან სად არის ზღვარი, რომლის იქითაც ძალა უსამართლობად იქცევა?!

თავსართი. ბოლოსართი. განხორციელდი უარყოფითი, რადგან შენ ეს დაიმსახურე.

ახლაღა ვხვდები, რომ ადმინისტრაციული მანქანის ერთი ბენო ჭანჭიკი ვყოფილვარ: იმპერიას თუკი დასჭირდა, უბოდიშოდ გვერდით მოგისვრის. მე კი რარიგ მენადა ზავი! რარიგ მეგონა, ჩემს მოვალეობას კეთილსინდისიერად ალვასრულებ-მეთქი! დაპყრობილი ხალხების ბედი რომში არავის ადარდებს. იმასაც ვხვდები, თუ როგორ ქმნის პალატინი ჩემგან მტრის ხატს. თუ დავმარცხდი, ყველაფერი ჩემს იმპულსურობას დაბრალდება.

მორჩა. გათავდა. დითირამების მწვანე მოლი სეტყვამ მოჩითა.

სამშაულო რანგის მოხელედ დავრჩები, რადგან უგუნურ ფანატიკოსებს რომთან ბრძოლა განუზრახავთ. ათი ათასი ბარბაროსი აღსდგა დრო-ჟამისაგან კურთხეული ცრურწმენების დასაცავად, მე კი მარტო ვარ.

**Deus ex Machina** სიზმრის მონატრებაა. ჯალათები ბედს არ უნდა ემდუროდნენ. განგება მხარს უბამს მათ, როცა ფანტაზია არ გვყოფნის მოყვასი უმიზეზოდ მოვაკვდინოთ.

**Deus ex Machina** – სიზმარი სიზმარში.

ვინ დაიარება ბნელში? კატის თვალები აქვს, თევზის სიმუნჯე. უფსკრულს თუ გაესაუბრები, მეორე ნაპირას უვნებლად გადაგიყვანს, სადაც ქარონი გილიმის უკბილო პირით, წყალმაშველთა სამტატო არეულობაში რომ მოჰყვა სირცხვილეული.

ნურვინ გიყვარან. ნურც თავი შენი. შენ შეიძლება სხვას უყვარდე ან სძულდე – გააჩნია, რა მდებარეობას დაიკავენ შენგან მარცხნივ პროფკავშირელი აქტივისტები, გაფიცვებს რომ აწყობენ პროსტიტუციის საყოველთაო ლეგალიზების მოთხოვნით. გაფიცვები და ბუნტი ჩვენი საყვარელი გასართობია, ვინაიდან სასმელ წყალში სულ უფრო ნაკლებ ქლორს ყრიან, მდაბალი ხარისხის ქურუმებს კი ისევ არ აძლევენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რადი უმაღლესი პონტიფიკი უაღრესი ეგოიზმით დასნეულდა.

ეგეც არ იყოს, დროება გაფუჭდა: არაექსისტენციური ხანაში ვცხოვრობთ, როცა საკუთარ თავზე ფიქრი აკრძალულია; ნებადართული მხოლოდ უსაზმოდ ყავის სმაა, ისიც ექსპორტ-იმპორტის შეზღუდვების გათვალისწინებით. ზოგ-ზოგნი კი მაინც ალკოჰოლს რჩებენ, რადგან ალკოჰოლი ტვინს ალაგზნებს, თუმცა ამ გამოცხადებას გემო მაინც ვერ გავუგე – ის დაწერა კაცმა, ვისაც მარჯვენა თვალში რენტგენის სხივები აკლდა. სხვა რით უნდა აიხსნას დემოკრატის ეგ ზომ მცირე ლიმიტი კოლონიურ ქვეყნებში? მშვიდობის საერთაშორისო ქარტიაც სულმთლად დაობდა, უმარილო თავლაკვერევით. აღმოსავლეთის და დასავლეთის შერწყმა ჯერაც დღის წესრიგშია. უპრიანი ხომ არ იქნება, „მარსელიეზაც“ ვჭექოთ, რადგან მშიერ მუშებს უკანალი უხმებათ მზვარეში?! ვილაც მანანლა წინასწარმეტყველზე მესაუბრებოდით. როგორც ამბობენ, მასები მხარს უჭერენ უფასო სწავლებას, ცარიელი ქადაგებით კი ვერას გახდები, მითუმეტეს, თუ ქადაგების თემაც მოძველებულია: ხსნა, გადარჩენა – რისგან, ან ვისგან? ბნელმეტყველებას და იგავურ საუბარს კანონი კრძალავს. სახელმწიფო რიგით მოქალაქეთა შმაგ სურვილებს ვერ უთანაგრძნობს.

### წინასწარმეტყველი

მსუყე სამხრობის ჟამს იორდანეს ჭალებში ქურციკები ჩამოდიან, რათა ღვთის სიტყვა უქადაგონ აქლემის ბენვით მოსილ წინასწარმეტყველთ. იუდეაში წინასწარმეტყველებს ხომ ფასი არა სძევთ – ეგენი უდაბნოში გაჰყვირიან, მაგრამ მათი ხმა იერუსალიმამდე ვერ აღწევს. ვინც კი ქალაქში შემოსვლა გაბედა, ყველა დახოცეს. ეს ქადაგთა პრივილეგიაა – ბრბოს თანდასწრებით სიკვდილი. ტაძრის ქურუმობა დიდად ეხმარება მათ პოპულარობას, როცა ჩაქოლვას უსჯის. სისხლი გამიშრო ქურუმთა აჯამ, ჯვარცმის განაჩენი ვაკურთხო ამ საბრალლო ფანატიკოსებისათვის, იაფფასიან აღიარებას რომ ესწრაფვიან უცხო და დიდ ქალაქში.

ადამიანი ადამიანისათვის მგელია.

სიყვარული? თანაგრძნობა?

ჩვენი კეისრებიც ცდილობდნენ ხალხის ყოფა სახელმწიფო ინსტიტუტების გაუმჯობესებით შეემსუბუქებინათ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან ბრბოს გონება არ გააჩნია. ის განწირულია იტანჯოს.

ჩვენი სტოიკოსებიც დიდი ჯამბაზები არიან. სოკრატეს შემდეგ ყველა სახელის მადიებელი, თითქოს პირი შეუკრავთო, ხალხის დასანახად ვენებს იჭრის ან კოცონში ვარდება. დედამინა იხაშმება ბრიყვების აქოთებული ხორციით. გონის საუფლოს სხეულის დამწვრობის ოხშივარი ბურავს და ამ სიბნელეში კვლავაც არ ეხსნებიან მსხვერპლად მისვლის ხოტბას. მაგრამ მე რა ხელი მაქვს ამ ამბებთან? მე ხომ იუდეაში ხარკის ასაკრებად ჩამოვედი, ამიტომ მდაბიოთა რელიგიურ კამათში ვერ ჩავერევი.

მარტო ის მინდა ღმერთებმა მოგვასვენონ. თეოლოგია უმნიშვრთათვის დამითმია, ვინც ჯერაც კეთილდღეობას ელიჯინება ზეცას. ჭეშმარიტების ძიება ინსტრუქციით არ მევალება. ჭეშმარიტება ცივია და უცხო. მის მოსანელებლად ღმერთებს შესაბამისი ორგანო არ უწყალობებიათ. ამიტომაც მძულს, ბრტყელ-ბრტყელ ქადაგებას ჩალასავით რომ იღეჭებიან ეს ჩიტირეკიები, პასექის დღესასწაულზე იერუსალემში ჭიანჭველებივით ტაძარს შესეულნი.

გააღე სული, მეგობარო, როგორც სარკმელი. სიტყვა ჩიტივით შემოფრინდება შიგნით და მისი ფრთების ფრთხილი ჩუმი სევდით აგავსებს მიმწუნხრის ჟამს. მისი ხმაა შეუურველი? ნუ იკითხავ, თუ რა ჰქვია ძეს კაცი-სას ან საიდან მოდის და საით წავა! ის ჩვენთან არის, როგორც ლანდი ან როგორც ქვიშა, თითებშორის რომ იბნევა გრძნობის მტვერივით. გააღე კარი და შეგძრავს შენ სიცივე უნჯი. იგი არ არის მარგალიტი, არცა ძონი ანდა პორფირი; იგი მღვიმეა, მორიელებით დასახლებული.

ადამიანი ადამიანისათვის უცხოა.

პროფანაციის კეთრი ხრავს ყველა აზრს და ყველა იდეას. საკმარისია რალაც წარსტქვა და მაშინვე კრიტიკოსთა უშქარი ჯარი დაგესხმის თავს, როგორც აფთართა ხროვა. დღეს ნებისმიერი ფილოსოფიური აზრი პლატონის დიალოგების არშიაზე მიწერილი შენიშვნებია. აი, რად მძაგს ეს ყბედობა მიეთ-მოეთური! იუდეველებს ჰგონიათ, სამყაროს საოცრება აღმოაჩინეს, რაკი რომს აუჯანყდნენ. მაგათ ხაშხაშის წვენივით აბრუებთ თავი-ანთი უპირატესობის შეგნება, რასაც არანაირი საფუძველი არ გააჩნია, ამ ხრიოკ ველ-მინდვრებზე მესიას რა უნდა?! მესია ღრმა უფსკრულებში სახლობს, მწვანე ჭანჭრობში, მღვრიე ტალღებში წარუვალისა. ნუ გამოინმობ, რათა არ მოინუსხო იმედით.

ეს ქვეყანა მკვდარი ღმერთის სახლია.

არარაობიდან არარაობამდე გადაშლილა უცხო სამყარო, ჯერ რომ არ შექმნილა და მხოლოდ სიზმრებში მყოფობს, როგორც ხსოვნა.

ამიტომაც ვერ ვიხარებ უფლის აღდგომით, რაკვარადაც ეს აზიელი ბალები ზეიმობენ რიჟრაჟის გაზაფხულს! ასე ამბობენ: კაცი უნდა დაიმცროს, რათა ღმერთი აღზევდესო. მაგრამ ღმერთი სამყაროს კუბოშია ჩაჭედილი. ის უძრავია და უტყვი. ქვეყნიერებას – პირისახეს მისას, ნაცრისფერი აძევს, როგორც მიცვალებულის სუდარი.

განვედ, იმედო!

ჩემი ერთადერთი ხსნა პალატინიდან მიღებული მითიებებია. უმაღლესი პრინციპი მე არ მწამს. კანონიც ღმერთივით მკვდარია. გარშემო მხოლოდ ლანდები ირევიან. ლანდებთან საუბარი კი რომაელ მეფისნაცვალს არ შეჰფერის.

## მსჯავრი

განხორციელდი უარყოფით. ამას ელტვოდი.

გადატყდა სარკე, გამრუდდა ხილვა. სიტყვამ მიწია, სიტყვით ვცოცხლობთ, სიტყვით ვცხოვრდებით. რალა შემედლო? ისტორიას სიტყვები წერენ. სამფეროვანი ბედი ჩემი სიტყვამ შებურა.

*Nihilum et absurdum* – ერთ ღეროზე ამოსული ორი ყვავილი.

როგორც ვთქვი, სიტყვა სილაზე ნაწერი სიმუნჯეა. მაშ რალად მიელტვიან კაცნი კურნებას, გინა ამბობს გაუნელებელს?! ვინ შეისმენს, ვინ წავიკითხავს?! ალფა და ომეგა სამყაროში დაკარგულია. ღმერთს როდი ძალუძს ყოველ წამს არ ქმნიდეს მირიად სამყარობს სიტყვის ძალით, რომელსაც არავინ ისმენს. ჰო, ეგრეა, ძმანო ჩაგრულნო: ეს მალემწმენთა სახალისო მეტაფიზიკაა, ძილის წინ დამაწყნარებელი აბივით მისაყოლებელი, რათა დაგვიამდეს არსებობის ბოროტი წყლული. სიტყვის მაგია იპყრობს კაცთა გულელებს უფრო ძალუმად. განგება დაფარული ცოდნაა – შენ ეს იცოდი. მაინც აჰყევი ცთუნებას და წარსტქვი მსჯავრი, რასაც მომავალი თაობები სისუსტედ მიგივლიან.

რაი არს არსებული?

ან ასე:

რომელი ხარ, რომელიც ხარ?

აი, აგრე ვთქვი, ჩემს ღვიძლსა ვფიცავ! ვის მივუთხრობდი, ვის ვესავდი, ვის ვალვიძებდი? წყლის ზედაპირს სიმშვიდე მოსავს. დაღვინდა წამი. დღე დაბერდა, გულეები გაცვდა.

და ვინღამ თქვას, ახლოა ჟამი! ოდეს დუმილი არარას ერთვის, დადუმდი შენც და ნულა ძრწი, თუ სიტყვაში არეკლილ ხატებას მიითვლის იგი, როგორც მჭვარტლი ლამპის ნაშუქს, ამოდ მთრთოლვარეს. ართუ იცოდი: პირს გააღებ, ხორშაკი ცვივა, მზერას ასწევ – გაიყინები; ხელს თუ ამართავ, წამსვე დაბნდები, რომ არ იცოდეს შენმა მარჯვენამ, თუ რასა იქმს მარცხენი შენი.

ასე მართობდა მე ქარაგმა ძველთუძველესი. განგების ოინს ვერ ეწყობა კაცთა ბუნება, თუმცა ისტორია ფრიად გუნებისი სავარჯიშოა იმ კაცისათვის, ვინც უდროობისა და არსებობის შუაგულში მოექცა ნებისყოფის განუზრახველი აქტივით; ასეთ დროს უადგილოა თავი იმით იმართლო, რომ შენ ეს არ გსურდა, ან თუ გსურდა, ხსნას ელტვოდი ბრმის მისწრაფებით.

ხსნას რისგან? არსებობისგან, აქ ყოფნისაგან? ჩვენ ხომ ვარსებობთ, ჩვენ ეს ვიცით. მამ რალას ველტვით, რას ვესწრაფვით, საით მივრბით გულმილეულნი? გინდა იცო-

დე, რას ჰქვია რწმენა?! სული? ჭეშმარიტება? ადამიანი? გინდა შეიტყო, რად გვიბურავს გონებას ღვთის უცოდნელი სახელი? რად გვწადის ძილი? ძილს შეუძლია წაშალოს ჩვენი მახსოვრობა და აგვარიდოს ცვალებადობა. ვინც გვაღვიძებს, მტერია იგი, რადგან სიზმრად სძინავთ თვით ღმერთებსაც, განწვალვად გამზადებულიებს.

მათაც თავიანთი თავშესაქცევი აქვთ – სამყაროდ ქცევა. რა მესაქმება ლოგოსის მკაცრ სინამდვილესთან? მე მხოლოდ საიმპერატორო პროვინციაში სიმშვიდე მსურდა, რათა იუდეველებს ხარკი დროულად ეძლიათ ჩვენთვის. რიგითი ჩინოვნიკი ვიყავ, იმპერატორის გაპრიზით აღზევებული. ჩემმა დრომ რომ მოანია, ოფიციალური ქრონიკებიდან ამომშალეს. თუკი ვინმე მახსენებს, მხოლოდ იმისათვის, რომ ბრალად დამდონ: სიტყვის მოკვლა, სიტყვით ჯვარცმა, სიტყვით თამაში.

ნუთუ ვცდებოდი?

არ ეგების მარტო მე ვიყო ბრალეული, თუ ღვთისმკვლელთა სახელი – ლეგიონია; არ ეგების ათასწლეულთა მანძილზე, კიდევ და კიდევ კაცად განსხეულებულმა, შეჩვენების წყვდიადში ვიბორიალო, თუკი დევნილისა და მდევრის ერთობა ჯერაც ვერ შეგვიცვნია (როგორც ყოველთვის, მხსნელი ამ თამაშში არ მონაწილეობს!).

და მეორდება ისტორია – სცენარული სახელწოდებით:

dvanda!  
Nirdvanda!

ოქსიმორონის ყალბი ღვთაება მაცთუნებელი ჰოროზონტებისაკენ გვიხმობს...

**შენიშვნები და განმარტებები**

აპოკრიფული სახარების ეს ვერსია განთავსებულია ინტერნეტ-საიტზე: [www.apokrif.ge](http://www.apokrif.ge), ინგლისურ ენაზე, თუმცა არსებობს მისი რუსული თარგმანიც – [www.rambler.ru](http://www.rambler.ru). ავტორი უცნობია. აზრი იმის შესახებ, რომ თომას, პეტრეს, იაკობის და თვით იუდას (რაც ბოლო დროის გამოკვლევებამც დაადასტურა) სახარებებთან ერთად არსებობდა პილატეს სახარება – არაახალია. I-III საუკუნით თარიღდება ეგრეთწოდებული პილატეს წერილი იმპერატორ ტიბერიუსისადმი (მოგვიანებით – კლავდიუსისადმი). როგორც ჩანს, ავტორს უსარგებლია ამ ცნობებით. ეყრდნობა რა გასული საუკუნის დრომოჭმულ ლიტერატურულ ტრადიციებს (განსაკუთრებით შეიმჩნევა ინგლისელი პოეტის უისტენ ჰიუ ოდენის „საშობაო მესას“ გავლენა!), ის ქმნის ისტორიულ-მოდერნულ პასაჟს, რომლის ძირითადი ტენდენცია არა იმდენად ქრისტიანობის არსის ახსნაა, არამედ ისტორიის როგორც თამაშის, ციკლურობის, ჩაკეტილობის, დროში გაურღვევლობის დაფიქსირება – ეს კი თანამედროვე ინტელექტუალთა საყვარელი გასართობია. ვიტყვით იმასაც, რომ თხზულებას დიდად აკლია ახალი ეპოქისათვის ნიშნული თვისება – განურჩევლობა. ის ჯერ კიდევ რომანტიკულ ოცნებას ელოლიავენა – გადმოსცეს თავისი სულიერი მღვდლვარება და ეიმედება, რომ გაუგებენ; როდი უწყის, რომ დიდი ხანია ყველაფერი დასრულდა, ან უფრო ზუსტად, ყველაფერი თამაშია: როგორც მსოფლიო ისტორია, როგორც კაცის ბედი, როგორც აზრი, როგორც ყოველნაირი თხზულება.

ამდენად, ჩვენს წინაშეა ინტელექტუალური თამაშის ნაირსახეობა თამაშის მოტივაციის გარეშე, იგივე ლიტერატურა, რომელმაც საკუთარი თავი ამონურა; ერთგვარი ანაქრონიზმი, რომლის უსარგებლობა თვალში საცემია.

თხზულების ქართული თარგმანი გამართლებულია ერთადერთი მიზნით – სრული წარმოდგენა ვიქონიით პოსტმოდერნულ ეპოქაზე, როცა ყველაფერი ნებადართულია. თარგმანი შესრულებულია ქართული ენის ნორმების დაცვით – ეს კიდევ ერთი ანაქრონიზმია, რაკილა სიტყვა დიდი ხანია აღარ არის კომუნიკაციის საშუალება და რაც სრულად ეთანხმება თხზულების პათოსს, შექმნას ე.წ. „სიძველის ეფექტი“ სახარებისეულ სისადავეზე მინიშნებით.

ოქსიმორონი – შეუთავსებელ ცნებათა შეერთების მცდელობა, თუმცა მისი, როგორც სიმბოლოს, გააზრება აზრს ჰკარგავს ეპითეტიტ „ყალბი“, რაც თვითობის შეუძლებლობას მინიშნებს.

ნანღვევის ჩხირი, თბილი ოყნა და ბაჩუჩები – საკმაოდ გამჭვირვალე მინიშნება მაცხოვრისათვის სამი მოგვის მიერ მორთმულ ძღვენზე.

„ღმერთთა ბუნებისათვის“ – ცნობილი რომაელი ორატორისა და ფილოსოფოსის ციცერონის (ძვ.წ.106-ახ.წ.43) თხზულება. სამოქალაქო ომის დროს ციცერონს თავი მოჰკვეთეს და იმპერატორ ოქტავიანეს მეუღლე ფულვია მართლა უჩხვლევტდა ენას ქინძისთავით.

ერთი გალი, პოეტად სახელდებული – შარლ ბოდლერი, ფრანგი პოეტი, თანამედროვე ლირიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. „გაფანტულობის ღალატი“ ბოდლერის ესთეტიკაში ნასესხებია მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი ილუმინატებისაგან (საიდუმლო რელიგიურ-განმანათლებლური საზოგადოება) და აღნიშნავს ბედის ანაბარა საკუთარი თავის მიტოვებას, სულიერი ბედისწერის უარყოფას, ღტლოვას სხვებისაკენ (იხ. ჰუგო ფრიდრიხის „თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა“, აღმანახი „საუზნე“, №3, 1990).

კედლისა და ფარის იგივეობა – იგულისხმება ცნობილი ეპიზოდის მმართველობის ხანის იუდეაში, როცა ებრაელებმა პროკურატორ პილატეს იერუსალემის ტაძრის შესასვლელიდან ავგუსტუსის გამოსახულებიანი ფარი ჩამოახსნევინეს.

ორატორს... ცერცვად წოდებულს – ავტორი კვლავ უბრუნდება ციცერონს, რომლის გვარი (cicero) ლათინურად ცერცვს ნიშნავს.

ჭაბუკი შევარდენი გოვინდა – ჰერმან ჰესეს ცნობილი თხზულების „სიდჰარტას“ პერსონაჟი.

არქატები – ზეციური წინამძღოლები ბუდისტურ და ინდუისტურ მითოლოგიებში.

სირაკუზელი ბერძენი – არქიმედე.

აზრი თავისით აზრობდა – ანთროპოსოფიაში გავრცელებული შეხედულება პირველყოფილი ადამიანის აზროვნების რაობაზე. მსგავსი შეხედულებები აქვს გამოთქმული კ.გ. იუნგსაც.

არაესთეტიური წინასწარმეტყველი ამონიოსი – ამ სახელით რამდენიმე ფილოსოფოსია ცნობილი, თუმცა გაურკვეველია, ვის გულისხმობს ავტორი.

ზოგჯერ ხარმა და ზოგჯერ გედმა – ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში ზეუსი-იუპიტერი ხშირად იცვლის გარეგან სახეს და მოკვდავთ ცხოველის ან ფრინველის სახით ევლინება.

dvandva, nirdvandva – სანსკრიტული ტერმინები, რომლებითაც ინდუისტურ-ბუდისტურ თეოლოგიაში დაპირისპირებულია ერთიანობა და ორად გახლეჩილ სამყაროზე ამაღლება იგულისხმება. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა კ.გ. იუნგმა.



გიორგი ლობჯანიძე

**თოვლის მამა**

მამა, მე მივხვდი:

ჩაილია ახალი წელი...  
 დღესასწაული უკვე მორჩა  
 დიდი ხანია  
 და ნაძვისხე  
 მოგონების ყუთში ჩაკეცილი...

როგორ არა,  
 ბრჭყვიალებდნენ ნაძვისხეები,  
 მაგრამ ერთხელაც,  
 როცა უკვე აღარ იყავი  
 და ბალიშქვეშ საჩუქარი აღარ დამიხვდა,  
 მე ცას ავხედე და ვუთხარი:  
 მატყუარა პაპა ყოფილხარ,  
 მამას მოჰქონდა თურმე ჩემთან ის საჩუქრები...

თოვლის პაპავ,  
 მთელი წელი როგორ გელოდი,  
 შენ კი თურმე გვერდით მყოფილხარ,  
 ცხოვრების ტვირთ და არა – ხურჯინაკიდებული...

არც თეთრი წვერი გამშვენებდა,  
 სად დაგაცადეთ?! –  
 თავზე გეხვია ექვსი შვილი,  
 მეექვსე ვიყავ,  
 ვინც ჭაღარით დაბერება აღარ გაცალა...

მამა, მე მივხვდი,  
 სად დნებიან თოვლის პაპები,  
 თურმე სულ ახლოს –  
 ჩვენი სოფლის სასაფლაოზე,  
 რომ გაზაფხულზე  
 ბალახებად წამოიღერონ  
 და სინანულის ეკალ-ნარზე გვიტყავონ სული...

ჩემო სანყალო თოვლის მამავ,  
 შენც აქ ჩამოდნი,  
 ცხოვრებაში მუდამ ზამთრის სუსხი გეხურა,  
 და ცივი იყო ეს ნაბადი –  
 ციხის საკანი...  
 მერე კი, როცა თოვლის ბრწყინვამ მოგჭრა თვალები,  
 პირქვე წაემხე და  
 ფრთებივით ჩაგესხიპა ნაძვისხეები...

მე უკვე მივხვდი...  
 ახლა მეც ხომ თოვლის მამა ვარ  
 და ჩემს შვილსაც ხომ ბრძენი თოვლის პაპა ვგონივარ,  
 და როგორმე რომ გავუბრწყინო  
 სიზმრები ლურჯი,  
 მეც მთელი წელი ცხოვრების ტვირთს მივეზიდები,  
 როგორც ფერადი საჩუქრებით ავსებულ ხურჯინს....

მაგრამ ერთხელ იმასაც ხომ არ დაუხვდება  
 საჩუქარი – ნაძვის ხის ქვეშ მოფარებული  
 და ცას ახედავს ისე ელდაჩამომზღვლეული,  
 თითქოს საფულე დაეკარგოს უცხო ქალაქში...

უცხო ქალაქში –  
 თოვლიანში,  
 ნაახალწლევში,  
 სადაც უკვე მორჩენილა დღესასწაული  
 და ნაძვთა ძირში მხოლოდ ცივი ყინვა ბრჭყვიალებს...

და მიხვდება:

არსებობენ თოვლის პაპები!

ხურჯინს აიღებს  
 და სანამ შინ გზას გაუდგება,  
 ამომხედავს,  
 თვალს ჩამიკრავს  
 და... გამიღიმებს...

**სიყვარული – ქუდგაღიანი**

ბედი ყოველთვის მიღიმოდა...

ირონიულად...

ნეფერტიტს მხოლოდ  
 მუზეუმში თუ შევხვდებოდი,  
 ქანდაკებაში,  
 რომ ქვის სალტის ათასწლეულებს  
 ღიმილილა გადმოსწვდენოდა –  
 მისი სახიდან ჩემკენ ფრთხილად  
 მოშუქებული...

რად არ დაიმსხვრა ეს ღიმილი  
 ამდენი ხანი,  
 რამ შეინახა  
 ქვის ლანგებზე  
 და ბაგეებზე –  
 ოდესღაც განცდილ  
 სიყვარულის ათინათივით,  
 ვით ბედისწერის ნამსხვრევები,  
 რომელზედაც ისერება ჩემი გული –  
 დედისაკენ გაქცეული  
 ბავშვის  
 შიშველი  
 ფეხისგულივით....

ამ ღიმილმა ეხნატონზე მაექვია...  
 რომ შეგხვედროდი,  
 ან კი მაშინ დამინახავდი?  
 თუ მაშინაც...  
 ქვა იქნებოდი –  
 უცნაური ვნებით მსუნთქვი...

მე შლევ მამრად ვიქცეოდი:  
 ჩემში შევკრებდი  
 ჩემი სქესის  
 ყველა ღირსებას,  
 მზეს ბეჭებზე მოვიგდებდი  
 და შენს ფერხთით დავაგორებდი.

გიმლერებდი:

დაო, მოდი ნილოსს დავუყვებო.  
 აი, ხედავ:  
 ჩამობნელდა  
 და ლერწმები სიზმრებივით იღვენებებიან,  
 როგორც უკვე ჩავლილი დღის  
 ნატერფალები...

მზე აღარა ჩანს,  
 წყვდიადია ჩემი სულისა...  
 მოდი, მზესავით ჩამანათე  
 შენი თვალები...

ეს სიმღერა უპეების პაპირუსზე იწერებოდა  
 ცრემლის წვერით –  
 გულის სისხლში ამოვლებულით...

ჩვენ იქ შევხვდით,  
 სადაც სიზმრის ერთი დელტა  
 ცხადს  
 მოიტოვებს  
 და ნილოსი  
 მტკვარს უერთდება.

აქ მიცდიდა  
 ჩემი ცხადი –  
 სიზმარივით გაბრუებული:  
 ჩემი ცოცხალი სიყვარული,  
 რომლის ძალითაც  
 ყველა ქალი ნეფერტიტია,  
 როცა თუნდ ერთი მამაკაცი  
 ვნებით შესცქერის....

აი, ჩემი ნეფერტიტიც:  
 ცოცხით ხელში,  
 ქვაბთა მხეხავი...  
 სახლი მუზეუმს დაამსგავსა,  
 გააპრიალა,  
 ხოლო საღამოს,  
 თუ სადილის გაშლაც მოასწრო,  
 შინ მისულს ისე შემომღიმებს,  
 გავიფიქრებ:

ბედი მიღიმის...

კაირო, 2006 წლის 8 მარტი

### შაქარაყინული

როგორ მოხვდი ჩემს უძირო მარტოობაში,  
 ვინ გაგიღო მისი ჩუმი კარიბჭეები,  
 ვინ შემოგიშვა?  
 სინათლისაკენ ისწრაფვიან მცენარეები,  
 ციმციმებენ და მუჭებში იგროვებენ  
 მზის ათინათებს.  
 შენ კი აქეთ წამოხვედი,  
 გამოესწრაფე,  
 სამართებლის პირზე იარე,  
 ყველაფერი უარყავი,  
 ჯოჯოხეთის სკნელში ჩაეშვი.

რა ტკბილად მახსოვს ის საოცარი ტელეფონი  
 აღმოსავლეთში,  
 რომელსაც შენი მოლულუნე ხმა მოჰყვებოდა  
 და მაცნობებდა:  
 გიხაროდენ, წარღვნა დამთავრდა,  
 წყალმა უკვე აიკეცა  
 შფოთის კალთები,  
 და დღე დაიწყო –  
 მზის სხივების ვარაყიანი...

აღმოსავლური გუმბათები  
 ლურჯად ბრწყინავდნენ  
 და მძიმე იყო მარტოობა –  
 ტკბილი, მაგრამ უცხო ენით შემოსაზღვრული,

რომლის ყველა არამშობლიურ, ცახცახა სიტყვას  
ფეხი საშინადად უსხლტებოდა ჩემი ენის მოლიპულ  
წვერზე,  
გარეთ ცვიოდა  
და იფშვნიებოდა,  
როგორც ცივი შაქარყინული...

ის ღულუნნი დღეს ყვავების ჩხავილად იქცა,  
და ყვავილი გენეტიკამ გადასძალა,  
ტალახისკენ გადაიქნია...  
ასე დნებიან აღმოსავლური გუმბათები  
შუადღის სიცხის საკირეში  
და თავის ნაცვლად,  
გადადღაბნილ ხაზებს აჩენენ,  
მხურვალე შუბლზე  
გრილი, ძმრიანი ტილოსავით გვეფინებთან,  
გარეთ გამოაქვთ სიცხისა და სიზმრის ნარჩენი,  
სადაც უცბად გაგონილი მტრედის ღულუნნი  
სინამდვილეში ყვავის ხმაა –  
ენის წვერზე შემომდნარი შაქარყინული,  
რომელიც პირში სიტკბოს  
მწარე გემოს გვიტოვებს...

**ბედნიერების ცრურწმენათა  
საპირისპიროდ**

მეც ხომ მქონდა მუცელზე ხალი,  
დედასაც ვგავდი,

ბედნიერი კი არ ვყოფილვარ...  
ხმელ ბალახებში მივდიოდი ხელისცეცებით,  
და ჩემშივე მობინადრე,  
მხოლოდ ჩემზე დაგემილი  
ავი მხეცები  
ბრდღვინვით მდევნიდნენ საკუთარი სიმარტოვიდან.  
დედა, იმ დილით თებერვალში თოვლი მოვიდა...  
რად არ გამიშვი,  
რად გამათბე,  
ჩამებლაუჭე?...  
ჩაწყდა შენი მარგალიტის მალალი მძივი,  
ველარავინ ველარ აასხამს,  
ხმელ ბალახებში ჩაიფანტა  
და სანყალი, ობოლი დურჩე  
გაჩეხილ ტყეში  
ხეთა ზროებს ანებებს ტურჩებს  
და ვარსკვლავებად ციმციმებენ  
ხეთა ზროები...  
ამ ქვეყანაზე ყველაფერი ხდება დროებით  
და ამქვეყნად თვით დურჩეც კი  
ვიღაცას უყვარს...  
დედა ნულარ  
დამიძახებ სიზმრის  
ბოლოდან,  
რადგან ის ხალი,  
არ გამოდგა ბედის ვარსკვლავი, –  
ცაზე კი არ აკიაფდა,  
ჩემსავე შიგნით გაიშალა  
მეტასტაზებად...

**ეს სიბღერა  
უკაეზის პაპირუსზე  
ინერებოდა**

„ადამიანი თავისივე სხეულის ჯვარზეა გაკრული.  
უღონოდ დაბლა დახრილი თავი დაჩხვლეტილი აქვს სა-  
კუთარი აზრის ეკლებით“ (პოლ ვალერი). ამ ტკივილიდან  
კი იბადება პოეზია, რათა ცხოვრება არა მარტო გასაძლე-  
ბი გახადოს, არამედ გააღამაზოს. ასეთი მშვენიერი ტკი-  
ვილები დავინახე გიორგი ლობჯანიძის ახალ ლექსებში.  
ავგისტოს ხვატში „თოვლის მამის“ უჩვეულო სახე  
ისევე გასაოცრად შთამბეჭდავად მომეჩვენა, მართლა  
თოვლის ფიფქები რომ მენახა მცხუნვარე ზეციდან წამო-  
სული. „მამა, მე მივხვდი“ – ლექსის ამ პირველმა ფრაზამ  
თავიდანვე მოულოდნელობისთვის განმანწყო. თუმცა ამ  
მიხვედრას აღტაცების ნაცვლად დამთრგუნველი სინა-

ნული ახლავს. მიხვედრა ყოველთვის დასასრულს ნიშ-  
ნავს. გამოცანის ამოხსნა კი იწვევს სიხარულს, მაგრამ სა-  
იდუმლოს, ამოსახსნელის გარეშე სამყარო მომხიბვლე-  
ლობას დაკარგავდა.  
ბავშვობა სასწაულების დროა, როცა არაფერია ამო-  
სახსნელი და გამოსაცნობი, რადგან ყოველივე საბურვე-  
ლახდილია და ღმერთთან შეხვედრაც კი – ბუნებრივი და  
ჩვეულებრივი.  
სამწუხაროდ, ბავშვობა სამოთხის მოგონებასავითაა.  
იქ ველარასოდეს დაბრუნდები, მხოლოდ ოცნებით თუ შე-  
აღებ დაკარგული ბედნიერების კარიბჭეს. დიდობაში კი,  
თუმცა გამოცანა ამოიხსნა, მაგრამ იდუმალება მაინც  
დარჩა. თოვლის პაპა არ არსებულა, რადგან მამის გარ-  
დაცვალების შემდეგ საჩუქრებიც გაქრა და პოეტის წარ-  
მოსახვაში ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ შექმნა  
„თოვლის მამის“ სახე. მამა უნდა იყოს, რომ თოვლის პა-  
პებმა იარსებონ, მამა თვისი ჯაფითა და შვილის ბედნიე-  
რებისათვის „დასაადნობად“ გამზადებული.  
პოეტი ახლა თვითონაა მამა და მეორდება სადღესას-  
წაულო რიტუალი, დამდნარი თოვლის პაპები „გაზაფ-  
ხულზე ბალახებად წამოიღერებიან“ და კვლავაც უშურ-

ველად გაუმზადებენ შვილებს ახალ სასწაულებს ზეცი-დან უხვი შუქით ჩამომზირალი თვალებით. ულამაზესი ლექსია, სევდითა და ტკივილით სავსე. ლექსის რეალურ სივრცეში შემოიჭრება სახე მამა ღმერთისა, რომელიც შვილების ცოდვითა გამოსასყიდად განკაცდა და ჯვარს ეცვა. ლექსის სიმბოლური შრე მარადისობის მისტერიას ამხელს. „ელი, ელი ლამა საბაქთანნი“ – რეკს სულში. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაისათვის დამიტვე მე“. სიცოცხლე კი გრძელდება და კვლავაც ჩნდებიან და დნე-ბიან თოვლის პაპები, რადგან მამები მუდამ ჩვენთან არი-ან-ცოცხლებიც და გარდაცვლილნიც.

ეს ლექსები შინაგანი მონოლოგებია. პოეტი საკუთარი თავის წინაშე დგას, როგორც სცენაზე და გამოთქვამს თვის ვნებას, ტანჯვას, ტკივილსა და სიხარულს. გიორგი პოეზიას გამოადნობს ნებისმიერი ფიქრიდან და პოეტურ სახეებს სადად, ნატიფად აგვირისტებს. პირველ ლექსში თუ მონოლოგს წარმოთქვამდა ბრძენის ნიღბით, სამყაროს ერთ, უზოგადეს კანონზომიერებას ჩამხვდარი, მეორე ლექსში სიყვარულით ანთებული, რაღაც მარადქალურის, ამაღლებულის, შორეულის მოტრფიალედ და მიჯნურად გვევლინება. ეს არის გაუხუნარი სწრაფვა მიუღწევლისაკენ, ეს არის წადილი მუდმივი წვისა. „ღვთიურ არს სიყვარულ, ხორციელ იგემებ, მოჰკლავ მას, ინვოდ მხოლოდ“ (გრიგოლ რობაქიძე). ბედის ირონიულ გაღიბებად მიიჩნევს პოეტი იმას, რომ მას უყვარს ნეფერტიტი, დღემდე დაუმ-სხვრეველია „მისი სახიდან ჩემკენ ფრთხილად მოშუქებულ-ლი“ ღიმილი, რომელმაც ეხნატონზე აეჭვიანა. და მკითხველს რომ აგრძნობინოს ამ უჩვეულო სიყვარულის დიდი-ლიერე, ასეთ შედარებას ქმნის: „ისერება ჩემი გული დეი-საკენ გაქცეული ბავშვის შიშველი ფეხისგულივით...“.

სიყვარული შლის დროისა და სივრცის საზღვრებს. ნე-ფერტიტის ღვთაებრივი მშვენიერება ცოტა დააეჭვებს კი-დეც: „რომ შეგხვედროდი, ან კი მაშინ დამინახავდი?“ მაგ-რამ ამ ეჭვს გადალახავს შეყვარებულის იმედიანი, თავდა-ჯერებული გამეტებით: „მზეს ბეჭებზე მოვიგდებდი და შენს ფერხთით დავაგორებდი“. ლექსის ვნებით ანთებულ-მა, ცეცხლოვანმა სტრიქონებმა რატომღაც ბიბლიური სო-ლომონისა და სულამითის სიყვარული გამახსენა: „მზე აღარა ჩანს, წყვილია ჩემი სულისა... მოდი, მზესავით ჩა-მანათე შენი თვალები...“. მაგრამ პოეტის მიზანი სხვაა, მას უნდა მკითხველს ყოველდღიურსა და წარმავალში ღვთა-ებრივი და წარუვალი დაანახვოს და განაცდევინოს. „ყვე-ლა ქალი ნეფერტიტია, როცა თუნდ ერთი მამაკაცი ვნებით შესცქერის...“. „ატეხილ გრძნობათა ღვთაებრივი ამოფ-რქვევა“ – ასე იტყოდა ჯემალ ქარჩხაძე. ამ სტრიქონით გი-ორგი, მართლაც, ნებისმიერი ქალის გულს მოიგებდა. იგი ბედნიერია, რომ ჰყავს „თავისი ნეფერტიტი“, შინაური, პროზაული საქმით გართული, მაგრამ პოეტის ჯადოსნური მზერა მას ეგვიპტის დედოფლად გადააქცევს და მათ პაე-მანს ნილოსისა და მტკვრის შესართავთან დანიშნავს.

ასეთი ლაღია გიორგის წარმოსახვა, ბანალურ თემას ის თავისი მადლიანი პოეტური სიტყვით ანედლებს და სი-ნორჩის, პირველგანცდისა პირველამომჩენის შთაბეჭ-დილებას ინვევს. „ეს სიმღერა უპეების პაპირუსზე ინერე-ბოდა“ – რაღაცნაირი გამჭვირვალეა და სიფრიფანება სდევს თან ამ პოეტურ სახეებს. შთაბეჭდილებას ამძაფ-

რებს კონტრასტი, ერთი მხრივ, სტრიქონებში ტრიალებს ეგვიპტური ღამეების მომაჯადოებელი სურნელი, ჩაგეს-მის მთვარით განათებული წყალუხვი ნილოსის მდორე და წყნარი დუდუნი, მეორე მხრივ კი ხედავ დაღლილ ქალს, ხან ცოცხითა და ხან გამურული ქვაბით ხელში. სწორედ ეს არის მთავარი, სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა ამ უფერულობას ფერადოვან, ამაღლებულ და მშვენიერ სამყაროდ გარდაქმნის.

მესამე ლექსი „შაქარყინული“ მოჩვენებით ბედნიერე-ბაზეა, დამსხვრეული ილუზიებით გამოწვეულ ტკივილ-ზე. ამისთვის პოეტს შაქარყინულის მეტაფორა შემოაქვს, რომელიც დადნობის მერე ენაზე ტკბილი სიმნარის გან-ცდას ტოვებს. მომეჩვენა, რომ ეს ლექსიც, ისევე რო-გორც სხვა დანარჩენი, რაღაც კონკრეტული გრძნობი-დან, ამ შემთხვევაში, უწყალო იმედგაცრუებიდან ამოი-ზარდა. პირველ ლექსში თუ გამჭვირვალე მამის მოგონე-ბაა, მეორეში – სიყვარულის მონატრება შორი კაიროდან, ამ ლექსის გამომწვევი იმპულსი შენიღბულია. მთავარია, რომ გულის გატეხა მკითხველსაც გადაედება: „ის ლულუ-ნი დღეს ყვავების ჩხავილად იქცა“. საოცრად კარგად არის დახატული ადამიანის მარტოობა უცხო ქვეყანაში, უცხო სიტყვების გარემოცვაში: „ყველა არამშობლიურ, ცახცახა სიტყვას ფეხი საშიშად უსხლტებოდა ჩემი ენის მოლიპულ წვერზე“. მშობლიური ენა კი მას ზუსტად გა-მოათქმევინებს იმას, რასაც შეიგრძნობს, მაგალითად, აღმოსავლეთის თაკარა მზის გათანგულობას ასეთი პოე-ტური სახით მოიხელთებს: ლურჯი, აღმოსავლური გუმ-ბათები დნებიან და „შუადღის სიცხის საკირეში გრილი, ძმრიანი ტილოსავით გვეფინებიან“.

ბედნიერება პოეტს ცრურწმენად მიაჩნია და ამაზეა ლექსი „ბედნიერების ცრურწმენათა საპირისპიროდ“. ბავშვური გულუბრყვილობაა, რომ შენ გამორჩეულად დაგასაჩუქრებს ბედი. „მეც ხომ მქონდა მუცელზე ხალი, დედასაც ვგავდი, ბედნიერი კი არ ვყოფილვარ...“. ცხოვ-რებას ასეთი ნიშნები: ხალი და დედის მსგავსება – არაფ-რად უღირს. პირიქით, რაც უფრო გამორჩეული იქნები, მეტ ტკივილს შეგამთხვევს, შეძლება იმიტომაც, რომ ოქ-რო დიდ ცეცხლში იწრთობა.

დედა კი, როგორც ღვთისმშობელი, სიზმრის ბოლო-დან კვლავ შვილისკენ იცქირება და მის დაცვას ცდი-ლობს.

აქ გაისმის რაღაცნაირი საყვედურიც, მსგავსი: „ასეა ყველა მგოსნები? შენს მოლოდინში ასეა ყველა?“ (გალაკ-ტიონი). ასე ყოფილა. „ის ხალი არ გამოდგა ბედის ვარ-სკვლავი“. თუმცა, რომ გამომდგარიყო, მაშინ არც ეს დი-დი ტკივილი იქნებოდა და არც ეს ლექსები დაინერებოდა, რომლებიც ჩვენს სევდასა და წუხილს სალბუნივით ედება და ნაზი ნიავივით ელამუნება.

ოსკარ უაილდი ფიქრობდა, რომ პოეტი ყოველთვის მჭვრეტელია და სულის თვალებით უფრო ხედავს, ვიდრე სხეულისა. გიორგი თვისი ლექსებით მკითხველსაც უხელს სულის თვალებს და ცდილობს მშვენიერებას აზი-აროს, რომელსაც ყოველდღიურობის უხეში საბურველი აქვს წაფარებული.

გაგა შურღაია

# ბანსეთილი სამყარო ანუ დარღვეული ჰარმონია

\*

ჟან-პოლ სარტრის  
„ინტიმურობა“

„ინტიმურობის“ წერა დიდმა ფრანგმა ფილოსოფოსმა და მწერალმა ჟან-პოლ სარტრმა (1905-1980), როგორც ჩანს, 1937 წლის დასაწყისში დაიწყო და ამავე წლის გაზაფხულზე დაასრულა. მოთხრობა გამოცემლობა „გალიმარდმა“ ორჯერ გამოაქვეყნა: პირველად – 1938 წელს ცალკე წიგნად, მეორედ კი – 1939 წელს, როდესაც მწერალმა „კედელში“ შემავალ ოთხ სხვა მოთხრობასთან („კედელი“, „სანოლი ოთახი“, „ჰეროსტრატე“, „ბელადის ბავშვობა“) ერთად დასტამა. პირველად გამოქვეყნებულ ტექსტს, მეორე რედაქციასთან შედარებით, აკლია მრავალი აშკარა სექსუალური წვრილმანი, რომლებიც, ეტყობა, თავად სარტრმა ამოიღო, ალბათ, გამოცემლის, ჟან პოლანის, თხოვნით, რომელიც ამ პასაჟებს იმდროინდელი ფრანგი საზოგადოებისათვის სკანდალურად მიიჩნევდა.

მოთხრობაში, ისევე როგორც „ჰეროსტრატეში“, მოქმედება უმთავრესად პარიზში, მონპარნასის უბანში ვითარდება. ამიტომ უწოდა მას ანრე ბილიმ „გამოკვლევა მონპარნასული სენტიმენტალიზმის შესახებ“ (André Billy, L'Œuvre, 16 février 1939). ცნობილია, რომ სარტრსა და სიმონა დე ბოვუარს ჩვევად ჰქონდათ, წარმოესახათ კათედრალის, ანდა ქალაქის ცენტრში არსებული კაფეების გვერდით მცხოვრები ხალხის ყოფა. „ინტიმურობაში“ სარტრი ერთგვარად მოგვაგონებს მისივე რომანის „გულზიდვა“ (a Nausée) პერსონაჟ როქეტინს, რომელიც სხვათა პატარ-პატარა პრობლემებს უკირკიტებს და, როგორც მიშელ რიბალკა აღნიშნავს, ალბათ, თავისივე ყურით მოსმენილ დიალოგებს გადმოგვცემს, დასცინის ბედნიერების, ქალისა და კაცის ურთიერთობის შესახებ გავრცელებულ კლიშეებს, მათ გულისხმევრას (J-P. Sartre, Œuvres romanesques, édition établie par M. Contat et M. Rybalka, avec la collaboration de G. Idt et de G. H. Bauer, Paris, Gallimard, 1981, გვ. 1844). ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ამ მოთხრობის სახელი დაერქვა ყოველკვირეულ პერიოდულ გამოცემას, რომელიც სწორედ ასეთ სათხებს აშუქებდა.

რომანში „გულზიდვა“ ინტიმურობის ცნება უარყოფითი ელფერით იყო შემოსილი, წინამდებარე მოთხრობაში კი იგი ერთგვარად ირონიულად ჟღერს. ინტიმურობა სულაც არ ნიშნავს ლულუსა და ჰენრის შორის კავშირს, პირიქით, იგი ამ ურთიერთობის გარეთ არის საძიებელი, რისი მიზეზიც თავად ამ ურთიერთობის ანომალიური ხასიათია: ჰენრი ყოველგვარი ორანზროვნების გარეშე ცვედინია, ლულუ კი სიამოვნებას მხოლოდ ონანიზმით იღებს. ინტიმურობის ირონიულ ელფერს კიდევ უფრო აძლიერებს ცრუ სპონტანურობა, რომელიც ახასიათებს ჭორის-მოყვარე საზოგადოების ყოველდღიურ ყოფას. ასე აკრიტიკებს სარტრი რუტინას სწორედ იმ კუთხიდან, როგორც იგი მოგვიანებით ჰენრი ლეფვერის კრიტიკის საგანიც გახდება.

მოთხრობა საინტერესოა როგორც თემატური, ასევე, ფორმალური თვალსაზრისითაც: ორიგინალური მრავალფეროვანი დიალოგებითა და შინაგანი მონოლოგით უალრესად ცხად ფერებშია წარმოსახული ადამიანურ ურთიერთობათა გაუცხოება და ამ ურთიერთობათა ორი განსხვავებული ხედვა ორი ქალის პოზიციიდან.


„კედლის“ ციკლში შემავალ მოთხრობებში სარტრი თავს დასტრიალებს საზოგადოებაში ხიდრატეხილობის, ანუ, მისივე ტერმინოლოგიით – კედლით გამიჯვნის პრობლემას, რომელიც ხუთივე მოთხრობაში სხვადასხვა პრიზმაშია წარმოსახული. „ინტიმურობაში“, ისევე როგორც „სანოლი ოთახში“, სარტრი, უპირველეს ყოვლისა, ქალებს აკვირდება, მაგრამ თუ „სანოლი ოთახში“ ჩვენს ყურადღებას სიგიჟის პრობლემის სოციოლოგიურ ასპექტებს მიაპყრობს, „ინტიმურობაში“ ცვედინობის პრობლემას დასტრიალებს თავს.

„ინტიმურობაში“ მამაკაცები პასიურ, მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. ინიციატივას ქალებს უტოვებენ და დედებს ემორჩილებიან. ჟენვიევ იდტი სწორედ ამიტომ შენიშნავს, რომ ამ მოთხრობაში იხატება „ნამდვილი მატრიარქატი“ (G. Idt, Le Mur de Jean-Paul Sartre: techniques et contexte d'une provocation, Paris, 1976, გვ. 45), რომელიც მამაკაცებს „მამრობით საგნებად“ გარდაქმნის და სადაც „მხოლოდ ქალებს აქვთ სუბიექტურობა“ (იქვე, გვ. 72). სარტრი, მართლაც, უმთავრეს როლს ორ პერსონაჟ ქალს – ლულუსა და რირეტს – ანიჭებს, თუმცა, ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებს მათ შორის სრულ გაუცხოებაზე და არც ერთ მათგანს არ წარმოსახავს ისე, თანამედროვე ფემინისტებს რომ მოეწონებოდათ.

ამ ორი პერსონაჟის მაგალითზე სარტრი მხატვრულად ამუშავებს სხეულთან და სექსუალურობასთან ქალთა ცინიკური დამოკიდებულების პრობლემას, რომელიც მოგვიანებით დიდი ფილოსოფიური სიღრმით გაანალიზა თავის ფილოსოფიურ შედეგში „ყოფიერება და არარა (ფენომენოლოგიურ-ონტოლოგიური ესე)“ (Être et le Néant (Essai d'ontologie phénoménologique)). ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მწერალი იზიარებდეს თავისი პერსონაჟების პოზიციას. ამიტომ, ჩემი აზრით, უთუოდ ცდებიან კრიტიკოსები, რომლებმაც თავად სარტრს მიანერეს ლულუს სიტყვები: „სიყვარულზე უფრო ბინძური არის რამე?!“ ანდა „რატომაა, რომ აუცილებელია, სხეული გქონდეს?“. არ ვიცი, რამდენად მართალია ფრანგი კრი-

ტიკოსი სუზან ლილარი, რომელიც მწერალს განკაცების ქრისტიანული დოგმის მომხრეობასა და ეროტიკულობის დაგმობას უკუიწინებს (S. Lilar, *À propos de Sartre et de l'amour*, Grasset, 1967). ეს ასეც რომ იყოს, არ უნდა დაგვავინყდეს ისიც, რომ სარტრი ესწრაფვის, დაგვიხატოს გაუცხოებულ სექსუალურობა ისე, რომ პირდაპირ არ მიგვანიშნოს მის დადებით მხარეზე.

მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად მწერალი იყენებს „კედლის“ ციკლში შემავალი მოთხრობებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას, ანუ, თხრობას რამდენიმე კითხვაზე აფუძნებს. პირველი კითხვა – გაჰყვება თუ არა ლულუ პიერს? – ნაწარმოების მხოლოდ მეექვსე გვერდზე დაისმის, თუმცა, მოთხრობის დამთავრებამდე ნათელი ხდება, რომ ლულუ არ მიატოვებს ჰენრის. გამგზავრება ორჯერ გადაიდება, მესამედ კი ლულუ პირდაპირ სწერს პიერს, ვერ გამოგყვებიო. მიუხედავად ამისა, ეს მაინც მეორეხარისხოვანი საკითხია. ნაწარმოების მთავარი იდეა მის ფინალშია საგულვებელი, რომელიც ერთგვარად აჯამებს მოთხრობას, სადაც რირეტი „[...] გრძობდა, რომ მოსძალეობდა მწარე სინანული [...]“ იგი



ჟან-პოლ სარტრი

წუხს იმის გამო, „[...] ყველანი კმაყოფილები [...]“ არიან. მაშასადამე, მას უბედურება ქვეცნობიერად უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი გულმოდგინედ აღწერს, თუ როგორ აქვს მას რაციონალურად წარმოსახული ბედნიერება. ამდენად, ნაწარმოები იქმნება იმისათვის, რათა გაირკვეს: შეძლებს თუ არა რირეტი ბედნიერების იდეასთან შერიგებას? ანუ, რომ განვაზოგადოთ, შეუძლიათ თუ არა ადამიანებს სხვათა ბედნიერების გათავისება?

აღსანიშნავია, რომ ეს დიდი ფილოსოფიური პრობლემა არა ფართო, სიღრმისეულ ფილოსოფიურ პლანში, არამედ შეზღუდულად, ლულუსა და რირეტის მწირი ინტელექტუალური შესაძლებლობის ფარგლებშია დასმული და გადაჭრილი. ეს გამოიხატება იმ ლექსიკითაც, რომელსაც ორივე პერსონაჟი მსჯელობისას იყენებს. ლულუ უპირატესად ხმარობს სიტყვებს: „მიყვარს“ (aime), „მოეწონება“ (se plaira), „სიკვდილივით უფრთხოდა“ (avait horreur de), „მოწონება“ (plaisir), „გულის განყალბება“ (embêter), „გულმუცლის ამღვრევა“ (donner mal au ventre), „გაღიზიანება“ (agacer). განსხვავებულია რირეტის ლექსიკა: „ფიქრი“ (pensere), „ცოდნა“ (savoir), „შეცნობა“ (comprendre), თუმცა, აზროვნების პროცესისათვის დამახასიათებელი ეს ლექსიკა მხოლოდ გარეგნულ ნიშან-თვისებად რჩება, რადგანაც რირეტისათვის უმთავრესი სიტყვა არის „მეჩვენება“ (je trouve), რაც პერსონაჟის ეთიკურ განაჩენს გამოხატავს და მის ქცევას განაპირობებს.

უდავოა, რომ სარტრი დიალექტიკურ კონსტრუქციას აგებს, თუმცა, საკითხს პარადიულად წყვეტს. ნაწარმოებში დასმული პრობლემა პირდაპირი თვალსაზრისით პრაქტიკული მორალის სფეროს განეკუთვნება. ლულუ ცვედანს გაჰყვება ცოლად. რა უნდა ჰქნას? უნდა მიატოვოს თუ არა იგი? ამ კითხვაზე ორი პერსონაჟი ქალი ორ განსხვავებულ პასუხს იძლევა.

ლულუსეული პასუხი, შეიძლება, ითქვას, ჰედონისტურია. იგი არ მიატოვებს ქმარს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მას ეს არ უნდა. „ოჰ! არ მინდა, არ მინდა ნასვლა“, – ფიქრობს მოთხრობის დასაწყისში სანოლმი ლულუ. რირეტის პასუხი უფრო რთულია და ეფუძნება ბედნიერების მორალისა და ვნების უფლების მისეულ გაგებას. იგი პირდაპირ ეუბნება ლულუს: „ქალს უფლება არა გაქვს, ცხოვრება ერთ ცვედანს შესწირო“, „ლულუ, უფლება არა გაქვთ, თავი მოიტყუოთ, როცა საქმე თქვენს ბედნიერებას შეეხება“. კითხვაზე მესამე შესაძლებელი პასუხი, რომელიც ალტრუისტული მორალისა და ჰუმანისტური მოვალეობის თავისებური სინთეზია, ლულუს მიერ პიერისადმი მინერილ წერილში ცხადდება. „ჰენრისთან ვრჩები, რადგანაც იგი ძალიან უბედურია“, – წერს იგი. ფინალი პარადიულია, ერთგვარი ბედნიერი, გულისამაჩუყებელი, მდგომარეობის შემარბილებელი დასასრულია: „[...] ყველანი კმაყოფილები [...]“ არიან.

ყურადღებას იმსახურებს პერსონაჟთა სარტრისეული ხატვის ხერხებიც. მწერალი გამოძიწნავს არა სოციალურ ობიექტებს, არამედ – ინდივიდებს მათ ყოფასა და მოქმედებაში. მოთხრობაში 27 პერსონაჟია, რომელთა კლასიფიკაცია მეტად რთულია, თუმცა, ყოფის დონეზე, ისინი, შეიძლება, დაგვეჯგუფებინა 13 ქალად და 14 კაცად (რომელთა შორის ერთი მკვდარია). მოთხრობაში აბსოლუტური მატრიარქატი სუფევს; ეს ასე იქნებოდა მაშინაც კი, მოთხრობის ორივე მთავარი პერსონაჟი ქალი რომ არ ყოფილიყო. მამაკაცი წარმოდგენილია, როგორც – შინაური ცხოველი, რომელიც სიყვარულშიც კი ვერ იღებს ვერანაირ ინიციატივას. მამაკაცებს ჰგონიათ, თითქოს, ისინი ფლობენ ქალს, სინამდვილეში კი ქალი მათ გაურბით და თავადაც დედის, ანდა დის გავლენის ქვეშეცვეიან. საგულისხმოა, რომ მოთხრობაში ნახსენებიც არ არიან პერსონაჟთა მამები. კრიტიკოსის აზრი რომ გავიმეოროთ, სარტრი გადმოაყირავებს მითს და მამრობითი სქესის პერსონაჟებს წარმოგვიდგენს როგორც – „მამრობით საგნებს“, სადაც „მხოლოდ ქალებს აქვთ სუბიექტურობა“ (S. Lilar, *dasax. naSr.*, გვ. 72).

პერსონაჟთა ამგვარი ხატვით სარტრი მხოლოდ სქესის იერარქიას არ არღვევს. იგი უფრო შორს მიდის, როდესაც მამაკაცებსა და ქალებს შორის დიდ განსხვავებას გვიჩვენებს. თუ ჰენრი და პიერი ორი ტიპური ექვიანი მამაკაცის სახეა, რირეტი და ლულუ ცხოვრებისადმი ორ, ურთიერთგანსხვავებულ, ინდივიდუალურ მიდგომას, ორ ქალურ იდეალს გამოხატავენ. რირეტი ნესრიგისადმი სიყვარულით, აზროვნების ნესით, პიერის სიტყვით რომ ვთქვათ, „ჩაპუტუნებული მინერვა“, რომელიც სხვა დროს შინ იდეალურ ნესრიგს დაამყარებდა, ლულუს კი ტკივილის განცდა უყვარს. ამავე დროს, ორივენი მამაკაცური ბუნებისანი არიან, ცდილობენ, მორალურად და ფიზიკურად დაიმორჩილონ მამაკაცი.

ქმედების პლანში სარტრი ცრუ და მოჩვენებითი მემბრის ნამდვილ სახეს ააშკარავებს. გარეგნულად ლულუ იღებს ინიციატივას, მაგრამ სინამდვილეში რირეტი ის, ვინც მას ურჩევს ცხოვრების შეცვლას და კონკრეტულ გზასაც უჩვენებს. ლულუს პასიურობის ფონზე მისი ინიციატივა, ანუ, კონკრეტულად, ქმრის მიტოვება და გამგზავრება, ყალბი ჩანს და, მართლაც, განუხორციელებელი რჩება.

მოქმედება იწერება ზუსტ დროით განზომილებაში, რომელიც ისევე, როგორც „კედლის“ ციკლის ყველა სხვა მოთხრობაში, ილუზორია. მაგალითად, „ინტიმურობაში“ მოქმედება, ანუ ლულუს აბდაუბდა მონოლოგი, შუალამეს იწყება. პირველად რირეტს, დაახლოებით, დილის თერთმეტ საათზე ვხვდებით: იგი, ფიქრებში წასული, ერთ წამს შეხედავს მონპარნასის კუთხეში საათს, რომლის ისრები თორმეტის ოც წუთს უჩვენებენ, შემდეგ კი, როდესაც თორმეტის ნახევარი ჩამოჰკრავს, რირეტი ხვდება, რომ ლულუმ ნახევარი საათით დაიგვიანა. იმავე დღეს ლულუ თორმეტ საათზე ხვდება პიერს, რირეტს კი ხელმეორედ ორ საათზე უნდა შეხვდეს, მასთან ერთად ხუთ საათზე მიდის საყიდლებზე მონპარნასის ქუჩაზე, სადაც ექვს საათზე ჰენრის შეჩვენებთან და გაექცევიან, იმავე საღამოს რჩება პიერთან ერთად სასტუმრო თეატრში, ღამით კი ჰენრისთან გამოსამშვიდობებლად მიდის, მეორე დღეს კი, როდესაც პიერთან ერთად ნიცაში უნდა გამგზავრებულიყო, დილის შვიდ საათზე გამოემშვიდობება ჰენრის, პიერი და რირეტი კი საღამოს ექვს საათზე ხვდებიან ერთმანეთს საბოლოო სცენაში.

ეს ხშირ-ხშირი და ზუსტი მითითებები მოქმედებას ფიქტიურ დროში ათავსებს და გარეგნულად მას საფეხურებრივად ჩავლილი ფაქტების სახეს აძლევს. ფაქტების განვითარებაზე ხშირი მინიშნება მათ ქრონოლოგიურ მიმდევრობაში ფუთავს თავად ამ ფაქტების წარმომშობლოგიკას.

ქრონოლოგიური ილუზია მჭიდროდ არის დაკავშირებული თხზულების ენობრივ-სტილურ ფორმასთან. ნოველა შედგება ოთხი ნაწილისაგან, სადაც ერთმანეთის მონაცვლეობით გადმოცემულია ლულუსა და რირეტის თვალსაზრისი და ჩართულია მათი უაღრესად მნიშვნელოვანი შინაგანი მონოლოგები. ლულუს მონოლოგი მოთხრობის დასაწყისში ჯოისის „ულისეს“ მოგვავიწყებს, მაგრამ როგორც ეს ჟენვიე იდტის ვრცელმა ანალიზმა გვიჩვენა (G. Idt, dasax. naSr., გვ. 72-77), სარტრი ჯოისისა-

გან მკვეთრად განსხვავებულ ხერხებს მიმართავს და, ასევე, მკვეთრად განსხვავებულ შედეგსაც აღწევს. სარტრს სალიტერატურო ენაში შემოაქვს და მხატვრულად ამკვიდრებს მრავალი ტიპის სალაპარაკო მეტყველებას, რომელიც ალბექდილია ინდივიდუალურობით, რამდენადაც პერსონაჟთა ენა მოთხრობაში მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ადეკვატური გამოხატველი ხდება.

ასე, მაგალითად, აბდაუბდა მეტყველება, არამოტივირებული თხრობა ზუსტად გამოხატავს ლულუს აზროვნების თავისებურებას. იგი გამუდმებით იმიტომ ხმარობს ნაცვალსახელებს, რომ ლოგიკურ კატეგორიებად არა აქვს დაჯგუფებული საგნები. იმიტომ არასოდეს არის ნათელი, თუ ვისზე ან რაზე ლაპარაკობს. მისი აზროვნების ბუნდოვანება განსაკუთრებული სიმძაფრით თავს მაშინ იჩენს, როდესაც ხორცისმიერ მოვლენებზე ლაპარაკობს. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ეპიზოდი, როდესაც იგი არაორაზროვნად გაურბის ყველასთვის ცნობილ ტერმინს და მას სიტყვით აღწერს: „ზოგიერთი კაცი მაშინაც იმასუშვრება ქალს, როცა მას არ შეუძლია [...]“.

ლულუს მეტყველება სპონტანური, ყოველგვარ სააზროვნო კონტროლისგან თავისუფალი, ერთ დიდი, გაბმული მონოლოგია, რომელიც იშვიათად თუ წყდება. ამგვარი მეტყველების სტენოგრაფიული სიზუსტით გადმოსაცემად მწერალი ოსტატურად იყენებს სასველ ნიშნებს: მართლაც, ლულუს მეტყველების გადმოსაცემად სარტრი მთელ აბზაცში ორიოდ ნერტილს თუ მიმართავს, დანარჩენი სულ მძიმე და ნერტილ-მძიმეა. ასეთი მეტყველება მის დროს ლულუ ერთი საგნიდან მეორეზე გამუდმებით გადაზრბის, ხმარობს უცნაურ, ან არარსებულ, ანდა, მისთვის გაუგებარ სიტყვებს, გამოთქვამს ხშირად ურთიერთგამომრიცხველ აზრებს. მისი აზროვნება ასოციაციური წარმოსახვაა, სადაც ძალიან ძნელია, გაარჩიო, როდის ლაპარაკობს მწერალი და როდის – თავად ლულუ.

ასეთ ენობრივ-მხატვრულ სტილში ცხადად შეინიშნება ის, რასაც თავად მწერალი ალბერ კამიუს „უცხო“ სპეციფიკად მოიაზრებდა. კერძოდ, ის, რომ „ფრაზები არ არის ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული: ისინი მექანიკურად მიჰყვება ერთიმეორეს, გამოტოვებულია ყველა შედეგობრივი კავშირი, რომლებიც თხრობაში შემოდის როგორც [ფაქტების] ახსნის ჩანასახი და [დროის] მომენტებს შორის ამყარებს მექანიკურად თანამიმდევრობის განსხვავებულ წესრიგს. ფრაზების დასაკავშირებლად კამიუ ხშირად ხმარობს გამოთქმებს: „და“ (et), „მაგრამ“ (mais), „შემდეგ“ (puis), სინამდვილეში კი მათ შორის ეს კავშირი არ არსებობს“ (J.-P. Sartre, Situations, I, A propos de L'Etranger de Camus, გვ. 118). ასეთი სპეციფიკურობის გათვალისწინებით, „ინტიმურობის“ მრავალ პასაჟში მაქვემდებარებელი კავშირის „რადგან“ (parce que) ნაცვლად უფრო ბუნებრივად ჩაჯდება მაერთებელი კავშირი „და“ (et).

ანალოგიური შეუსაბამობა, ანუ ფრაზების არაორგანული და მოჩვენებითი ურთიერთკავშირი, მწერალისათვის სანუკვარი ყალბი მოტივაციის გამოხატვის საუკეთესო ხერხად რჩება. ამ მხატვრული მეთოდით იგი უზუსტესად ააშკარავებს პერსონაჟთა ირაციონალურ ან პათო-

ლოგიურ ხასიათს, მიუხედავად იმისა, რომ თავად პერსონაჟები საგულდაგულოდ ცდილობენ ამ ხასიათის დამალვას. ამ თვალსაზრისით, „ინტიმურობა“ და, კერძოდ, ლულუს მეტყველება ყველაზე საუკეთესო ნიმუშია. კავშირს „რადგან“ (*parce que*) ლულუ საკუთარი გრძნობების გასამართლებლად იყენებს. როგორც ცნობილია, ამ კავშირმა მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უნდა გამოხატოს, რის ნაცვლადაც იგი ლულუს მეტყველებაში არეული გონებისმიერი ყალბი ენობრივ-ლოგიკური მოტივაციის გამოხატულებად გვევლინება.

ამ მოვლენას სარტრი შემდეგნაირად აღწერს თავის „ემოციების თეორიის ესკიზში“: „[...] დროზე ხშირი მითითებები მალავს ინტრიგის ლოგიკას და მიზეზობრივობის ლინგვისტური ნიშნები გამოხატავს აფექტიური ენის ყალბ მოტივაციას, იმას, რაც საქციელის დაუსაბუთებლობას ჩვეულებრივ მალავს. პარადოქსულია ენის გამოყენება: ქრონოლოგიური ნიშნები ლოგიკის გარეგნული სახეა, ლოგიკის ნიშნები კი – ირაციონალურობისა“ (J.-P. Sartre, *Esquisse d'une théorie des émotions*, გვ. 62). საგულისხმოა, რომ ასეთი თავისებურებით ხასიათდება ლულუს მეტყველება მაშინაც კი, როდესაც იგი სხვის, მაგალითად, ჰენრის აზრებს გადმოსცემს. უხერხულობის დაფარვას ლულუ ხშირად იმით ცდილობს, რომ ხშირად ხმარობს „და“ (ეტ) კავშირსაც.

ლულუს არალოგიკური, არეული ხასიათი ხშირად არა მხოლოდ მეტყველებაში, არამედ მის მოქმედებაშიც ვლინდება. ამ შემთხვევაში თუ მწერალი თავად მოგვითხრობს, საგანგებოდ მიგვითითებს ამაზე. მაგალითად, ფრაზაში «გაიფიქრა: „ხვალე უნდა ამოვკერო“, მაგრამ მაინც დაატანა ძალა ძაფს, რათა გაფხრენის ხმა გაეგონა“ სარტრი იმიტომ ხმარობს სიტყვებს „მაგრამ მაინც“ (*mais [...] tout de même*), რომ ალოგიკურია ლულუს საქციელი: თუ ხვალ ამოკერვას აპირებს, ლოგიკურია, რომ დღეს არ უნდა გაადიდოს ნახვრეტი.

ლულუს არეული მეტყველების საუკეთესო პასაჟია ჰენრისა და რობერის კონფლიქტის სცენა. ამბავს ლულუ ასე ყვება:

„– ნალაპარაკდნენ, [...] პატარამ არ დაუთმო. უკან არ დაიხია. შე ბებერო ტ-აკოო, პირდაპირ პირში მიახალა, რადგანაც ჰენრიმ, ცხადია, გაუზრდელი უწოდა, რადგანაც მეტი არაფრის თქმა არ იცის. მე მუცელი ხელით მეჭირა სიცილისგან. მაშინ ჰენრი ფეხზე წამოხტა, ჩვენ ოთახში ვსაუზმობდით, და სილა გაანნა, რომ შემძლებოდა, მოვეკლავდი!“.

პერსონაჟის შინაგან უხერხულობას გადმოსცემს სხვა პასაჟებიც. მაგალითად, ფრაზაში „ქალი ჰენრის ხშირად ეძახდა გულივერს და ეს ჰენრის ძალიან მოსწონდა [...]“ მწერალი ორჯერ იმეორებს ჰენრის სახელს, რითაც, ალბათ, იმას გამოხატავს, რომ ლულუ ქვეცნობიერად ერიდება იმას, რომ მას ან კაცი და ან ქმარი დაუძახოს.

მოთხრობის ქართულ თარგმანში, ცხადია, შევეცადე, დამეცვა მწერლის მხატვრული ენის თავსებურებანი. ფრაზა „რატომაა, რომ აუცილებელია, სხეული გქონდეს?“ დავტოვე ისე, როგორც დედანში ჟღერდა არაბუნებრივად, თუმცა, ჯობდა, დამენერა „რატომაა აუცილებელი, რომ სხეული გქონდეს?“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სარტრის ენის სიზუსტე, რომლის ნათელსაყოფად მხოლოდ ერთ დეტალს მოვიხმობ. გავიხსენოთ, მაგალითად, პასაჟი, სადაც რობერი ლულუს ეკითხება: „რატომ გაქვს მკლავებს ქვეშ თმები?“. სარტრის პერსონაჟი ამბობს „მკლავებს ქვეშ“ (*sous les bras*) და არა – „ილიის ქვეშ“ (*sous les aisselles*), რადგანაც ბავშვმა, ალბათ, არ იცის ილიის სახელი და ილია მისთვის მხოლოდ „მკლავებს შორის ადგილია“.

ასევე, ზუსტად იცავს მწერალი ლულუს მეტყველების ფსიქოლოგიურ ხვეულებს. ფრაზაში „ძილი მეკიდება, თვლები მეღულება, სულ ერთთავად მიდუნდება, თითქოს, ხორცი იყოს“ იგი ხორცზე (*chair*) და არა სხეულზე (*corps*) იმიტომ უთითებს, რომ ეს სახე მის აზროვნებაში მოდუნებასთან, სიდონდლოვესთან, თავის ქმართან არის გაიგივებული.

განსხვავებულია რირეტიც მეტყველება. იგი ხშირად ხმარობს სიტყვებს „განცხადება“ (*declaration*), „მოსაზრება“ (*opinion*), რაც მის ენას მაღალფარდოვნებას ანიჭებს. რირეტი სერიოზულად ეკიდება თავის თავს, მოსწონს ლამაზი სიტყვებით საუბარი. თავის თავს ისე წარმოიდგენს, თითქოს „სალამოს პარიზის“ კონკურსში მონაწილეობდეს. მწერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა ცნობიერების შემუშავებული მოდელია. წერდა კიდევ სარტრი: „მე ვფლობ ენას, როგორც – შემუშავებულ მოდელს“ (J.-P. Sartre, *Situations*, IX).

მოთხრობაში მაინც არის რირეტიცა და ლულუს მეტყველებისათვის დამახასიათებელი საერთო ენობრივი დეტალი, რომლითაც სარტრი ზუსტად ასახავს საშუალო ბურიჟუაზიული წრის ფრანგი ქალების მეტყველებას. მხედველობაში მაქვს ის, რომ ორივენი ძალიან ხშირად ხმარობენ სიტყვას „პანანინა“ (*petit*), „საყვარლის“ მნიშვნელობით.

1938 წელს მიცემულ ინტერვიუში სარტრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ვერ შეძლო თავისი თეორიული ნააზრების მხატვრული ხორცშესხმა (*Contat et Rybalka, Les Écrits de Sartre*, გვ. 65), თუმცა, მოგვიანებით, საგანგებოდ გაუსვა ხაზი ლიტერატურისა და ესთეტიკის განსხვავებულ ბუნებას (J.-P. Sartre, *Situations*, IX, *Les écrits vrais en personne*, გვ. 10) და აღიარა, რომ შეუძლებელია, თეორიული ჩანაფიქრი ზუსტად გამოიხატოს მხატვრული ფორმით.

ამრიგად, მოთხრობაში „ინტიმურობა“ ჟან-პოლ სარტრმა შესაშური ფილოსოფიური სიღრმითა და ძვლებამდე გამიშვლებული ფსიქოლოგიზმით დაამუშავა მხატვრულად კიდევ ერთი „უკიდურესი სიტუაცია“ – ცვედნობის შემთხვევა. ცალკეული წვრილმანების მოურიდებელი გამიშვლებით მან აშკარა სკანდალი გამოიწვია XX საუკუნის 30-იანი წლების საფრანგეთში. მოთხრობა, ჩემი აზრით, დღევანდელ საქართველოში მრავალ თანამედროვე ლიტერატორსა და ლიტერატურის მოყვარულს თვალნათლივ დაანახვებს, რომ ყოველდღიური ყოფითი წვრილმანების ხატვა და მოურიდებელი ფსიქოლოგიზმი ჭეშმარიტი ლიტერატურის თვითმიზანი კი არ არის, არამედ – ერთ-ერთი საშუალება ექსტრემალურ ვითარებაში მყოფი ადამიანის სულის ლაბირითებში გზის გაგნებისა.

მერაბ ლაღანიძე

## ბიზანტიის დაქვირვიპული დედოფალი

ვასილ ბარნოვის სახელი საქართველოში ყველა-სათვისაა ცნობილი, მაგრამ ძნელია იგივე ით-ქვას მისი შემოქმედების შესახებაც, მიუხე-დავად იმისა, რომ მისი პროზაული მემ-კვიდრეობა ქართული მწერლობის უეჭველ და დაუძველებელ საგან-ძურს განეკუთვნება.

ცოტა ხნის წინათ, 3 ივნისს, მწერლის დაბადების 150 წლის-თავი შესრულდა, მაგრამ ამ თა-რილს, გულდასაწყვეტად, ჩვენს ქვეყანაში არავინ გამოჰხმაუ-რებია, – გულდასაწყვეტად, მაგრამ არა უჩვეულოდ, რად-გან ვასილ ბარნოვის მოხსენიე-ბაც კი იშვიათად ვაკრთება ხოლმე თანამედროვე ქართულ ტექსტებში თუ სააზროვნო-ლი-ტერატურულ სივრცეში. ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი წიგნი ვა-სილ ბარნოვის შესახებ, რომელიც პირველად 1965 წელს დაიბეჭდა, ლიტერატურული ცხოვრებისთვის-საც და აკადემიურ კვლევათათვისაც ამ თვალსაზრისით შთამაგონებელი ბიძგი უნდა აღმოჩენილიყო, მაგრამ, შე-საძლოა, ის უცნაურად ხელისშემშლელიც აღმოჩნდა გასული ოთხი ათწლეულის მანძილ-ზე, რადგან ამ წიგნის შემდეგ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ რამე მოსაზრების გამოთქმა სი-თამამის არცთუ მცირე წილს მოითხოვს, რისი გამოჩენა მხოლოდ მაშინ ღირს, თუკი ახალი გადასახედი გამოჩ-ნდება, ახალი მასალა მოიძიება, ახალი საინტერპრეტა-ციო საშუალებანი გამოიძებნება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს ვასილ ბარნოვის შემოქმედების პრობლემატიკა რამდენჯერმე აღმოჩნდა მკვლევართა ყურადღების თვალსაწიერში, ჯერჯერობით ისევ გან-საზღვრას ითხოვს მწერლის შემოქმედებით-სააზროვნო კონტექსტი, შემოქმედებითი წყაროები, რელიგიური შე-ხედულებანი, შემოქმედების ინტეგრალურობის საკითხი, მწერლის პროზის სტრუქტურული მოდელები, შიდა და გა-რე მიმართებანი...

ამ სტრიქონების ავტორს, სიყმანვილიდანვე ვასილ ბარნოვის პროზის ერთგულ ტრფიალს, კარგა ხანია, ქარ-

თული მწერლობის ამ „საარაკო განძის“ შესახებ ნარკვე-ვის დაწერის ფიქრი დასდევს, წლების განმავლობაში სა-ჭირო მასალებსაც უყრის თავს, ჩანაწერებისა თუ ამონა-წერების სახით, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა, – რამე მთლიანისა და საფუძვლიანის დაწერა, – მიზეზთა და მი-ზეზთა გამო, აქამდე ვერ მოხერხდა, ამჟამად კი, გულ-დაწყვეტილმა მწერლის მიმართ ქართული ლიტერატუ-რული საზოგადოების უყურადღებობის კიდევ ერთი და-დასტურებით, გადაწყვიტა, თავის ჩანაწერთაგან ერთ-ერთი „ჩვენი მწერლობის“ მკითხველისათვის შეეთავაზე-ბინა, მით უმეტეს, რომ ის რომანი, რომელსაც ქვემოთ ვეხებით, დღეს ცოტა ვისმე თუ ახსოვს აქტიურად, მით უმეტეს, რომ რომანსა და მის სათქმელს, მასში დახატულ ისტორიულ გარემოსა და ნაგულისხმებ ქვეტექსტს აქტუალობა არც დღეს, არც ჩვენს დღევანდელ გა-რემოში დაუკარგავს.

\*\*\*

საქართველოს მეფის, გიორგი მერვის, კარზე საზეიმო მიღებაა. სტუმრად ჩამოსულა ბიზანტიის იმპერატორის პირადი ელჩი ფრანძესი, რომელიც საქარ-თველოს ხელმწიფისაგან პა-სუხს ელოდება. ამ პასუხზე კი მეტისმეტად ბევრია დამოკი-დებული – ბიზანტიის სამეფოს ბედ-იღბალი და მომავალი.

ქართულ ლიტერატურას ოდნავ გაცნობილი მკითხველი-სათვისაც კი – თუნდაც სასკოლო განათლების ფარგლებში – სურა-თი მეტად ნაცნობია „უთუოდ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ მსგავსი. შესაძლოა, საქმეში და ლი-ტერატურაში უფრო მეტად ჩახედულ მკითხველს ცოტა მეტიც მოაგონდეს – ნყარო, რომელსაც თავად აკაკი ეყრდნობო-და თავისი წარმტაცი მომხიბლაობით აღსავსე პოემის წერისას, – მეთერთმეტე საუკუნის ლიტერატუ-რული ტექსტი, გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება იოანე-სი და ეფთვიმესი“, სადაც ეს სცენა უფრო მეტი ისტორი-ული სიზუსტითაა გადმოცემული. ძველ ქართულ თხზუ-ლებამაც და აკაკის უკვდავ პოემამაც ქართველთათვის ის საამაყო ეპიზოდი აღწერილი, როცა სამოქალაქო ომ-ში ჩათრეულმა ბიზანტიელმა დიდებულებმა საიმპერა-ტორო მხარის, უფრო სწორად, მცირეწლოვანი იმპერა-ტორის, ბასილის, დახმარების თხოვნით ქართველთა სა-მეფოს – იმჟამად ძლიერ და გავლენიან სამეფოს – მო-მართეს.

ხოლო რაც შეეხება გიორგი მერვის კარის ეპიზოდს, რომელიც დასაწყისში გავისხენეთ, ვასილ ბარნოვის ერ-თი გვიანდელი რომანიდანაა აღებული, – რომანიდან, რომელიც პროზაიკოსს თავისი შემოქმედების მეტად ნა-ყოფიერ ხანაში, 1927 წელს, დაუწერია და რომელსაც



ვასილ ბარნოვი

„დედოფალი ბიზანტიისა“ ეწოდება (გამოუქვეყნებელი ტექსტი პირველად მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა – 1947 წელს). ეს ნაწარმოები, ისევე როგორც, საერთოდ, ბარნოვის შემოქმედება, დღეს მკითხველთა და მკვლევართა დიდი გულისყურით რომ არ არის მოცული, ყველას მოეხსენება, მაგრამ ამ უყურადღებობის აშკარა თუ ფარული მიზეზების ძიება ამჯერად შორს წაგვიყვანდა. თავად აღწერილი სიტუაცია კი რამდენადაც ჰგავს „თორნიკე ერისთავიდან“ ნაცნობს, იმდენადვე განსხვავდება მისგან, თუნდაც იმით, რომ საქართველოს დიდების ვარსკვლავი ამოსასვლელად კი არ ემზადება, უკვე დიდი და სასონარმკვეთი თავდაღმართისაკენ მიექანება, ხოლო ბიზანტიას შინაური ომი კი არა, ისლამური ნახევარმთვარე და საბოლოო განადგურება ემუქრება. მოქმედება მეთხუთმეტე საუკუნის შუაწლებში ხდება. და ვისაც ლიტერატურის გარდა, სკოლაში ისტორიაც უსწავლია, შესაძლოა, ახსოვდეს, რომ ამ ბედუკუღმართმა ბიზანტიის იმპერიამ სწორედ ამ მეთხუთმეტე საუკუნის შუაწლებში შეწყვიტა თავისი არსებობა – 1453 წელს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საკუთრივ ეგრეთ წოდებულ ბიზანტიელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ მათ ქვეყანას ცოტა ხნის შემდეგ ეს სახელი შეერქმეოდა. თავად ისინი რომის იმპერიადაც და რომაელებად მიიჩნეოდნენ თავს (ძველი ქართველები მათ ასე მოიხსენიებდნენ: „ჰრომნი“), – მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური ევროპაც თავის თავს მეცხრე საუკუნიდან საღმრთო რომის იმპერიას უწოდებდა, რომის პაპისა და რომის იმპერატორის მეთაურობით. თუმცა ამჯერად – რომანისთვის – ყველაფერი ეს არარსებითია.

მთავარი ისაა, – მთავარი არა მარტო რომანისათვის, არამედ საქართველოს მთელი შემდგომდროინდელი ისტორიისათვის, – რომ ბიზანტიისაგან იმხანად მხოლოდ დედაქალაქი და დარჩენილა: დანარჩენს კარგა ხანია მუსლიმები დაუფლებიან, ხოლო ქვეყნის ამ უკანასკნელ ნაფლეთსაც – კონსტანტინოპოლს, სადაც, იმპერატორის ტახტის გარდა, ამავე დროს, ბიზანტიური ეკლესიის მთავარი სამლოცველო, წმიდა სოფიოს ტაძარი და ბიზანტიელ-ალმოსავლეოქორისტიანთა უმაღლესი მწყემსმთავრის, მსოფლიო პატრიარქის ტახტი დგას, ოსმალების სულთანის მუჰამადი შემორტყმია გარს, რომელსაც ერთი სული აქვს, ახალი რომი – კონსტანტინოპოლი სასულთნოს დედაქალაქად გამოაცხადოს.

ბიზანტიის უკანასკნელ იმპერატორს, კონსტანტინე მეთერთმეტეს, გაჭირვება კარს მოსდგომია და დახმარებას ერთმორწმუნე საქართველოს სთხოვს, – როგორც რომანში ითქმება რამდენჯერმე, ხავსის მოჭიდება გადაუწყვეტია. თუმცა საქართველო იმხანად მაინც ცოტათი ფეხზე წამომდგარა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მეტწილად თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ისევე ნაწილებად დაშლილა და მას, ვინც საქართველოს მეფედ მოიხსენიებს თავს, კარგად მოეხსენება, რომ მისი მმართველობა ლიხს იქეთ არ ვრცელდება. თუმცა ერთი გამარჯვება მაინც მოუპოვებია გიორგი მერვეს, სამხრეთის კუთხეების განცალკავება შეუჩერებია, რა თქმა უნდა, დროებით, მაგრამ მაინც: საათაბაგოს სახელმწიფო-

ებრივი და საეკლესიო განდგომა აღუკვეთია და მოამბოხე ყვარყვარე, თავისი ჭაბუკითურთ, სასახლის კარზე ჰყავს საპატიო ტყვეობაში.

ათაბაგის ვაჟი, როგორც მოსალოდნელი იყო, მეფის ასულს გაჰმიჯნურებია, მაგრამ, როგორც რაინდული ეტიკეტი და შუასაუკუნეობრივი სამიჯნურო ლიტერატურის ნორმები მოითხოვს, სატრფოსათვის თავისი ხვაშიადის განდობას ახანებს. ამ დახანებაში კი ხათუთა ბატონიშვილს ბიზანტიის იმპერატორის ცოლობას გადაუწყვეტენ: სასონარკვეთილი კეისარი აგონიაში მყოფი იმპერიის გადასარჩენად ქართველებს სთხოვს დახმარებას, რისთვისაც – თუნდაც მტრის თვალის ასახვევად – საქართველოს სამეფო კართან დამოყვრებას, საქართველოს მეფის ასულის ხელის თხოვნას გადანყვეტს. სწორედ ამ დანიშნულებით გამოუვლია არცთუ უზიფათო გზა კონსტანტინოპოლელ დესპანს. სულთმობრძავი იმპერიისათვის საქართველოს დიდი ვერაფერი იმედის მიცემა შეუძლია, თუმცა ერთი მხარეცა და მეორეც მიიჩნევს, რომ ჯარის დაქირავებითა და მიშველებით პატარა მართლმადიდებელი ქვეყანა დიდ დახმარებას აღმოუჩინს განგებობისა და ისტორიისაგან განწირულ იპერატორს.

საქორწინო არჩევანს, ისევე, როგორც თითქმის ყოველთვის მონარქიულ ოჯახებში, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სიტუაცია განაპირობებს, მაგრამ დანიშნული სასძლო – ბატონიშვილი ხათუთა – მართლაც უნაკლოა: პირმშვენიერი, ზრდილი, სათნო და წიგნიერი.

მიჩენილი მასწავლებელი, მგოსანყოფილი ბერი ონოფრე მეფის ასულს არამარტო წერა-კითხვასა და „ვეფხისტყაოსნ“ ასწავლის, არამედ ბერძნულ ენასა და ბერძნულ მნიგნობრობასაც, – რაც ბიზანტიის მომავალ დედოფალს უთუოდ უნდა გამოადგეს. ამასთანავე, მოძღვარი (ისევე როგორც თავად ვასილ ბარნოვი) საკმაოდ დაშორებულია მართლმორწმუნე ქრისტიანულ მსოფლმხედველობას და თავის შევირდს ოდნავ პლატონურ შეხედულებას შთაგონებს, რომ სატრფოთა სულელები ამ ქვეყნად მოვლინებამდე ერთი მთლიანობა იყო, რომელიც მიწიერი შობისას ორად გაყოფილა, ხოლო სატრფოთა ურთიერთსწრაფვა კი სწორედ ამ დაკარგული მთლიანობის აღდგენის მცდელობაა. გასაკვირი არაა, რომ ხათუთაცა და იმპერატორიც, აღმოსავლური თქმულებებისა არ იყოს, სურათების საშუალებით ეცნობიან და ესიყვარულებიან ერთმანეთს. მათ შორის კი, – არა იმდენად რაყიფად, არა იმდენად გამყოფად, რამდენადაც წარუმატებელ მეკავშირედ, – ათაბაგის ვაჟი ბაკური აღმოჩნდება, რომელიც კონსტანტინოპოლში ჩასულ დამხმარე ქართველთა რაზმს მეთაურობს.

ფაქტობრივ რომანი, ანუ ნაწარმოების რომანულ-რომანტიკული ხაზი ამით მთავრდება, თუ არ ჩავთვლით მსოფლიო ისტორიის ერთ უმნიშვნელოვანეს ამბავს – 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლის დაცემასა და წმიდა სოფიოს ტაძრის თავზე ისლამური ნახევარმთავრის წამომართვას.

ბრძოლაში იღუპება ბიზანტიის იმპერია, აღმოსავლურქრისტიანული სამყაროს სამეფო ქალაქი, იმპერა-

## თარიღები

ტორი... ჭაბუკი ბაკური ისე მძიმედ დაიჭრება, რომ სენი-საგან ველარ განიკურნება და, საქართველოში დაბრუნებული, მცხეთაში დაასრულებს თავის ხანმოკლე და გაუხარელ ცხოვრებას. უნახავ და შორეულ სასიძოზე გამიჯნურებული ხათუთა, რომელიც იმ ქვეყნის დედოფალი უნდა გამხდარიყო, რომელმაც მის ჩასვლამდე დაამთავრა თავისი არსებობა, სრულიად კარგავს ცხოვრების ხალისს და – განმდგარი, განმარტოებული, ფერმიხდილი – ქალაქკარეთა პატარა სასახლეში დამკვიდრდება.

საქართველო, მეფის ასულ ხათუთას მსგავსად, ბიზანტიის დაცემის შემდეგაც, გამქრალი იმპერიის იმ აჩრდილს შესცქეროდა, რომელსაც უკვე მოუბრუნებლად შეეწყვიტა არსებობა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საქართველო დაღუპული სახელმწიფოს ქვრივად რჩებოდა, – ოდისევის ერთგულ მეუღლესავით, პენელოპე-

სავით, გარემოცული მოძალადე სასიძოებით. ხოლო როცა მგლოვიარე ქვრივმა ერთ-ერთ სასიძოში დაღუპული სატრფოს შორეული ჭდეები შენიშნა, საკუთარი თავი და საკუთარი ბედი ბიზანტიის კანონიერ თუ უკანონო მემკვიდრეს ანდო, მესამე რომის – მოსკოვის მფლობელს, იმ ქვეყნის მმართველს, რომელსაც ვასილ ბარნოვის სიტყვათხმარებაში ყოველთვის „მყინვარეთი“ ეწოდება. ამ ტკბილ-მწარე ქორწინების შესახებ შესანიშნავი ქართველი მწერალი თავის ნიგში აღარაფერს მოგვითხრობს (ძნელი სათქმელია, იცოდა თუ არა ბარნოვმა, როგორ მიმართა აკაკი წერეთელმა ერთ გამოუქვეყნებელ ლექსში „ნაძალადებ საქმროს“: „დამეხსენი, ჩრდილოელი, რა მაქვს შენთან საზიარო?“), მაგრამ ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს, – ამ მშვენიერ რომანს ხომ, ჩასაფიქრებელსა და განსაჩხრეკს, „დედოფალი ბიზანტიისა“ ეწოდება.

## გამოსაშუბრა

ნინო დეკანოიძე

# რისკი სიმაართლის გზაზე

შეიძლება ითქვას, ნოველის ბანალური და მეტისმეტად არაესთეტიკური დასაწყისით მწერალი რისკზე მიდის. მიდის ერთბაშად და თანაც არაერთგზის. და იქვე იგულისხმება, არაფერია გათამამებული მკითხველის ჩასაჭერად.

ავტორი უცხო არ არის. აღიარებული მწერალია. ლიტერატურული მარცხის ეჭვისთვისაც ვერ გაიმეტებთ და უფრო პირიქით, დანდობილად მიაყოლებთ გულისყურს თხრობას.

„ლიზი და იულიუსი“ ნოველაა ვანო ჩხიკვაძისა, ჩვენი ჟურნალის („ჩვენი მწერლობა“, № 16) ფურცლებზე ახლახან რომ დაიბეჭდა.

ის, რასაც მწერალი ამჩნევს და ზედმიწევნით ნატურალისტურადაც აღწერს, ჩვენში, გულგრილობის გამო შეჩვეული და დამკვიდრებული, დიდი უსაშველობაა. ეს არის სილარიბე ზღვარს მიღმა. ქუჩის მანანალების – პირუტყვთა და პირმეტყველთა – აურზაური ბუნკერთან, ქალაქის განაპირა უბანში. მოლასლასე თუ ენერგიული არსებანი სანაგვეს არა სცილდებიან, ეპატრონებიან, როგორც საბადოს, განძს ხან ბარაქიანად რომ მიაგნებინებთ, ხანაც – მწირად. ეს არის მათი დიდი ბაზარი, სადაც დასწრებაზეა მოპოვება, სადაც დასწრებაზეა ყველაფერი და უკაცრავად პასუხია, სადაც კარგად უნდა გადაიგნისო საკუთარი თავმოყვარეობა, მაღალი ზრახვანი, სურნელოვანი ემოციები და თავდაუზოგავად გადაეშვა ყოფაში, მგლური კანონები რომ განსაზღვრავს.

ლიზი და იულიუსი ცხოვრების ამ დიდ ბაზარზე იპოვიან ერთმანეთს ხელმეორედ. ერთი სიცოცხლე ოდესლაც დაუკრძალავთ. ახლა მეორეს ებლაუჭებიან და როგორც მძიმე, უშნო ტვირთს ისე მიათრევენ. ყოველივეს მათი ლაპარაკიდან ვგებულობთ. უცბათ ვერც არკვევთ პერსონაჟთა არსებითობას, რადგან ნოველაში ვინ და რა ჯგუფის სახელები ერთ სიბრტყეზე ცოდევილობენ. დაძრწინან. აღამებენ და ათენებენ. თან სდევთ შიში და ძრწოლა, ინტუიციური სიფრთხილეც, უმადური ცხოვრების გახანგრძლივებისათვის.

როგორც ვთქვით, ლიზი და იულიუსი ხელმეორედ იპოვიან ერთმანეთს. მათ წარმოსახვაში ცოცხლდება ოდინდელი არსებობა. ისინი მხოლოდ ორ დროში ცხოვრობენ, ადარებენ ძველსა და ახალს. ძველში იმედიანი ახალგაზრდობა გაუჩინარდა და ანმყო, სადაც სულ მალე შეიძლება გამოუვლინდეთ სიკვდილის განაჩენი. ამნაირი მსვლელობით ავისმომასწავებელია მომავალიც... მაგრამ ნოველისტი, როგორც სწვევია, თბილი იმედით ამთავრებს თხრობას, ანუ ლიტერატურისათვის ტრადიციული დასასრულით. მწერლობის ვალიც ხომ ეს არის, გადარჩენა დაგვაჯეროს და არა ისედაც ცხადი საშიშროება – დასასრული განგვაცდევინოს.

P.S.

აქ შეიძლებაოდა საუბარი გავრცობილიყო ლიტერატურული პარალელების ხარჯზე (ანუ განსწავლულობისთვის ჩამოგვეთვალა, ჩვენშიც და უცხოეთშიც რამდენ მწერალს მიუმართავს ოსტატობა უმეტყველო პერსონაჟების ასალაპარაკებლად).

აქ შეიძლებაოდა ხაზგასმულად დამახსოვრებულყო, მტვრიან ბუჩქზე ერთადერთი გაუშლელი ვარდის კოკრის წითლად გამონათება და მის სიმბოლურ დატირთვაზეც თქმულიყო.

აქ შეიძლება ვაღიარო, ეს მშვენიერი ნოველა დაბეჭდილია მცირეოდენი ტექნიკური ლაფსუსით. რის გამოც, ბოდიშის მოხდა ნოველისტისა და მკითხველის წინაშე, გამოსაშუბრების ავტორს უშუალოდ ევალება.

მედია აბაშელი

# ჩემი ცხოვრება, სულ ერთ საღამოს წასაკითხი

## პირველი მოგონება

ვერ ვიტყვი, რომ ნათლად და დეტალურად მახსოვს ჩემი ადრეული ბავშვობა, მაგრამ ეპიზოდები, როგორც კინოკადრები, ნათდებიან ჩემს მახსოვრობაში. ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრმა წელმა ჩაიქროლა და თარიღები, ალბათ, ვერ იქნება ყოველთვის ზუსტი.

მამაჩემი, ალექსანდრე აბაშელი (ჩოჩია) დაიბადა 1884 წელს, აბაშაში. აქედანვეა მისი სამწერლო ფსევდონიმი. ის იყო საშუალო ტანის, არაჩვეულებრივად ლამაზი (ყოველ შემთხვევაში მე ასეთად მიმაჩნდა), ატარებდა მოკლე, ნაწვე-

ტებულ წვერს და მოზრდილ ულვაშებს. მათ ის დიდი მონდომებითა და აკურატულობით იბრუნებდა ზევით. ჰქონდა ცოცხალი თვალები, რომლებშიც ხშირად მხიარული ეშმაკუნები უთამაშებდნენ. როდესაც მამა ილიმებოდა ან იცინოდა, მთელ სახეზე მომწუსხველი ნათელი ეფინებოდა. მეორე ასეთი სახე მე ცხოვრებაში აღარსად შემხვედრია. დედაჩემი, ეკატერინე ბრალოვსკა დაბადებით დონბასიდან – იუზოვკიდან იყო. სად შეხვდნენ ისინი ერთმანეთს, არ ვიცი. ის იყო პატარა, კობტა ქალი, ფლობდა არაჩვეულებრივი ტემბრისა და დიდი დიაპაზონის ხმას. მან 1922 წელს ბრწყინვალედ დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და მიიღო „თავისუფალი ხელოვნის“ დიპლომი. სწავლობდა პროფესორ რემიშოვას კლასში. მასთან ერთად სწავლობდნენ ვარვარა მრავალი-მამამთავრიშვილი (ნოდარ ანდლულაძის დედა) და ნადეჟდა ბუზოლი (ოთარ გორდელის დედა) – სულ იყო სამი მომღერალი ქალი



„რა მადლობელი ვარ ბედის, ბავშვობიდან რა ადამიანების გარემოცვაში მიწყალობა მან ყოფნა“ – წერს მედია აბაშელი თავის ავტობიოგრაფიულ მონათხრობში. მან ხომ მთელი ცხოვრება მამის, ალექსანდრე აბაშელის, მისი მეგობრებისა და კოლეგების გარემოცვაში გაატარა და უშუალო მონაწილე იყო იმ უდიდესი ქართველებისა, რომელიც ამ ადამიანებს დაატყდა თავს.

მედია აბაშელის თვალწინ, მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, კალიდოსკოპის სიჭრელით გაიარა უამრავმა ადამიანმა, კეთილშობილმაცა და უკეთურმაც, მოყვარემაცა და მტერმაც, მაგრამ, მისმა ქალურმა ბუნებამ ამოკრიბა მხოლოდ ის სახეები, რომლებსაც მის გრძნობებში იმთავითვე მხოლოდ დადებითი ემოციები გამოუწვევია.

მედია აბაშელის მონათხრობი არ არის ტრადიციული ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, ცხოვრების ყოველმხრივი, მიმდევრობითი აღწერა, მოვლენების ანალიზი, ადამიანების მოქმედებათა შეფასება. ეს არის პატარა ფრაგმენტები ცხოვრებიდან, ეპიზოდები, „კინოკადრები“, როგორც თვითონ უწოდებს მათ, და დროსა და სივრცის ამ მონაკვეთებში მოხვედრილი ადამიანები.

ამ ეპიზოდთაგან ზოგი ჩემთვისაც იყო ცნობილი, რადგან მათ მეც მოვესწარი, ზოგი ბაბუისა და ბებუის მონაყოლიდან ვიცი. ესა თუ ის ეპიზოდი მაშინდელი, ჯერ კიდევ ბავშვური ემოციის გამოძახილია და ამიტომ ცოტა მიამიტურიცა და უმნიშვნელოც, მაგრამ გულწრფელი. ის ადამიანები, რომლებიც ამ მონათხრობში მოქმედებენ, დღევანდელი საზოგადოებისათვის უკვე ლეგენდად არიან ქვეულნი, შორეულნი, მხოლოდ დიდ საქმეებთან დაკავშირებულნი. აქ კი ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ყოფილი პრობლემებით დაინტერესებულნი, ხშირად კურიოზულ და კონფუზურ სიტუაციაშიც კი მოხვედრილნი, ადამიანური სისუსტეებით გააჩნიათ. ავტორის მიერ თვითოეული მათგანის ხასიათის ერთი-ორი ისეთი მკვეთრი შტრიხია დანახული, რომელიც, ჩემის აზრით,

## ავტორის მაგიერ

მთლიანობაში საკმაოდ კარგად ახასიათებს წარმოდგენილ პერსონას.

დედაჩემმა (მედია აბაშელმა) სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, სულ რაღაც ათიოდ დღეში დაწერა ეს ტექსტი. წერდა გაბმით, დილიდან გვიან ღამემდე. გატაცებით, ხან ქართულად, ხან რუსულად. მერე ერთბაშად შეწყვიტა წერა. არ ვიცი, ემოციისაგან დაიცალა, დაიღალა, თუ უაზროდ მიიჩნია ეს შრომა.

გარდაცვალებიდან ორიოდე წლის შემდეგ გადავხედე ხელნაწერს და საჭიროდ მივიჩნიე მიმეცა მისთვის დასრულებული სახე. კერძოდ, გამეხდა ის ერთენოვანი – ქართული, დამეზუსტებინა თარიღები, აღწერილი მოვლენების სისწორე, შეძლებისდაგვარად ქრონოლოგიურად დამელაგებინა ეპიზოდები.

ერთ ადგილას, თხრობის პირველ ნახევარში, მედია აბაშელი მკითხველს ჰპირდება, რომ ქვემოთ მის პირად მეგობრებზე ისაუბრებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ნაწილს თხრობის სახე არ გააჩნია. მოყვანილია მხოლოდ გვარები და თემები, რაზედაც უნდა ესაუბრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ტექსტი არ არსებობს და ამიტომ ვერც დადგინდა. აი, მოხსენიებული გვარები: ნელი დადიანი, მედია ჯაფარიძე, მამარ ციციშვილი, მარინა მხეიძე, ნინო ბაგრატიონი, სესილია თაყაიშვილი, მანანა ქიქოძე, თინა ყაუხჩიშვილი, ემა ბათიაშვილი, ქეთი ჩოლოყაშვილი, ნელი ამაშუკელი, მარო აგლაძე, ქეთო ჯაფარიძე. მთელი შარავანდელი ქართველი მანდილოსნების.

ტექსტს არც სათაური გააჩნდა, არც ქვესათაურები. არადა, თემატური დაყოფის გარეშე ერთიანად ვერ იკითხებოდა. ამიტომ იძულებული შევიქნენ ჩამეტარებინა ეს ოპერაცია.

საერთო სათაურად გამოვიყენე ავტორისეული წინადადება, რომლითაც მთავრდება თხრობა.

ალექო თუთხარიძე

მძიმე იყო ცხოვრება და მოუგვარებელი. დედა არ გაყვა სცენურ მოღვაწეობას და მთელი ცხოვრება შეალია ოჯახს. მას ძალიან უყვარდა მამაჩემი და სიცოცხლის ბოლომდე მისი უსაზღვროდ ერთგული დარჩა. მე ვიყავი მათი ერთადერთი ქალიშვილი და ბედის წყალობით თუ იმის გამო, რომ მამაჩემი უყვარდათ ძალიან, მე გარემოცული ვიყავი უზომოდ ალერსითა და ყურადღებით. მანებვირებდნენ ჩემიანებიცა და უცხონიც.

სულ ადრეული, პირველი მოგონება. დიდი თეთრი სახლი, უშველებელი თოვლიანი ეზო. პატარა დატკეპნილი გორაკი. მე ვსრიალებდი ზედ პატარა ციგით, რომელიც გამობმული თოვით ეჭირა ეზოს დარაჯს და ნელ-ნელა უშვებდა ხელს. ეს იყო ალბათ 1917 წელს, აბასთუმანში, სანატორიუმ „არაზინდოში“. მამაჩემი, მე მგონი, იმჟამად იმ სანატორიუმის დირექტორი უნდა ყოფილიყო. ფილტვები მას გადასახლებაში, სოლვიჩეგოდსკში, ვოლოგდის გუბერნიაში დაუყავდა.

### მთავრობის სასახლე

მაგონდება ჩემი თავი უკვე თბილისში. ჩვენ ვცხოვრობდით მთავრობის სასახლის (ამჟამად პიონერთა სასახლე) ეზოში მდგარ ცალკე ფლიგელში, რომლის ფანჯრები გამოდიოდა ყოფილ ერმოლოვის, ამჟამად შიო ჩიტაძის ქუჩაზე. ჩვენს ბინაში რა არის ახლა განთავსებული, არ ვიცი, სამზარეულოს ადგილას კი დგას მაღალი ძაბვის ელექტროჯიხური მუქპირიანი წარწერით „სასიკვდილოა“. ეს უკვე, თუ არა ვცდები, 1919 ან 1920 წელი უნდა იყოს. ამ დროს მე ძიძად მყავდა ერთი ძალიან ელეგანტური, მუდამ გამონკეპილი, უსაშველოდ გრძელფეხიანი იეზიდი ან ქურთი კაცი, სახელად ჯინდი. საიდან გაჩნდა ის ჩვენს ოჯახში და რატომ იყო ის ჩემი ძიძა, არ ვიცი. ვიცი კი, რომ ის ფანტასტიურად ერთგული იყო ჩემი და ჩვენ ერთმანეთი უსაზღვროდ გვიყვარდა.

მაგონდება ჩვენი იმდროინდელი სტუმრები. ბატონები: გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე. ისინი ჩვენი თეთრი სასტუმროს მუდმივი ნევრები იყვნენ. ეს ურთიერთობა ხომ მთელი ცხოვრება გაგრძელდა. გამოივლიდნენ ხოლმე ნოე ხომერიკი, ნოე გეგეჭკორი. ყოფილა, თურმე, ნოე ყორდანიაც. ბუნებრივია, ისინი მამაჩემის ახლო ნაცნობები იყვნენ და მთავრობის სასახლეში მოღვაწეობდნენ, ჩვენ კი იქვე ვცხოვრობდით.

პატარა ეპიზოდი: ჩემი დასაძინებლად წაყვანა უნდოდათ, მე კი ვჭირვეულობდი და არ ვემორჩილებოდი. ვილაცამ მითხრა, თუ არ ნახვალ ახლავე დასაძინებლად, ხო-ხო, რა საშინელი დიდტომრიანი კაცი მოვა და წავიყვანსო. მე დაეთანხმდი, ოღონდ მამაჩემის დიდ ლოგინში ჩავენქი. ლოგინის გვერდით, კარებზე ეკიდა მძიმე, ცისფერი ფარდა. მე ვაგრძელებდი ჭირვეულობას. და როგორც დღეს, ისე ნათლად ვხედავ: შემოდის ფეხაკრეფით საძინებელში ნოე ხომერიკი, ეფარება ფარდას და დაბოხებული ხმით მეუბნება: „მე ვარ ხო-ხო ტომრიანი და თუ არ დაიძინებ წავიყვან“. მე ვუპასუხე: „ნოე ბიძია, გააგდე ეგ ხო-ხო და ახლავე დავიძინებ“. წმინდაო ბავშვობავ!

საძინებელ ოთახში გვედგა დიდი, გამოსანეუფჯრებიანი და სარკიანი კარადა. როგორღაც შევამჩნიე, რომ მამაჩემმა ზედა თაროზე რაღაც შავი საგანი შემოსდო. და, აი, ერთხელ, როდესაც მამა ნასადილევზე ისვენებდა, მე გამოვნიე ჯერ ქვედა, შემდეგ მეორე უჯრა, ავფოფხდი ზედ, მივწვდი იმ საგანს და ჩამოვიღე. ეს იყო რევოლვერი. მე დავინწყე თამაში, თითოთ ვანვებოდი ტყვიის ზურგს, მივუშვირე მამაჩემს. ხმაურზე მამამ გამოიღვიძა, წამოვარდა, გამომტაცა რევოლვერი არც მანამდე ყოფილა და არც მას მერე, ჩვენს ოჯახში იარაღი. ან ის იარაღი საიდან იყო, რატომ იყო, ვისი იყო, არ ვიცი.

მაგონდება (დეტალები ალბათ დედაჩემის მონაყოლია) ერთი საქველმოქმედო მეჯლისი (თუ მეჯლისები), რომელიც გაიმართა სასახლის მშვენიერ ბაღში. ბაღის ზედა ნაწილში, გედებიან გუბურასთან მომზადდა სახელდახელო სცენა-ფიცარნაგი, რომელზედაც სასულიერო ორკესტრი განლაგდა. ხეები მოირთო ფერადი ფანრებიტა და სამკაულებით. ქვედა ნაწილში (ბაღში იყო ლამაზი კიბე, რომელსაც ზედა ნაწილიდან ქვედა ნაწილში ჩავყავდით) მოეწყო ბუფეტი მრავალნაირი ტკბილეულით და სასმელით. საღამოსთვის ბაღი გაივსო ლამაზად ჩაცმული და მხიარული პუბლიკით. ქალებს ეხურათ დიდი და ძვირფასი ფრთებით შემკული შლაპები. ზოგ მათგანს გულზე ეკიდა პატარა კოლოფები, ხელთ ეპყრათ ემბლემაიანი ქალაღდის კვადრატები. ისინი მომაჯადოებელი ღიმილით უახლოვდებოდნენ უმთავრესად მამაკაცებს, მკერდზე აბნევდნენ კვადრატებს და კეკლუცად უმარჯვებდნენ კოლოფებს. მამაკაცებში კი ამაყად უშვებდნენ კოლოფებში ფულს. ქუხდა მუსიკა და ცა იყო უღრუბლო.

ჩემს მზიან ყოფაში ხანდახან შემოიჭრებოდა ჩემთვის გაუგებარი, შეუცნობი შემოფთება ჩემი მშობლებისა. ერთხელ ღამით, როდესაც ყველას გვეძინა, ჩვენს კარზე მაგრად დააკაკუნეს. ყველანი წამოვცვივდით. მამამ გაალო კარი და სახლში შემოვარდა გაფთრებული და აკანკალებული ბატონი ნოე ხომერიკი. „ანეტამ თავი მოინამლა“ – ძლივს წარმოთქვა მან. დედაჩემმა შეჰკივლა – ეს მოსალოდნელი იყო – თქვა. მე სასწრაფოდ გამიყვანეს ოთახიდან. გავივონე როგორ წავიდნენ სადღაც მამაჩემი და ბატონი ნოე.

გვიან, როდესაც გავიზარდე, მხოლოდ მაშინ გავიგე რა მოხდა იმ უბედურ ღამეს. ანეტა ნოე ხომერიკის მეუღლეს ერქვა. მან თავი მოიკლა იმის გამო, რომ ნოე ხომერიკს თავდავინყებთ შეყვარებია მოწყვლების და სუსანა ჯანაშია, რომელიც აბასთუმანში გაუცვინია დასვენების დროს.

ერთხელ, სამსახურიდან მოსულმა მამამ დედაჩემს დაავალა ჩემი მომზადება, ე.ი. ლამაზად უნდა ჩავეცვით და თმა კოხტად დავეარცხნათ. ჩვენ ბატონ იაკობ ნიკოლაძესთან მივდიოდით. მას გადაეწყვიტა ჩემი ბიუსტის გამოძერწვა. მე სიტყვა გამოძერწვა შემამინა და გულამოსკენით ავტორდი. დიდხანს მიხსნიდნენ, რომ არაფერი მემუქრებოდა, ბოლოს დამამშვიდეს და ჩვენ წავედით. მივედით მის სახელოსნოში (დღეს მისი სახელობის ქუჩაზე). ბატონი იაკობი გულთბილი ღიმილით გამოგვეგება. მას ემოსა რუხი ფერის განიერი ხალათი და ხელში ეჭირა დიდი წითელი ვაშლი. მე შემსვეს მაღალ ხის ტაბურეტზე და სეანსი დაიწყო. რამდენი სეანსი დაჭირდა ამ საქმეს, არ მახსოვს, მაგ-

რამ, მე რომ დავიტანჯე და დავტანჯე ბატონო იაკობი, ეს კი ნამდვილად მახსოვს. ბოლოს, როგორც იქნა, ბიუსტი დამთავრდა და ბაფთიანი გოგონა გამოიძერწა. ეს ბიუსტი დიდხანს სარგებლობდა ჩემი და, ბუნებრივია, მთელი ოჯახის განსაკუთრებული პატივისცემით. შემდეგ, უკვე ჩემი შვილის ხელში ბაფთას ჩამოატეხეს ნაწილი და მე ბიუსტი სასწრაფოდ ჩავაბარე ბატონ შალვა ამირანაშვილს. დღეს ეს ბიუსტი ხელოვნების მუზეუმშია.

ჩვენს ოჯახში კი სტუმრობა გრძელდებოდა. ბატონი პავლე ინგოროყვა და ქალბატონი ქეთევან ბაქრაძე, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია და ქალბატონი მირანდა ფალავანდიშვილი, ბატონი გერონტი ქიქოძე, ბატონი ვახტანგ კოტეტიშვილი, ბატონი იოსებ გრიშაშვილი. ისინი ახალგაზრდები იყვნენ, ჭკვიანები, განათლებულები და ხალისიანები.

## ბათუმი

მერე მე, პატარა გოგომაც კი შევამჩნიე, რომ ხალისი ჩაქრა. ლაპარაკობდნენ შეშფოთებით, გვიან ღამემდე, პირველად გავიგონე სიტყვები „კომუნისტები“, „ნითლე-ბი“. მამაჩემი დიდი ხნით ქრებოდა სახლიდან. მერე მახსოვს ჩვენი გამგზავრება მატარებლით. მატარებლის სალონ-ვაგონი გაყოფილი იყო სამ ნაწილად. ერთ საძინებელში ვიყავით მე და მამა, შუაში დიდი სასადილო მაგიდა და მგონი ბილიარდის მაგიდა იდგა. შემდეგ ისევ საძინებელი ნაწილი იყო. ვაგონში ვიყავით მამაჩემი, ბატონი ნოე ხომერკი, ვილაც ჩემთვის უცნობი მამაკაცი და მე. სხვა არავინ იყო, არც ქალი, არც მათი ოჯახის წევრი რომელიმე. როგორც მერე, დიდი ხნის შემდეგ გავიგე, მივდიოდით თურმე ბათუმში და მერე იქიდან გემით სტამბოლში. რატომ უნდა ჩამოსულიყო დედა ბათუმში რამდენიმე დღეში, არ ვიცი. ალბათ რალაც საქმეები იყო მოსაგვარებელი თბილისშიც და ბათუმშიც. ე.ი. იდგა 1921 წლის ზამთარი. ამ თემაზე ლაპარაკს მამაჩემი მთელი ცხოვრების მანძილზე ერიდებოდა (გასაგებია, რატომაც) და ამიტომ მე ამ ამბავს აღწერ ისე, როგორც მახსოვს. მახსოვს კი, მატარებელში ბატონი ნოე ყოველ წუთს გრაფინიდან ისხამდა წყალს ჭიქაში და სვამდა. ლაპარაკობდნენ ცოტას და ჩუმად. ვაგონის ბოლოში ეკიდა გრძელი მძივებით აწყობილი ფარდა, რომელიც მრგვალი შუშის მძივებით ბოლოვდებოდა. მე ჩუმად მოვწყვიტე მრგვალი მძივი და, რა თქმა უნდა, მძივების მთელი რიგი ჩამოიშალა. მამაჩემი წამოხტა და ძალიან გამიჯავრდა. „რას შვრები, საშა, ქვეყანა იქცევა და შენ კი ამ სისულელეზე უჯავრდები ბავშვს. აილე კუკუშკა (ასე მეძახდნენ მამინ) ყველა“.

ბათუმს საღამოსთვის ჩავალწიეთ და მე და მამა წავედით დეიდაჩემთან, რომელიც მეუღლესთან, ვასო ცაბაძესთან ერთად მამინ ბათუმში ცხოვრობდა. ამ ტრაგიკულ ოჯახზე შემდეგში გესაუბრებით. მამა დილას გადიოდა და გვიან საღამოს ბრუნდებოდა სახლში. ის დიდხანს ეთათბირებოდა ძია ვასოს. დეიდა თავს მევლებოდა, მაგრამ მე მამაჩემის მეტი არავინ მინდოდა და ხშირად ვტიროდი. მგონი მესამე დღეს მამა ადრე დაბრუნდა და მითხრა სახლში ვბრუნდებითო. მე ძალიან გავიხარე. მერე ჩვენ ვი-

ყავით პორტში. იქ საშინელი აურზაური იდგა. უამრავი ხალხი მოძრაობდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, ყვიროდა. მე ვტიროდი, მამას ხელში ვეჭირე, მამშვიდებდა. ჩვენ მივუახლოვდით ადამიანების ერთ ჯგუფს – მათში ბატონი ნოე ხომერკი ამოვიცანი. გამიცინა, ლოყაზე მომეფერა, მე მამას ვეკვროდი. „საშა, ნუ შვრები სისულელეს“ – უთხრა ბატონმა ნოემ. „არ შემიძლია, მე ვბრუნდები“ უპასუხა მამამ. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. „რა ატირებთ?“ გავიფიქრე მე. მამა სხვებსაც გამოეთხოვა და ჩვენ წამოვედით. ამ დროს მე აღმოვაჩინე, რომ მატარებელში მოპოვებული მძივი დამიკარგავს. „მამა, ჩვენი ბრილიანტი დაკვარგ“ – ვიყვირე მე და ხმამაღლა ავტირდი. „ბატონო ალექსანდრე, ბავშვმა ეს რატომ უნდა იცოდეს?“ შემოუბრუნდა ერთი, როგორც მე მომეჩვენა მამინ, ხანდაზმული ქალი. ვინ იყო, რატომ იყო პორტში, არ ვიცი, მხოლოდ მახსოვს, რომ გვა-რად ოკუფავა იყო.

მატარებლის სადგურზე მამა თბილისისაკენ მიმავალ რომელიმე მატარებელზე მოწყობას ეცადა. ძალიან ჭირდა. მერე სადგურის უფროსმა ჩვენ და კიდევ რამდენიმე მგზავრი საბარგო ვაგონში („ტელუშკაში“) მოგვათავსა. იქ კიდევ დავგვხვდა ხალხი. ყველანი იატაკზე ისხდნენ. ჩვენც მოვთავსდით. მამამ პიჯაკი დამიგო. დავიძარით. მე მამას ვიყავი მინდობილი და ზედმეტად ხმას არ ვიღებდი. გვიან ღამით საშინელმა ხმაურმა გამომალღიძა. მამაჩემს გულზე ვყავდი მიკრული. ისმოდა სროლა. მატარებელი გაჩერდა. ვილაცა კაცმა თავი შემოყო ვაგონში და დაიყვირა: „დანქით, ბანდიტებია!“ ჩვენ ყველანი ისედაც იატაკზე ვისხედით. სროლა და ყვირილი წინა ვაგონებიდან ისმოდა, ჩვენ კი ბოლო ვაგონში ვისხედით. რამდენ ხანს გაგრძელდა ეს კომშარი, არ ვიცი. უცებ მატარებელი ადგილიდან მოწყდა და გაქანდა საშინელი სისწრაფით. როგორც მერე გამოირკვა მემანქანემ სწორედ ამით შესძლო ბანდიტებისაგან თავის დაღწევა. შემდეგ მატარებელი ხან ნელა მილოლავდა, ხან დიდი ხნით ჩერდებოდა, ისე, რომ თბილისში გვიან ღამით ჩამოვალწიეთ. სადგურზე ოდნავ ბუფტავდნენ ლამპინები, იდგა სრული სიჩუმე. ციოდა. ჩვენ მოგვიახლოვდა სამხედრო დაბამბულ სურთუქში („ტელოგრიეკაში“), ფეხთ ეცვა უხეში ჩექმები, თავზე ეხურა ქუდი ნაწვეტებული ნაშონაზარდით, მხარზე თოფი ჰქონდა მოგდებულ. მე ჯერ კიდევ იმ თავდასხმის შიში მქონდა გამოყოლილი, ავეკარი მამას და ტირილით ვუთხარი: ხომ გითხრეს, რომ იქ მოგვეკვლავნენო. მამამ პირზე ხელი ამაფარა. „გაჩერდი, კუკუშკა, გაჩერდი. არავინ არაფერს გვერჩის“. ქუდთან ხელის მიტანით მიესალმა მამას სამხედრო, მომიტრიალდა, „ვინ გითხრა, რომ ჩვენ მოგკლავთ? ტყუილია ეგ!“ მერე ჩააცურა ხელი უბეში, ამოიღო იქიდან გაზეთში გახვეული ჭადის ნაჭერი, მომანოდა, გამიღიმა და მითხრა „ჭამე, გოგონი!“. მამამ მადლობა გადაუხადა, ხელის ჩამორთმევით გამოეთხოვა და ჩვენ წავედით. მე კი უფრო გემრიელი რამ, ვიდრე ის ცივი ჭადი იყო, არაფერი მიჭამია. მე კისერზე ვეჯექი მამას და ჩვენ ფეხით შევუდექით შორეულ გზას სადგურიდან მთანმინდამდე. იქ ფუნთუკილიორის ძირში, ყიფიანის 29 ნომერში, პატარა კერძო სახლში ცხოვრობდა მამიდაჩემი მარო, მეუღლე ცნობილი პოეტის ნოე ჩხიკვაძისა. მივდიოდით დიდხანს, და ბოლოს, როგორც იქნა მივალწიეთ მიზანს. როდესაც მივუახლოვდით სახლის

აივანს, დავინახეთ, რომ ოთახში ნავთის ლამფა ენთო. ე.ი. არ ეძინათ. მამამ დააკაკუნა. „ვინა ხარ?“ გაისმა მამიდა მაროს შეშფოთებული ხმა. „საშა ვარ“ ხმადაბლა უპასუხა მამამ. „საშა ქალაქში არ არის, ვინა ხარ?“ მამას გაეცინა და მეგრულად ხმამაღლა დაელაპარაკა დას. შეხვედრა იყო გულამაჩუყებელი, მით უმეტეს, რომ დედაჩემიც იქ იყო. დედა იმ დროს ცუდად ფლობდა ქართულს, მამიდა კიდეც უარესად რუსულს, მაგრამ მათ ერთმანეთისა ბოლომდე ესმოდათ და სრული იდილია სუფევდა.



ალექსანდრე აბაშელის ბიძაშვილები: გრიშა, მიხეილ და ალექსანდრე ჩოჩიები (პეტროგრადი. 1913 წელი)

### კონსერვატორია

როდის წამოვედით მთავრობის სასახლის ბინიდან, არ მახსოვს. როგორც მე ვიცი, მამამ ლიტფონდში რალაც თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა. ჩვენ გადავედით მშვენიერ ბინაში, ყველა სათავსოთი, მეორე კონსერვატორიის შენობაში. შენობა იდგა ტროცკის ქუჩა 8-ში. შემდეგ ამ ქუჩას პეტრე დიდის ქუჩა დაერქვა, შემდეგ ძერჟინსკისა და ბოლოს, მადლობა ღმერთს, პავლე ინგოროყვასი. მე ჯერ კიდევ თორმეტი, ცამეტი წლის ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც ვიგრძენი, რომ ჩემს ცხოვრებაში დაიწყო ახალი პერიოდი, უფრო სისხლსავსე და საინტერესო.

ამ ქუჩაზე ჩვენ შვიდი თუ რვა წელი ცხოვრობდით და ის მე ძალიან შემეყვარდა. ჩვენი ქუჩა არც განიერი იყო და არც ძალიან გრძელი. ქუჩას ლამაზი სახლები ამშვენებდა. სავალი ნაწილი ქვაფენილით იყო დაფარული. ავტომობილი იმ დროს იშვიათობა იყო და ძირითადად ფაეტონებით სარგებლობდნენ. დღესაც მახსოვს ცხენის ფლოქვების ჭახაჭუხი და ფლოქვებს ქვევიდან გამოცვენილი ნაპერკლეები, ნალების ქვაზე დარტყმისას რომ ჩნდებოდა.

მოსახლეობა ასე იყო განლაგებული: 7 სახლში ცხოვრობდა მამინ ძალიან ცნობილი ინჟინერი გურამიშვილი (დაიღუპა 1937 წელს), თავის ულამაზეს ცოლთან ერთად, 8-ში ჩვენი ოჯახი, 9-ში გამორჩენილი ადვოკატის პავლე ქავთარაძის (დაიღუპა 1937 წელს) ოჯახი, 10-ში კოტე მარჯანიშვილი ოჯახთან ერთად, ბიძაჩემი ვასო ცაბაძე (დაიღუპა 1924 წელს) ოჯახთან ერთად, 14-ში პავლე ინგოროყვა მეუღლესთან ერთად, იურისტი შალვა მესხიშვილი ოჯახთან ერთად, მათემატიკოსი ბაგრატი ვირსალაძე ოჯახთან ერთად. ამ სახლში დაიზარდნენ ბატონები გივი და ლადო მესხიშვილები, ბატონი სოლიკო და ქალბატონი ელენე (ლოლოტა) ვირსალაძეები, 20 სახლში ცხოვრობდა პროფესორი ირაკლი ტატიშვილი, ივანე ჯავახიძე, აგრეთვე ცნობილი ადვოკატი. პეტრე დიდის ქუჩის სულ ბოლოს, გადამკვეთი ქუჩის კუთხეში საკუთარ სახლში ვახტანგ კოტეტიშვილი (დაიღუპა 1937 წელს) ოჯახით, შემდეგ, მეფეთვის ქუჩაზე, რომელიც ჩვენს ქუჩას აგრძელებდა, ალიოშა აფაქი-

ძე, იქვე კუთხეში არტურ ლაისტი მეუღლესთან ერთად, ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის კუთხეში ტიციან ტაბიძე ოჯახით. ეს მხოლოდ ცნობილ ადამიანთა თანავარსკვლავედი კი არ იყო, არამედ ჩვენი ოჯახის უახლოესი და უძვირფასესი ადამიანები. მახსოვს ერთ ახალ წელს ჩვენ ტიციან ტაბიძის ოჯახში ვიყავით. ბავშვები ნაძვის ხის გარშემო, ხოლო უფროსები სუფრასთან მეორე ოთახში.

უცებ რიტმული ტაშისცემა და როიალის ხმა გაისმა. ბავშვებმა თავები გაყვავით კარებში. დედა ნინო ტაბიძე და პაოლო იაშვილი კინტაურს უვლიდნენ და გრგვინავდა იქაურობა. მერე დედა ნინო გამოჩნდა თოთო დათუნით ხელში და სანოვარიანი ბოთლიდან რძეს ასმევდა. ბავშვებმა ჟივილბივილი ავტუხეთ, მაგრამ დათუნის არ გაგვაკარეს და ნაიყვანეს დასაძინებლად. ცოტა რომ წამოიზარდა დათუნია ზოოპარკში განაწესეს.

შენობა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობდით, როგორც ჩანს, ითავსებდა როგორც სასწავლო საკონსერვატორო, ისე საცხოვრებელ ფუნქციას. ჩვენს თავზე, მეორე სართულზე ცხოვრობდა კონსერვატორიის მაშინდელი პრორექტორი თუ პროფესორი, ცნობილი კომპოზიტორი და დირიჟორი იპოლიტ-ივანოვი მეუღლითურთ. მესამეზე ვოკალის პროფესორი, იტალიელი ვაგი. ჩვენს კორიდორში ხელმარჯვნივ ერთ ოთახში კონსერვატორიის სამი, დიდი იმედის მომცემი სტუდენტი ანდლეულაძე, ცირლილაძე და დონაძე (ან დოლონაძე) ცხოვრობდა. ჩვენ ხშირად გვსტუმრობდა ალექსანდრე მელიქ-ფაშაევი, კონსერვატორიის მაშინდელი სტუდენტი. იქ მოღვაწეობდნენ და მე თითქმის ყოველდღე ახლოს ვხედავდი და ხანდახან კიდევ ოჯახში გვესტუმრებოდნენ ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი. ერთხელ ბატონმა ზაქარიამ დედას მაროს ტირილი შეასრულებინა და როიალზე თვითონ გაუნია აკომპანემენტი. მერე უსაყვედურა, რომ დედამ თავი დაანება ვოკალს.

სწორედ აქ, ამ შენობაში მოხდა განხეთქილება ზაქარია ფალიაშვილსა და დიმიტრი არაყიშვილს შორის. რა იყო ამის მიზეზი, მე ვინ მომახსენებდა, მაგრამ მათი ხმამალალი ლაპარაკი აუდიტორიიდან მოისმოდა, რასაც არაყიშვილისაგან კარის მოჯახუნებით გამოსვლა მოჰყვა. მამაჩემისა და დედაჩემის ცდას კონფლიქტის მოგვარებისა შედეგი არ მოყოლია. როგორც ცნობილია, ისინი ისე წავიდნენ ცხოვრებიდან, რომ არ შერიგებულან.

საქართველოს სტუმრობდა და კონსერვატორიაში ცხოვრობდა იმ დროს სახელგანთქმული, უნაზესი ხმის მფლობელი დარია სპრიშევსკაია და კიდევ უფრო სახელგანთქმული, უძლიერესი და ულამაზესი ხმის მფლობელი კიპარენკო-დამანსკი. როდესაც ისინი მღეროდნენ, ქუჩის მეორე მხარეს მდგარი სახლის ყველა ფანჯარა იღებოდა, ამ დიდებული კონცერტის მოსასმენად.

**აისიდორა დუნკანი**

ზუსტად არ მახსოვს, მგონი 1925 წელს, თბილისში ჩამოვიდა აისიდორა დუნკანი. მის პატივსაცემად კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა პერინის საბალეტო სკოლის მოსწავლეთა ცეკვის საღამო. აისიდორა დუნკანი გახლდათ დამაარსებელი და პირველი შემსრულებელი შიშველფეხება ცეკვის. სწორედ ამიტომ, ჩვენი გოგონებიც ფეხშიშველები ცეკვავდნენ. მე ამისთანა კონცერტს როგორ მოვაკლდეოდი და მივენებე ჩემს მშობლებს. დამსწრე საზოგადოებამ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო სტუმარს, აპლოდისმენტებით, ყვა-ვილების თაიგულებით, დასვეს პირველ რიგში საპატიო ადგილას. ამავე რიგში ისხდნენ იპოლიტ-ივანოვო, ვაგი და მთელი საკონსერვატორიო ადმინისტრაცია. აისიდორა ერთხანს გაუძირველად იჯდა და დიდი ყურადღებით თვალს ადევნებდა ცეკვებს. უცებ მკვეთრი მოძრაობით წამოდგა, ძირს დააგდო ვარდების თაიგული, რომელიც ხელში ეჭირა და ინგლისურად არც თუ ჩუმი ჩალაპარაკებით, გაგულისებულმა დატოვა დარბაზი. ბუნებრივია, დარბაზი აღელდა, ვილაცყები გაყვნენ მას (მეც, რა თქმა უნდა, მათ შორის). ის კიბესთან იდგა. ხალხი აღშფოთებული იყო მისი უტაქტობით. მას მიუახლოვდა შავი ზორტით ცალთვალ-ახვეული მამაკაცი (როგორც მერე დედამ მითხრა, დარბაზის ადმინისტრატორი ვინმე აბაშიძე) და ინგლისურად დაელაპარაკა. აისიდორა განრისხებული სახით, შესტიკულაციით პასუხობდა, მერე მოტრიალდა და გაუჩინარდა. ვილაცყებმა გააცვილეს. საშინლად არ მოეწონათ აისიდორას ცეკვები, თქვა აბაშიძემ, ისინი უხეშად ცეკვავდნენ, არ იცნობენო ფეხშიშველა ცეკვების ტექნიკას და მას არ უნდა, რომ ეს დასი მის სახელს ატარებდესო. დღესაც კარგად მახსოვს რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე აისიდორა დუნკანის ჩაცმულობამ. ის ძალიან ელეგანტური იყო. ეცვა ხასხასა აგურისფერი აბრეშუმის კაბა, იმავე ფერის ჟაკეტი-ნახევარპალტო, მხოლოდ მკვრივი ნაჭრისა, თავზე დიდი ბერეტი ეხურა, ისიც აგურისფერი, რომლიდანაც ქვევით ეშვებოდა სირაქლემას ფაფუკი ფრთა ისევე აგურისფერი, თანდათან ბოლოსაკენ ლიმონისფერში გარდამავალი. ერთი სიტყვით, გარეგნობა შესანიშნავი ჰქონდა. იყო მაღალი, ტანადი, მოხდენილი, ამაყად თავანუული, მაგრამ, ლამაზი მაინც არ ეთქმოდა. ხელში სქელ ჯაჭვზე დაკიდული ლორწოეტი ეჭირა.



ალექსანდრე, მედეა და ეკატერინე აბაშელები

**არტურ ლაისტი**

ჩვენს ძვირფასსა და მუდმივ სტუმრებს ერთი წევრი შემოემატა. არცთუ იშვიათად გამოივლიდა ხოლმე არ-

ტურ ლაისტი. ის იყო ტანხმელი, მუდმივად შავი პიჯაკი ეცვა, ჟილეტით, თეთრი გახამებული პერანგი შავი ბაფთით, შავი, თეთრზოლიანი შარვალი. ჩემს მუდმივ ყურადღებას იპყრობდა მისი საათის ძენკვი, მედალიონებითა და ბრელოკებით შემკული. მას მუდამ ანერვიულებდა, რომ არ მომენწყვიტა რომელიმე და თითის დაქნევით მაფრთხილებდა. ქართულს საკმაოდ კარგად ფლობდა. მოვიდა ამბავი, რომ ბატონი არტურ ლაისტი ავად გახდა, როგორც მახსოვს ფილტვების ანთებით. მამამ რამდენჯერმე მოინახულა. მაგრამ მას დიდხანს არ უავადმყოფია, სულ მალე გარდაიცვალა. მამა სასწრაფოდ გაემართა იქ და დიდხანს არ დაბრუნებულა. როდესაც მოვიდა, დედას ჩუმად უთხრა, მაგრამ მე გავიგონე, „რა უცნაური ქალია მისი ცოლი, ქმრის საპარადოდ გამოწყობილი ცხედარი სავარძელში ჩაუსვამს და ისე ლებულობს მომსვლელს“. ერთი დავიდარაბა დასჭირვებია მის კუბოში გადასვენებას. ბატონ არტურ ლაისტის დამსახურება საქართველოს მიმართ საყოველთაოდ ცნობილია და ის დიდის პატივისცემით მიაცილა მაღლიერმა საზოგადოებამ დიდუბის პანთეონამდე.

ისე ლაისტის ცოლს (როგორც მე ვიცი, ის გერმანელი იყო), სამწუხაროდ, არ მახსოვს მისი სახელი, მე მაშინ საშინლად ბრაზიან ქალად აღვიქვამდი.

ის ხშირად დადიოდა ჩვენთან და სულ შენიშვნებს მაძლევდა, არ მოსწონდა როგორ ვაკეთებდი „კნიკს“, დაუსრულებრივ მამეორებინებდა და ასე მანვალებდა. მაგრამ ერთხელ, როცა გერმანიიდან დაბრუნდა, საჩუქრად მომიტანა უბრალო, ქარვისფრად შეღებილი მძივები და ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. სამწუხაროდ, მძივებს მალე გადაუვიდა ფერი.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ მან ძალიან მოუხშირა მამასთან სიარულს, საათობით იჯდა და ჰქონდა დაუსრულებელი სხვადასხვა მოთხოვნა, განსაკუთრებით მოითხოვდა ბიუსტის დადგმას საფლავეზე (მამაჩემს რა შეეძლო). სანყალ მამაჩემს ძალ-ღონე ეცლებოდა, მაგრამ როგორ აგრძნობინებდა მას. და, აი, ერთხელ მე ფანჯრიდან დავინახე, რომ მაღამ ლაისტი მობრძანდებოდა. მამას არაფერი შევატყობინე, გავაღე კარი და ვუთხარი, მამა არ არის სახლში-მეთქი. მე დავუცდიო, მიპასუხა, დიდხანს არ მოვა-მეთქი. ის გაბრაზებული გამოორდა. და მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. მამაჩემმა, რომელმაც არა იცოდა რა, გამოალო ფანჯარა და მკითხა, ვინ იყოო. სწორედ ამ დროს ეზოდან გამავალმა მაღამ ლაისტმა მოიხედა და დაინახა მამაჩემი. მეორე დღეს მამამ მიიღო მისგან წერილი. ღმერთო, ეს რა წერილი იყო! უსაზღვრო ბოლმა გადმოანთხია და სალანძღავი სიტყვა არ დაიშურა. დიდი უმადურობა დაინახა ლაისტის ხსოვნისადმი. მამაჩემი გაოგნებული დარჩა. მე იძულებული ვაგხდი მეთქვა, რაც მოხდა. მა-

მა აღშფოთდა და საოცარი საყვედურით ამავსო. მე ავტირდი, მაგრამ მამა ისე იყო გაბრაზებული, რომ არ დამიყვავა, არ მაპატიო. იმავე საღამოს ეახლა მამა მადამ ლაისტს, აუხსნა გარემოება, მაგრამ ამ ქალბატონის გულის მოგება ვერ შეძლო. მხოლოდ ორი თუ სამი კვირის შემდეგ აღდგა ურთიერთობა და მადამ ლაისტი ჩვენთან მოვიდა. ჩემთან ურთიერთობის აღდგენას ბევრად მეტი დრო დასჭირდა.

**ბრიგოლ როპაქიძე**

რალაი ჩვენი ოჯახის სტუმრებზე ვსაუბრობთ, არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი, დაკავშირებული ბატონ გრიგოლ როპაქიძესთან. ბატონ გრიგოლს ძალიან უყვარდა მამაჩემი და დიდ პატივს სცემდა მის პიროვნებასა და შემოქმედებას. ხშირად მოდიოდა მამასთან. მათი საუბრის თემა, როგორც მე მახსოვს, უმთავრესად ვაჟა-ფშაველას ეხებოდა. და მართლაც, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა პირველი სრული კრებული ალექსანდრე აბაშელის რედაქტორობით გამოვიდა, რომლის მომზადებასაც მამამ მრავალი წელი მოანდომა.

ერთხელ ერთმა ბიჭმა სკოლაში თეთრი უკუდო თავი მარჯუა (თავი უკავშირდება ეპიზოდს, რომლის მოყოლასაც ვაპირებ). ის ძალიან სასაცილო და სიმპატიური იყო და მე თავი სახლში მოვიყვანე. მიუხედავად დედაჩემის პროტესტისა, ის მე და მამამ გავბანეთ, გავაკრიალეთ და მალე თავუნა ჩვენი ოჯახის ნამდვილი წევრი გახდა. ლეკვივით დასდევდა მამას, ცოცდებოდა მის ლოგინზე, მასთან ერთად ეძინა.

ერთხელ ბატონმა გრიგოლმა მოინახულა შეუძლოდ მყოფი მამა. მობრძანდა, როგორც ყოველთვის, გამოწკეპილი, თეთრ უზადო კოსტუმში, მოხერხებულად ჩაჯდა სავარძელში, მოიხადა კანატიე, გადაიდო ფეხი ფეხზე, მოიკითხა დედა, მომითათუნა მე ხელი ლოყაზე და დაიწყო მათი მშვიდი საუბარი. მე ოთახიდან გავედი. ამ დროს თავგმა თურმე მამაჩემის მხართან თავი ამოყო და ისევ დაიძალა. ბატონი გრიგოლი დაიძაბა და გაოცებით შეხედა მამას, და რომ დაინახა მშვიდად იყო, განაგრძო საუბარი. ცოტა ხნის შემდეგ თავგმა ისევ ამოყო თავი და ისევ დაიძალა. ბატონმა გრიგოლმა ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან, შუბლზე მოისვა და სთქვა: „საშა, იცი, მე მგონი ავად ვხდები“. თავი ისევ გამოძვრა. „საშა, მე ჰალუცინაცია დამემართა!“ მამამ გაიღიმა და ჰკითხა „რა იყო, გრიგოლ, თეთრი ეშმაკუნები ხომ არ გელანდებ?“ ბატონი გრიგოლი სერიოზულად აფორიანდა, აბორგდა, მაშინ კი მამა წამოხტა ლოგინიდან: „დაწყნარდი, თუ ღმერთი გნამს, გრიგოლ, გეხუმრე კაცო, ჩემთან თეთრი თავი ცხოვრობს“, ამოიყვანა თავი და დაანახა იგი როპაქიძეს. ამ ხმაურზე მე შემოვედი ოთახში. არასოდეს დამავინწყებდა რა დაემართა ბატონ გრიგოლს. ის წამოხტა, დაიწყო იატაკზე ფეხების ბაკუნნი, ყვირილი. „შენ უსინდისო ხარ, რა ხუმრობაა ეს, კინალამ გული გამისკდა“. წასვლა დააპირა, დაიძრა კარისკენ, მამა გადაუდგა, ბოდიში მოუხადა, მოეფერა და ყველაფერი მოგვარდა.

**აბასთუმანი**

1924-25-26 წლებში ჩვენ აბასთუმანში ვისვენებდით. 1924 წლის ადრეული ზაფხული იყო თბილი და უწვიმო. როგორც ეხლა ვაფასებ, შეკრებილი იყო ნარჩევი საზოგადოება. ჩვენ ვცხოვრობდით ერთ დიდ სახლში, რომელიც მდინარე აბასთუმანის ნაპირზე გაშენებულ მშვენიერ ბაღში იდგა. ზუსტად ჩვენს პირდაპირ, მდინარის მეორე ნაპირზე იდგა მომცრო ერთსართულიანი ხის სახლი, დიდი დაბალი აივნით. ხშირად დამინახავს, რომ იმ სახლთან თოფიანი სამხედრო მიმოდოდა. ხალხი იმ სახლს „ჩკ“-ს ეძახდა. ეხლა უფრო მსუბუქი სახელი „სუკი“ ქვია.

ჩვენს თავზე, მეორე სართულზე, ცხოვრობდნენ სულ ახლახან დაქორწინებული მერაბ ვაჩნაძე და ნატო ვაჩნაძე. ღმერთო, რა ლამაზი იყო ნატო! მესამე სართულზე შალვა ნუცუბიძე ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, ჩვენს პირდაპირ ნადეჟდა ბუზოლი. იმავე სახლში დაქირავებული ჰქონდა ოთახი და ხშირად ჩამოდიოდა ბატონი ზაქარია ფალიაშვილი.

ბედნიერი ზაფხული იყო. შეიკრა გოგოებისა და ბიჭების მხიარული წრე, ზოგიერთ მათგანთან მთელი ცხოვრება ვემეგობრობდი (მათზე შემდეგ ვილაპარაკებ). ცენტრალურ პარკში დღეში ორჯერ შესანიშნავი სიმებიანი ორკესტრი უკრავდა. ჩამოდიოდნენ მუსიკოსები: სტუპალი, იაშა ბროცკი, კოზმინსკაია, კაპელნიცკი. მათ მნიშვნელობასა და სახელებს დედაჩემი მაცნობდა და დღემდე მახსოვს. ისინი დიდ შემსრულებლებად ითვლებოდნენ. კლუბში იმართებოდა კონცერტები დამსვენებლების მონაწილეობით. გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ნატო ვაჩნაძემ, ქეთევან მესხიშვილმა, ადვოკატ შალვა მესხიშვილის მეუღლემ, ირინა კოპაძემ. მათ პატარა სცენა გაითამაშეს და ტაში დაიმსახურეს. იმღერეს დედაჩემმა და ნადეჟდა ბუზოლიმ. მერე სცენაზე გამოჩნდა აკადემიკოს ბერიტაშვილის მეუღლე. მან გადაიჯვარედინა ხელები გულზე, წამოიწყო რომანსი „მნე ვოსენდაცატ ლეტ“. უცებ დარბაზიდან გაისმა შალვა ნუცუბიძის ხმა „უჟ დავნო, დოროგაია, დავნო!“ მიუხედავად ამისა, სიმღერას დიდი წარმატება ხვდა. დარბაზში ხომ ახლობლები და მეგობრები ისხდნენ.

ერთხელ შევამჩნიეთ, რომ ჩვენს ოთახში ბზიკები აბზუილდნენ. ისინი იატაკიდან, პატარა ჭუჭრუტანიდან ნელა ძვრებოდნენ და შემდეგ ფრინდებოდნენ. მამამ თავპირი პირსახოცით აიკრა ჩაღმასავით, შეიარაღდა მაკრატლით, ფეხებგაშლილი ახლო მიუჯდა ჭუჭრუტანას და როგორც კი თავს ამოყოფდა კრაზანა, მაკრატლით თავს აკვეთდა. ბოლოს ძალიან დახელოვნდა და მის სიახლოვეს თავმოკვეთილი კრაზანების მთელი გროვა გაჩნდა. დედა იცინოდა, მე სიხარულით ვხტოდი და ტაშს ვუკრავდი. ამ ყოფაში ვიყავით, რომ ხმაურზე ბატონი შალვა ნუცუბიძე შემოვიდა და, მამაჩემის პოზას რომ თვალში მოკრა და გაერკვა სიტუაციაში, ხმამაღალი ხარხარი მორთო - „ხალხნო, ეს მზის პოეტი რა ქარაფშუტა ყოფილა, ხალხნო!“ გაიძახოდა იგი. „აგერ იქ მეორე ჭუჭრუტანაა და საქმისათვის სჯობს იმას მიხედო“ მოუბრუნდა ბატონ შალვას მამაჩემი. „მე რა, ზოგიერთებივით სულელი კი არა ვარ“ მერე დედაჩემს მიუტრიალდა „კატია, ერთი მაკრატელი მეც მომეცი.“ მერე ოხ-

ვრა-ხვნივით ბალიშზე მოეწყო მეორე ჭუჭყრუტანასთან და ტანჯვა-წვალებითა და მამაჩემის ლანძღვით იმავე საქმეს შეუდგა. ამ სურათს ბატონი ზაქარია ფალიაშვილი შეესწრო, ჰომერიული ხარხარი აუტყდა და მუხლებზე ხელების რტყმით ოთახში სირბილი დაიწყო. მერე უცებ პირზე ხელი იტაცა და საშინლად იყვირა. მისი ენა რუმბს დაემსგავსა და ენის წვერზე კრაზანა ეკიდა. იმის მოყოლა, რაც მოხდა, მერე ძნელია, ეს უნდა გენახათ. გასიებულ ენაგამოყოფილი, ოთახში მორბენალი ბატონი ზაქარია, იატაკზე განრთხმული და მოხარხარე მამა და ბატონი შალვა და დედაჩემი დანით ხელში, ბატონ ზაქარიას მადეგარი, რათა ნაკებენუე ცივი ლითონი მიედო. მადლობა ღმერთს, ქარიშხალი ჩადგა და მშვიდობამ დაისადგურა. დამსვენებლები კი კიდევ დიდხანს იცინოდნენ ამ ამბავზე.

ცა იყო უღრუბლო და თითქოს რაიმე ცუდს არაფერი მოასწავებდა. მაგრამ, თანდათან რალაც შემაშფოთებელი და ჩემთვის გაუგებარი ხმები დაირხა. ხალხი შეწუხებული ხვდებოდა ერთმანეთს და რალაცაზე ჩუმად, მაგრამ აღელვებით ლაპარაკობდნენ. ბევრი თბილისში (ტიფლისში, ასე ეძახდნენ მაშინ) სასწრაფოდ წასვლას დაეშურა მაგრამ ძალიან ცოტას გაუმართლა. შეწყდა ავტობუსების (ავტოტრანსების) რეისები აბასთუმნიდან ბორჯომამდე.

ბორჯომიდან კი მატარებლით ან ავტობუსით შეიძლებოდა თბილისში გამგზავრება. მამაჩემი დარბოდა და გამგზავრების რალაც საშუალებებს ეძებდა. და, აი, ერთ ღამეს ჩვენს კარებზე ხმამალა დააბრაზუნეს. მე გამეღვიძა. დედა და მამა სწრაფად იცვამდნენ, ბრაზხუნი არ წყდებოდა. მამამ კარი გააღო და ოთახში სამი კაცი შემოვარდა. მათ შორის ერთი სამხედრო, ორი სამოქალაქო პირი. ერთ-ერთს ჩალის ქუდი ეხურა. მე შეშინებული ავტირდი და ბალიშში ჩავრგე თავი. „ჩავგაბარეთ იარაღი, მიმოწერა და პროკლამაციები.“ დედაჩემი აკანკალებული იდგა, მამაჩემი მშვიდად და თავდაჭერილად პასუხობდა. „არავითარი იარაღი, არავითარი პროკლამაცია არ გამაჩნია, მიმოწერა არა, მაგრამ ხელნაწერი მაქვს, მე, მოგეხსენებათ, ლიტერატორი ვახლავართ“. „დაძებნეთ!“ ბრძანა სამხედრომ. მალე მთელი ბინა ამოყირავდა, ჩემი ლეიბიც დაქექეს. რა თქმა უნდა ვერაფერი ნახეს ხელნაწერის გარდა. მამას უბრძანეს ჩაცმა და თბილების წამოღება. მამა დედას მოუბრუნდა და მშვიდად უთხრა: „ნუ გეშინიათ, ეს რალაც გაუგებრობაა“ (თურმე ამ ფრაზით გადიოდნენ სამუდამოდ სახლიდან მრავალი წლის განმავლობაში). „კუუკუშკა, დედას დაუჯერე“. მითხრა და გაყვა მომხდურებს. მათ გაგვაფრთხილეს, რომ რვა საათს მერე ქუჩაში არ გავსულიყავით. როგორღაც მე შევამჩნიე, რომ დედაჩემი, ბიცოლაჩემი, მამაჩემის ბიძაშვილის მიხეილ ჩოჩიას ცოლი, ყოველ ღამეს ბალის ბოლოში ლოპესთან იწვნენ და მდინარის გადაღმა მდგარ „ჩკ“-ს სახლს აკვირდებოდნენ. შემდეგ ღამეს მე მათთან ერთად ვიხიე ლობემდე და იქ ალბათ ორი-სამი საათი ვინექით. ასე გრძელდებოდა რამდენიმე ღამე. მე

ხშირად იქვე ჩამეძინებოდა, მაგრამ სახლში ჩემ დარჩენაზე სიტყვის გაგონებაც არ მინდოდა და ვერავინ მაიძულებდა ასე მოქცეულიყავი. გამთენიისას მივხიზავდით სახლში. ჩვენ ვხედავდით, რომ ვილაც ხალხი მოყავდათ მანქანით ან ფეხით, ვილაც სადღაც მიყავდათ. ბოლოს მამაჩემიც დავინახეთ. კურორტის მთავარი ექიმი აბაკელია, დამსვენებელი ძნელაძე, ექიმი თევზაძე და სხვები. ისინი ჩასვეს ავტობუსში და წაიყვანეს. დაიწყო დედაჩემის მოწამებრივი სირბილი რაიმე ტრანსპორტის საშოვნელად. დამსვენებლებიდან ზოგმა ადრე მოახერხა წასვლა, დარჩენილები კი ჩვენსავით უსასოონი იყვნენ. იმ დროს აბასთუმანში ისვენებდა ვინმე კოსტენკო, ჭლექით იყო ავად. ის თავს ასაღებდა „ჩკ“-ს პასუხისმგებელ თანამშრომლად და, მიუხედავად ამისა, თურმე წერდა ლექსებს. ის აკითხავდა ხოლმე მამას და მოჰქონდა ახალი ლექსები გასაცნობად და შესაფასებლად. მამა ითმენდა მის ვიზიტებს და, ბუნებრივია, ერიდებოდა მის წყენინებას. მამაჩემის დაპატიმრების შემდეგ ის ჩვენსას აღარ გამოჩენილა. დაუსრულებელი და უშედეგო ხლაფორთის შემდეგ დედამ, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად უჭირდა, გადაწყვიტა მასთან სათხოვნელად მისვლა. სხვა გამოსავალი არ იყო და დედა მივიდა. კოსტენკო დაპირდა და სახლში დაცდა დაავალა. მე



ილია თუთბერიძე

შეგატყობინებთო, უთხრა. მეორე დღეს ის მართლაც მოვიდა და დედას უთხრა, რომ რამდენინე დღეში გაგვამგზავრებდა, მაგრამ დედამ უნდა გადასცეს მისი წერილი გრიბოდოვის რალაც მისამართზე ვილაცა პერსონას, რომელიც მამაჩემის განთავისუფლებაში დაგვეხმარება. მისი წასვლის შემდეგ შეიკრიბა საბჭო დედაჩემის, ბიცოლაჩემისა და პატიმარ ძნელაძის დის შემადგენლობით. როგორ მოვიქცეთ, გავხსნათ თუ არა წერილი? რა არის შიგ? ბიცოლამ ბრძნული გადაწყვეტილება მიაღებინა შეკრებილებს. წერილი უნდა გავათხოთ ლამფაზე და დანით ფრთხილად გავხსნათ. ასეც მოიქცნენ. წაიკითხეს! სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. წერილში ეწერა, რომ ნინა ბერეჟნიკა (რუსეთიდან ჩამოსული ბავშვიანი სიმპატიური ქალი) არ არის სანდო და რომ ის ეფარება თავის პარტიულ ბილეთს – სხვა არაფერი, მაგრამ სრულიად საკმარისი მის დასაღუპავად. საშინელი რისკის ფასად დედაჩემმა გადაწყვიტა წერილის დანვა, მაგრამ ჯერ არ შეეძლო. შეიძლება კოსტენკოს მოეკითხა წერილი. მასთან შეხვედრის თავიდან ასაცილებლად სახლიდან არავინ გავდიოდით. ღამის ორ საათზე კოსტენკომ ფანჯარაზე დააკაკუნა და გვითხრა: „სასწრაფოდ მოემზადეთ, წამოდით უბარგოთ, ადგილი მხოლოდ ერთია. წადით ეკლესიასთან და დაელოდეთ, იქ მოვა ავტობუსი, რომელიც სამი საათისათვის გავა. ჩემი სახელი არ ახსენოთ, ყველაფერი გაკეთებულია. წერილის გადაცემა არ დაგავიწყდეთ“. მას რომ თავისი წერილის ჩვენება მოეთხოვა, დედას ეს შეეძლო. ვიდექით ცოცხალ-მკვდრები. ის ნავიდა. დედაჩემმა ამოისუნთქა. ხუთ წუთში მოვემზადეთ. ბარგი დაუტოვეთ ბიცოლას და ჩვენ წავიდით. ბი-

ცოლა თავის ორ შვილთან ერთად რჩებოდა. ბიძაჩემის, მიხეილ ჩოჩიას ჩამოსვლას ელოდნენ.

ქუჩაში უკუნი სიბნელე იდგა. ძლივს მივალნიეთ ეკლესიამდე. იქ უკვე იდგა ადამიანების ჯგუფი და რაც მთავარია, ავტობუსი. ჯგუფს გამოეყო ერთი შავ-კოსტუმიანი კაცი და მკაცრად მიმართა დედაჩემს: „ვინ ხართ თქვენ, რატომ მოხვედით. ნაბრძანდით უკან, ეს სამსახურებრივი ავტობუსია და არავითარი ადგილი არ გვაქვს“. ამ დროს ჩვენ მოგვიახლოვდა ერთი ახალგაზრდა კაცი, უფრო ყმანვილი და დედას გვარი ჰკითხა. მერე შებრუნდა და იმ კაცს რაღაც უჩურჩულა. „იდექით აქ, გოგომ არ იხმაუროს“. ვინ დაძრავდა კრინტს. ვიცადეთ დაახლოებით ორი საათი. იწყებდა გათენებას. ჩასხდომა დაიწყო. როცა ყველა მოთავსდა, ჩვენ მიგვითითეს ავტობუსში ზოლო ადგილებზე. ერთი კი არა, ორი ადგილი იყო თავისუფალი. ალბათ ვინმე არ მოვიდა. მოვთავსდით. მტანჯველი ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით ახალციხეში. როგორც მერე მითხრა დედამ გავჩერებულვართ ციხესთან. მგზავრები ჩამოვიდნენ ავტობუსიდან, ზოგი შენობაში შევიდა. ჩვენ დავრჩით ავტობუსში. „რაც ნაკლებად დაგვინახავენ, მით უკეთესი“, მითხრა დედამ. უცებ მე თვალი მოვკარი და დედას დავანახე ის ყმანვილი, ვინც ჩვენ ავტობუსში მოგვათავსა. მას ვილაცქელი ელაპარაკებოდა. უცებ ეს ქალი მოტრიალდა და ავტობუსს მოუახლოვდა, ხელში სანოვაგით სავეს კალათა ეჭირა. მან შემოიხედა ავტობუსში და დედას მიმართა:

„ქალბატონო, ჩვენი ქმრები ერთ კამერაში სხედან, ჯერ არაუშავთ. ეს საქმელი მათთვის მიმაქვს; თბილისში სასწრაფოდ ეცადეთ რაღაც გააკეთოთ“.

„ჩემო ძვირფასო, მე ხომ ვერ მომიხერხებთ მასთან შეხვედრას?“

„რას ამბობთ, საიდან“.

„ვინ ბრძანდებოდა?“

„ცინცაძე ვარ, ნოზაძის ცოლი. ეცადეთ რაღაც გააკეთოთ“. ამოიღო კალათიდან ერთი ნაჭერი პური და ყველი, მომანოდა, გავვილიმა და წავიდა. რაღაი მამა ცოცხალი მოიგუა, დედას რაღაცის იმედი გაუჩნდა.

ერთ საათში ჩვენ დავიძარით. ბედმა გავვილიმა. ბორჯომში ჩასვლისთანავე მოვხვდით მატარებელზე. დედა ძალიან წერვიულობდა. როგორც დიდი ხნის მერე მითხრა, წერილი აწერვიულებდა. ფიქრობდა, რომ ამ წერილის ტრანსპორტირება ახლა შეიძლება ჩვენთვის გამხდარიყო საშიში. წერილი მატარებლის საპირფარეოში შევიტანეთ და დავწვიეთ.

### ისევ თბილისი

თბილისში ჩასვლისთანავე დედა და ბიძაჩემი, მიხეილ ჩოჩია (ცოლ-შვილი რომ აბასთუმანში ჰყავდა), სადღაც წავიდნენ, დიდხანს არ დაბრუნებულან. იქ თურმე დააიმედეს, რომ მამას აუცილებლად გაათავისუფლებენ. დედაჩემისთვის დაიწყო მოლოდინის, უძილო ღამეების ტანჯვა. მე ბოლომდე არ მესმოდა მოსალოდნელი უბედურების საშიშროება, მაგრამ შინაგან თრთოლვას ვგრძნობდი გაუთავებლად. ოთხი დღის შემდეგ მამა ჩამოვიდა. უსაზღვრო

იყო ჩვენი სიხარული. თითქოს ჩვენი ცხოვრება უნდა დალაგებულიყო. მაგრამ ორი კვირის შემდეგ დააპატიმრეს და დახვრიტეს ჩემი მეორე ბიძა, დედაჩემის დის ქმარი, ჩვენი ბათუმის მასპინძელი ვასო ცაბაძე. ის სპეციალობით ეკონომისტი იყო. კოოპერაციის საკითხებზე მუშაობდა, საქართველოში ცეკავშირის ჩამოყალიბებაში ლეზლობა და აქტიურ მონაწილეობას. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ჰქონდა ხელი მოწერილი. ალბათ ეს იყო კომუნისტებისათვის მიუღებელი. ჩვენები მაშინვე ეჭვობდნენ და შემდეგაც ასე ფიქრობდნენ, რომ ვასო ცაბაძე, მეზობლის, ვინმე სკოროხოლოვის დასმენის შედეგად დააპატიმრეს. ეგ კაცი იმავე სახლში ნახევრად სარდაფულ ბინაში ცხოვრობდა და სადღაც, მგონი, დარაჯად მუშაობდა (შემდეგ, 37-ში ისიც დახვრიტეს). დედაჩემმა, ცაბაძის მეუღლემ, ქმრის დაპატიმრება სოფელში გაიგო, სადაც თავის სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა. დედაჩემმა ჩააკითხა სოფელში (სოფელ საციხურში, აგარასთან, ცაბაძეებს ჰქონდათ პატარა სახლი) და გაუბედურებულ დას მოაგვარებინა თბილისში ჩამოსვლა. გავრცელდა ხმა, რომ თითქოს ცაბაძე შეცდომით დაიხვრიტა (თითქოს მას შემდეგ დახვრეტილები სულ კანონიერად დაისაჯნენ), და მთავრობა შეეცადა „დახმარებოდა“ ქვრივს და მას პენსია დაუნიშნეს. დედაჩემი, როგორც არ ეცადა მოეკრიბა მხნეობა, გაძლოდა ცხოვრებას, ვერ გაუძლო და სულ მალე თავი მოკლა. და ჩემს მშობლებს ხელზე დარჩათ გასაზრდელად მისი სამი შვილი – ერთი წლის ალექსანდრე, სამი წლის გიორგი და ხუთი წლის დავით ცაბაძეები. მამაჩემი ოფიციალურად დაინიშნა ამ ბავშვების მეურვედ. მათი ბინა მდებარეობდა ჩაიკოვსკისა და ძერჟინსკის კუთხეში, სულ ახლოს ჩვენგან და მას მერე, მთელი დანარჩენი ცხოვრება, სულ ერთად ვიყავით. მამაჩემის მხრებს დაანვა თავისი ოჯახი და ეს ობლები. მათი პენსია მიზერული იყო. დედაჩემის უფროსი და აგნესა გადავიდა ბიჭებთან საცხოვრებლად. ის უშუალოდ განაგებდა მათ სწავლას, განათლებას, ყოფაქცევას. ბიჭები თითქმის ყოველდღე იყვნენ ჩვენთან, მე მათთან. ცხოვრება შედარებით დაწყნარდა (საუბედუროდ, მხოლოდ ათიოდ წლით). მაგრამ ოჯახს ეკონომიკურად ძალიან უჭირდა. მამაჩემის ჰონორარები, ჯამაგირი ვერ ფარავდა აუცილებელ ხარჯებს. დედამ კერვა დაიწყო და ამით რამდენადმე მაინც ავსებდა ბიჭების საოჯახო ბიუჯეტს. დედაჩემი, მამაჩემი, აგნესა ყოველმხრივ ცდილობდნენ ბიჭებს ობლობა არ ეგრძნოთ. მე მათზე არც უკეთესად მეცვა და არც უკეთესად ვიკვებებოდი. ვიყავით ახალგაზრდები და იმ ყოფამიაც შეგვეძლო ვყოფილიყავით ბედნიერები. ასე გაიზარდა ეს სამი ობოლი და მშვენიერ მოქალაქეებად ჩამოყალიბდა. უმცროსი საშა, კერამიკის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი გახდა, შუათანა გიორგი – ექიმი კარდიოლოგი, უფროსი დავითი – არქიტექტორი. სამივენი მაღალი რანგის პროფესიონალები იყვნენ, განათლებულნი და საინტერესონი და ჩვენს საზოგადოებაში დიდის პატივით სარგებლობდნენ. საუბედუროდ, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია ხანდაზმულ ასაკს, ახალგაზრდები გარდაიცვალნენ. ნათელში იყოს მათი სულები! მაგრამ დღეს მათი შთამომავლობა აგრძელებს სიცოცხლეს. ღმერთმა ბედნიერი ჰყოს ყველა მათგანი.

დავუბრუნდეთ იმ დროს, სადაც შევწყვიტეთ თხრობა. მამა ძალიან მეგობრობდა მუხრან ხოჭოლავასთან. მე ზუსტად ახლაც არ ვიცი, სად მოღვაწეობდა ბატონი მუხრანი, ის საზოგადო მოღვაწე იყო, მგონი თანამშრომლობდა პრესაში, წერდა, მაგრამ ის კი ვიცი ნამდვილად, რომ უალრესად საინტერესო ადამიანი იყო, განათლებული, ენამახვილი, გონებამახვილი და მუდამ მხიარულებას აფრქვევდა ირგვლივ. მამაჩემთან ერთად ფინეთში ყოფნისას (მე მგონი რევოლუციამდე) გაიცნო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხარკოველი რაქილ ალაპინა. რუსეთში დაბრუნების შემდეგ გაგრძელდა მათი (და რა თქმა უნდა მამაჩემისაც) მეგობრული ურთიერთობა, მიწერ-მოწერა, მიუხედავად ამისა, ბატონ მუხრანს მასთან, მე მგონი, მსუბუქი რომანი მაინც ჰქონდა. ის ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, უმთავრესად ჩვენთან ჩერდებოდა. რაქილი ძალზე მომხიბლავი ქალი იყო, ლამაზად აწყობილი, კისკისა. ყოველი მისი ჩამოსვლა ჩვენთან კრებდა მისთვის მგმინავების მთელ კრებულს. მათ შორის, უნდა გამოგიტყდეთ, გახლდათ ბატონი გერონტი ქიქოძეც.

ხანდახან ჩვენს საკონსერვატორო შენობაში გამოჩნდებოდა სულ ახალგაზრდა, ფერმკრთალი, მდუმარე, მძიმე გამოხედვის ტერენტი გრანელი. ჩამოჯდებოდა ფოიეს კუთხეში და ჩუმად კითხულობდა ლექსებს. ვისი ნახვა უნდოდა იქ, არ ვიცი. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ჩემი მამიდაშვილი, ულამაზესი ქეთევან ჩხიკვაძე მონდოდა.

### ქიმიონი

რამდენჯერმე მამაჩემს კაფე „ქიმიონში“ ვყავდი. კაფე რუსთაველის თეატრის სარდაფში მდებარეობდა. კედლები მოხატული იყო ზდანევიჩის, კაკაბაძის, გუდიაშვილის ნამუშევრებით. კაფეში განსაკუთრებულ ნაყინს ამზადებდნენ. შემდეგ ეგ კაფე გააუქმეს, კედლები გადაღებეს და ნლების განმავლობაში იქ თეატრალური მუზეუმი ფუნქციონირებდა. მაშინ კი ის იყო ცენტრი, სადაც იკრიბებოდა თბილისის შემოქმედებითი ელიტა – მწერლები, მხატვრები, მსახიობები. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე განადგურებული დამოუკიდებელი აზრი, ასე თუ ისე შესაძლებელი იყო შეკრება, კამათი, ჯერ კიდევ ლაღობდნენ პაოლო იაშვილი, ტიცინი ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ორკესტრი გრგვინავდა ევგენი მიქელაძის ჯადოსნურ ნკირს ადევნებული, სანდრო ახმეტელი ავსებდა თეატრალურ დარბაზს, ქუჩაში ჩნდებოდნენ სასაცილოდ ჩაცმული ფუტურისტები, მათ შორის მაიაკოვსკი. სერგეი ესენინი, ბორის პასტერნაკი ქართველი პოეტების საძმოს წევრები იყვნენ. ჯერ კიდევ წერდა და ისტამბუბოდა მიხეილ ჯავახიშვილი.

ქალაქში გავრცელდა ხმა იმ სკანდალის შესახებ, რომელიც „ქიმიონში“ მოხდა. სკანდალი მაშინ დაერქვა თორემ, ახლანდელი გადასახედიდან აზარტული, ნიჭიერი, ლალი ბიჭების თამაში იყო. როგორც მე ვიცი, როგორც მაშინ ყვებოდნენ, ცარიელ დარბაზში კუთხის მაგიდასთან რუს სტუმარს მასპინძლობდა გრიგოლ რობაქიძე. ყოფილა დღის სამი თუ ოთხი საათი. დარბაზში შემოსულან პაოლო,

ტიციანი, ნიკოლო მინიშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე (შეიძლება სია არასრულია). მათ დაუნახავთ დარბაზის კუთხეში მჯდარი რობაქიძე და მისი სტუმარი. ურთიერთმიპატიჟება და სუფრა გაერთიანებულა. ყოფილა სადღეგრძელოები, ხუმრობა და ლექსები და როცა ლხინმა აპოგეას მიაღწია, რაღაც შელაპარაკება მოხდა რობაქიძესა და ნიკოლოზ ჩაჩავას შორის. ერთიც წამომხტარა სკამიდან, მეორეც, თითქოს შეებნენ კიდეც ერთმანეთს, „ჩტო ვი რებიატა, ჩტო ვი პოეტი“ – დაბნეული გაჰყვიროდა რუსი. სუფრა არეულა. ოფიციალტები, კაფეს დირექტორი. ამ ორომტრიალში ჩაჩავას ხელი უტაცნია და თავიდან წაუძვრა რობაქიძისათვის პარიკი. რობაქიძეს თავზე ხელები უტაცნია და, ჩემი ქუდიო, უყვირია. ვილაცას მისთვის თავისი კანატიე მიუწოდებია. რობაქიძემ მიატოვა დარბაზი. რობაქიძესა და ჩაჩავას შორის ურთიერთობა ერთხანს დაძაბულა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა.

### პავლე ინგოროყვა

მამას პავლე ინგოროყვასთან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა. იმ პერიოდში და კიდევ დიდხანს ის ხშირად ავადმყოფობდა. გაბმით ახველებდა და სისხლს აყოლებდა ნახველს. მაინც თავდაუზოგავად ენოდა. როგორც კი ბატონი პავლე შეუძლოდ შეიქნებოდა, მამას გამოიძახებდნენ (ახლოს ვცხოვრობდით) და ხშირად მამა იქ რჩებოდა. ბატონი პავლე, როგორც ადრე მოგახსენეთ, ცხოვრობდა იმავე ქუჩაზე, პეტრე დიდის 14-ში. სახლს მდიდრული სადარბაზო ჰქონდა, კედელზე კედლისავე ზომის სარკით. ინგოროყვები ცხოვრობდნენ ოროთახიან ბინაში, სადაც ერთი უშველებელი ოთახი იყო, მეორე შედარებით მომცრო, მაგრამ შესანიშნავი, შავ მარმარილოში ჩაძირული ბუხრით. ბატონი პავლეს მეუღლე, ქალბატონი ქეთევან ბაქრაძე იყო სრულიად არაჩვეულებრივი ადამიანი, განათლებული, ჭკვიანი და ძალიან ლამაზი. ოთახები ხაზგასმით ქალური, დახვეწილი გემოვნებით იყო მოწყობილი. ზომიერების დაცვით იდგა ძველებური „სტატუეტკები“, ჭიქები, ლარნაკები და აუცილებლად ყვავილები. ერთი სიტყვით, ბინა შეეფერებოდა მის მომხიბვლელ დიასახლისს. ერთ ოთახს რამდენადმე ორად ჰყოფდა შავი აბრეშუმის სამკეცი შირმა, რომელზედაც ხასხასა, ეგზოტიკური ფერებით სამი ესპანელი ქალი იყო გამოსახული. მხატვრობა სულ ახალგაზრდა სოლიკო ვირსალაძისა იყო. მთელი ჩემი ბავშვობა 1922-დან 1930 წლამდე დაკავშირებული იყო დეიდა ქეთოსთან. იქვე ვცხოვრობდი და სულ მასთან ვიყავი. ღმერთო, რა კარგი იყო იქ ყოფნა. ის იგონებდა და მიყვებოდა არაჩვეულებრივად საინტერესო ამბებს, ტანთ მომახვევდა ჭრელ შარფებს, თვითონ მიუჯდებოდა როიალს და მაცეკვებდა, თანაც იმპროვიზაციას მასწავლიდა ცეკვაში. საყოველთაოდ ცნობილი იყო მისი სტუმართმოყვარეობა, მის მიერ ლამაზ ქიქაში მორთმეული ყავა ან ჩაი. ვერავინ გაუბედავდა უარს, განრისხებით შეკრავდა კოპებს და დაამარცხებდა ნებისმიერ მონინალმდეგეს. ინგოროყვებთან საინტერესო ადამიანები იკრიბებოდნენ, პოეტები, მწერლები, მეცნიერები. მაგალითად, მე ხშირად მი-

ნახავს იქ ბატონი სიმონ ჯანაშია, რომელიც სალონურ სალამოებსაც ესწრებოდა და ძირითადად კი ბატონი პავლეს სამუშაო კაბინეტის წევრი გახლდათ. ზამთარში ქალბატონი ქეთოს ბუხრიანი სალონი ზღაპარს უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. მე იქ გავიცანი ლამაზი, ლამაზი გოგო, ლოლოტა ვირსალაძე, შემდეგში ცნობილი მეცნიერი და ასევე ცნობილი მეცნიერის შალვა ხიდაშელის მეუღლე. მთელი ცხოვრება მომწონდა ეს ქალი და სულ მიკვირდა, როგორ გაუძლო ამ თხელი ფაიფურისაგან აგებულმა ქალმა ციმბირში გადასახლებას, მრავალწლიან მარტოობას, სიცივესა და მიუსაფრობას. არადა, გაუძლო და მაინც ძალიან ლამაზი დაბრუნდა იქიდან.

ბატონი პავლე მუშაობისას სრულ განმარტოებასა და სირწმუნეს მოითხოვდა. ქალბატონი ქეთევანი ამას უყოყმანოდ უზრუნველყოფდა, მით უმეტეს თვითონაც მნიშვნელოვან ლიტერატურულ, მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. როგორც მოგახსენეთ, ბატონი პავლე ძალიან ბევრს ეწეოდა და განსაკუთრებით მუშაობისას მისი მეუღლე საფერფლებების დაცლას ვერ აუდიოდა.

ბატონი პავლე ცოტა დაბნეული კაცი იყო. შეიძლება დავინყებოდა სათვალე, ქუდი, კალოშები ყოველთვის, ერთხელ უპალტოოდაც კი წამოვიდა ვიზიტიდან. არასოდეს ავინყვებოდა ხელნაწერი, დოკუმენტი, ზოგადად მისი განუყრელი პორთფელი. ერთხელ კი დაუჯერებელი ფაქტი მოხდა, მაგრამ ეს ნამდვილად იყო. ბატონი პავლე ფეხსაცმელმა შეაწუხა, ცოტა მოუჭირა. აღმოჩნდა, რომ სუფთა წინდებს, რომელსაც ქალბატონი ქეთო აწვდიდა ორ-სამ დღეში ერთხელ, ბატონი პავლე გაუხდელ წინდებზე იცვამდა. ამ ამბავს დიდი მხიარულება მოჰყვა, პავლემ კი დაირცხვინა.

ერთხელ მე და ჩემი ბიძაშვილი ლერი ჩოჩია, წავედით დეიდა ქეთოსთან. მივადექით კარს, მოვქაჩეთ სახელური და კარი გაიღო. ის იყო შესვლა დავაპირეთ, რომ იქიდან ვილაც კაცი გამოვარდა, შედით, დედა გელოდებათო, მოგვაძახა და დაეშვა კიბეებზე. დეიდა ქეთო უმალ მოიძებნა. ჩვენ კი ბევრი ტკბილეული მივიღეთ ხელმოცარული ქურდის სახლიდან განდევნაში.

ინგოროყვების სახლში პატარა ფოქსტერიერი გაჩნდა, რომელმაც მალე გადალრდნა ყველა სკამისა და მაგიდის ფეხები, ვერც ერთ ფეხსაცმელს ვერ მიაგნებდი, ყოველთვის დალაგებული სახლი ყირაზე დადგა. ცოლ-ქმარი ამას მოთმინებით იტანდა იმ იმედით, ტობი (ასე ერქვა ლეკვს) გაიზრდება და დაჭკვიანდებაო. ის ტობი ერთხელ როგორღაც მათი სახლის სახურავზე აღმოჩნდა. რა ამბავი ატყდა! ბატონი პავლეს მცდელობა სახურავზე გასვლისა უშედეგო აღმოჩნდა, ტობიმ აბსოლუტურად უყურადღებოდ დატოვა დეიდა ქეთოს ხელში განვდილი ნამცხვარი და „ტობი, ტობის“ ძახილი. მშველელი არ ჩანდა. გადანყდა სახანძრო რაზმის გამოძახება (რაზმი იქვე, ჩაიკოვსკის ქუჩაზე იდგა).

უცებ სახურავზე მეზობლის პატარა ბიჭი აღმოჩნდა, მივიდა ტობისთან, აიყვანა ხელში და სრულიად უვნებელი მართვა დეიდა ქეთოს. სახიფათო ინციდენტი ამოიწურა.

კიდევ ერთი პატარა ეპიზოდი. ეს გვიან მოხდა, ქალბატონი ქეთო აღარ იყო ცოცხალი, ბატონი პავლე კი უკვე გოგებაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. გავიგეთ, რომ მას რალაც პრობლემები აქვს ხელთან დაკავშირებით. ჩემი ვაჟი ალექო დაუყოვნებლივ მივიდა მასთან. აღმოჩნდა, რომ რომელიღაც ექიმს თუ მედდას მისთვის მკლავში ნემსი გაუკეთებია, რომელიღაც ნერვს შეეხო და ხელი ჯერ დაუბუჟდა, მერე თანდათან მგრძნობელობა დაკარგა და ბოლოს თითქმის წაერთვა. „მე ხელი ისევე მჭირდება, როგორც პიანისტს“ ბობოქრობდა ბატონი პავლე. ხელს სინამდვილეში სამიშროება არ ემუქრებოდა, დრო იყო საჭირო. მოსული ექიმები ამიტომ არ ეკიდებოდნენ სერიოზულად ამას და, გაგივლისო, ამშვიდებდნენ. ბატონმა პავლემ უნდობლად დაუწყო ყურება მათ და აღარ იკარებდა. ალექო რომ დანახა, ჟორა მომიყვანეო, უბრძანა (ჟორა გიორგი ცაბაძეა, ექიმი, ჩემი დეიდაშვილი, ერთი იმ ძმათაგანი, ადრე რომ მოგახსენეთ). ჟორამ ისეთივე აზრი გამოთქვა, გაუვლისო, მაგრამ ალექომ გააფრთხილა, არ გაუმარტივოო. ჟორამ კარგად იცოდა ბატონი პავლეს ფასი, დიდ პატივს სცემდა და, ბუნებრივია, გაუფრთხილდებოდა მის ნერვებს.

მან დაწვრილებით გამოკითხა, თუ რა პირობებში მოხდა და როგორ განვითარდა ხელის წართმევის პროცესი, ნახა ნანესარი, შეუმონმა მგრძნობელობა, გაუსინჯა გული, ფილტვები. მერე უთხრა, რომ თუ გულდასმით შეასრულებთ ჩემს დანიშნულებას, გაგივლისო. რა თქმა უნდა, ჟორაო, იყო პასუხი. ჟორას თან ჰქონდა წამოღებული და გადასცა ნერვების დამამშვიდებელი რალაც აბები, დაავალა მარცხენა ხელით მარჯვენა მაჯის ფრთხილი მასაჟი, მაჯის გრილი აბაზანა ძილის წინ. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ბატონი პავლეც ძალიან კმაყოფილი დარჩა ექიმის.

ბატონი პავლე ფიზიკურად სუსტი აგებულების კაცი იყო, კაფანდარა, მაგრამ მტკიცე ხასიათისა და ვაჟაკური ბუნების. არ მახსოვს ზუსტად, სამოციანი წლების ბოლოს თუ სამოცდაათიანის დასაწყისში ისევე ატყდა ანტიინგოროყვასეული კამპანია, მაგრამ ახლა განსხვავებული იმით, რომ უკვე შემოქმედების დაწინაურება დაუწყეს. პრესიდან, კათედრებიდან აკრიტიკებდნენ, დასცინოდნენ ყველაფერს, რაც დაუწერია. ის ძალიან განიცდიდა, აღშფოთებული იყო ამ უმადურობით. მე გაგულისებულმა ვკითხე, რატომ არ პასუხობთ მეთქი. „კუკუშკა, მეტი საქმე არა მაქვს, მათთან პოლემიკა გავმართო და ამით ისტორიაში შევიყვანო“. აი ნამდვილი პავლე ინგოროყვა.

დასასრული შემდეგ ნომერში



22 წლის ქვრივი: მედეა აბაშელი თავის ვაჟთან ალექო თუთბერიძესთან ერთად

დონალდ ჰონინგი

## მომხიბლავი მოჩვენება

ფიტზჯიუ ხშირად ხედავდა მათ, როგორ დასრიალებდნენ ბაიდარით ტბის ამ ულამაზეს, მაგრამ უკაცრიელ ნაწილში. გოგონა გრაციოზულად იჯდა კიჩოზე და, თუ მზე აცხუნებდა, პატარა თეთრი ქოლგით იფარავდა თავს, მამინაცვალი კი ნიჩბებს უსვამდა.

ფიტზჯიუს ქოხი ჩამალული იყო ბუჩქნარში, ფიჭვისა და კედარის ხეებში, მოხუცს ისე შეეძლო იქ ჯდომა, ვერავინ დაინახავდა. მას უხაროდა მათი გამოჩენა. ამ მიყრუებულ ადგილას იშვიათად გამოჩნდებოდა ვინმე, და ხანდახან მარტოობას მწვავედ გრძნობდა. როგორც წესი, ქოხის წინ ჩამომჯდარი აკვირდებოდა მათ, მოხიბლული ბაიდარის მსუბუქი სრიალით ცისფერ წყალზე. საკმაოდ საეჭვო პროფესიამ, რომელსაც მრავალი წელი მისდევდა და ახლა დროებით დაენებებინა თავი (თვითონ ასე ერჩივნა ეთქვა, სინამდვილეში კი გაექცა), მასში სილამაზის აღქმა განავითარა.

არაჩვეულებრივი სანახავი იყო ტბა და ჰორიზონტამდე გადაჭიმული ტყე. მაგრამ სწორედ ამ ადგილზე იწყებდნენ ჩხუბს. გოგონას ყოველთვის უნდოდა ცურვა გაეგრძელებინათ, მამინაცვალი კი ბრაზობდა, საკმაოდ შორს გამოეცურეთო. გოგონა ბავშვური ხმით სთხოვდა მამინაცვალს არ ეყვირა, რაც კაცს უფრო აბრაზებდა, და ისეთ გინებას იწყებდა, ბაიდარი აქეთ-იქით ქანაობდა.

აქ ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ ყოველთვის მათი სიტყვა გარკვევით ხმიანდებოდა და ფიტზჯიუს, რომელიც ხეების ჩრდილში იჯდა, ყველაფერი კარგად ესმოდა. ჩხუბი, ყოველთვის რომ იწყებოდა, მოხუცის იდილიას არღვევდა, რადგანაც რბილი ნატურა გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ მისი მხიარული, ვარდისფერი სახე თითქმის ყველა სამხარეო საფოსტო განყოფილების კედლებს ამშვენებდა.

ამ მზიან დღეს მათი ხმა მანამდე გაიგონა, სანამ გამოჩნდებოდნენ. კარგად ისმოდა გოგონას ცრემლნარევი ხმა, რომელიც ამბობდა: „ხომ მითხარი! ხომ დამპირდი!“ – და მამაკაცის უხეში ხმა, რომელიც უბრაზდებოდა, გაჩუმდითო.

მალე გამოჩნდნენ, მამაკაცმა ნიჩბების მოსმა შეწყვიტა, თან გოგონას ეჩხუბებოდა. ბაიდარი წყალზე ქანაობდა. გოგონა რალაც დანაპირებს ახსენებდა.

ფიტზჯიუ ხეებიდან ადევნებდა თვალს. მამაკაცმა ნიჩბები ბაიდარზე აკეცა და მუქარით გადაიხარა გოგონასაკენ.

მოხუცი ნაპირზე მოიქუფრა.

მამაკაცმა გოგონას ხელი სტაცა და უთანასწორო სასტიკი შეტაკება მოხდა. გოგონას ყვირილი სუსტად ისმოდა. ბაიდარი ქანაობდა. მამაკაცმა მოულოდნელი, მკვეთრი მოძრაობით გადააგდო გოგონა წყალში. შემდეგ

ნიჩბებს სტაცა ხელი და გამწარებულმა დაიწყო მოსმა, ისე, რომ წყლის წვეთები აქეთ-იქით ცვიოდა.

ფიტზჯიუ ერთი წამით გაშეშდა. თვალებს არ უჯერებდა. გოგონა წყლის ზედაპირზე აღარ ჩანდა. ბაიდარი გაუჩინარდა.

– წარმოუდგენელია, – ჩაიბურტყუნა ფიტზჯიუმ.

უცებ ტბიდან წყლის შხეფების ხმა მოესმა და ზედაპირზე პატარა, ქერათმიანი თავი გამოჩნდა. გოგონა ნაპირისაკენ მიცურავდა.

ფიტზჯიუს სიცილი აღმოხდა, წამოხტა და ბებრული ნაბიჯებით გაეშურა ნაპირისკენ.

– აქეთ, პატარავ, აქეთ! – უძახდა და ხელებს უქნევდა.

გოგონამ დაინახა მოხუცი და მისკენ გაცურა.

– ყოჩაღ, – გამამხნეველად უთხრა მოხუცმა, როცა გოგონა მიუახლოვდა. ნაპირთან უკვე ფეხზე დადგა. წყალი ნურწურით ჩამოსდიოდა. თეთრი კაბა შელანძლულიყო, ღია ფერის კულულები ყინულის ლოლუებს დამსგავსებოდა. გოგონა მოხუცისკენ შეშინებული სახით მიდიოდა. ფიტზჯიუმ დასველებულ, განწულ არსებას ხელი გაუწოდა. გოგონამ თვალელები გადაატრიალა და, მოხუცს ხელი რომ არ შეეშველებინა, წყალში პირქვე დაეცემოდა.

ვიდრე რამეს იტყოდა, დალილობამ და მოხუცის თბილმა ხელებმა ღრმა ძილი მოჰგვარა. მოხუცი ქოხისკენ გაემართა, თან აღფრთოვანებულ მზერას არ ამორებდა მძინარე ბავშვის მშვენიერ სახეს.

– რა მხეცურად მოექცა ბავშვს, – ჩაილაპარაკა მან, – და თან როგორ ბავშვს!

გოგონა ქოხში შეიყვანა და ლოგინზე დააწვინა. შემდეგ გაიმართა და ერთი წუთი ათვალაიერებდა. ათ წელზე მეტისა არ იქნება, გადანყვიტა მან. ბავშვის სახეში იყო მომწუსხველი მომხიბლაობა. „რა მშვენიერი პატარა ლეღია“, – ფიქრობდა იგი.

ფრთხილად გახადა სველი ტანსაცმელი, ჩააცვა თავისი ბამბაზიის პერანგი, ჩააწვინა სანოლში და საბანი დააფარა. შემდეგ რძე აადულა, ეუხერხულა, თითით რომ გასინჯა და ისე მიუტანა გოგონას. წამიერად შეყოვნდა, შემდეგ კი გააღვიძა. გოგონამ უზარმაზარი ცისფერი თვალელები გაახილა. მათში ჯერ კიდევ ჩანდა შიში. ფიტზჯიუმ დამამშვიდებლად ჩაახველა.

– აი, შენც აქ ხარ, – უთხრა.

გოგონას თითქოს განძრევისა ეშინოდა.

– აბა, – გაულიმა, – ეს დალიე.

შიშის გამომეტყველება უნდობლობამ შეცვალა.

– ყველაფერი რიგზეა, – წარმოთქვა მან ჩუმად, რბილი ხმით.

– თქვენ ვინ ხართ?

– მე შენი მეგობარი ვარ. ახლა დალიე ეს.

პატარა, მკვირცხლმა ცისფერმა თვალეებმა და კიდევ რალაცამ მის ბებრულ, წითელ სახეში, გოგონა დააწყნარა. საბნიდან პატარა, თეთრი ხელი გამოჩნდა. წამოჯდა და მორჩილად დაიწყო რძის სმა. მისი თვალელები მოხუცს უმზერდნენ.

– ყოჩაღ, – უთხრა და ქიქა გამოართვა ფიტზჯიუმ.

გოგონა ისევ საბნის ქვეშ შეძვრა და ყურადღებით უცქერდა მოხუცს შვლის ნუკრის მსგავსი უბინო თვალეებით.

– თავს როგორ გრძნობ? – შეეკითხა მოხუცი.

- არ ვიცი, - უპასუხა სუსტი, მორცხვი ხმით.  
 - ბევრი წყალი ყლაპე?  
 - არ ვიცი.  
 - ვინ იყო ის კაცი?  
 - ჩემი მამინაცვალი, მისტერ გროუვი. საშინელი ადა-  
 მინია.  
 - ჰო, მეზობლებმა მითხრეს. საინტერესოა, დედაშენს  
 რა ზღაპარს მოუყვება?  
 - თქვენ იცნობთ დედაჩემს?  
 - არა, პირადად არ ვიცნობ. მაგრამ მდიდრების შესა-  
 ხებ ყველაფერი ცნობილი ხდება. მე ვიცი, რომ შენ შერ-  
 ლი ხარ, და შინ საზაფხულო არდადეგებზე ჩამოხვედი.  
 ვიცი, რომ კარგ ამინდში შენი მამინაცვალი ბაიადრით  
 გასეირნებს და სწორედ დღეს მობეზრდა ეს.  
 - მე ვთხოვდი კიდეც გაგვესეირნა, მაგრამ არ შემის-  
 რულა თხოვნა. ისეთი ბრაზიანია, - თქვა გოგონამ.  
 - ეტყობა, უსიამოვნო ადამიანია.  
 - როცა დედა არ არის, უყვარს ჩემი მიტყეპვა.  
 - დედასთან დაიჩვიე?  
 - დიახ, მაგრამ მითხრა, შენ იქნებოდი დამნაშავეო.  
 დედას ის მოსწონს. სკოლაში იმიტომ მიშვებს, რომ არ  
 ვიჩხუბოთ.  
 გოგონას სერიოზულმა განსჯამ მოხუცი გააცინა.  
 - მომიყევი, - სთხოვა მოხუცი, - რა მოხდა ტბაზე.  
 - როცა ვთხოვე, მდინარე მაჩვენე-მეთქი, გაბრაზდა  
 და მომახალა, ახლა მე შენ გაჩვენებ მდინარესო.  
 - და გიჩვენა კიდეც. მეგონა, უკვე ტბის ფსკერზე იყა-  
 ვი.  
 - მან არ იცოდა, - უთხრა ამაყად შერლიმ, - რომ სკო-  
 ლაში ცურვა ვისწავლე. არ ვეუბნებოდი, მინდოდა სიურ-  
 პრიზი მომემზადებინა მათთვის.  
 - მოიცა, წარმომიდგენია, რა სიურპრიზი იქნება, -  
 შენიშნა ფიტზჰიუმ, - მაგრამ ტბის ფსკერზე...  
 - პირველად ვცადე.  
 - არასოდეს გიცურავია წყლის ქვეშ?  
 - დღემდე არა.  
 - წარმოუდგენელია!  
 - მას ჰგონია, რომ დამახრჩო.  
 - რა იმედიანია!  
 ორივემ გაიცინა. შემდეგ გოგონამ შეწყვიტა სიცილი  
 და სერიოზული ცნობისმოყვარეობით შეხედა.  
 - თქვენ ვინ ხართ?- ჰკითხა პირდაპირ.  
 - ალბერტ ფიტზჰიუმ.  
 - აქ ცხოვრობთ?  
 - ჰო.  
 - ყოველთვის აქ ცხოვრობდით?  
 - ბოლო წლებია.  
 - არასოდეს მინახიხართ.  
 - არა, გინახივარ - თქვენი დიდი და სწრაფი მანქანის  
 ფანჯრიდან.  
 - ვერ ვიტან ამ მანქანას.  
 მოხუცმა ჩაიცინა.  
 - მარტო ცხოვრობთ?  
 - სულ მარტო.  
 - რატომ?  
 - მოხუცები ხშირად ცხოვრობენ მარტოობაში.  
 - რამდენი წლისა ხართ?

- სამოცდაშვიდის.  
 გოგონამ სერიოზულად დაუქნია თავი.  
 - მოგნონთ აქ ცხოვრება?  
 - ვცდილობ თავი ისე ვივარდნო, როგორც საკუთარ  
 სახლში.  
 - ამქვეყანაზე არავინ გყავთ?  
 - არა სულიერი.  
 - რა უსამართლობაა. მარტოსულად გრძნობთ თავს?  
 - ხანდახან. მაგრამ ვფიქრობ, ეს ყველას ემართება.  
 შენც კი, თქვენს უზარმაზარ სახლში.  
 - ოო, ეს სახლი! მისტერ ფიტზჰიუმ, ვერ ვიტან მას. იქ  
 საოცრად ბევრი ცარიელი ოთახია.  
 ფიტზჰიუმს ქოხს უცნაური ხბოლი ჰქონდა. მასში  
 მკაცრი სიმყუდროვე და მოხუცი პატრონის სასაცილო  
 თავისებურება იგრძნობოდა. უხეში და მძიმე ავეჯი თით-  
 ქოს შემთხვევით აარჩიესო. იატაკი სუფთად გამოიყურე-  
 ბოდა. ფიჭვის ხის შიშველ კედლებზე კალენდარი ეკიდა.  
 აგურის ბუხართან იატაკის ჯონი იყო მიყუდებული.  
 ფიტზჰიუმ დაფიქრებული უყურებდა გოგონას.  
 - მამ, არ გიყვარს შენი დიდი სახლი, არა? - შეეკითხა.  
 - ვერ ვიტან.  
 - მაგრამ შენი დაბრუნების დრო რომ მოვიდა?  
 დათრგუნულმა გოგონამ ტუჩებზე თითი მიიღო. ცო-  
 ტა ხნის შემდეგ აღიარა:  
 - მისტერ ფიტზჰიუმ, არ მინდა იქ დაბრუნება. მეშინია.  
 - მისტერ გროუვის? მაგისი დარდი ნუ გექნება. ის,  
 რისი მონმეც მე დღეს გავხდი, დიდი ხნით დაანყნარებს,  
 როცა პოლიცია შეიტყობს... - უცებ შეფითრდა, რო-  
 გორც კი თავისი ნათქვამის აზრს ჩანვდა, პოლიცია...  
 არა, ასე არ გამოვა. არაფრით.  
 - მე ვერ ვიტან ამ სახლს, მისტერ ფიტზჰიუმ, - გაიმე-  
 ორა შერლიმ. - ვერ ვიტან.  
 - მაგრამ, შერლი, ეს შენი სახლია.  
 - ეს ჩემი სახლი არ არის, - თქვა აკანკალებული ხმით.  
 - მე სახლი არ გამაჩნია.  
 - მაგრამ, დედაშენი ...  
 - დედაჩემს ჩემი დარდი არა აქვს.  
 - შერლი, - უსაყვედურა ფიტზჰიუმ. - ასე როგორ  
 ლაპარაკობ?  
 - იმიტომ, რომ ვიცნობ დედაჩემს. დღეს საღამოს და-  
 მამშვიდებელ აბებს მიიღებს, ხვალ კი თავს დაირწმუ-  
 ნებს, რომ მე სკოლაში ვარ. ასეთი რაღაცები კარგად გა-  
 მოსდის. სწორედ ასე მოიქცა, როცა მამაჩემი გარდაიც-  
 ვალა.  
 - მართლა?  
 - მართლა.  
 - და შენ სულ არ გეცოდება?  
 - არა. შემდეგ დაიწყებს თამაშს, ეცდება საიქიოდან  
 ჩემი სული გამოიძახოს.  
 - რას გულისხმობ?  
 - ასე აკეთებდა, მამა რომ მოკვდა. დედაჩემი ცრუ-  
 მორწმუნეა - სულელმორწმუნე, ასე ვეძახი. შინ ეპატიჟე-  
 ბოდა ვილაც საშინელ, ნახევრადმძინარე ადამიანებს და  
 ისინი ცდილობდნენ საიქიოში მამაჩემთან კავშირი გაე-  
 ბათ.  
 - რა საინტერესოა, - წარბები აწია და დაფიქრებით  
 ჩაილაპარაკა ფიტზჰიუმ, - და გამოდიოდა?

– მისტერ ფიტზპიუ, თქვენ ხომ არ გჯერათ ამ სისულელისა?

– ჩემი ხნის ადამიანი არაფერში არ უნდა იყოს დარწმუნებული.

– არა, ეს არასოდეს გამოდიოდა.

– და შენ გგონია, რომ დედა ასევე მოექცევა შენს გაწუნულ სულს?

– როცა იქნება, აუცილებლად.

ღრმად ჩაფიქრებული ფიტზპიუ მუხლებზე თითებს ათამაშებდა. ვინ იყო? რაღაცას იხსენებდა. ჰო, ბოსტონელი მაიკლ რეტი. ისინი ცდილობდნენ საიქიოდან ვიღაც მდიდარი ბაბუა გამოეძახათ და ეს თითქმის გამოუვიდათ, მაგრამ უცებ რაღაცამ შეუშალათ ხელი. ყოველთვის რაღაცა იშლება ასეთი გეგმებისას, იმიტომ, რომ შეუძლებელია დაუკავშირდე ვინმეს იმ...

გოგონას შეხედა და თვალწინ დაუდგა გროუვერის უზარმაზარი სახლი და ფული.

– შინ დაბრუნება არ გინდა? – ჰკითხა.

– არა, – უპასუხა გაბუტულმა გოგონამ.

– აბა, რას იზამ?

– არ ვიცი. ტყეში ვიცხოვრებ.

– ეს არც ისე მოხერხებულია.

გოგონას სახე გაუნათდა.

– მისტერ ფიტზპიუ! – წამოიძახა მან. – რატომ არ შეიძლება, აქ დავრჩე?

– აქ დარჩე?

– დიახ. თქვენ არა თქვით, ამქვეყნად არავინ არ მყავსო?

– მაგრამ, აქ რას იზამ?

– თქვენი მსახური გავხდები. სადილს მოგიმზადებთ, სახლს დაგილაგებთ და გაგირეცხავთ.

– მაგრამ, შერლი, აქ სამუდამოდ ხომ არ დარჩები?

– ჩემო ძვირფასო მისტერ ფიტზპიუ, თუნდაც ცოტა ხნით ძალიან გთხოვთ, – ეხვეწებოდა საოცრად ნაზი და თბილი ხმით.

– მერე?

– მერე დავბრუნდები შინ და მისტერ გროუვერს გაფუშვებ ციხეში.

– უნდა დამპირდე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდები შინ.

– რასაკვირველია.

– მაგრამ ჩასაცმელი რომ არ გაგაჩნია.

– თქვენი ძველი შალის პერანგისაგან შევიკერავ კაბას.

მოხუცს გაეცინა.

– დიდი ფანტაზიური ხარ, – თქვა გულწრფელად აღფრთოვანებულმა.

გოგონა მასთან ერთად აკისკისდა. მერე ალერსით შეხედა და უთხრა:

– მისტერ ფიტზპიუ, მე თქვენ მიყვარხარო.

„ღმერთო ჩემო, ნაღდი საქმეა და აუცილებლად გამოვა“, – გაოგნებული ფიქრობდა იგი.

\* \* \*

ყოველ დღით, როგორც კი მზე ჰორიზონტზე გამოჩნდებოდა, ფიტზპიუ თავისი ქოხიდან გამოდიოდა. მიეშურებოდა ტყეში, მოხიბლული მის გარშემო გადაშლილი

დრამით. ტყის ინტიმურ ცხოვრებას პატივისცემით ეპყრობოდა, უდიერად არასოდეს ეხებოდა ყვავილებს, ფოთლებს, არც ხეებს...

ტყის გავლით სურსათისათვის მისის ჯენიფერის დუქანს მიადგებოდა.

მხრებჩამოშვებული, წითური, თითქმის მელოტავიანი ფიტზპიუს გამოჩენა დუქანში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შემხვედრები ხელის აწევით ესალმებოდნენ და ისიც პასუხობდა.

დუქნიდან ერთი მილის მოშორებით შერლის სახლი იდგა. დიდებულ, უზარმაზარ შენობასთან არაერთხელ მისულა, მისი სილამაზით რომ დამტკბარიყო.

დღესაც ჩვეულებისამებრ შევიდა დუქანში. მისის ჯენიფერი, გამხდარი, ჭაღარა ქალი, რომელიც ჩიტს ნააგავდა, მუხლებზე დადებული გაზეთით დახლთან იჯდა. ისეთი ნაღვლიანი თვალებით შეხედა, მოხუცს გული შეეკუმშა.

– თქვენ იცნობდით მას, მისტერ ფიტზპიუ? – დამწუხრებულმა ჰკითხა.

– ვის, მისის ჯენიფერ?

– პატარა შერლი გროუვეს.

კინლამ გაეცინა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

– მგონი, რამდენჯერმე მინახავს. რატომ მეკითხებით?

მისის ჯენიფერი დიდი, ცრემლიანი თვალებით უყურებდა.

– მოკვდა.

– მოკვდა?

ჩუმად დაუქნია თავი.

– რა მოხდა? – იკითხა ფიტზპიუმ და თან გულწრფელად დამწუხრებულს თამაშობდა.

– გუშინ ტბაში დაიხრჩო.

– რა საშინელებაა.

მისის ჯენიფერმა გაზეთი გაუნოდა. თვალი მოჰკრა სტატიის სათაურს, რომელიც ტბაზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ იუწყებოდა.

– ყველა შეძრულია! – წარმოთქვა მისის ჯენიფერმა.

– ბუნებრივია, – ჩაიბუტბუტა ფიტზპიუმ.

– ისეთი სიცოცხლისმოყვარე არსება იყო, – ნაღვლიანად გააგრძელა მისის ჯენიფერმა. – სულ სახეგაბრწყინებული დადიოდა. ვერ წარმომიდგენია, რომ აღარაა. თქვენგან ახლოს დაიხრჩო.

– მართლა? მისტერ გროუვერს მასთან ერთად სეირნობდა ბაიდარით? – უთხრა ფიტზპიუმ და გაზეთზე მიანიშნა.

– ამბობენ, საბრალო დარდისაგან ველარ ლაპარაკობსო, – თქვა მისის ჯენიფერმა.

– გაზეთში წერენ, რომ მან ცურვა არ იცის.

– სწორედ ეგაა მთელი ტრაგედია, – დაუდასტურა მისის ჯენიფერმა.

– რა სამწუხაროა.

– ალბათ ასეთი იყო ღვთის ნება. და ამით უნდა ვინუგემოთ თავი.

– ალბათ, – უთხრა ფიტზპიუმ.

სურსათთან ერთად ფიტზპიუმ გაზეთიც იყიდა და შინსაკენ გაუყვა გზას. თან ცდილობდა, ვიდრე დუქანს არ მოშორდებოდა, არ ელიდინა.

ტყის გავლით ქოხში დაბრუნდა.

როდესაც შიგნით შევიდა, შერლი იცინოდა.

– ბაიდარი მიცურავდა, – უთხრა მან, – და ვიფიქრე, რა სეირი იქნებოდა, მათთან რომ მიმეცურა და წყლიდან უცებ ამომეყო თავი.

– შე პატარა ცელქო ცეროდენა. ოლონდ, გახსოვდეს, შერლი, თუ ვინმე დაგინახავს, შინ დაბრუნება მოგიწევს.

– ვიცი მისტერ ფიტზჰიუ. მაგრამ კარგი იქნებოდა, ტბაზე აჩრდილივით გამოვჩენილიყავი.

– ნახე, აქ რა მაქვს, – და მაგიდაზე გაზეთი გაშალა.

აგზნებულმა წაიკითხა სტატია და მის სიხარულს საზღვარი არ გააჩნდა, როცა თავისი ფოტოსურათი ნახა. გაზეთში ჰარი გროუვის ვერსია იყო ტრაგედიის შესახებ. მისი მონაყოლით, გოგონა გადაინია წყლის შროშანის მოსაწყვეტად და ტბაში ჩავარდა.

– ასეთ თავხედურ სიცრუეს როგორ იჯერებენ? – იკითხა შერლიმ.

– აქ წერია, თურმე მისტერ გროუვი თავს ვერ პატიობს, ცურვა რომ არ იცოდა, – თქვა მისტერ ფიტზჰიუმ. – ყვებიან, ამას რომ ამბობდა, ქვითინებდაო.

– ხანდახან მართლაც მგრძნობიარეა, – სერიოზულად თქვა შერლიმ.

– ჰარი გროუვის მონაყოლით, მან თურმე დაინახა გოგონას სხეული გამჭვირვალე წყალში, რომელიც წყლის ნაკადს მდინარისაკენ მიჰქონდა.

– რა წარმოუდგენელი სიცრუეა! – წამოიძახა გოგონამ.

ამ დღეს შორიდან უთვალთვალებდნენ, პოლიცია როგორ ჩხრეკდა ტბის ფსკერს. შერლი ამაყად უყურებდა მათ.

ფეხსაცმლის მაგივრად მოხუცმა თავისი შალის სქელი წინდები ჩააცვა შერლის. ვინაიდან მის ქოხს იშვიათად სტუმრობდნენ, გოგონას ნება დართო გაესეირნა ტყეში. შერლის განსაკუთრებით უყვარდა ტბის ნაპირი. ხშირად იყო იმის მოწმე, რომ მისი უკვე ხანშიშესული მასპინძელი ჯერაც კარგად ცურავდა, თუმცა უკან დაბრუნებული ძლივს სუნთქავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, რაც შერლი ტბიდან ამოიყვანა, წყალმცენარეებში შერლის ფეხსაცმელს მოჰკრა თვალი. გახარებულმა ქოხში წამოიღო. მას შემდეგ, რაც გოგონამ დაიძინა, ფიტზჰიუ მთელი ღამე ჩიბუხს აბოლებდა და ჩაფიქრებული უყურებდა ფეხსაცმელს.

– პატარა სველი ფეხსაცმელი, – ჩუმად ჩაილაპარაკა მან. – რამდენად შეგაფასო? ვთქვათ – ათი ათასად?

აქამდე ყოველთვის თავს არიდებდა თავის წარსულზე შერლის ინტერესი დაეკმაყოფილებინა. მაგრამ მეორე დღიდან თავისი ცხოვრებიდან რალაც-რალაცა ამბების მოყოლა დაიწყო. ეს ამბები უმთავრესად კანონთან მის კონფლიქტს ეხებოდა. იგი ბავშვური გულმოდგინებით უსმენდა.

– ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ თქვენ, მისტერ ფიტზჰიუ, უღირსი ადამიანი იყავით, – შენიშნა მან.

– ეს არ ყოფილა უღირსი საქციელი, შერლი, – შეეკამათა იგი, – ეგაა, ვითარებით ვისარგებლე.

– რასაც თქვენ აკეთებდით, უღირსი საქციელი არ იყო? – ყიდდით ნივთებს, რომლებსაც არავითარი ღირებულება არ გააჩნდათ...

– არა, ამას ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენება ჰქვია.

– იმ სათნო მოხუცს ბრილიანტები რომ შეუცვალეთ?

– წამიერი სისუსტე, – აღიარა მან.

– სულ ერთია, – გაიცინა გოგონამ, – მე მაინც მიყვარხართ. და მეც მინდა უღირს საქციელს ჩავდიოდე. მისტერ ფიტზჰიუ, ციხეში თუ იჯექით?

– კი, დრო და დრო. იატაკზე წამოგორებული გოგონა ქვემოდან აჰყურებდა მოხუცს და იცინოდა.

– რა უცოდველი და წესიერი ადამიანის გამომეტყველება გაქვთ, –

უთხრა გოგონამ.

– პროფესიული აუცილებლობა. – ეშმაკურად გაუღიმა, თან ჩიბუხი არ გამოუღია პირიდან.

– რა ჰქვია თქვენს პროფესიას?

– სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად ეძახის.

– თაღლითი იყავით?

– შერლი, რომ იცოდე, რა ოსტატობა სჭირდება ჩემს პროფესიას, ასე უხეშად არ მოიხსენიებდი.

– მაპატიეთ, – უთხრა გოგონამ.

მოხუცი ამჟამად ერთობოდა და ნაზი, დამცინავი ღიმილით უყურებდა.

– ალბათ რა მიმზიდველია თაღლითობა.

– შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მე და შენ რამე საქმეც დავატრიალოთ, – დააიმედა მან.

– თქვენ რა, მენდობით, მისტერ ფიტზჰიუ?

– სავსებით, – უთხრა მან.

ღამე სულ ამაზე ფიქრობდა. საქმე ნაღდი იყო. არსებობს ჰარი გროუვის ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება, რომ მან საკუთარი თვალთ ნახა სხეული წყლის ქვეშ. დედას იმქვეყნიური მოვლენების სჯერა. ცნობილია, რომ ასეთი ხალხი მიცვალებულებთან შესახვედრად უამრავ ფულს



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

იხდიან. მაიკ რეტს უამრავჯერ მოუყოლია, თუ როგორ მართავდნენ ამგვარ სეანსებს. მთავარია იდუმალი გარემოს შექმნა.

- მეორე დღეს გამოაცხადა, გროუეებთან მივიღე ვარაუდები.
- რისთვის, მისტერ ფიტზჰიუ? – ჰკითხა გოგონამ.
- იქაური გარემოს მოსინჯვა მინდა.
- ხომ არ გამცემთ?

– არა. მაგრამ დედაშენი შენი დაბრუნებისთვის უნდა შევემზადოთ. კარგი, კარგი, ნუ გწყინს. შეიძლება მე და შენ კარგადაც გავერთოთ.

ფიტზჰიუმ ტბიდან ამოღებული პატარა ფეხსაცმელი ამოიღო და ნავიდა. გროუეების სახლამდე მთელი მილი სტვენა-სტვენით გაიარა.

გროუეების სახლს აღვრთვანებით მიუახლოვდა. ამგვარ ადგილებს საქმის კარგი ცოდნით უდგებოდა. უზარმაზარ ეზოში რომ შევიდა, ჩაფიქრებული ათვალე-რებდა არემარეს. სახლი, გრძელი ორსართულიანი შენობა, კოლონიებიან, ვერანდა-სოლარიუმებიანი ტბის პირას იდგა. გვერდი აუარა ლამაზ ყვავილნარსა და შადრევანს. კარზე დააკაკუნა, რომელიც მაშინვე გააღო მსახურმა. მონივნებით იკითხა მისის გროუეი და დასძინა, ძალზე მნიშვნელოვანი საქმე მაქვსო. მსახურმა ეჭვანურევი მზე-რა ესროლა, ნახევრად მიხურა კარი და შინ შებრუნდა.

გამოვიდა ქალი. ქერათმიანი, ოცდაათს გადაცილებული, მთლიანად დათალხული. ნაღვლიანი, ცრემლებით დანთილებული თვალები საყვედურით უმზერდნენ.

- დიას? – უთხრა მან.
- მაპატიეთ, მისის გროუე, – დაიწყო მან. – ალბერტ ფიტზჰიუ ვარ. ტბასთან ახლოს ქოხი მაქვს. იქნებ ეს იმის ბრალია, რომ მე ბუნებას უმუალოდ ვეხები, მაგრამ ჩემ თავში აღმოვაჩინე იმქვეყნიურ სამყაროსთან საკმაოდ უცნაური კავშირი.

მისის გროუეი თვალს არ აცილებდა და მის გამობედვაში რაღაც მოუსვენრობა გამოკრთა.

- მისტერ ფიტზჰიუ, თქვენ მედიუმი ხართ? – ჰკითხა.
- თუკი ასეა, მხოლოდ და მხოლოდ დაბადებით, და არა მისწრაფებით.

– მე მჯერა მედიუმებისა, – ჩაიჩურჩულა მან. – მიუხედავად წარუმატებლობისა, რომელიც ძვირად დამიჯდა, ზებუნებრივის მჯერა.

- მესმის. რამდენია უპრინციპო ადამიანი. არ შეგანუხებდით, თქვენი დახმარების იმედი რომ არ მქონდეს.
- ჩემი დახმარების?

– ნუხელ მომეჩვენა, ტყეში გოგონას ხმა ისმოდა. დარწმუნებული არ ვიყავი, რადგან ქარის ხმაურში ხშირად მეჩვენება რაღაც ხმები. მაგრამ დილით მაგიდაზე, აი, ეს აღმოვაჩინე... – და ფეხსაცმელი ამოიღო.

- ეს შერლის ფეხსაცმელია! – წამოიძახა მან. ფრთხილად და ნაზად, თითქოს ცოცხალიაო, ისე გამოართვა.
- ნიშანი, – ისევ წამოიძახა.

– მისტერ ფიტზჰიუ, – წაიჩურჩულა, – ეცადეთ დაკავშირდეთ?

- არა, – უპასუხა მოხუცმა, – ვიფიქრე ჯერ თქვენ გაგსაუბრებოდით.
- რის შესახებ?
- დაკავშირება უდიდეს ძალისხმევას ითხოვს. აი, რომ ყოფილიყო...

– რაიმე ფინანსური მხარდაჭერა?  
– მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამომივა, – თქვა და თითი აწია.

– მისტერ ფიტზჰიუ, თუკი ეს გამოგივათ, დიდი ფულადი საჩუქარი გელით.

შეთანხმდნენ, რომ სეანსს შემდეგ სალამოს გამართავდნენ. ფიტზჰიუ ჯერ ფიქრობდა ეს საქმე ერთი კვირა მაინც გაენელა, მაგრამ რადგან ჰარი გროუეი სულ შინ ტრიალებდა, აჯობებდა, რაც შეიძლება მალე მოემთავრებინა. მისი მთავარი მოთხოვნა იყო, სახლი სავესებით ცარიელი ყოფილიყო და იქ მხოლოდ ის და მისის გროუეი დარჩენილიყვნენ, რომელსაც როგორც კი გოგონა გამოჩნდებოდა, 5 000 დოლარი და ამდენივე ჩეკით აღნიშნული თანხა მისთვის უნდა გადაეცა.

ქოხში დაბრუნებულმა შერლის უთხრა, საქმეში ჩემი პარტნიორი იქნებო. გოგონას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

აუხსნა, გოგონას რა უნდა ექნა.

ზენრისგან იმქვეყნიური აჩრდილის სამოსი „შეკერა“, რომელიც გოგონას ფეხის წვერებამდე ეშვებოდა და წმინდანს უფრო ამსგავსებდა.

– შერლი, ხვალ სალამოს გაცოცხლდები, – აუწყა მოხუცმა.

გოგონა აგზნებული ჩანდა.

- თქვენ გგონიათ, მართლა დაიჯერებს?
- რატომაც არა? შენ ხომ გამოჩნდები, – ლოგიკურად შენიშნა მან და მხრები აიჩეჩა.
- ჩემი მამინაცვალი არ მოინდომებს საქმეში ჩარევას?

– მას ამისთვის არავითარი საფუძველი არ გააჩნია. არ დაგავიწყდეს, მას ჰგონია, რომ შენ მოკვდი. ყოველ შემთხვევაში, მე ვიზრუნე, რომ მწვავე ვითარებაში ის არ გამოჩნდეს.

- მე ყოველთვის მისი შიში მექნება.
- იქნებ მისთვისაც მოვიფიქროთ რამე.
- მისტერ ფიტზჰიუ! თქვენ დედაჩემი წარმოუდგენლად ინფანტილური გგონიათ?

– პირიქით. ვფიქრობ, ძალიან ჭკვიანი ქალია.

გოგონამ ტაში შემოკრა და ეცეკვა დაიწყო.

- ხვალ გაცოცხლდები, – მღეროდა იგი.
- და ამით პრეცედენტს შექმნი, – უთხრა მომღიმარმა ფიტზჰიუმ.

\*\*\*

ვარსკვლავიანი ღამე იყო. ხის კენწეროების თავზე ვარსკვლავებით გარშემორტყმული ნახევარმთვარე ანათებდა. ფიტზჰიუს გოგონა ტბის გასწვრივ მიჰყავდა. შერლის თეთრი სამოსი ეცვა, დავარცხნილი ოქროსფერი თმა მხრებზე ეყარა. ფიტზჰიუს კი ერთადერთი რეკვიზიტი მიჰქონდა – გრძელი თეთრი სანთელი.

– ოღონდ გახსოვდეს, შერლი, – ეუბნებოდა ფიტზჰიუ, – ეს სახუმარო საქმე არ არის. პატარა ღიმილი ან გაცინება ყველაფერს გააფუჭებს. ასე რომ, იყავი მდუმარე აჩრდილი, კარგი?

– დიას, მისტერ ფიტზჰიუ, – უთხრა მან.

სახლს ჩუმად მიუახლოვდნენ. გეგმის თანახმად შერლი გვერდითა შესასვლელიდან შეძვრა და ზევით დაიმა-

ლა, რათა ფიტზჰიუს ნიშანს – მაგიდაზე სამ დარტყმას – დალოდებოდა. სწორედ ამის შემდეგ აანთებს სანთელს და ქვევით ჩავა.

ახლა, როცა გოგონა ცოცხალთა სამყაროსაკენ დაიძრა, ფიტზჰიუმ კარზე დააკაკუნა. კარი მისის გროუვმა გაუღო ვითარების შესაფერი იდუმალი გამომეტყველებით.

- მარტო ვართ? – ჰკითხა ფიტზჰიუმ.
- დიახ, – ამოიხრა მისის გროუვმა.

მისაღებში შევიდნენ. წითელი ხის დიდ მაგიდას ერთმანეთის პირისპირ მოუსხდნენ. ფიტზჰიუმ მისის გროუვის ხელში ფულის შეკვრას მოჰკრა თვალი. ლამპა ჩაქრა და ოთახი დაძაბულმა სიბნელებში მოიცვა.

ფიტზჰიუ რიტუალს შეუდგა, რომლის უდიდესი ნაწილი სახელდახელოდ მოეფიქრებინა.

ყველა ფერი გრანდიოზული მოვლენისათვის განგანყობდა, – სიბნელე, სიჩუმე, მაგიდაზე მთვარის ანარეკლი, ქარისაგან აშრილებული ფოთლების ხმა. დრამატული წუთის გათვალისწინებით, მისტერ ფიტზჰიუმ მისტიკური პროცედურა უკიდურესობამდე გაამძაფრა. მისის გროუვი გაშეშდა. ხელი აწია და მაგიდაზე სამჯერ დაჰკრა მუშტი. თაღლითური პროექტი გრძელდებოდა. მალულად, კიბისკენ გააპარა თვალი.

დაძაბული სიჩუმე იდგა, შემდეგ დაინახა მოციმციმე ნათება, რომელიც ქვევით ეშვებოდა.

- მობრუნდით, მისის გროუვ, – ჩაიჩურჩულა მან.
- ანგელოსურ სამოსში გამონყობილი შერლი, ანთებულ სანთლით ხელში, ნელი, დიდებულებით მოსილი ნაბიჯით ეშვებოდა ძირს.

მისის გროუვმა შეჰყვირა. ბავშვი ნელა უახლოვდებოდა.

მისის გროუვი წამოდგა და ტრანსში ჩავარდნილი გოგონას უმზერდა. ფიტზჰიუც წამოდგა და ფულისაკენ გაემართა. ხელი დაავლო და სწორედ იმ დროს გაუჩინარდა, როცა მისის გროუვი თავის გოგონას ჩაეხუტა.

ფულჩაბლუჯული ფიტზჰიუ ქოხისაკენ მიიჩქაროდა. მიახლოებისას მთვარის შუქზე დაინახა, რომ რალაც მოძრაობდა. გაჩერდა და დააკვირდა. იქ ვილაც იყო. ფული ფოთლებში დამალა და ქოხს მიუახლოვდა.

- თქვენ ფიტზჰიუ ხართ? – ჰკითხეს უხეშად და ამპარტავნულად.
- დიახ, – უპასუხა ფიტზჰიუმ.
- მე გროუვი ვარ. მისის გროუვის ქმარი.
- როგორ ბრძანდებით?

– მოდი, ამას თავი დაეანებოთ. არ ვიცი, რა ტრიუკი ჩაატარეთ, ბებერო, სამაგიეროდ, ვიცი, რომ დღეს საღამოს ათი ათასი დოლარი მოგცა ჩემმა ცოლმა.

ფიტზჰიუმ თავი დაუქნია.

– ის ფული დღისით მომცა და არა საღამოს, – დააზუსტა.

– კარგი, – უთხრა გაღიზინებულმა ჰარი გროუვმა. – არ მაინტერესებს როდის, მთავარია, ფული თქვენა გაქვთ. არ ვიცი, რა ჩაახვიეთ, მაგრამ ათი ათასიანი ეგნომერი არ გაგივით. ჩემი ცოლი გულუბრყვილო და მიმნდობი ქალია. თქვენ შეიძლება ციხეში მოხვდეთ იმის გამო, რომ მისი ნდობა გამოიყენეთ, განსაკუთრებით ახლა, როცა ასეთ დღეშია.

ფიტზჰიუმ თავი დაუქნია.

– მე მგონი, მართალი ხართ, – აღიარა მან.

– აბა, სად არის ფული?

– ფულს თანაბრად გავიყოფთ, – შესთავაზა ფიტზჰიუმ.

– კარგი, – ირონიულად გაიცინა ჰარი გროუვმა. – მე ფულს ავიღებ, თქვენ კი ჩეკს.

– შესანიშნავია, – უთხრა ფიტზჰიუმ. – შეგიძლიათ ნავის მართვა?

– ნავის?

– ფული ტბაშია.

– ტბაში?

– რასაკვირველია, მეჩეჩზე. ამ დილას სწორედ იმ მოსაზრებით, თქვენ რომ აღნიშნეთ, იქ დავმალე.

– იცით ის ადგილი?

– რასაკვირველია.

ისინი ძველ ნავში ჩასხდნენ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ვილაცამ ფიტზჰიუს ქოხთან მიაგდო, და ტბის შუაგულისაკენ გაცურეს.

\*\*\*

მოხუცი ჯენტლმენი, რესპექტაბელური გარეგნობისა და საოცრად კარგად ჩაცმული, ჩქარ მატარებელში იჯდა და ბაგეზე კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა. ფანჯრიდან ლამაზი პეიზაჟით ტკბებოდა.

„ერთი რალაცა ზუსტად გავარკვიეთ, – ფიქრობდა, – როგორც ყოველთვის ვეჭვობდი, ძველი ნავის ძირი მართლად დამპალი ყოფილა. და კიდევ, ამ საქმეში ჰარი გროუვმა ერთი სიმართლე მიანიც თქვა: მას მართლა არ სცოდნია ცურვა!“

თარგმანა  
ნუცა თოფჩიშვილი

მაკა ჯოხაძე

# მშვიდობიანი დაშვება

\*

ნოდარ ანდღულაძის  
საჯარო ლექცია

ასაკთან ერთად ერთ უცნაურობას ვამჩნევ საკუთარ თავს – გაცილებით უფრო მიმშვიდდება გული და სინიდი-სი (ეს ყველაზე უფრო სათუთი ყვაილები ადამიანში), როცა ავადმყოფის სასთუმალთან ლამეს ვათევ, უმწეო ბავშვს ან მოხუცს ვაბანავებ, ანდა მშვიერ ადამიანებს ვაპურებ, ვიდრე მაშინ, როცა ვინცებ წერას.

არასოდეს მზიბლავდა და აქედან გამომდინარე, არც არასოდეს მჯეროდა დოქტორ ფროიდის თეორია სექსუალურ ენერჯიაზე, რომლის სუბლიმირებითაც ჰყვავიან თურმე შემოქმედებითი ნალოკები. თუმცა ჩემი საყვარელი უმცროსი კოლეგა გიორგი ლობჯანიძე ნამდაუნუმ ამ სუბლიმაციას ახსენებს, განსაკუთრებით თუ ვინმეს ლექსი ან მოთხრობა არ მოუვიდა თვალში.

წერით ტკობას დედამ მიმაჩვია, დაკრიალებულ, სურ-ნელოვან გარემოს ყოველილით ფეხქვეშ მიგებდა და უსიტყვოდ მანიშნებდა: – ოლონდ წერე, იმუშავე... მეტი შენ არაფერი გვეალება.

ახლა გარემოს მე თავად ვაკრიალებ და ხანდახან მზარავს მოვალეობების სიუხვე, იმდენად ყოველნამიერი, წვრილმანი და მომაბეზრებელია იგი. კარგახანს ჩემმა ქმარმაც მიძახა – დაჯექი და იმუშავე, სხვა შენგან არავის არაფერი უნდაო. ესეც თავდადება იყო კაცისაგან, რომელსაც მართალია უყვარხარ, მაგრამ რომელსაც თავისი ვრცელი და ღრმა სამყარო გააჩნია ფიქრისა და მუშაობის ასპარეზად. თავგანწირვის ხარისხით დედისას მაინც არავინ და არაფერი შეედრება ქვეყნად.

მეც ჩემს სამშობლოს ვგავარ, წრეში ვწრილობ. ახლა მე ცვდილობ უკან დავაბრუნო შეუფასებელი ამაგის ნამცვრევები. მიხდა, რომ ჩემმა შვილმა თავისი მრავალმხრივი ტალანტიდან რომელიმე მაინც განახორციელოს, ბოლომდე გაიხარჯოს და რაც შეიძლება მეტ ადამიანს გადასდოს შემოქმედებით მოგვრილი სიხარული. მიხდა, დედაჩემს უცნაური სახელწოდების მქონე შეტევები ჩავუქრო, რომლის ყოველი გამოხტომა ჩემთვის ხანძრის აგუგუნება უფროა, ვიდრე ეს „იდილიური“ მოციმციმე არითმია.

რედაქციის სამუშაო მაგიდაზე ჩვეულებისამებრ მოსანწევნი დამხვდა. „ცხელა, რა ნავა“ – გავიფიქრე. თუმცა გულწრფელად ვაღიარებ – არავინ არაფერს მავალებს, მით უფრო – მაიძულებს. ბარათს ჩაფხედე. ამჯერად საჯარო ბიბლიოთეკა თავისი ერთ-ერთი პროექტის მორიგ ლექციაზე გვეპატიჟება:

პროფესორი ნოდარ ანდღულაძე –

„სამყაროს მოსმენა“ ალფრედ ტომატისის ანთროპოლოგიური კონცეფცია –

„Big Bang-დან მოცარტამდე“.

(საუბარი პირველი)

წავიკითხე და გულში ჩამელიძა. სულ რომ თავი მოიკლან, განვითარებადი ქვეყნის სახელის აღიარებას მაინც ვერ ეღობებოდა ქართველებისაგან. ეს სტატუსი ხელი-სუფლებამ გაიკრას შუბლზე, მისი განვითარების დონეს უფრო შეეფერება...

ტომატისის წინაშე მოვალეობებისა რა მოგახსენოთ, ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ მოსანწევზე მიწერილი ჩვენი მავსტროს სახელი და გვარი საყვარლად იცქირება და გვირდებება, გაგაცნობთ ამ იტალიელს... გარდა ამისა, დიდია ცდუნება, კიდევ ერთხელ შევაბიჯო რესპექტაბელურ, ლამაზ შენობაში, რომლის სამკითხველო დარბაზებშიც თავისი საქმის უერთგულესი ქალბატონების წყალობით სტუდენტობისა და ასპირანტურის საუკეთესო წლები მაქვს გატარებული. კიდევ კარგი პარლამენტის პატრონაჟის ქვეშაა აქაურობა, თორემ ხომ აღმოჩნდებოდა ამდენხანს გასაყიდი შენობების ნუსხაში. ეს სიტყვები დავწერე და შემოქანდა გული – იდეას ხომ არ ვანვდი ვინმესმეთქი. ჩემმა გონიერმა ნახევარმა ჩემსავე გულუბრყვილო ნახევარს კომპეტენტურად განუმარტა: ეს ის შემთხვევაა, როცა იდეებს რა უყონ არ იციან, თავზე საყრელი აქვთ თავიანთიც.

წელ-წელა ივსება საკონფერენციო დარბაზი, რომლის განაპირა მხარეებშიც აქა-იქ ჩადგმული პროპელურიანი იაპონური გამაგრებლები ივლისის ხვატს აფრთხობენ, წენავენ და ადამიანებს სულის მოთქმაში შველიან.

დანყებამდე კიდევ დარჩა რამდენიმე წუთი, დარბაზს ვათვალიერებ. ანტონიონის კადრებივით ცხადდება თითქოს ჩემს თვალწინ ყველაფერი. არ ვიცი, სიცხის ბრალია, არ ვიცი, იმ აურისა თუ ენერგეტიკისა, რითაც ასაკოვანი ბატონები და ქალბატონები დარბაზში შემოდიან. იმდენი მოწინება და იდუმალებაა მათ ნაბიჯებში, სკამის გამოწევის მანერაში, ჩამოსხდომაში, მარაოების რხევაში, თითქოს შეთქმულებაში მონაწილეობის მისაღებად შემოსულან საჯარო ბიბლიოთეკაში.

ჰა, როგორია, საჯარო შეთქმულება საჯარო დანესებულებაში! თუმცა გასაკვირი არაფერი იქნებოდა. ყველა იურიდიული თუ მორალური ნორმის დარღვევამ, წლების განმავლობაში ფეხქვეშ გათელა მათი ადამიანური ღირსებები, აბუნად აიგდო მათი ღვაწლი, გარჯა, პატივი და იერარქია. მაგრამ შურისგებადმე მაინც არ დავცენენ ამაყი ადამიანები, უბრალოდ მიწამ დაკარგა ჩვეულებრივი მიზიდულობის ძალა მათთვის და იქნებ ამიტომაც მეჩვენება, რომ მათი უწონადო სხეულები ჰაერში დაფარფატებენ... ოლონდ არა შავალისეული უწყინარი ჯადოსნურობითა და ბავშვურობით.

თითქოს ლევან ქოლოშვილის მიერ დახატული არისტოკრატია ხავერდგადაკრული სავარძლებიდან წამოაყენეს, კვწური სკამებიც გამოაცალეს და უკანასკნელი ფაეტონებით ტრიალ მინდორზე მოუყარეს თავი... ფერადოვან უზარმაზარ ბუშტებს გამობმულ მოწინულ კალათებში ჩასვეს და ცისაკენ გაუშვეს...

ისევ მხატვრები და პოეტები თუ უშველიან მოხუცი მშობლების ღირსეულ გაცილებას... თორემ ხელისუფლებამ ის ტვირთიც მოიხსნა, იაპონიის დათოვლილ ფერდობებზე მხრებზე მძიმე ტვირთმოგდებული შვილები უსიერი ტყისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკებს რომ მიუყვებიან,

რათა უძველესი ტრადიციის თანახმად, დაჩიავებული მოხუცები გოდორში ჩაყრილი ყურძნის მტვერებით ხის ტოტებზე ჩამოკიდონ, და უღრან ტყეში დატოვონ. ასე გააცივლონ უკანასკნელი გოლგოთის უკანასკნელ გზაზე...

იმ საღამოს მაცეტროს შინდისფერი, უფრო ზუსტად, შედედებული სისხლისფერი პერანგი ეცვა და ფერმკრთალ სახეზე ის იდუმალი, ოდნავშესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა, რითაც ყოფიერების ამო ფუსფუსით დაღლილ ადამიანებს გამხნევენასა და გამასპინძლებას ჰპირდებოდა.

ლექცია აშკარად თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, მტკიცეულ საკითხს ეხება, საიდანაც, შეიძლება ითქვას, ყველა უბედურება იღებს სათავეს.

ადამიანები სამყაროს მოსმენას გადავეჩვიეთ! – ერთი შეხედვით პათეტიკური განაცხადია. მაგრამ თუ პათეტიკას გვერდზე გადავდებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ გადავეჩვიეთ არა მხოლოდ მთებისა და ზღვების, ჰორიზონტებისა და ჩანჩქერების, კლდეებისა, უფსკრულების, ტყეებისა და ოკეანეების, გამოქვაბულების, მღვიმეების, ხეობების, ჭალებისა და ჭაობების, ველ-მინდვრების, ქარებისა და ქარიშხლების მოსმენას, არამედ, პირველ რიგში, გადავეჩვიეთ ერთმანეთის ყურისგდებას, ფიქრისა და დარდის გარჩევას, სასონარკვეთის, სიხარულისა თუ მწუხარების გაზიარებას, შებინდებისა და რიჟრაჟების სუსხიან ფრფოლას, ვულკანების შორეულ დუღილს და მოახლოებული ზვავების გუგუნს. გულისცემის მოსასმენად ვილას სცალია. ყოველივე ამის გამო „ხმაურსა და მძვინვარებაში“ მთელი სამყარო ჩანთქმული.

დარბეული მუსიკიდან ისევე ამოდის ჰარმონია, როგორც მომაკვდავი სხეულიდან სული.

„მე ძალიან მანუხებს სმენის გაუხეშება თანამედროვეობაში, კერძოდ, მუსიკალურ სამყაროში და კერძოდ, ვოკალისტებთან, მომღერლებთან, უფრო ფართოდ კი – მოსმენის უუნარობა,“ – თქვა ბატონმა ნოდარმა თუ არა, დარწმუნებული ვარ, დარბაზში მსხდომთ, კიდევ ერთხელ გაგვახსენებოდა უამრავ, ნაირნაირ მტერთან ერთად ჩვენს ყოველდღიურობას არანმინდა მუსიკის ნიაღვრები როგორი სიმძლავრით შემოესია.

თანამედროვე მსოფლიოში ისევე რთული ხდება მთლიანი, შეურყვანელი მელოდიის მოხელთება, როგორც ფუცხუნა მყავე წყლების შეჩერება. ისინი უკვე გარბიან ჩვენგან, ისევე მიწის წიაღს უბრუნდებიან...

ნაკადულები აუმღვრეველად მხოლოდ სიმღერებში კვდებიან – ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი სევდიანი აღმოჩენა. დღეს უკვე გულის ფიცარიც კი ვეღარა ცრის მღვრიე მუსიკას ისე, რომ წმინდა მოტივად მიესალბუნოს ჩვენს აფორიაქებულ სულს. ამიტომაც დაედო დიდი ფასი საერთაშორისო მედიცინაში ქართული საგალობლებით მკურნალობას.

ჩვენი დღევანდელი შეგრძნებები ბავშვობისეული ხილის გემოსა და სურნელს მხოლოდ იმიტომ კი არ იხსენებს ასეთი ნოსტალგიით, რომ თავად ახალგაზრდობა იყო გემრიელი და სურნელოვანი, არამედ იმიტომ, რომ ყვავილმა და ნაყოფმა მართლა დაჰკარგა პირვანდელი სურნელი. სულ პიირვანდელზე აღარაფერს ვამბობ...

ყველაფერი შედარებითია და სწორედ ამის გამო გიყვდება უცხოელები ჩვენს ხეხილსა თუ ბაღჩეში მონეულ ნაყოფების არომატსა და სურნელზე.

არომატები, ეს ბიბლიური მცენარეები, დღემდე გვწყალობენ და დღემდე იმეტებენ ჩვენთვის ნიადაგის სისხლძარღვებს გამოყოფილ ღვთაებრივ წვენებს.

ბატონი ნოდარი კარუზოს სახელობის ასოციაციის წევრია და ამის გამო ხშირად უწევდა იტალიაში ყოფნა. სწორედ ერთ-ერთი ჩასვლის დროს მიეცა საშუალება, ტომატისის ნაშრომებს გაცნობოდა. მაცეტრომ ლექციაზე არაჩვეულებრივი არტისტიზმით წაგვიკითხა საგანგებოდ შერჩეული ფრაგმენტები, რომლებშიც კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოჩნდა სხვადასხვა საუკუნეების გამოჩენილი ადამიანების დაკვირვებები სმენაზე.

ტომატისის აზრით, სმენის გაუხეშება, მოსმენის უუნარობა მას შემდეგ მოხდა, რაც ადამიანმა დაივიწყა, რომ იგი სამყაროს მოსასმენადაა შექმნილი. ნოდარ ანდლულაძე ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში წერდა, რომ „გონიერი თვალისა არ იყოს“, „გონიერი ყურიც“ გვაკლიაო.

ბავშვობაში ნანახი ფილმებიდან რამდენიმე კადრი მთელი ცხოვრება გამომყვა და პერიოდული სიხშირით

არცთუ შემთხვევით მახსენებს ხოლმე თავს. ერთ-ერთი მათგანია ფილმი კარუზოზე, როცა ფლორენციის ერთ-ერთ მოედანზე, მუშათა კვარტალში პატარა-პატარა ფუნდუკებით გარშემორტყმულ წრეში ფქვილისტომრებაკედებული მუშები რომ მიმოდინ, მოულოდნელად ერთავალა ურმის კოფოზე ამხტარი ჭაბუკი ისეთივე გატაცებით, თავგანწირვით უმღერის თანამემამულეებს, როგორც შემდგომში უკვე ლასკალასა თუ სხვა ძვირფასი საოპერო თეატრების სცენიდან – მუსიკალურ ელიტას.

და მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ფილმში ხდებოდა, დარწმუნებული ვარ, ეს სპონტანური, გახელბული სიყვარულის ახსენები საკუთარი თანამემამულეებისათვის ისევე ხშირად მეორედბოდა ნეაპოლის, ფლორენციისა თუ რომის მოედნებზე, როგორც ეროვნული გენია და თავისუფლების სიყვარული ჯუზეპე ვერდის მუსიკაში. ხმა და მუსიკაც ისევე სამარადჯამოდ იძენებოდა დროსა და სივრცეში, როგორც მიქელანჯელოს ქანდაკებები, რომელთა წყალობითაც რომი დღეს ქალაქი-მუზეუმი ღია ცის ქვეშ.

მსგავსი მოულოდნელი სიხარულები თბილისის ქუჩებს არ ვიცი, მაგრამ პერიფერიებს კი ნამდვილად ახსოვს. „საქართველოს ბულბულის“ – ვანო სარაჯიშვილის ერთ ასეთ ამღვრებას ბორჯომის ცის ქვეშ თავისი ბავშვობიდან ნოდარ ანდლულაძეც გაიხსენებს თამარ ღონღაძესთან საუბარში.



და საერთოდაც, მაშინდელ თბილისში და მაშინდელ რომში, მაშინდელ პარიზსა თუ მაშინდელ ვენაში მეტი იყო მოსმენა და ერთმანეთის მუსიკით გახარება.

„თქვენ ახლა ყურის დაძაბვა მოგიხდებათ, რათა მოისმინოთ უძველესი გურული საგალობლები (ტომატისი ამას „ყურის პოზას“ ეძახის), ღიმილით განმარტავს მაცეტრო. მამ ასე, ვისმენთ 1901 წლის ჩანანერს – ორ გურულ საგალობელს ანზორ ერქომაიშვილის მიერ შედგენილი ანთოლოგიიდან, რომელიც იუნესკომ დააფინანსა და ჯერჯერობით არ გამოცემულა და მოვისმენთ სინაგოგის მომღერალთა ოსტატობას (ენ. სინაგოგის კანტორიას)...

სულგანაბული დარბაზი თითქოს თავად ქცეულა ერთ ვარდისფერ ყურის ნიჟარად, რომლის მგრძობიარე მღვიმეებშიც ზიარების ღვინოსავით ნელ-ნელა ისხმება ეს ორი საოცრება. თუ პირველი საგალობელი ღვთაებრივ სითხესავით გაჟრჟოლებს, გათრობს და გთენთავს, მეორე, სინაგოგის მომღერალთა ოსტატობა აჩენს ილუზიას, რომ სიმღერა უშუალოდ სინაგოგის კედლებშია შესრულებული. იშვიათი აკუსტიკური ჟღერადობის მქონე ეს ძლიერი ებრაული საოპერო ხმები რალაც არქაულ, სიმღერაში გახვეწულ მარად ძველსა და მარად ახალ მოუშუშებელ ჭრილობაზე გოდებენ და მოთქვამენ.

თითქოს ტრანსიდან გამოვდივართ. ბატონი ნოდარი თავის ერთგულ, უმცროს მეგობარს, დავით ანდლულაძის სახელობის ფონდის დირექტორს გური ზაქარიეშვილს ანიშნებს და დარბაზის ცენტრში განათებულ ეკრანზე უცნაური სლაიდები გამჟღავნებს ინყებენ. ეს ანატომიურად მაღალ მეცნიერულ დონეზე შესწავლილი ყურის აგებულებაა, სადაც ჩანს, რომ სწორედ ამ ორგანოზე აისახება ადამიანის მთელი სხეული.

ლექციის ეს ნაწილი ინფორმაციულად უაღრესად ტევადი და საინტერესო, ზოგს გვაგებინებს, ზოგსაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს აღმოსავლური (ჩინური) მედიცინის უმთავრეს მეთოდებსა და მიღწევებზე, რომლებიც ძირითადად სმენის ორგანოს სრულყოფილი შესწავლის ხარჯზე ხორციელდება. ტომატისის აქვს თავისი ტერმინები – „ყურის მეტყველება“, „სმენადი ორსულობა“. ეკრანზე სწორედ ამ ტერმინების შესატყვისი სურათები ცვლიან ერთმანეთს, სლაიდები ფერნერის ნიმუშებსაც ხელახლა გვაცნობენ ამ თვალსაზრისით. მაგალითად – ბოსხის ტილო, ყურში გაჩრილი ლურსმანი...

წითელი ტერორის ყველაზე უფრო ბარბაროსული აქტი მახსენდება, ლეგენდარული ევგენი მიქელაძის მიმართ ჩადენილი.

ჯალათები ასე კლავენ სამყაროში მუსიკას, მერე ამ ტირანებზე მითებს თხზავენ და გაოცებით ყვებიან, რომ ყველაზე უფრო დაუნდობელ დიქტატორებს ოსვენციმის შექმნასთან ერთად, ძალიან უყვართ დახვეწილი კლასიკური მუსიკის მოსმენა. ეს მოარული აბსურდია „სიყვარულზე“. საქმე უბრალოდ იმაშია, რომ დემონებისგან ყველაზე უფრო დარბეული და გასასტიკებული სულების დაცხრობას და დაამებას, ისევე ღვთაებრივი მუსიკის ანგელოზები ცდილობენ, სისხლიან გულებზე თეთრი ფრთების გადატარებით.

ბატონი ნოდარის სიტყვებს, რომ „მღერის არა სიმღერის ორგანო, არამედ მთელი ტანი“ ფიქრში ვაგრძელებ – ისევე, როგორც სხეულის ყველა უჯრედი იძირება გლოვამში...

ამ მუქი სენტენციიდან ისევე ნოდარ ანდლულაძის განუმეორებელ ღიმილს და ძლივსშესამჩნევ ირონიას გამოვყავარ – „სპილო ბრძენ ცხოველად სწორედ იმიტომაცაა თურმე მიჩნეული, რომ ასეთი დიდი ყურები აქვს და ვედები სწორედ მისი ეშვებით დაინერა.

ნეტა ინდოეთში რას იტყვიან, რომ გაიგონ – ქართველები უსმენო კაცს ასეთი იუმორით რომ ახასიათებენ – სპილომ ყურზე ფეხი დააბიჯაო. აი, თურმე საიდან მოდის ბავშვობიდან წამოყოლილი ხალისიანი შეფასება.

მაცეტრო ისევე თავის სტიქიაშია – მონაფისა და მასწავლებლის ურთიერთობაზე საუბრობს: მასწავლებელი მონაფის ყურია და ამ სურათზეც სწორედ ესაა ასახულიო... მაცეტროს შენიშვნას, რომ ადამიანი თავისი არასრულყოფილი ენით გადმოსცემს ზეგარდმო შემონათვალს, მე ისევე ფიქრში ვაგრძელებ – გენიალური ხმა ყველაზე სრულყოფილად ახერხებს ამ შემონათვალის ჩვენამდე მოტანას და მახსენდება იოანე ღვთისმეტყველის „აპოკალიფსიდან“:

– მე ვიხილე ხმა... მივბრუნდი, რომ დამენახა ხმა... მე ვიყავი სულში უფლის დღეს და ზურგსუკანიდან შემომესმა დიდი ხმა, საყვირის მსგავსი... (გამოცხ. 10.11).

აღფრთხე ტომატისს, რომელმაც სმენის აპარატი გამოიგონა, თავის დროზე ასეთი დებულება უსვრია, ადამიანი მღერის ყურით და იმას გამოსცემს, რა ობერტონებიც ყურში აქვს.

ჩვენს ძალადგაუბედურებულ მომავალ თაობაზე ვფიქრობ. ვინ იცის, რა ქარიშხლიანი ობერტონები დათარემობენ მათი სმენის ლაბირინთებში. მენანება მანდარინის ლებნებივით შუქჩამდგარი მათი ყურის ბიბილოები მათი ღვთაებრივი ჩანასახის ფორმას რომ ატარებს და ოდესღაც დედის ნიაღში მოკეცილი, უზრუნველ ცურვას გვაგონებს.

დღეს, ისევე, როგორც სულებისა და ტვინების, მუსიკალური სმენის გამორეცხვაზეც აშკარა ნადირობაა გამოცხადებული! სამწუხაროდ, ეს ბოროტი ძალები, სტადიონებზე შეყრილი გრანდიოზული როკკონცერტებითა თუ აგრესიული გამოსვლებით, ელექტრომოკს რომ უფრო ნააგავს, ვიდრე მუსიკას, მასობრივი დაყრუების პროგრამებს ასრულებენ. გულითადაბასა და ინტიმს, გაშთვლებული ხმაური ცვლის და კერპებისაკენ აღმართული ხელები ცეცხლნაკიდებულ ახალგაზრდა ტყეებს ნააგავს... საშინლად ითრგუნები იმის გამო, რომ შენ ამ ჯოჯოხეთური ხანძრის ჩაქრობა აღარ შეგიძლია.

დიდი მაცეტროს, ნოდარ ანდლულაძის მოსაზრება: უბედურებაა, რომ ჩვენ აღარა გვაქვს სიმღერა სკოლაში და ეს არის სიყრუის უმთავრესი ფესვი – რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო სისტემისათვის დღემდე რჩება ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა.

ისევე ახალ ტერმინს „ძვლის კონტროლს“ მოვკარი ყური, რომელიც მაცეტრომ იქვე განმარტა: ყველა დიდი მომღერალი მღეროდა ძვლიდან, საშუალოები კიდევ ხორციდან, იქვე დასძინა, რომ ძვალს გააჩნია თავისი ვიბრაციის უნარიო.

მართლაც, იქნებ ამიტომაც აღიარებს დავით წინასწარმეტყველი ერთ-ერთ საგალობელში: ჩემი ძვლებიც კვნესილი.

ძვალს ეტყობა ბევრი რამის უნარი გააჩნია. აღმოჩენილია, რომ წმინდანობის ხარისხს, წმინდანი იყო თუ არა, ძვლის ფერიც განსაზღვრავდა. წმინდანთა ძვლები, როგორც წესი, ქარვისფერია თურმე. ყოფილა შემთხვევები,

როცა მხურვალე და განუწყვეტელი ლოცვებით ნახშირით შავ ძვლებს ფერი შეუცვლიათ და სასუფეველში გადაუყვანიათ მისი ოდინდელი პატრონისაგან გაყრილი სული.

სხვათა შორის, ელიას მთაზე მდებარე სამების სახელობის ტაძარში, ვისაც უნახავს შიო მღვიმელის, ევსტათი მცხეთელისა თუ სხვა წმინდანთა ძვლის ნაწილები, მას არასოდეს დაავიწყდება ეს უცნაური ქარვისფერი.

გულუხვმა მაესტრომ, სანამ კარუზოს ხმას მოგვასმენინებდა, განმარტა, რომ ამ გენიოსს თავის ქალის ხმა ჰქონდაო, თითქოს ყოველივე ამის დასტურად მეიერბერის „აფრიკელი ქალიდან“ ვასკო და გამას არია მოგვასმენინა კარუზოს შესრულებით.

ამ სასწაულის მერე „ლუჩია დე ლამერმურიდან“ ვისმენთ გამაოგნებელ სექსტეტს, რომლის სიტყვიერი გადმოცემაც, ვაღიარებ, რომ ისეთივე ამო მკრეხელობა იქნება, როგორც მცდელობა იმისა, ცრემლის გასაგებად, ქიმიური ანალიზი ჩაუტარო მას და ჰონორით განაცხადო – ცრემლი რა არის, ვიცო.

ნოდარ ანდლულაძე თავისი ახალგაზრდობის წლებს ის-სენებს და გვიყვება 1961 წელს ჯანი რაიმონდთან და საზერლენთან ერთად როგორ დაუკავშირდა ძველი იტალიური სკოლის წარმომადგენელ მომღერლებს. მათ შეკითხვაზე, თუ რატომ მოეწონა ანდლულაძეს ასე რაიმონდი, ბ-ნ ნოდარს უპასუხია: (ცოტა პატრიოტიზმზეც ვითამაშეო – ილიმება) იმიტომ, რომ ეს არის ძველი იტალიური სკოლა, რომელსაც გერმანული გავლენა აღარ ეტყობაო.

ვისმენთ არტურისა და ელვირას დუეტს ბელინის „პურიტანელიდან“ (საზერლენდი და ჯანიანი) მაესტრო ალფრედოვანებით განმარტავს – ეს არ არის სტუდიური ჩანაწერი, ეს ნამდვილია! პირდაპირ ნეაპოლში ნამღერი...

იტალიური სკოლის წიაღიდან გამოღწეული ხმები ისეთი მხურვალეებით ანათებს, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟის საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, თითქოს ჩვენს თვალწინ ვარვარა ქურაში გამოწრთობილი და გადამდნარი ოქრო იღვრება... დარწმუნებული ვარ საცავებში დაუნჯებული ძვირფასი ნივთების ძვირფას ავტორებსაც ესმით ტალანტის საკადრისი ხმების ნათება, რადგან კირკეგორის ღრმა დაკვირვებისა არ იყოს, „ბგერა შეაღწევს იქ, სადაც ვერ შეაღწევს მზის სხივიც კი“.

დაბოლოს, ყველაზე დიდი სიურპრიზი: 1977 წელს მოსკოვის დიდი თეატრის ორკესტრთან ერთად (დირიჟორი ალექსეივი) შესრულებული სანტუცასა და ტურიდოს დუეტი მასკანის „სოფლის მხედრონიდან“ ნოდარ ანდლულაძისა და ცისანა ტატიშვილის შესრულებით.

ვისმენთ საოცრებას, ყველა დროისა და ყველა სივრცის გადამლახავს, ამ გამაოგნებელ ხმებს... ეს არა მხოლოდ ორი პიროვნების, ორი საოპერო გმირის... ხმებია, არამედ ზოგადად, სამყაროში არსებული ორი სქესის, ადამ და ევას ხმით განხორციელებული ღვთაებრივი კავშირი, რომელზეც ბრუნავს და ვითარდება სამყარო. და მე ვხვდები, რომ ეს ლექცია, ეს საღამო არ იყო ერთი რიგითი, ჩვეულებრივი საღამო, რიგითი ღონისძიება, რომელსაც ვალდებულება თუ მოვალეობა აჩენს. ეს არც მხოლოდ გამაოგნებელი მასტერკლასი იყო ჩვენი ძვირფასი მაესტროსი, რომლის მაგალითზეც მსმენელთა ახალგაზრდა ნაწილმა განსაკუთრებული სიცხადით დაინახა, თუ რას ნიშნავს თვითნაბადი ტალანტი პლიუს დიდი ინტელექტი. ეს უფრო გამონგვა იყო,

კეთილშობილური ბრძოლა, რომელმაც ჩასახა იმედი, რომ სიკეთის, სინაზის, გონიერების გადასარჩენად არიან ადამიანები, რომელთაც არამხოლოდ ხელენიფებათ, არამედ, პირველ რიგში, მთელი თავიანთი არსებობით აქვთ უფლება მოპოვებული, რომ ყველაზე გაუსაძლის პირობებშიც კი არ დანებდნენ და მისაბამ მაგალითად იქცნენ.

მართალია, ყოველივე ერთ პატარა საკონფერენციო დარბაზში ხდებოდა, მართალია, მისი ტირაჟირების ყველა არხი დღესდღეობით გადაკეტილია, მაგრამ მთავარია გულის სარქველები არ დაიხუროს. მთავარია, რომ ბგერამ შეაღწიოს იქ, სადაც მზის სხივიც კი ვერ აღწევს.

ნოდარ ანდლულაძეს იმდენი მხურვალე ტაში უნახავს და უსმენია... მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისმა მგრძობიარე გულმა და ყურმა იმდღევანდელი ტაშის ვიბრაცია აშკარად შეამჩნია. შეამჩნია, რომ იგი ძვლიდან, მხოლოდ ძვლიდან მოდიოდა რხევით... ასეა, თურმე ტაშიც შეიძლება იყოს გენიალური. მართლაც, იმ საღამოს თითქოს ხორცი აღარ გვესხა, დღეს, ამ პრაგმატულ საუკუნეში ნოდარ ანდლულაძემ მოახერხა და შექმნა ამგვარი განწყობილება, როცა ორსაათიანი ლექციის მოსმენა უნივერსალური ოპერის მოსმენას ნიშნავს და ტაშიც ამიტომ დაიმსახურა უნიკალური.

საღამოს დასასრულს მიდიოდნენ მასთან ახლობლები, მუსიკოსები, კოლეგები, მუსიკისმოყვარულები, მელომანები, საჯარო ბიბლიოთეკის წარმომადგენლები.

მასპინძელმა, ემზარ ჯგერენაიამ, რომელმაც გახსნა დღევანდელი საღამო, დასასრულს ძალიან მოკლე, მაგრამ ტევადი სიტყვა თქვა. მომეჩვენა, რომ მან ისეთივე გულითადობით, კეთილი სურვილებით დალოცა ფილოსოფიისა და ხელოვნების განუყოფლობის ხაზი, როგორც ქართული სუფრის დიდებული თამადა დალოცავს ნივთ-დედოფლის ღვთაებრივ შეუღლებას.

დღეს ყველას განსაკუთრებული სმენა გვექონდა... მათ შორის მასპინძელსაც, ამიტომაც სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ცოტა არ იყოს, მოვალეობის გამო უფრო დასვა შეკითხვა, ხომ არავის გნებავთ რაიმეს თქმაო, და „ჯობია ისევ ის ბგერები დაგვრჩეს ყურშიო“, მის ორჭოფობას კვერი დაუკრა ჭკვიანმა დარბაზმა. თანდათან იშლებოდნენ, ისეთი განცდა იყო, რომ მუსიკა ქუჩაშიც გადმოღვრილიყო, პატარა-პატარა ჯგუფებად ისევ იდგნენ მსმენელები, ვერ ელოდნენ ერთმანეთს, შევამჩნიე ელდარ გენაძე რა აღმაფრენით ესაუბრებოდა გივი ალხაზიშვილს და როსტომ ჩხეიძეს, აშკარა იყო, ისევ მუსიკის მისტიკურ შესაძლებლობებზე ყვებოდა შესანიშნავი მომღერალი.

მე კი სისავსით გადალიციციტებულმა, მიუხედავად ჩემი ბუნებითი მორცხვობისა, მაინც ვაძიულე თავი მაესტროსთან მივსულიყავი და ორიოდე სიტყვით რაღაც ძალიან პოეტური, ძალიან ლამაზი, ძალიან მუსიკალური მადლობა მეთქვა. რა თქმა უნდა ვერ მოვახერხებ, ხმადაბლა ის ვუთხარი, რაც ექსპრომტად წამოვიდა:

– მაესტრო! დიდი მადლობა, რომ ამ ტოტალური სიყრუის ჟამს, მოახერხეთ და ორი საათით მაინც დაუბრუნეთ სამყაროს სმენა.

გაეღიმა, მომეჩვენა, რომ ზუსტად იმ დღეობებით გაეღიმა, საღამოს დასაწყისშივე რომ ეფინა სახეზე. ისევ დარბაზს გავხედე.

ცისკან გაფრენილი ასაკოვანი მუსიკოსები ფრთხილად გადმოდიოდნენ ფერადი კალათებიდან და მიწაზე მშვიდობიან დაშვებას ულოცავდნენ ერთმანეთს.

# ვიღრე გველოდეზიან, ვიღრე ველოდეზით...

„ჩვენი მწერლობის“ წინა ნომერში დასტამბულმა მარიო ბენედეტის ნოველამ „მჭვირვალეზა“, რომელიც ესპანურიდან შესანიშნავად უთარგმნია მაკა გოგოლაშვილს, უდიდესი სიამოვნება მომანიჭა.

ამ წერილს თელავიდან გწერთ. საქართველოს რეგიონების უმეტესობათა მსგავსად, სიცოცხლე, რბილად რომ ვთქვათ, არც ამ ქალაქში „დულს და გადმოდის“. ჩემისთანა კაცისათვის შეიძლება აქ ერთადერთი სიხარული თქვენი ჟურნალის ახალი ნომრის ნაკითხვა იყოს.

რამდენჯერმე კიდეც შეგეხმინათ, ბოლოს გადაწყვიტე, ემანდ კოხტაპრუნა არავის ვეგონო, რა ჩემი საქმეა ლიტერატურაზე წერილების წერა, ავდეგები, ჩემთვის ვისიამოვნებ და რედაქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევანუხებ, როცა რალაც მართლა ძალიან მომეწონება-მეთქი.

ახლა ვხვდები, რომ ამ პრინციპითაც თქვენი შენუხება ალბათ ორ კვირაში ერთხელ მომიწევს, რადგან ყველა ნომერში ერთმანეთზე უკეთესი მასალები იბეჭდება და ადამიანს გული აღარ გითმენს, ხმა არ ამოიღო.

მითუმეტეს, თუ მთარგმნელი ახალი სახელია და ვინ იცის, ეგებ იმასაც სჭირდებოდეს გამხნევეზა და თქმა, რომ საქმე, რისთვისაც მოუკიდია ხელი, შესანიშნავად გამოსდის.

სახელზე გამახსენდა. რა თქმა უნდა, ვიცი ქალბატონი ნანა გოგოლაშვილის თარგმანები. მაკა გოგოლაშვილისათვის კი, მგონი, ეს პუბლიკაცია სადებიუტო უნდა იყოს, რადგან აქამდე მისი ნაშრომი არასდროს წამიკითხავს. თუმცა ბენედეტის ნოველა ისეთი ოსტატობით იყო გადმოღებული ქართულად, ერთხანს ვიფიქრე, კორექტურა ხომ არ გაეპარათ და სახელში „მაკას“ ნაცვლად „ნანა“ ხომ არ უნდა ეწეროს-მეთქი. მაგრამ ქალბატონი ნანა გერმანული ლიტერატურის მთარგმნელია, ეს კი ესპანური ნოველა და თანაც ორი მთარგმნელის ხელწერა ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავდება. ასე რომ, მგონი, ესპანურ ლიტერატურასაც მოევიწინა ჩვენში „თავისი ნანა გოგოლაშვილი“ და ახალგაზრდა მთარგმნელს ვუსურვებ ისეთივე თავდადებითა და წარმატებით ელვანოს ესპანური მწერლობის საუკეთესო ნიმუშების ქართულად გადმოსაღებად, როგორც ამას მისი მოგვარე, უკვე აღიარებული მთარგმნელი გერმანული ლიტერატურისათვის აკეთებს.

რაც შეეხება მარიო ბენედეტის სტილს, რა თქმა უნდა, ძალადაუტანებლად გაგახსენებთ დიდ კოლუმბიელსა და მის „ასწლოვან მარტოობას“. გაგახსენებთ კი არა და, ავტორის სახელს რომ ყურადღება არ მიაქციო, შეიძლება

გეგონოს, მარკესის ნოველას ვკითხულობ – ჩვეული არტისტიზმით, სიღრმითა და ვნებით დანერგულ ნოველასო.

მით უფრო, თემატიკაც თითქმის ერთი და იგივეა: ადამიანის მარტოობა და ბედნიერების ეფემერულობა ცხოვრების მცირე და ხანმოკლე გამონათებებში. ამიტომაც ეძღვნება ნოველა „დიანასა და ხუანის ბედნიერი ცხოვრების მცირე მონაკვეთს“. ეძღვნება ყველა დიანასა და ხუანს, ვისაც ოდესღაც მადრიდში, სტამბოლში, თბილისში, თელავში, ურუგვაიში თუ პარაგვაიში სულ რამდენიმე წამით უპოვიათ ერთმანეთი, რათა ბედნიერების ეფემერულობა და უხანობა ეგრძნოთ.

ებრაული მისტიკური სწავლების მიხედვით, სამოთხიდან გამოდევნილი ადამი და ევა დედამიანზე სხვადასხვა ადგილას, ორ სხვადასხვა პოლუსში აღმოჩნდნენ და ვიდრე ისევ ხელახლა შეხვდებოდნენ, დიდხანს იარეს, ინვალებს და ეძებეს ერთმანეთი.

ეს გზა შეიძლება გარეთ, ობიექტურ სინამდვილეში ედოთ, შეიძლება სულაც საკუთარ თავში, ამბობს ებრაული ლეგენდა, რაც მინიშნებით იმას გულისხმობს, რომ სიყვარულის, ზრუნვისა და მონატრების უნარი უპირველსად შენშივე უნდა აღმოაჩინო, რომ მერე ცხოვრების გარეგანი მდინარეზაც შენში მოძიებულ ამავე ქარგაზე აიგოს და გაიშალოს.

ამიტომაც ეღიშება კლარას მეგობარ ჰერმანს ბენედეტის მოთხრობაში, როცა ქალი გარდაცვლილ მეუღლესთან შეხვედრებზე უამბობს და ეუბნება, რომ ყველაფერი იმის ბრალია, რაც მისსავე შუბლში ანუ გონებაში ხდება. ამიტომაც უპასუხებს კლარა, იმისაც, რაც აქ ანუ გულში მაქვსო.

ჰერმანი და კლარა რომ მეგობრები კი არა, საყვარლები ყოფილიყვნენ, ალბათ ადამიანური ენერგიის კონცენტრირების კიდეც ერთ წერტილს მოძებნიდნენ, რასაც ფროიდი „დიდ ჭკუას“ უწოდებდა, მაგრამ ეს წერტილი პერსონაჟთა მეგობრობის გარდა, ქალის ცხოვრებაში უკვე სიკვდილის მჭვირვალეზითაა დაძლეული. მეუღლესთან ერთად კლარაც გარდაცვლილია, ის მთარგმნელი სამარეა, სადაც გარდასული დიდი სიყვარულისა და ვნების ნანგრევებში ჩამარხულა. ამიტომაც ხედავს ხორხეს უფრო მკაფიოდ ვიდრე ქუჩაში მოზღვავეზულ ხალხს, რომელთა ყურებაც მათი უპიროვნობის, გადღაბნილობის, გათქვეფილობის გამო სიამოვნებს. სწორედ ამ გადღაბნილობაში იკვეთება ხორხე, ვიდრე კლარა ელოდება და ვიდრე ხალხის უფერული მასიდან ქალისათვის კიდეც ვიღაც გამოცალკევდება.

აქ მართლაც სრულებით გამჭვირვალეა მარიო ბენედეტის „მჭვირვალეზის“ ქვეტექსტი:

ჩვენ მანამ ვცოცხლობთ, სანამ ვინმეს ველოდებით.

და მანამ ვცოცხლობთ, სანამ ვინმე გველოდება.

უამისოდ მასაში გათქვეფილი ნაწილაკები ვართ, საიდანაც მოლოდინი, სიყვარულის მოლოდინი გამოგვაცალკევებს.

ამიტომაც აღიქმება მარტოობა მაღლად და არა სასჯელად ბენედეტისათვის. თუმცა „მჭვირვალეზა“ იმითაცაა დიდი ლიტერატურის ნიმუში, რომ მწერალი ბოლომდე არა სწირავს „აქეთ“, ცხოვრებაში დარჩენილ პერსონაჟს მარტოობისათვის. მოთხრობის ფინალში ხალხის მა-

## გამოსაშუბა

სიდან კიდევ ერთ მამაკაცს გამოაცალკევენ, რათა სიკვდილ-სიცოცხლის მჭვირვალეების მიჯნაზე მოფარფატე ქალს ხელი შეაშველოს.

ერთი წამით მკითხველის წინაშე ყველაფერი ამოყირავდება. ხუანის შეცოდების, სიყვარულის ილუზორულობის და საერთოდ ადამიანურ ურთიერთობათა სისასტიკის განცდა შენში ერთბაშად იფეთქებს, ვიდრე ხელახლა ჩამშვიდდები და მიხვდები:

ეს მესამე კაცი, სინამდვილეში, ცოცხალი ხუანია, რომელიც მკვდრეთით მასზე შეყვარებული ქალის მოლოდინმა, მარტოობამ და ვნებამ ალაღვინა.

რაკი მოლოდინზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა გითხრა, რომ მე უკვე ველოდები მარიო ბენედეტს, „ჩემს მწერალს“ და მაკა გოგოლაშვილს – „ჩემს მთარგმნელს“. კიდევ დაბეჭდეთ მისი თარგმანები, რადგან ლიტერატურასაც ხომ, სხვა ყველაფერთან ერთად, ან იქნებ სხვა ყველაფერზე მეტადაც, სწორედ მკითხველის სიყვარული და მოლოდინი აცოცხლებს.

**პატივისცემით**  
**ირაკლე ხატიასკაცი**  
**თელავი**

## კრიტიკა

მაია ჯალიაშვილი

# „მიაგუე რაიმე ღმერთს, დაო ნუშის ხეო...“

\*

**ფიქრები**  
**ნიკოს კაზანძაკისის რომანზე**  
**„აღსარება გრეკოსთან“**

ნიკოს კაზანძაკისის სახელი პირველად გრიგოლ რობაქიძესთან დაკავშირებით გავიგონე და ეს ბერძენი მწერალი მაშინვე ლეგენდარული ბურუსით შეიმოსა. ვიცოდი, რომ მას ჰქონდა რომანი „ტოდა-რაბა“, რომელშიც აღწერდა ქართულ ლხინს, უწოდებდა მას დიონისურს და, კერძოდ, წერდა: „ამ დიონისურ გარემოში პირველად ვნახე გრიგოლ რობაქიძე. ახლა იგი წარმოდგენილი მყავს, ვით უძლიერესი სულიერი პიროვნება საქართველოსი... გრიგოლი შეზრდილია მითოსის მქმნელ ძალთა არეში რასებისა და ხალხებისა. იგი ცდილობს გახსნას პირველი საიდუმლოებანი, რომელნიც ათას წელთა მანძილზე საერთოდ ხელუხლებელი იყვნენ, ან მხოლოდ ზერეულად ხელნახლები და გამოაქვს დღის სინათლეზე დასაბამის სიბრძნე, რომელიც გადმოცემულია ზეპიროვნული მეხსიერებით. იგი საქართველოს ათი ათას წლებში გადასულ და დაკარგულ „ატლანტიდაში“ ეძებს“.

ბოლო დროს კი მომეცა შესაძლებლობა გავცნობოდი ნიკოს კაზანძაკისის რომანსაც, თამარ მესხის მშვენიერი თარგმანის წყალობით.

მწერალს რომანში „აღსარება გრეკოსთან“ მთელი ცხოვრება წარმოჩენილი აქვს, როგორც ერთი დიდი მოგზაურობა საკუთარი თავისა და ღმერთის შეცნობის გზაზე. ამ შემთხვევაში იგი დონ კიხოტსაც ედარება, რომელიც, მწერლისავე სიტყვით, დაიძრა, რათა მარტივ ყო-

ველდლიურობაში, სტვენასა და სიცილში, მოვლენათა მიღმა არსებული არსი ეპოვნა.

ნიკოს კაზანძაკისი ერთგან წერს: „სამყარო ჰარმონიას ნიშნავს“. სწორედ ამ ჰარმონიის ძიების რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაა წარმოჩენილი რომანში. საგულისხმოა, რომ ეს ძიება იწყება არა გონების გახსნის ასაკიდან, არამედ თვალის პირველივე ახელიდან. მწერლის აზრით, საბერძნეთმა ერთადერთმა შეძლო ქაოსში წესრიგის დამყარება და მას ამ საქმეში შუეი დაეხმარა, რომელიც თურმე „იტალიაში რბილია, ქალური, იონიაში – ძალიან ნაზი, სავსე აღმოსავლური მოულოდნელობებით, ეგვიპტეში სქელი და ავზორცი, ხოლო საბერძნეთში – მთლიანად სულით არის გამსჭვალული. ამ შუეში ადამიანმა შეძლო, სუფთად დაენახა, წესრიგი დაემყარებინა ქაოსში და მისგან სამყარო შეექმნა“.

შუეზე მწერლის დაკვირვებები ფერწერულია და ახლოსაა იმპრესიონისტების აღქმასთან. „აღმოსავლეთის ბუნდოვანი, დაუხვეწავი ღალადისი, საბერძნეთის სინათლესთან შეხვედრისას ინმინდება, ადამიანური ხდება, სიტყვად იქცევა“.

მწერალს ეამაყება, რომ ბერძენია, თანაც კრეტელი და ამიტომაც საგანგებოდ ამზერებს თვის ფესვებს, წყალს უსხამს, მინას უფხვიერებს, ელოლიავენა, რათა მასზე ამოსული სიცოცხლის ხე მძლავრტოტებიანი, ნაყოფსავსე და შეუდრკელი იყოს. საკუთარი ეროვნებით სიამაყე დიდ პასუხისმგებლობასთანაა გადაჯაჭვული, დიდი ტვირთია, რომლის ზიდვა დიდ სულიერ ენერგიას მოითხოვს.

მწერალი თვალს გადადევნებს ქვეყნის ისტორიასაც, რომელიც ბნელ სიღრმეებში იკარგება და საკუთარ თავგადასავალს მას გადაანწავს. ერთი მეორეს ხსნის, რადგან მხოლოდ ის ცოცხლობს, რასაც იხსენებენ.

საგულისხმოა, რომ ძველი ბერძნული კულტურის დაცემას მწერალი რეალიზმის „მეფობას“ უკავშირებს, რომლის შედეგადაც გაჩნდა ურწმუნო, რეალისტური, პიროვნული იდეალებისაგან დაცლილი ელინისტური ეპოქა. რაც მთავარია, დაიკარგა რწმენა სამშობლოს მიმართ. პიროვნულმა ეგოიზმმა იზეიმა. „მოქმედების გმირი ღმერთი ან იდეალად ქცეული ჭაბუკი კი აღარ არის, არამედ – მდიდარი მოქალაქე თავისი ჰედონიზმით და ვნებებით, მატერიალისტი, სკეპტიკოსი და მოქიფე. ნიჭს გენიალურობის ადგილი ეკავა, ახლა კი კარგი გემოვნება ცვლის ნიჭს და ივ-

სება ხელოვნება კეკლუცი ბავშვებითა და ქალებით, რეალისტური სცენებით, ცხოველური ადამიანებით და ინტელიგენტებით“. თუ ამ კრიტიკერიუმებით შევხედავთ დღევანდელ ქართულ კულტურას, ვფიქრობთ, უნუგემოდ ამოვიხრებთ, რადგან თანამედროვე ხელოვნებაშიც „თავდაჭერილობას კარგავს თავისუფალი ადამიანი, ხელიდან უსხლტება ალვირი, რომლითაც მკაცრ ნონასწორობაში თოკავდა ინსტინქტებს“.

მწერლის აზრით, „დიდი ხელოვანი ყოველდღიური ცვალებადი სინამდვილის მიღმა მარადიულ, ურყევ სიმბოლოებს ხედავს“. თვითონაც ასეთი ხელოვანია, მაგრამ ამ სიმბოლოთა დასანახად და შემდეგ გადმოსაცემად დიდი სულიერი გამოცდილება საჭირო. მწერალი ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ მთავარი მაინც მისი „სულიერი ლაშქრობები“ იყო – იტალიაში, ათონზე, ესპანეთში, იერუსალიმში, პარიზში, ბერლინში, რუსეთსა თუ საქართველოში.

ძიების გზაზე მწერლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოგზაურობა ათონის წმინდა მთაზე, სადაც შედგა თუ არა ფეხი მეგობარ პოეტთან ერთად, თითქოს სამყარო შეიცვალა, გაიგო, რომ ჩიტებსაც ჰყავთ თავიანთი ბერები – შაშვები, რომ ყველა ვარსკვლავი ბერი იყო, ქრისტესთვის ენამწენ დედამიწაზე და მერე აბრაამის ნიაღში ავიდნენ – ზეცაში, ცისარტყელა დედა უფლის სარტყელია. მწერალი დანვროლებით აღწერს მონასტრებში მოლოცვას. ივერიის კარის ღვთისმშობელზე შენიშნავს, რომ „ადამიანის მთელი სიხარული და მთელი ტკივილი აღბეჭდილა მის სახეზე“.

მთელი ეს მომლოცველობა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან აქ არის სულის ამალღებისა და დაცემის გულწრფელი აღსარებები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი კი რწმენის გამომხატველი საოცარი სტრიქონებია, ფრანჩესკო ასიზელს რომ მიანერს მწერალი: „ვეუთხარი ნუშს ხეს, დაო, მიაბე რაიმე ღმერთზე და ნუშის ხე აყვავდა“.

თუმცა სულიერი ძიება არაა სწორხაზოვანი და არის წუთები, როდესაც ძიება თვითმიზნად იქცევა და არა ღვთის სახლში დაბრუნების ნყურვილად. ამ დროს ჩნდება „უძღები შვილის“ ამგვარი ინტერპრეტაცია: შინ დაბრუნებულ უძღებ შვილთან ღამით ძმა შევიდა და გაუმხილა, გაქცევა მინდა მამისეული სახლიდანო. უძღებ შვილს ამის გაგება გაუხარდა, გულში ჩაიკრა ძმა და ურჩია, სად და როგორ წასულიყო, თან აგულიანებდა, რომ მასზე უფრო ვაჟკაცი და ამაყი ყოფილიყო და არ ეკადრა შინ დაბრუნება, მერე ძმა გააცილა და გაიფიქრა, იქნებ ეს ჩემზე ძლიერი გამოდგეს და არ დაბრუნდესო.

მწერალს ადამიანის უმთავრეს დანიშნულებად ქრისტეს სისხლიან ნაკვალევზე სიარული მიაჩნია. ეს არის, მისი აზრით, ადამიანის უმაღლესი მოვალეობა. იერუსალიმში, ათონსა თუ სინას უდაბნოში მოგზაურობა სწორედ ამის წარმოჩენას ემსახურება.

მწერლის უსაყვარლესი წმინდანი ფრანჩესკო ასიზელია (რომლის შესახებ რომანიც აქვს დაწერილი). აქაც გაიეღვებს მისი სახე. ფრანჩესკო ღმერთს ასე მიმართავდა ლოცვაში: „როგორ შემიძლია, უფალო, გავიხარო სამოთ-



ხით, რაკი ვიცი, რომ ჯოჯოხეთიც არსებობს? ან შეიბრაღე ჯოჯოხეთმისჯილნი და ისინიც სამოთხეში მოახვედრე, ან მეც ჯოჯოხეთში განმანსე, რომ ნუგეში ვცემათ“. მაგრამ უპირველესი და უმთავრესი მწერლისთვის ელ გრეკოა, დიდი კრეტელი წინაპარი, რომელმაც ტოლედოში ფერწერის შედეგები შექმნა და ადამიანის სულს შესაძლებლობა მისცა, რწმენის ცეცხლით აბრიალებულიყო.

საოცარია ნიკოს კაზანდაკისის ფიქრები ელ გრეკოზე, რომელმაც „ანგელოზებს ისეთი დიდი ფრთები დაუხატა, რომ ეკლესიას კანკალი დაანყებინა“. მის ტილოს „ამალღებას“ კი ასე აღწერს: „ქვემოთ მცველებია – მოყვითალო, მომწვანო, მო-

ციხფრო ფერებში. პირაღმა ამოტრიალებულან. ხოლო ამ ქრელა-ჭრულა, შეპყრობილი მასიდან, გამართული, ვითარცა გრძელეროიანი შროშანი, თეთრად აღიმართება ქრისტე – ღვთაებრივი ისარი, ზეცისკენ მიმსწრაფი, რომელმაც დაამარცხა მატერიის სიმძიმე და სიკვდილი“.

მწერალი რომანში ხატავს, თუ როგორ დაიძრა მისი ყველა მოგზაურობა ადამიანისგან და აუყვა აღმართს ღმერთის, უმაღლესი მწვერვალის მისაღწევად.

ნიგნი დახუნძლულია უმშვენიერესი ამბებით, პოეტურ-ფილოსოფიური განსჯანი მკითხველს ადამიანის სულის ლაბირინთებში დაატარებენ.

მწერალი ერთგან იხსენებს ასკეტს, წმინდა მთაზე რომ შეხვდა. მას არყის ფოთოლი ეჭირა ხელში, უქცერდა დღის შუქზე და თვალთაგან ცრემლები სდიოდა. შევჩერდი გაოცებული. ვკითხე: „რას ხედავ, წმინდა მამაო, ამ ფოთოლში და ტირი?“ „ქრისტეს ვხედავ ჯვარცმულს“, – მიპასუხა. შემოაბრუნა ფოთოლი და უეცრად სახე სიხარულისაგან გაუბრწყინდა: „რას ხედავ ახლა ამ ფოთოლში და ასე გიხარია?“ – ვკითხე ისევ. „ქრისტეს აღდგომილს ვხედავ, შვილო ჩემო“.

მწერალი ოცნებობს, რომ შემოქმედსაც შეეძლოს დედამიწის ყველაზე უმნიშვნელო ელემენტში, მწერში, ლოკოკინაში ერთ წვეთ ნყალში, მთელი თავისი მღელვარებანი და მთელი თავისი იმედები დაინახოს და არა მარტო თავისი, არამედ მთელი სამყაროსი! დაინახოს ადამიანი ჯვარცმული, ადამიანი აღდგომილი, ყოველი თავისი გულისცემისას იგრძნოს, რომ ჭიანჭველები, ვარსკვლავები, მოჩვენებანი, იმედები – ყველანი ერთი დედის მიერ ვართ შობილნი, ყველანი ვიტანჯებით და ვიმედოვნებთ, რომ ერთი დღეც დადგება, როცა თვალებს გავახვლთ და დავინახავთ, რომ ყველანი ერთნი ვართ და ცვხონდებით“.

ნიკოს კაზანდაკისი თვითონ არის ასეთი სულის შემოქმედი და სამყაროს გადამრჩენად იმ მშვენიერებას მიიჩნევს, რომელიც ადამიანურ ენაზე ღმერთად იწოდება.

ნიგნი ბერძნული ენიდან, როგორც ზემოთ ვახსენე, შესანიშნავად თარგმნა თამარ მესხმა, რომელიც ზედმიწევნით იცნობს ნიკოს კაზანდაკისის შემოქმედებას და მისი სხვა თხზულებანიც აქვს თარგმნილი. იმედი გვაქვს, ქალბატონი თამარი ამ საქმეს წარმატებით გააგრძელებს და კიდევ არაერთი თარგმანით გავგახარებს.

ჯოზეფ კონრადი

## პრინცი რომანი

სამოცდაათი წლის წინანდელი ამბები ალბათ ისე დაგვემორდნენ, იოლად ველარც ჩავურთავთ შინაურ მუსაიფში. 1831 წელი, ცხადია, ისტორიული თარიღია ჩვენთვის, ერთი იმ საბედისწერო წელთაგანი, როდესაც მსოფლიოს ჩუმი დრტვივითა და მჭევრი თანაგრძნობით გულმოცემულნი კიდევ ერთხელ ვდუღუნებდით „Vae Victis“\* და მწუხარებით ვითვლიდით დანაკარგს. ისე არც ანგარიში ვუქნივართ ღმერთს, მოგებისას იქნება თუ წაგებისას. ეს ის გაკვეთილია, რომელსაც ვერასოდეს ვისწავლით ჩვენი მტრების სანყენად, მტრებისა, რომელთაც გამოუსწორებლის ეპითეტი მოგვაკერეს...

მოსაუბრე პოლონელი გახლდათ, შვილი იმ ერისა, რომელიც ცოცხალი ისე არ არის, როგორც გადარჩენას ცდილობს, და ჯიუტად აგრძელებს ფიქრს, სუნთქვას, მეტყველებას, იმედოვნებასა და ტანჯვას საფლავში – შემოზღუდული მილიონი ხიშტითა და სამგზის დაბეჭდილი სამი დიდი იმპერიის ბეჭდით.

არისტოკრატიაზე საუბრობდნენ. როგორ წამოიჭრა ეს დღეისათვის გაკოტრებული თემა? მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა და მოგონება გაფერმკრთალდა. მაგრამ მახსოვს, რომ სოციალური შერწყმის ნაწილად არ განხილულა; და ნამდვილად მაგონდება, რომ ამ თემას პატრიოტიზმზე აზრთა ვაცვლა-გამოცვლისას მივადექით – პატრიოტიზმი ცოტა არ იყოს გაკოტრებული გრძნობაა, რაკილა ჩვენს ჰუმანისტთა ფაქიზი გამოგონება ბარბაროსობის გადმონაშთად მიიჩნევენ. თუმცა დიადი ფლორენციელი მხატვარი, ვინც თავის ქალაქზე ფიქრობდა, როდესაც სიკვდილმა თვალები დაუხუჭა, და არც წმინდა ფრანცისკი, უკანასკნელი ამოსუნთქვის ჟამს ქალაქ ასიზს რომ ლოცავდა, ბარბაროსები არა ყოფილან. სულის ერთგვარი სიდიადეა აუცილებელი, რათა შესაფერისად განმარტო პატრიოტიზმი – ან, სხვაგვარად, გრძნობათა სინრფელი, უარყოფილი თანამედროვე აზროვნების მდაბიო მოდის მიერ, რომელსაც ვერ გაუგია დიადი უბრალოება ადამიანთა და საგანთა ბუნებისა.

არისტოკრატია, რომელზეც ვსაუბრობდით, უმაღლესი, უდიდესი ოჯახები გახლდნენ ევროპისა, არც გაღატაკებული, არც გადაგვარებული, არც გალიბერალებული, არამედ ყველაზე გამორჩეული და გამოკვეთილი კლასი კლასთან შორის, ვისაც თვით პატივმოყ-

ვარეობაც ვერ აღძრავს სამოქმედოდ და წარმართავს რაიმეს ჩასადენად.

რაკილა ჩამორთმეოდან უცილო უფლება წინამძღოლობისა, ვმსჯელობდით, რომ დიადი ბედისწერა, მათი კოსმოპოლიტობა, ფართო კავშირებმა რომ მოუტანეს, მათი მაღალი მდგომარეობა, ძალზე მცირე მოგებითა და უამრავი დანაკარგით, გაურთულებთ ყოფას პოლიტიკურ მღელვარებისა და ეროვნული ამბოხების ჟამს. რადგანაც წინამძღოლებად აღარ იბადებიან – რაც არისტოკრატის მთავარი არსია – ძნელი ხდება მათთვის სხვაგვარად მოიქცნენ, თუ არა გაერიდონ სახალხო მღელვარების დიად მოძრაობას.

ეს მაშინ დავასკვნით, გარდასულ დროთა ამბებს რომ შევხებთ და 1831 წელი ვახსენებთ, და მოსაუბრემ განაგრძო:

„ვერ ვიტყვი, პრინცი რომანს ვიცნობდი-მეთქი იმ გარდასულ ჟამს. ვატყობ, საკმაოდ მოვხუცდი, მაგრამ ისე ხნიერიც არა ვარ. პრინცი რომანი სწორედ იმ წელიწადს დაქორწინდა, მამარჩემი რომ დაიბადა. 1828 წელი გახლდათ; მეცხრამეტე საუკუნე ჯერაც ახალგაზრდა იყო და პრინცი კიდევ უფრო ყმანვილი, ვიდრე საუკუნე, მაგრამ ზუსტად რამდენით, ვერ მოგახსენებ. რაც უნდა იყოს, ადრე დაქორწინდა. ყოველმხრივ იდეალური კავშირი დაერქმეოდა. გოგონა ნორჩი იყო და მშვენიერი, ობოლი მემკვიდრე დიდი გვარისა და ქონებისა. პრინცი, იმჟამად ოფიცერი და თანატოლთა შორის თავშეკავებული და დინჯი ხასიათით გამორჩეული, თავდავიწყებით ეტრფოდა მის მშვენიერებას, მომხიბვლელობასა და მისი გულისა თუ გონების ღრმა თვისებებს. პრინცი უთქმელი ყმანვილკაცი გახლდათ; მაგრამ მისი მზერა, ქცევა და მთელი არსება გამოხატავდა სრულ ერთგულებას რჩეული ქალისა, ერთგულებას, რასაც ქალი სინრფელითა და მომაჯადოებელი მანერით პასუხობდა.

ამ წმინდა, ჭაბუკური ვნების ცეცხლს სამარადისოდ უნდა ეგიზგიზა; და იმ სეზონზე გაანათა მშრალი, ცინიკური გარემო სანკტ-პეტერბურგის დიადი სამყაროსი. თვით იმპერატორმა ნიკოლოზმა, ამჟამინდელის პაპამ, ყირიმის ომს ვინც შეენირა, უკანასკნელმა თვითმპყრობელთაგან, ვისაც მისტიკურად სწამდა თავისი მისიის ღვთაებრივი ბუნება, მიაქცია ყურადღება ამ შეყვარებული წყვილის დაქორწინებას. ნიკოლოზი მართლა არ ამორებდა მოდარაჯე თვალს პოლონელ დიდაზნაურთა ყოფას. ახალგაზრდები მათი წარჩინებისათვის შესაფერისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და სულითა და გულით ჩაჰკვროდნენ ერთმანეთს; და საზოგადოება, მოჯადოებული მათი გრძნობის გულ-



\* ვაი დამარცხებულთ (ლათ.)

ნრფელობით, კუდაბზიკა და მოფუთფუთე, ხელოვნურ გარემოში კეთილი შემწყნარებლობითა და განსაცვიფრებელი სინაზით ადევნებდა თვალს.

ქორწინება დედაქალაქში საზოგადოებრივ მოვლენად იქცა. ზუსტად ორმოცი წლის შემდეგ ერთხანს ჩავრჩი სამხრეთ პროვინციის სოფლის სახლში ბიძაჩემთან, დედის ძმასთან.

ყრუ ზამთარი იდგა. სახლის წინ გადაშლილი მდელო ისეთი სუფთა და კრიალა იყო, როგორც ალპური თოვლიანი მინდორი, თეთრი და ბუმბულივით მსუბუქი თოვლის საფარი ბრილიანტის მტვერით ბრწყინავდა და ბზინავდა მზის ქვეშ, ნარნარად ეშვებოდა ტბისაკენ – გრძელი, ტალღისებრი წყალსატევისაკენ, ლურჯად და მინაზე უფრო საიმედოდ და მყარად რომ მოჩანდა. ცივი, კაშკაშა მზე დაბლა მიცურავდა თოვლის უზარმაზარტალღოვან ნამქერთა თავზე, სადაც ჩაკარგულიყო უკრაინელ გლეხთა სოფლები, როგორც მღელვარე ზღვის უფსკრულებში ჩანთქმული ნავების გუნდი. და ყველაფერი გარინდულიყო.

ახლა აღარ მახსოვს, თუ როგორ მოვახერხე დილის თერთმეტ საათზე სკოლიდან გამოპარვა. რვა წლის ბიჭი ვიყავი, ჩემი ბიძაშვილი – ორიოდე თვით ჩემზე უმცროსი გოგონა, თუმც მემკვიდრეობით უფრო ფიცხი ხასიათისა გახლდათ, მაინც ნაკლებ მოყვარული თავგადასავლებისა. ასე რომ, მარტო გამოვიპარე; და აღმოვჩნდი ქვით მოკირწყლულ ვეება დარბაზში, თეთრი ფილებით მოპირკეთებული უზარმაზარი ლუმელით რომ თბებოდა და ეს ბევრად საამო გარემო გახლდათ, ვიდრე საკლასო ოთახი, სადაც რაღაც მიზეზით, ალბათ შიგენისა, ყოველთვის ნაკლები სითბო სუფევდა.

ბავშვებმა ვიცოდით, რომ შინ სტუმარი იყო. წინა ღამით ჩამოვიდა, როდესაც ჩვენ დასაძინებლად გაგვისტუმრეს. მაინც გამოვადინეთ, ყველას დავუძვერით და ცხვირები მივაჭყლიტეთ ჩაბნელებული ფანჯრის მინებს; მაგრამ მაინც ძალზე დავიგვიანეთ და განათებულში ვეღარ დავინახეთ. თვალისმომჭრელ წითელ შუქში მხოლოდ დიდ სამგზავრო ექვსცხენებმულ ეტლ-მარხილს მოვკარით თვალი, შავ ლაქას თოვლზე, საჯინიბოსაკენ მიემართებოდა, წინ მხედარი მიუძღოდა, ხელში გრძელ ჯოხზე წამოცმული ძენძის მანათობელი მახალა და კუპრჩასხმული რკინის სათლი ეჭირა. ადრე ნაშუადღევს ორი მეჯინიბე გაგზავნეს თოვლიან ბილიკებზე, რათა მწუხრისათვის მოსალოდნელ სტუმარს დახვედროდნენ და გზა გაენათებინათ მახალალებით. უნდა გახსოვდეთ, რომ იმუამად ერთი მილი რკინიგზაც არ გამოეყვანათ ჩვენს სამხრეთ პროვინციებში. მე და ჩემმა პატარა ბიძაშვილმა არაფერი ვიცოდით მატარებლებსა და მანქანებზე, მხოლოდ სურათებიან წიგნებში თუ გვენახა, და ბუნდოვნად, შორეულზე შორეულად წარმოგვედგინა და არც დავინტერესდებოდით, უფროსებისაგან რომ არ გვსმენოდა, საზღვარგარეთ ვისაც ემოგზაურა.

პრინციებზე ალბათ ცოტა მეტი ვიცოდით, უმთავრესად ლიტერატურიდან, და ჯერაც არ გაგვმორებო-

და ზღაპრებიდან მოფენილი ხიბლი, სადაც პრინციები ყოველთვის ჭაბუკნი, მომხიბლავნი, გმირები და ილბლიანები არიან. და მაინც, სხვა ბავშვებით შეგვეძლო გაგვევლო ზღვარი რეალურსა და იდეალურს შორის. ვიცოდით, რომ პრინციები ისტორიული პირები იყვნენ. და ამაშიც იყო რაღაც ჯადოსნური. მაგრამ შინ ფრთხილად, გამოპარული ტუსაღივით იმიტომ დავხეტიალობდი, ვიმედოვნებდი, ჩემს გულითად მეგობარს, მთავარ მეტყვევეს გადავწყდომოდი, ვინც ამ დროს ჩამოდიოდა ხოლმე ვითარების მოსახსენებლად. მოუთმენლად ველოდი ახალ ამბებს ერთი მგლის შესახებ. მოგეხსენებათ, სოფლის მიდამოებში, სადაც მგლები ბინადრობენ, ყოველ ზამთარს ჩნდება ინდივიდი, განთქმული თავხედური ავი საქმენით, სხვებზე მეტად გამორჩეული მგლობით, თუ შეიძლება ასე ითქვას. მინდოდა მომესმინა ახალი ჟრუანტელისმომგვრელი ამბავი იმ მგელზე – იქნებ მისი დრამატული აღსასრულიც...

მაგრამ დარბაზში არავინ იყო.

იმედები რომ გამიცრუება, უეცრად ძალზე დავითრგუნე. არ შემეძლო მეცადინეობას მივბრუნებოდი, ამიტომ ვარჩიე უგულოდ შევხეტებულყავ საბილიარდოში, სადაც მართლა არაფერი მესაქმებოდა. იქაც ვერავის მოვკარი თვალი და თავი მიტოვებულად და დაკარგულად წარმოვიდგა ამ მაღალ ჭერქვეშ, მარტოდმარტოდ ბილიარდის დიდ ინგლისურ მაგიდასთან, რომელმაც თავისი მძიმე და გამოკვეთილი სიჩუმით თითქოსდა გააქარწყლა პატარა ბიჭის შემოჭრა.

უკან გაბრუნებაზე რომ დავფიქრდი, ნაბიჯების ხმა მომესმა გვერდითა სასტუმრო ოთახიდან და, ვიდრე კუდა ამოვიძუებდი და გავძვრებოდი, კარში ბიძაჩემი და მისი სტუმარი გამოჩნდნენ. გაქცევა, მას შემდეგ, რაც დამინახეს, დიდი უზრდელობა იქნებოდა, და ფეხი აღარ მომიცვლია. ბიძაჩემს გაუკვირდა ჩემი დანახვა. მის გვერდით მდგარი სტუმარი გამხდარი კაცი გახლდათ, საშუალო აღნაგობისა, ლილვშეკრული შავი სერთუკი ეცვა და წელში გასწორებულს ჯარისკაცური სიხისტით ეჭირა თავი. ნაზი, თეთრმაქმანიანი ტილოს ყელსახვევის ნაკეციებიდან საყელოს წვერები ორივე გაპარსული ლოყის გასწვრივ ამოყოფილიყო. ორიოდე ბლუჯა თხელი ნაცრისფერი თმა თანაბრად ამოხუჩქოდა მელიოტ კეფაზე. მის სახეს, ოდესღაც მშვენიერიც რომ ეთქმოდა, ასაკში ხაზების ჰარმონიული უბრალოება შეენარჩუნებინა. განმაცვიფრა მისმა ერთგვაროვანმა, თითქმის მკვდრულმა სიფერმკრთალებმ. მომეჩვენა, რომ ღრმად მოხუცებული იყო; მკრთალმა ღიმილმა, უეცარმა ცვლილებამ მის თხელ ტუჩთა კუთხეებში დამაბნია და გამანითლა; დიდად დავინტერესდი, როცა დავინახე, პალტოს ჯიბეში რომ ჩაიყო ხელი. იქიდან გრიფელის ფანქარი და მოსახვე ფურცელთა შეკვრა ამოიღო და ბიძაჩემს მიაწოდა თითქმის შეუმჩნეველი თავის დაკვრით.

ძალიან გაკვირდი, მაგრამ ბიძაჩემმა, ვითომც არაფერი, ისე გამოართვა. რაღაცა დანერა, ხელახლა

დახედა და ოდნავ დაუკრა თავი. თხელი, დანაოჭებული ხელი, სახეზე უფრო ხნიერი, მომითათუნა ლოყაზე და თავზე დამადო მსუბუქად. ჩავარდნილი ტუჩებიდან გაისმა ყრუ ხმა, ისეთივე ფერმკრთალი, როგორც სახე, შავი და უმოძრაო თვალები კეთილად დამყურებდნენ.

„და რამდენი წლისაა ეს მორცხვი ბიჭუნა?“

ვიდრე პასუხს მოვასწრებდი, ბიძაჩემმა ჩემი ასაკი ფურცელზე დაუნერა. ამან სულ გამაოგნა. რა ცერემონია სრულდებოდა? ნუთუ ეს პიროვნება ისეთი დიდი ვინმე ბრძანდებოდა, რომ მიმართვა არ ეკადრებოდა? მან კვლავ დახედა ფურცელს, ისევე დაიქნია თავი და კვლავ გაისმა უპიროვნო, მექანიკური ხმა: პაპამის ნააგავს.

მახსოვდა პაპაჩემი, მამის მამა. არცთუ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი. ისიც ღრმად მოხუცი გახლდათ. და სავსებით ბუნებრივად მეჩვენებოდა, რომ ორ ასეთ ხნიერსა და პატივსაცემ პიროვნებას სცნობოდა ერთმანეთი გარდასულ, სამყაროს შექმნის ჟამს, ჩემს დაბადებამდე. მაგრამ ბიძაჩემმა მართლა არაფერი იცოდა ამის თაობაზე, და ეს ისე აშკარა იყო, რომ მექანიკურმა ხმამ განუმარტა:

„დიახ, დიახ, ვმეგობრობდით 31-ში. იგი ერთი მათგანი იყო, ვინც იცოდა. ძველ დროში, ჩემო ძვირფასო, ძველ დროში...“

ხელი ისე გაიქნია, თითქოს აბეზარ აჩრდილს იშორებსო. და ახლა ორივე დამყურებდა. ნეტა რა უნდათ ჩემგან-მეთქი, ვიფიქრე. ბიძაჩემმა ჩამხედა გაოცებისაგან დამრგვალებულ თვალებში და მითხრა, „სრულიად ყრუა“. და აუნერელმა, უემოციო ხმამ კი: „მომეცი ხელი“.

მელნიანი თითები გამახსენდა და ხელი გაუბედავად გავუწოდე, მანამდე ყრუს არასოდეს შევხვედროდი და შეშფოთება დამეუფლა. მან ხელი მტკიცედ ჩამომართვა და უკანასკნელად გადამისვა თავზე ხელი.

ბიძაჩემმა საზეიმოდ მომმართა.

„შენ ხელი ჩამოგართვა პრინცმა რომან ს-მ. გახსოვდეს იმ დროისათვის, როდესაც გაიზრდები“.

მისმა კილომ შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. საკმაოდ ვიყავ გათვითცნობიერებული ისტორიაში, რათა ბუნდოვნად მცოდნოდა, რომ ს-ს პრინციები რუტინიის მმართველებად დადგენილიყვნენ, ვიდრე რუტინიის სამფლობელოები პოლონეთს შეუერთდებოდა, ამის შემდეგ, სადღაც მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგიდან ისინი გვეკლინებთან პოლონეთის წარჩინებულ ოჯახებს შორის. მაგრამ ყველაზე მეტად ის მანუხებდა, რომ ზღაპრული ჯადო დაიკარგა. ჩემთვის გამაოგნებელი გახლდათ შეხვედრა ყრუ, მელოტ, ძვალ-ტყავად ქცეულსა და მიხრწნილ პრინცთან. ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ ეს თავზარდამცემი და იმედის გამაცრუებელი კაცი ოდესღაც ჭაბუკი იყო, მდიდარი და მომხიბლავი. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ იგი ბედნიერი გახლდათ, როდესაც ილბლიანი და იდეალური ქორწინებით შეკავშირდა ორი ყმანვილი გული, ორი დიდი გვარი და ორი მდი-

დარი ოჯახი; და ისეთი ლალი და ბედნიერი, რომ ეს ბედნიერება ზღაპრულივით თითქოს სამუდამოდ უნდა გაგრძელებულიყო...

მაგრამ სამუდამოდ არ გაგრძელებულა. ბედისწერამ ისე განსაზღვრა, რომ დედამინაზე ადამიანის ყოფნის ვადასთან შეფარდებითაც კი არ გასტანა ძალიან დიდხანს, რადგანაც მარადიული ბედნიერება მხოლოდ ჯადოსნური ზღაპრების დასასრულს გვხვდება. ქალიშვილი შეეძინათ და მალე პრინცესას ჯანმა უღალატა. ცოტა ხანს უშიშარი ღიმილით იტანდა სნეულებას, ის განცდა აძლიერებდა, რომ მისი სიცოცხლე ესაჭიროებოდა ორი არსების ბედნიერებას. მაგრამ ბოლოს ქმარმა, შეშფოთებულმა მისი გარეგნობის სწრაფი ცვალებადობით, უფადო შეგებულება გამოითხოვა და მეუღლე სოფლად, თავის მშობლებთან წაიყვანა.

მოხუცი პრინცი და პრინცესა ძალზე შეაშფოთა საყვარელი რძლის ყოფამ. მაშინვე დაიწყეს მზადება საზღვარგარეთ გასაგზავნად. მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე ძალიან დაგვიანებულიყო; და თვითონ სნეულმა ნაზად, მაგრამ დაბეჯითებით უარყო გამგზავრება. გამხდარი და ფერმკრთალი, დიდ სავარძელში ჩაფლული, მზაკვარი და უცნობი სენისაგან დაჯახნილი ყოველდღე სულ უფრო პატარავდებოდა და იშრიტებოდა, მაგრამ მის თვალებს ღიმილი არა სცილდებოდა და სახეს – მომხიბვლელობა. ჩაბლაუჭებოდა მშობელ მინას და მშობლიური ჰაერის სუნთქვა სურდა. უფრო სწრაფად ვერსად ვერ გამოჯანმრთელდებოდა, ასე ადვილადაც ვერსად ვერ აღესრულებოდა.

მანამ გარდაიცვალა, სანამ მისი პატარა გოგონა ორი წლისა შესრულდებოდა. საშინელი გახლდათ ქმრის მწუხარება და მეტად შემაშფოთებელი მშობლებისათვის, სრული მდუმარებისა და დამშრალი თვალების გამო. დაკრძალვის შემდგომ, როდესაც იშლებოდა საგვარეულო ტაძარს შემორტყმულ ქუდმოხდილ გლეხთა ვეება გუნდი, პრინცი ჩამოსცილდა მეგობრებსა და ნათესავებს, დარჩა მარტო და შეჰყურებდა, თუ როგორ ხურავდნენ კალატოზები საგვარეულო აკლდამას. როდესაც უკანასკნელი ქვაც დაიდო, კვნესა აღმოხდა, ტკივილის გამომხატველი ერთადერთი ბგერა, რაც იმ დღეებში წამოსცდა, თავჩაღუნული გაეშურა და ოთახში გამოიკეტა.

დედ-მამა შიშობდა, ჭკუაზე არ გადაცდესო. მისი ზღვარგადასული სიმშვიდე აშფოთებდათ. აღარავითარი იმედი აღარ შერჩენოდათ, გარდა მისი სიჭაბუკისა, რაც მის მწუხარებას ასეთ მძაფრსა და ყოვლისმშთანთქმელს ხდიდა. მოხუცი პრინცი იოანი შეშფოთებული და გაღიზიანებული იმეორებდა, „საბრალო რომანი როგორმე უნდა გამოცოცხლდეს. იგი ისე ახალგაზრდაა“. მაგრამ ვერაფერს ჰპოვებდნენ მის გამომაცოცხლებელს. მოხუცი პრინცესა კი თვალებს იმშრალედა და გულში ნატრობდა, ისე ყმანვილი მანაც იყოს, მოვიდეს, კალთაზე თავი დამადოს და იქვითინოსო.

პრინცი რომანი დროდადრო ცდილობდა შეერთებოდა თავის წრეს, მაგრამ სული და გული თითქოს საოჯახო აკლდამაში ჩაკარგულ მეულღესთან ერთად დაემარხა. თოფიანი დაეხეტებოდა ტყეში, რომელიმე მეტყვევ ჩუმად აედევნებოდა და საღამოს კი ახლობლებს მოახსენებდა, „მის უგანათლებულესობას მთელი დღე ერთხელაც არ გაუსვრიაო!“ დილაობით ხანდახან საჯინიბოში შეივლიდა და ხმადაბლა უბრძანებდა ცხენი შეეკაზმათ, დაიცდიდა, ვიდრე ჩექმას მოარგებდნენ, შემდეგ უსიტყვოდ ამხედრდებოდა და ნელი ჩორთით გაივლიდა ჭიშკარს. მთელი დღით დაიკარგებოდა, ხალხი ხედავდა გზებზე, არც მარჯვნივ გაიხედავდა, არც მარცხნივ, სახე გაფითრებოდა, ნელგამართული იჯდა ცხენზე და ცოცხალ ბედაურზე ამხედრებულ ქვის მხედარს ჰგავდა.

დიდ, თვალუნვდენელ მინდვრებში მშრომელი გლეხები შორიდან გახედავდნენ; და ხანდახან რომელიმე კეთილი დედაბერი დაბალ, ჩალითდახურული ქოხის კართანაზე მდგარი უკნიდან ჰაერში ჯვარს გადასახავდა; თითქოს ვინმე მათიანი ყოფილიყო, უბედურებადატეხილი უბრალო სოფლელი სული.

ცხენზე მჯდომი მხოლოდ წინ იყურებოდა, ვერავის ხედავდა, თითქოს დედამინა დაცარიელებულიყო და კაცობრიობა დამარხულიყო იმ სამარეში, მოულოდნელად რომ გადაიხსნა მის ბილიკზე და ბედნიერება ჩაუყლაპა. რას აქნევდა ადამიანებს თავიანთი ნუხილით, სიხარულით, გარჯითა თუ ვნებებით, როდესაც იგი, ვინც სამყაროს განუსახიერებდა, ასე ნაადრევად გამოცლოდა ხელიდან?

აღარავინ არსებობდა მისთვის; და ეულად და მიტოვებულად იგრძნობდა თავს, როგორც სასტიკი კომმარის ტყვეობაში მყოფი, რომ არა ეს სოფლური მიდამოები, სადაც დაიბადა და ბავშვობის უზრუნველი წლები გაატარა. აქაურობას კარგად იცნობდა – მოხნულ მინდვრებში მოქცეულ ყოველ – ტყით დაგვირგვინებულ – პატარა მაღლობს, ყოველ ჭალას, სოფელს რომ მალავდა. კაშხალებამოშენებული ლელეები ჯაჭვად ჩაუყვებოდნენ ტბებსა და მწვანე მდელოებს. შორს, ჩრდილოეთით, ლიტვის დიდი ტყე შესჩერებოდა მზეს და თითქოს ღობისხელად დაპატარავებულიყო, და სამხრეთით გზა ვაკეზე განოლილიყო, ვრცელი, ყავისფერი სივრცე მინისა ლურჯ ზეცას უერთდებოდა.

და ეს მშობლიური პეიზაჟი აგონებდა უზრუნველსა და უდარდელ დღეებს, ეს მიწა, რომლის ხიბლსაც თვალდახუჭულიც გრძნობდა, უამებდა ტკივილს, თითქოს ძველი მეგობარი მოჰყვებოდეს გვერდით, ხმაამოუღებელი რომ ზის და ნუთისოფლის გაუტანლობით დათრგუნული კაცი ყურადღებასაც არ აქცევს.

ერთ ნაშუადღევს, როდესაც პრინცმა ცხენი შინისაკენ შემოაბრუნა, შეამჩნია, რომ მტვრის სქელმა, დაბალმა ღრუბელმა ცერად გადაჭრა თვალსანიერი. ცხენი შემალლებულზე შეაყენა და დააცქერდა. იმ ღრუბელში აქა-იქ მკრთალად ბზინავდა ფოლადი და

მოდრავი სხეულები მოჩანდა, და ბოლოს გამოისახა გრძელი რიგი ჯარისკაცებით სავსე გლეხური ურმებისა, რომელნიც ორ რიგად მიემართებოდნენ ცხენოსან კაზაკთა თანხლებით.

თითქოსდა უზარმაზარი მცურავი მისრიალებდა მინდვრებზე; თავი თვალთაგან დაკარგულიყო ოდნავი დაბლობისაკენ დაშვებული და კუდი კი ცახცახით მიჰყვებოდა და ვინროვდებოდა, თითქოს ურჩხული თანდათან ნთქავდა თავის გზას დედამინის გულისაკენ.

პრინცი გაემართა თემშარის განაპირა სოფლისაკენ. გზისპირა ფუნდუკი, საჯინიბოთი, საბძელითა და გომურებით ერთ უზარმაზარ სელის სახურავქვეშ მოქცეული, მოგაგონებდათ გონჯ, კუზიან, უშნოდ აჩონჩხილ გოლიათს, გლესთა პანია ქოხებს შორის ულაზათოდ გამოტილს. მეფუნდუკე, ჩასუქებული, ღირსებით სავსე ებრაელი, შავი სატინის ქუსლებამდე დაშვებული ხალათი რომ ეცვა და წითელი სარტყელი შემოერთყა, კარში ჩამდგარიყო და გრძელ ვერცხლისფერ წვერზე ხელს ისვამდა.

დაინახა, პრინცი რომ უახლოვდებოდა, და წელში მდაბლად მოიხარა, ისე, რომ არც მოელოდა, შემამჩნევნო, რადგანაც ცნობილი იყო, რომ მათი ახალგაზრდა ბატონი ვერავის და ვერაფერს ხედავდა თავის მწუხარებაში ჩაფლული. და გვარიანად დაიბნა, როდესაც პრინცი შეჩერდა და ჰკითხა: „რას ნიშნავს ყოველივე ეს, იანკელ?“

„ეს, თქვენი უგანათლებულესობის ნებართვით, ფეხოსანთა ლაშქარია; სამხრეთისაკენ მიემურებიან“.

ფრთხილად მიმოიხედა მარჯვნივ და მარცხნივ, ახლო-მახლო არავინ იმყოფებოდა, მხოლოდ ბავშვები თამაშობდნენ მტვერში, სოფლის ორღობეში, და უზანგს მიუახლოვდა.

„თქვენმა უგანათლებულესობამ არ იცის? სამხრეთში უკვე დაიწყო. მინისმფლობელებმა, დიდმა თუ მცირემ, იარაღს მოჰკიდეს ხელი, უბრალო ხალხიც კი აღსდგა. სწორედ გუშინ გროდეკელმა (პატარა საბაზრო ქალაქი იყო იქვე ახლოს) მეუნაგირემ ჩამოიარა ორ ქარგალთან ერთად, ამბობებსა უნდა შეერთებოდა. ურემი ჩემთან დატოვა. გამყოლი მივუჩინე სამეზობლოდან. თქვენ უგანათლებულესობას მოეხსენება, ჩვენი ხალხი ბევრს მოგზაურობს და ხედავენ, სად რა ხდება და გზებიც კარგად იციან“.

იგი შეეცადა აღფრთოვანება დაეოკებინა, რადგანაც ებრაელი იანკელი, მეფუნდუკე და მამულის მთელ ნისქვილთა მოიჯარე, პოლონელი პატრიოტი გახლდათ.

და კვლავ განაგრძო დაბალი ხმით: „მე უკვე დაოჯახებული ვიყავი, როდესაც ფრანგებმა და სხვა ერებმა ეს გზა გაიარეს ნაპოლეონის მეთაურობით. კხჰ! კხჰ! დიდი მოსავალი მოიმკა სიკვდილმა, ეჰ! ამჯერად ალბათ ღმერთი დაგვიფარავს“.

პრინცმა თავი დაუქნია. „ალბათ“ – და ღრმა ფიქრებში ჩაძირულმა ცხენი შინისაკენ გააბრუნა.

იმ ღამით წერილი დანერა და დილაადრიან ცხენოსანი შიკრიკი ქალაქის ფოსტაში გაგზავნა. იმ დღეს დაარღვია დუმილის ჩვეულება, ოჯახური წრის დიდად გასახარად, და მამას გაესაუბრა ახალ მოვლენებზე – ვარშავის ამბოხება, დიდი მთავრის კონსტანტინეს გაქცევა და პირველი მცირე გამარჯვება პოლონეთის არმიისა (მაშინ პოლონეთის არმია არსებობდა), პროვინციების ჯანყი. მოხუცი პრინცი იოანე შეძრული და შეცბუნებული გახლდათ, პირწმინდად არისტოკრატულ თვალსაზრისს გამოხატავდა, არ ენდობოდა მოძრაობის ხალხურ საწყისს, არ მოსწონდა მისი დემოკრატიული ტენდენციები და არა სჯეროდა მოსალოდნელი წარმატებისა.

დასევდიანებული იყო, შინაგანად აფორიაქებული.

„ამ ყოველივეს გულმშვიდად განვსჯი. არსებობს ლეგიტიმურობის ასწლოვანი პრინციპები და წესრიგი, რაც დაარღვია ამ თავზეხელაღებული ნამონყებამ დამაქცევარი ილუზიების სახელით. თუმც, ცხადია, გულიდან ამოხეთქილი პატრიოტული იმპულსები...“

პრინცი რომანი ჩაფიქრებული უსმენდა. პაუზით ისარგებლა და მამას გამოუტყდა, წერილი გაგზავნა სანკტ-პეტერბურგში გვარდიიდან გადადგომის თხოვნით.

მოხუცებულ პრინცს ხმა არ გაუღია. ფიქრობდა, ჯერ მე უნდა დამთათბირობოდაო. მისი ვაჟი იმპერატორის არტილერიის ოფიცერი გახლდათ და მამამ იცოდა, რომ ცარი არასოდეს დაივიწყებდა მის გამოჩენას განდგომილ პოლონელ კეთილშობილთა შორის. უკმაყოფილო კილოთი ურჩია ვაჟს, სჯობს უფადო შვებულება დაერქვასო. ყველაზე სწორი იქნებოდა გატვრენილიყვინენ. სამეფო კარზე იმხელა ტაქტი კი ჰქონდათ, მისი სახელის კაცი არ გამოეძახათ. ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლებოდა მოთხოვნა სადმე შორს გაგზავნათ – ვთქვათ, კავკასიაში – შორს იმ უბედური ბრძოლისაგან, რომელიც არსებითად უმართებულო გახლდათ და, ამდენად, დასამარცხებლად განწირული.

„ამჟამად ცხოვრების ინტერესი გაქვს დაკარგული და არაფერი გაღელვებს. და გჭირდება, რაღაცას მოეკიდო, ჩემო საბრალო ბიჭო. ვშიშობ, დაუფიქრებელი ნაბიჯი გადადგი“.

პრინციმა რომანმა ჩაიდუღუნა:

„მეგონა ასე აჯობებდა“.

მამა შეაკერთო მისმა დაჟინებულმა მზერამ.

„ჰო, ჰო – ალბათ! მაგრამ როგორც იმპერატორის არტილერიის ოფიცერი და საიმპერატორო ოჯახის ფავორიტი...“

„მაგ ხალხზე არავის არაფერი სმენოდა, როცა ჩვენი გვარი სახელგანთქმული იყო“, ზიზღით წამოიძახა ყმანვილკაცმა.

ამგვარი შენიშვნა მოხუც პრინცს გრძნობებს უღვიძებდა.

„ჰო – ალბათ ასე აჯობებს“, დათმო ბოლოს.

მამა და ვაჟიშვილი სიყვარულით დამორდნენ ერთმანეთს იმ ღამით. მეორე დღეს პრინცი რომანი თითქოს კვლავ ჩაეფლო განურჩევლობაში. როგორც ყოველთვის, ცხენზე შეჯდა. ახსოვდა, რომ წინაღლით იხილა, თუ როგორ მისრიალებდა მცურავის მსგავსი ელვარეშუბებიან ჯარისკაცთა ლაშქარი მიწაზე, რომელიც მისი გახლდათ. ქალიც, ვინც გარდაიცვალა, მისი გახლდათ. სიკვდილმა წაართვა. მისმა გარდაცვალებამ ზნეობა შეურყია. პრინციმა გული გადაუხსნა უფრო დიდ ტკივილს, გონება – უფრო ფართო ფიქრს, თვალი გაუსწორა წარსულსა და სხვა სიყვარულის არსებობას, რომელიც ტკივილით ავსებდა, ისეთივე გამოუცნობი მოვალეობის შემგრძნები ტკივილით, როგორც ის, დაკარგული, ბედნიერება ვისაც ანდო.

იმ საღამოს ჩვეულებრივზე ადრე განმარტოვდა და პირადი მსახური გამოიძახა.

„ნადი და ნახე, თუ მეჯინბეთუხუცესს ბინაში შუქი უნთია და ჯერაც ფეხზეა, უთხარი, მოვიდეს, საქმე მაქვს“.

ვიდრე მსახური დავალებას შეასრულებდა, პრინციმა სწრაფად დახია ზოგიერთი ქალადი, ჩაკეცა მაგიდის უჯრები და გულზე ჩამოიკიდა მედალიონი, რომელშიც მეუღლის მინიატურა მოეთავსებინა.

კაცი, ვისაც პრინცი მოელოდა, მიეკუთვნებოდა იმ წარსულ დროს, რომელიც მისი საყვარელი ადამიანის სიკვდილმა დააბრუნა. იგი გახლდათ წვრილ აზნაურთა იმ ოჯახიდან, თაობების მანძილზე რომ ერთგულობდნენ, ემსახურებოდნენ და მეგობრობდნენ პრინცს-ებს. ახსოვდა ჟამი ბოლო განდგომისა და უკანასკნელი საათების ბრძოლებშიც მონაწილეობდა. ძველი პო-



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

ლონელი აზნაური გახლდათ, ძლიერ ემოციური და თავდავინყებულის სიყვარულის შემძლე; მხედრული გუმანისა და უბრალო რწმენის მქონე; ძველი დროიდან შემორჩენოდა ლაპარაკში ლათინური სიტყვების გამოყენების ჩვეულება. და მისი კეთილი, გამჭრიახი თვალებიც, ნითლად მოლაჟღაჟე სახეც, ამაყად აზიდული ნარბებიც და სქელი, ჭალარა, ჩამოშვებული უღვაშიც სწორედ ძველ პოლონელ აზნაურზე მიგვანიშნებდა.

„ყური მიგდე, ბატონო ფრანსის“, უშესავლოდ, შინაურულად მიმართა პრინცმა. „ყური მიგდე, ძველო მეგობარო. აქედან შეუმჩნევლად წასვლას ვაპირებ. მივდივარ იქით, საითაც ჩემს მწუხარებაზე უფრო მაღალი და მაინც რაღაც მსგავსი ხმა მიხმობს. მხოლოდ შენ გაგენდობი. შენ იტყვი, რაც საჭირო იქნება, როდესაც დრო მოვა“.

მოხუცი მიხვდა. გამონვდილი ხელები მღელვარებისაგან აუცახცახდა. და როგორც კი ხმა დაუბრუნდა, ხმამაღლა მიაგო მაღლი უფალს, იმდენხანს რომ აცოცხლა, საკუთარი თვალით ეხილა, თუ როგორ უჩვენებდა მაგალითს, *coram gentibus*,\* სახელოვანი ოჯახის ახალგაზრდა შთამომავალი სამშობლოს სიყვარულისა და საბრძოლო სიქველისა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ძვირფასი პრინცი თავისი წარმომავლობის შესაფერის ადგილს დაიკავებდა საბჭოშიც და ომიანობის დროსაც; იგი უკვე ხედავდა, რომ *in fulgore*\*\* ოჯახის დიდებისა *uffulget patride serenitas*\*\*\* ამის თქმა რომ დაასრულა, ცრემლები წასკდა და მკლავებში ჩაუვარდა პრინცს.

პრინცმა დაამშვიდა ბერიკაცი, სავარძელში ჩასვა, შედარებით დაანყნარა და უთხრა: „სწორად გამიგე, ბატონო ფრანსის. იცი, თუ როგორ მიყვარდა მეუღლესეთი დანაკარგი კაცს თვალს აუხელს უცილო ჭეშმარიტებაზე. არც წინამძღოლობასა და არც დიდებაზე არა ვფიქრობ. უნდა წავიდე და რიგით ჯარისკაცად ვიბრძოლო. სამშობლოს უნდა მივუძღვნა, რაც მამა-დიდა, ჩემი სიცოცხლე, ისევე უბრალოდ, როგორც ამას სჩადის გროდეკელი მეუნაგირე, გუშინ თავის ქარგლებთან ერთად რომ მიემშურებოდა...“

ბერიკაცი ატირდა. ეს შეუძლებელია. ამის ნებას არ დართავს. მაგრამ ბოლოს დამაჯერებელ სიტყვებსა და პრინცის ნებას დაჰყვა.

„ეჰ! რადგანაც ამბობთ, ეს გრძნობისა და სინდისის საქმეაო – ასე იყოს. მაგრამ მარტოდმარტო ვერ წახვალთ. აფსუს! მეტად მოვხუცდი, რათა თან გეახლოთ. *Eripit verba dolor*,\*\*\*\* ჩემო ძვირფასო პრინცო, და იმის ფიქრი, რომ სამოცდაათს გადავაბიჯე და ამ სოფლის ანგარიშში ისევე აღარა ვარ ჩასაგდები, როგორც ეკლესიის ეზოში მჯდარი სნეული. როგორც ჩანს, იმისთვისლა გამოვდგები, რომ შინ გამოვიკეტო და ღმერთს ვევედრო სამშობლოსა და თქვენთვის. მაგრამ ჩემი ვა-

ჟი ხომ აქ არ არის, ჩემი უმცროსი ბიჭი პეტრე. ღირსეული თანმხლები იქნება. როგორც ყოველთვის, ჩემთანაა, აქ. ჯერ არ ყოფილა, ამდენი საუკუნეა, პრინცს სთავან ვინმეს სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოს და ჩვენი გვარის კაცი ცხენით არა ხლებოდეს. ვილაც უნდა იმყოფებოდეს თქვენთან, ვინც გიცნობთ, და თქვენს მშობლებსა და მოხუც მსახურს აცნობოს, თუ რა გადაგხდებათ. და როდის აპირებს თქვენი უმაღლესობა გამგზავრებას?“

„ერთ საათში“, მიუგო პრინცმა; და ბერიკაცი თავისი ვაჟის გასაფრთხილებლად გაეშურა.

პრინცმა რომანმა სანთელი აიღო და უხმაუროდ გაიარა მღუმარე სახლის ბნელი ტალანი. უფროსი გადია გაიხსენებდა, უეცრად გამეღვიძა და დავინახე, პრინცი შვილს რომ დაჰყურებდა, თან ერთი ხელით სანთელს შუქს უჩრდილებდა თვალებიდანო. ერთხანს იდგა და დაჰყურებდა, მერე სანთელი იატაკზე დადო, აკვანზე გადაიხარა, მსუბუქად ეამბორა პატარა გოგონას, რომ არ გაღვიძებოდა. უჩუმრად გამოვიდა და სანთელიც გამოიყოლა. გადიამ მკაფიოდ დაინახა მისი სახე, მაგრამ ზედ ვერაფერი ამოიკითხა, თუ რა განეზრახა. გაფრთხილებული იყო, მაგრამ სავსებით მშვიდი, და როცა აკვნიდან გამობრუნდა, უკან აღარც მიუხედავს.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც გაენდო, გარდა ბერიკაცისა და მისი ვაჟისა, ურია იანკელი გახლდათ. როდესაც მან პრინცს ჰკითხა, საით უნდა გაგიძღვნო, უპასუხა: უახლოეს რაზმამდეო. ებრაელის შვილიშვილმა, ანონილმა ყმანვილმა, ჭაბუკები ნაკლებცნობილი ბილიკებით ატარა ტყესა და ჭაობებზე და ისეთ ადგილას გაიყვანა, სადაც რამდენიმე კოცონი მოჩანდა ლარტაფში დაბანაკებული მცირე შენაერთისა. უჩინარმა ცხენებმა დაიჭიხვინეს, სიბნელეში ხმა გაისმა – ვინ მოდის?“ – და ყმანვილი ებრაელი ნაჩქარევად გაშორდათ, თან განუმარტათ, უნდა ვიჩქარო და დროულად დავბრუნდე, შაბათი რომ არ დავარღვიოო.

ამრიგად, მორჩილად და თანხმობით, მოვალეობის უბრალო შეგრძნებით იხილა, თუ როგორ ჩამოხსნა სიკვდილმა თვალთავან ბედნიერების ბრწყინვალე სახვევი, და პრინცი რომანი სამშობლოს სამსახურში ჩადგა. მისმა თანმხლებმა, ვინც თავი წარადგინა პრინცი ს-ს მეჯინიბეთუხუცესის ვაჟად, მასზე თქვა, ჩემი ნათესავია, გარე ბიძაშვილი, ჩვენი მხრისაა და თანაც ჩემი სეხნიაო. ნათქვამს არავინ ჩასძიებია. ორი ჭაბუკი, ყოველმხრივ მოსაწონნი, მიემატა მათ რაზმს და უფრო ბუნებრივი რა უნდა ყოფილიყო.

პრინცი რომანი სამხრეთში დიდხანს არ დარჩენილა. ერთ დღეს სხვებთან ერთად დაზვერვაზე წასული რომელიღაც სოფლის თავში ჩასაფრებულ რუს ფეხოსნებს გადააწყდა. პირველმა გასროლამ ბევრი გამოასალმა სიცოცხლეს, დანარჩენები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. იქ აღარც რუსები გაჩერებულან, შეეშინდათ, ხელახლა შემოგვიტყვევნო. ცოტა ხანში გლეხები გამოჩნდნენ, პრინცი რომანს მკვდარს ცხენის ქვეშიდან გამოძრომა უშველეს. იგი უვნებლად გადარჩენილიყო,

\* საგვარეულოს წინაშე  
 \*\* ბრწყინვალეობაში  
 \*\*\* სამშობლოს ნათელი აელვარდება  
 \*\*\*\* ტკივილი გვამუნჯებს

მაგრამ მისი ერთგული მხლებელი პირველთაგანი დაცემულიყო. პრინცი გლეხებს შეეშველა მის და სხვა გარდაცვლილთა დაკრძალვაში.

და მერე მარტოდმარტომ, ისე, რომ არ უწყოდა, თუ სად გადაეყრებოდა პარტიზანებს, რომელნიც ყველა მიმართულებით მოძრაობდნენ, გადანყვიტა პოლონეთის არმიის მთავარ ნაწილს შეერთებოდა, ლიტვის საზღვართან რუსთა პირისპირ რომ იდგა. გლეხურ სამოსში გადაცმული, ვაითუ მძარცველ კაზაკებს გადავეყაროო, ორიოდ კვირა დაეხეტებოდა, ვიდრე მიადგებოდა სოფელს, რომელიც პოლონელთა მესაზღვრე კავალერიის რაზმს დაეკავებინა.

შედარებით უკეთესი გლეხური ქოხის წინ ხის სკამზე იჯდა ხანშიშესული ოფიცერი, ვინც პრინცმა პოლკოვნიკად მიიჩნია, პატივისცემით მიუახლოვდა, მოკლედ უამბო თავისი თავგადასავალი და სურვილი გამოთქვა ჯარისკაცებში ჩანერისა. და როდესაც ოფიცერმა ყურადღებით შეათვალიერა და სახელი ჰკითხა, მან თავისი დაღუპული მხლებლის ვინაობა დაუსახელა, რადგანაც პირველად ამან გაუელვა თავში.

ხნიერმა ოფიცერმა გაიფიქრა: აზნაურის ვაჟია და თავისუფლებისათვის ბრძოლა სურსო. მოენონა გარეგნობით. „წერა-კითხვა თუ შეგიძლია, ჩემო კარგო ჭაბუკო?“ ჰკითხა.

„დიახ, თქვენო კეთილშობილებავ, შემიძლია,“ – მიუგო პრინცმა.

„კეთილი. ქოხში შედი. ნაწილის ადიუტანტი იქაა. შენს სახელს სიაში შეიტანს და ფიცს დაგადებინებს“.

ადიუტანტი ყურადღებით დააკვირდა ახალმოსულს, მაგრამ არაფერი უთქვამს. როდესაც ყველა ფორმალობა მოთავდა და ახალწვეული ნავიდა, იგი უფროს ოფიცერს მიუბრუნდა.

„იცით ვინ იყო?“

„ვინ? ის პეტრე? მომენონა ეგ ჭაბუკი“.

„პრინცი რომან ს-ა“.

„სისულელეა“.

მაგრამ ადიუტანტმა დაიფინა. მას პრინცი რამდენჯერმე ენახა ორი წლის წინათ, ვარშავის ციხე-სიმაგრეში. ერთხელ ესაუბრა კიდევ დიდი მთავრის მიერ გამართულ ოფიცერთა მიღებაზე. „შეცვლილა, დავაჟკაცებულა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის არის. სახეებს კარგად ვიმახსოვრებ“.

ორმა ოფიცერმა ერთმანეთს მდუმარედ შეხედა. „ადრე თუ გვიან ვინმე იცნობს“, ჩაიდუღუნა ადიუტანტმა.

პოლკოვნიკმა მხრები აიჩეჩა. „ეს ჩვენი საქმე არ არის – თუკი სურს უბრალო ჯარისკაცად იმსახუროს. რაც შეეხება ცნობას, არა მგონია. ჩვენი ყველა ოფიცერი და ჯარისკაცი პოლონეთის სხვა მხრიდანაა“.

ერთხანს ღრმად ჩაფიქრდა. შემდეგ გაიღიმა. „წერა-კითხვა ვიცო, მითხრა. ხელს ვერაფერი შემოშლის, რომ პირველივე შემთხვევისთანავე სერჟანტად დავაწინაურო. ეჭვი არაა, კარგად გაუძღვება“.

უმცროს ოფიცრად დაწინაურებულმა პრინცმა რომანმა პოლკოვნიკის მოლოდინს გადააჭარბა. დიდი ხანი არ გასულა, რომ სერჟანტმა პეტრემ სახელი გაითქვა საზრიანობითა და სიმამაცით. ეს არ ყოფილა თავზეხელაღებული კაცის უაზრო სიმამაცე; ეს გახლდათ თავდაჭერილი, შეგნებული სიქველე, რასაც ვერაფერი შეაშინებს; უსაზღვრო, მაგრამ ზომიერი ერთგულება, რასაც ვერაფერს აკლებს დრო, დაუსრულებელ უკანდახევათაგან მოგვრილი სიმბდალე, გაფერმკრთალებული იმედები და ეპიდემიათა საშინელებანი, ამას დამატებული ომის სიმძიმე და საშიშარი რისკი. სწორედ ამ წელს იყო, ქოლერა რომ პირველად გამოჩნდა ევროპაში. მან ორივე არმიის რიგები შეამეჩხერა, შეარყია უმტკიცესი გონებანი გამოუცნობი სიკვდილის ზარით, უჩუმრად რომ დაიპარებოდა დახვავებულ საჭურველსა და კოცონთა გარშემო მსხდარ ჯარისკაცთა შორის.

მოულოდნელი კვილი გააღვიძებდათ შემფოთებულთ და ხედავდნენ ჩანავლებული ნაკვერჩხლის შუქზე ერთ-ერთ თავისიანს, უხილავი ფეხის მიერ გასრესილ ჭიასავით რომ იკლაკნებოდა მიწაზე. და გარიჟრაჟისათვის გაციებული და გაყინული ეგდო. ჯგუფი, რომელსაც ასეთი რამ ეწვეოდა, ერთიანად დგებოდა, ტოვებდა კოცონს და გარბოდა ღამეში ჩუმი დრტინვით შეპყრობილი. ან მარშირებისას შენთან მოსაუბრე მეგობარი უეცრად შუაგულ ფრაზაზე ნაბოროძიკებად, შემინებულ თვალებს გადაატრიალებდა და ძირს დაენარცხებოდა სახემორღვეული და ტუჩებჩაღურჯებული, რიგის სიმწყობრეს დაარღვევდა აგონიური კრუნჩხვით. ხალხი იცელებოდა უნაგირზე, ყარაულობისას, ცეცხლის ხაზზე, სამწყობრო საქმიანობისას, თოფის წმენდისას. მიაშბეს ერთი ბატალიონის ამბავი, ცეცხლის ქვეშ მტკიცედ რომ ემზადებოდა სოფელზე საიერიშოდ, უეცრად, ხუთ ნუთში მწკრივის თავში ხუთი კაცი მოცელა ჭირმა; და შეტევაზე ვედარ გადავიდნენ, რადგანაც წინამძღოლი რაზმები ქარისაგან გაბნეულ ბზესავით დაიფანტნენ მინდორში.

სერჟანტ პეტრეს, ყმანვილკაცობის მიუხედავად, დიდი გავლენა მოეპოვებინა თავის ხალხზე. ამბობდნენ, დეზერტირობის შემთხვევები მისი ესკადრონიდან უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა ესკადრონიდან ანდა კავალერიის მთელი დივიზიიდანო. როგორც ჩანს, ასეთი გახლდათ შთამაგონებელი მაგალითი კაცისა, ვინც წარბშეუხრელად უყურებდა ყოველგვარ ხიფათსა და საშიშროებას.

რაც უნდა ყოფილიყო, სიყვარულით ყველას უყვარდა და ენდობოდნენ. როდესაც ყველაფერი დასრულდა და არმიის ნაშთები, ყოველი მხრიდან რომ ავიწროებდნენ, მოემზადნენ პრუსიის საზღვრების გადასაკვეთად, სერჟანტ პეტრეს აღმოაჩნდა იმხელა გავლენა, რომ თავის გარშემო შემოკრიბა ერთი ოცეული კავალერისტებისა. მოახერხა ერთ ღამეს მათთან ერთად გაპარულიყო ალყაშემორტყმული არმიიდან. გაუძღვა თავის რაზმს, ორასი მილი გაატარა ქვეყანაში, სადაც უამრავი რუსული ნაწილი გაფანტულიყო და

ქოლერა მძინვარებდა. და ეს ტყვეობის თავიდან ასაცილებლად არ ჩაუდენია, რათა დამალულიყვნენ და თავი გადაერჩინათ. არა. მან თავისი ხალხი მიიყვანა ციხე-სიმაგრეში, რომელიც ჯერაც პოლონელებს ეპყრათ, და რომელიც დამარცხებული აჯანყების უკანასკნელ ბასტიონად უნდა ქცეულიყო.

ეს ფანატიზმსა ჰგავს. მაგრამ ფანატიზმი ადამიანურია. კაცი ეთაყვანება ღვთაებრივ თავზეხელაღებულობას. თავზეხელაღებულობა ყოველგვარ ვნებაშია, თვით სიყვარულშიც. უკვდავი იმედის რელიგია გვაგონებს შეშლილ კულტს იმედგადაწყვეტისა, სიკვდილისა, არარაობისა. განსხვავება ზნებრივ მოტივშია, იმათ გამოუთქმელ მისწრაფებათა და საიდუმლო აუცილებლობიდან რომ მომდინარეობს, ვისაც სწამთ. მხოლოდ ფშუტე ადამიანებს ჰგონიათ, ყველაფერი ამაოაო; და ყველაფერი ყალბი ეჩვენებათ მხოლოდ მათ, ვინც საკუთარ თავთან არასოდეს ყოფილა გულწრფელი.

ამ ციხე-სიმაგრეში შეხვდა პაპაჩემი სერჟანტ პეტრეს. პაპაჩემი სოფლად პრინც ს-ს ოჯახს ემეზობლებოდა, მაგრამ პრინც რომანს არ იცნობდა, ვინც, თავის მხრივ, ძალიან კარგად იცოდა პაპაჩემის სახელი. პრინცმა ერთ ღამეს თავისი ვინაობა გაუმხილა, როდესაც ეს ორნი მოაჯირზე ისხდნენ და ზურგით ქვემების ლაფეტს მიყრდნობოდნენ.

სურდა სამსახური გაენია და, თუ დაიღუპებოდა, მისი მშობლებისათვის ეცნობებინა.

ხმადაბლა საუბრობდნენ, ქვემების განანჯისის სხვა მსახურნი ახლოს იწვენ. პაპაჩემმა თხოვნა აუსრულა, დაპირდა და შემდეგ გულღიად ჰკითხა – რადგანაც ძალზე აინტერესებდა თავის გამჟღავნების მოულოდნელი მიზეზი: „მაგრამ მითხარით, პრინცო, რატომ მთხოვთ ამას, ავი ნინათგრძნობა ხომ არა გაქვთ?“

„სულაც არა; ჩემიანებზე ვფიქრობდი. წარმოდგენა არ გააჩნიათ, სად ვიმყოფები“, მიუგო პრინცმა რომანმა. „მეც იმავეს ვიქმ თქვენთვის, თუ გნებავთ. ცხადია, ჩვენგან ნახევარი ვერ მიანევს ბრძოლის დასასრულს, ასე რომ, თანაბარი შანსი გვაქვს გადარჩენისა“.

პაპაჩემმა უთხრა, თუ სად ეგულებოდა თავისი ცოლ-შვილი იმ დროისათვის. ამ წუთიდან ალყის ბოლომდე განუყრელად ერთად იყვნენ. დიდი იერიშის დღეს პაპაჩემი მძიმედ დაიჭრა. ქალაქი აიღეს. მეორე დღეს ციტადელიც დაეცა; ჰოსპიტალი მკვდრებითა და დაჭრილებით აივსო, იარაღის საწყობები დაცარიელდა, ციხის დამცველებმა უკანასკნელი ტყვეები დანვეს და ციხის კარი გააღეს.

მთელი ბრძოლის მანძილზე პრინცი თავს არა ზოგავდა, წინა ხაზზე იდგა, მაგრამ არც კი გაკანრულა. არავის უცვნიდა, ან ყოველ შემთხვევაში, არავის გაუცია. მანამ, სანამ თავის მოვალეობას ასრულებდა, მნიშვნელობა არ გააჩნდა, თუ ვინ იყო.

ახლა როგორღაც მდგომარეობა შეიცვალა. როგორც ყოფილ გვარდიელსა და იმპერატორის არტილერიის ოფიცერს საკმაო საფრთხე ემუქრებოდა, ათ ნა-

ბიჯზე დაეყენებინათ და დაეხვრიტათ. თვეზე მეტხანს იყო ჩაკარგული ტყვეთა საბრალო ბრბოში, ციხე-სიმაგრის კაზემატში რომ ჩაეყარათ და ზუსტად იმდენ საკვებს იმეტებდნენ, სული რომ სხეულს არ გაყროდა, მაგრამ ჭრილობისა, დასუსტებისა და სნეულებისაგან სიკვდილის ნება კი ჰქონდა და ასე გრძელდებოდა დაახლოებით ორმოც დღეს.

ციხე-სიმაგრე იმ მხარის შუაგულში მდებარეობდა, ხალხის დათრგუნვის მიზნით იმ არემარეზე დატუსაღებული ახალი ჯგუფები დაუყოვნებლივ აქეთ იგზავნებოდნენ. ამ ახალმოსულთა შორის აღმოჩნდა ახალგაზრდა კაცი, პრინცის სკოლისდროინდელი მეგობარი. მან იცნო პრინცი და, რაკი შიშით გათანგულიყო, ხმამაღლა იყვირა, „ღმერთო ჩემო! რომან, აქ ხარ!“

ამბობენ, მთელი სიცოცხლე გაუმწარა სინდისის ქენჯნამ, რასაც იმ წუთიერი თავშეუკავებლობის გამო განიცდიდაო. ეს მოხდა ციხე-სიმაგრის მთავარ, ოთხკუთხა დარბაზში. პრინცის გამაფრთხილებელმა ნიშანმა დაიგვიანა. სადარაჯოდ მყოფმა უნდარმთა ოფიცერმა გაიგონა ეს წამოძახილი, და ეს შემთხვევა გამოძიების ღირსად სცნო. გამოძიება არ გაძნელებულა, რადგან როგორც კი დაბეჯითებით ჩაჰკითხეს, პრინცმა მაშინვე დაასახელა თავისი ნამდვილი გვარი.

ცნობა, პრინცი ს. ტყვეთა შორის ვიპოვნეთო, სანკტ-პეტერბურგში გაიგზავნა. მისი მშობლები უკვე აქ ცხოვრობდნენ დარდით, გაურკვეველობითა და შიშით შეპყრობილნი. იმპერიის დედაქალაქი ყველაზე უსაფრთხო ადგილი გახლდათ კეთილშობილთათვის თავშესაფარებლად, ვისი შვილიც საიდუმლოებითმოცულ ვითარებაში გაჰქრა შინიდან ამბოხების უამს. მოხუცებს არაფერი სმენოდათ არც მისგან და არც მასზე მთელი თვეები. იმასლა ზრუნავდნენ, რომ არ უარყოფდნენ ჭორებს თვითმკვლელობის თაობაზე, მაღალ წრეებში რომ ტრიალებდა, და ახსენებდათ საგულისხმო სასიყვარულო თავგადასავალს, მშვენიერსა და ლალ ბედნიერებას, რაც სიკვდილით დასრულდა. მაგრამ მალულად იმედოვნებდნენ, რომ მათი ვაჟი გადარჩა და საზღვარი გადალახა არმიის იმ ნაწილთან ერთად, პრუსიელებს რომ ჩაბარდა.

პრინცის დატუსაღების ამბავი თავზარდამცემი გახლდათ. აშკარად მისი შველა შეუძლებელი იყო. მაგრამ მათმა სახელგანთქმულმა გვარმა, მდგომარეობამ, ნათესაობამ და კავშირებმა მაღალ წრეებში შეაძლებინა მშობლებს მოიარებით ემოქმედათ; და ცა და ქვეყანა შეძრეს, როგორც ამბობენ, შვილის გამო-სახსნელად. საწყალი პრინცი იოანი უყოყმანოდ იმეორებდა, ყველაფერი „სიგიჟის გამო“ მოხდაო. საზოგადოების წინამძღოლებმა მიმართეს დიდკაცთ, ესაუბრნენ მაღალი თანამდებობის პირთ, გავლენიანი მოხელენი დაარწმუნეს, დაინტერესებულიყვნენ ამ საქმით. მოიპოვეს ყველა ფარული გავლენის მხარდაჭერა. რამდენიმე საიდუმლო მრჩეველს გვარიანი ქრთამი გადაეცა. ერთი სენატორის ცოლმა დიდძალი ფული აიღო.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ასეთი გახმაურებული საქმის გამო ვერც პირდაპირ მიმართავდი ვინმეს და ვერც აშკარად გადადგამდი რაიმე ნაბიჯს. ერთადერთი, რისი მიღწევაც შეიძლებოდა, იყო პირადი ურთიერთობებით სამხედრო კომისიის პრეზიდენტის გულის მოღობვა. მასზე მართლაც მოახდინა ზეგავლენა ნართაულებმა და რჩევებმა, რომელთაგან ზოგი მეტად მაღალი წრის მხრიდან, სანკტ-პეტერბურგიდან მოდიოდა. ბოლოს და ბოლოს, ისეთ დიდად კეთილშობილ პირთა, პრინცი ს-ები რომ იყვნენ, მომადლიერებაც ღირდა ამქვეყნად ბევრ რამედ. იგი ნამდვილი რუსი იყო, მაგრამ კეთილი ადამიანიც გახლდათ. ამასთან, პოლონელთა სიძულვილი არ ყოფილა მაშინ ისეთი მძაფრი პატრიოტული გრძნობა, როგორც ოცდაათი წლის შემდგომ გახდა. პირველი დანახვისთანავე კეთილად განენწყო ამ მზემოკიდებული, ხმელსახიანი ჭაბუკის მიმართ, ვინც გადაექანცა მძიმე ლაშქრობას, ალყის სიდუხჭირესა და ტყვეობის სიმწარეს.

კომისია სამი ოფიცრისაგან შედგებოდა. ისინი ისხდნენ ციხე-სიმაგრეში ცარიელ, თალიან ოთახში გრძელი, შავი მაგიდის მიღმა. რამდენიმე კლერკი მაგიდის იმ ბოლოში მოთავსებულიყო და პრინცის ოთახში შემომყვან ჟანდარმთა გარდა იქ სხვა არც არავინ იმყოფებოდა.

მომწყვდეულს ოთხ პირქუშ კედელში, რომელიც უხმობდა სახილველსაც და მოსასმენსაც თავისუფლებისა, მომავლის იმედებს, შვებისმომგვრელ ილუზიებს – მარტოდმარტო, პირისპირ მტრებისა, მოსამართლეებად რომ მოვლენოდნენ – ვინ იტყვის, თუ რამდენად შერჩენოდა სიცოცხლის სიყვარული პრინც რომანს? ან მოვალეობის შეგრძნება, მწუხარების ჟამს რომ გამომუღავენდა? ან სიყვარული თვით სამშობლოსი? ქვეყნისა, რომელიც მოითხოვს ისეთ სიყვარულს, როგორც არცერთი ქვეყანა არ ყვარებიათ; მწუხარებით სავსე გრძნობა, რასაც განიცდის კაცი მარადსახსოვარ გარდაცვლილთა მიმართ და გაუქრობელი ცეცხლი უიმედო გზებისა, რასაც მხოლოდ ცოცხალი, მსუნთქავი, საამო იდეალი ანათებს ჩვენს გულებში სიამაყის, ღვანლის, აღტაცებისა და თავგანწირვისათვის.

არის რალაც შემზარავი, თუკი დაუფიქრებდი, ასეთ გადაჭარბებულ მსხვერპლშენივებაში, როდესაც ის ჩვენს წინაშე წამოიმართება უშიშარი და უანგარო თავდადების სახით. თავისი ცხოვრების უმაღლეს წუთს მიახლოებული პრინცი მხოლოდ იმას თუ შეიგრძნობდა, რომ აღსასრული დგებოდა. შეკითხვებს მკაფიოდ, მოკლედ პასუხობდა... სრული განურჩევლობით. თვეობით დაძაბული მოქმედების შემდეგ ლაპარაკი ღლიდა, მაგრამ მაღავედა ამას, რათა მტრებს ეს საქციელი გულგატეხილობის აპათიად და სულით დაცემულის უგრძობელობად არ ჩამოერთმიათ. ასეა თუ ისე, მისი ქცევის წვრილმანებს არავითარი მნიშვნელობა აღარ გააჩნდა; ეს კაცები მის ფიქრებს ვერაფერს მოუხერხებდნენ. უაღრესი თავაზიანობით პასუხობდა და უარი მოახსენათ დაჯდომის ნებართვაზე.

თუ რა მოხდა ამ წინასწარი დაკითხვისას, ცნობილია მხოლოდ თავმჯდომარე ოფიცრისაგან. იგი მიჰყვა ამ აშკარად მძიმე საქმის ერთადერთ შესაძლო გზას და შეეცადა თავიდანვე ჩაეგონებინა პრინციისათვის დაცვის ის მიმართულება, რაც სურდა, რომ პრინცი აერჩია. ოფიცერი შეკითხვებს სწორედ ისე აყალიბებდა, რომ სწორი პასუხები მოესმინა ბრალდებულის პირიდან, თითქოსდა სიტყვებსაც კი სთავაზობდა – თუ როგორ გაეტანჯა უსაზომო მწუხარებას ნორჩი მეუღლის დაღუპვის შემდეგ, უპასუხისმგებლოდ წარმართა თავისი ქმედებანი გულგატეხილმა, დაბრმავებულმა და თავზეხელაღებულიმა, ვერ განსაზღვრა, რომ საძრახის საქმეს სჩადიოდა. ვერც მისგან მოსალოდნელი საშიშროება და შერცხვენა გაითვალისწინა და შეუერთდა პირველივე შემხვედრ ამბოხებულთ უეცარი ბიძგით ანთებული. და რომ ახლა ინანიებს...

მაგრამ პრინცი რომანი ხმას არ იღებდა. სამხედრო მსაჯულები იმედით შესცქეროდნენ. სიჩუმეში იგი მიწვდა კალამს და ხელში მოხვედრილ ფურცელზე დაწერა: „მე შევეუერთდი ეროვნულ აჯანყებას რწმენით“.

ხელი მიჰკრა და ფურცელი მაგიდაზე გააცურა. თავმჯდომარემ აიღო და რიგრიგობით უჩვენა თავის კოლეგებს, მარჯვნივ და მარცხნივ, შემდეგ დაჟინებით დააცქერდა პრინც რომანს და ფურცელს ხელი უშვა. სიჩუმე გამეფდა მანამ, სანამ ჟანდარმებს მიმართავდა და პატიმრის გაყვანას უბრძანებდა.

ასეთი გახლდათ წერილობითი ჩვენება პრინც რომანისა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს წუთს. მსმენია, რომ ს-ს ოჯახის პრინცთა ყველა შტომ ეს სიტყვა – „რწმენით“ – დევიზად აღიარა და გვარის გერბის დამამშვენებლად. არ ვიცი, მართალია თუ არა. ბიძაჩემმა ვერაფერი მითხრა. მხოლოდ შენიშნა, ბუნებრივია, ამას ვერ ვნახავდით პრინც რომანის საკუთარ ბეჭედზეო.

სიცოცხლის ბოლომდე ციმბირის საბადოებზე მუშაობა მიუსაჯეს. იმპერატორმა ნიკოლოზმა, ვინც ყოველთვის პირადად ეცნობოდა პოლონელ კეთილშობილთა განაჩენებს, საკუთარი ხელით მიაწერა აშიაზე: „მკაცრად ვაფრთხილებ ხელისუფალთ, ყურადღება მიაქციონ, რომ კატორღელმა ბორკილიანი ფეხებით გაიაროს მთელი გზა“.

ეს იყო ნელი სიკვდილის განაჩენი. ცოტამ თუ გაუძლო მაღაროებში ჩამარხვას სამ წელზე მეტხანს. და როდესაც ცნობა მოვიდა, ამ ვადის გასვლის შემდეგ ისევ ცოცხალიაო, მშობლების თხოვნითა და უზენაესი მოწყალებით, ნება დაერთო რიგით ჯარისკაცად ემსახურა კავკასიაში. აკრძალული გახლდათ მასთან ყოველნაირი კავშირი. არ გააჩნდა სამოქალაქო უფლებები. არსებითად, მიცვალებული გახლდათ, ეგაა იტანჯებოდა. პატარა გოგონა, ვისაც ფრთხილად აკოცა აკვანში, არ გავადვიძოო, მთელი ქონების მემკვიდრე შეიქნა პრინცი იოანის სიკვდილის შემდეგ. ამ გოგონას არსებობამ გადაარჩინა უზარმაზარი მამულები კონფისკაციას.

ოცდახუთი წლის შემდეგ სრულიად დაყრუბულ, ჯანგატიხილ პრინც რომანს ნება დართეს პოლონეთში დაბრუნებისა. მისი ქალიშვილი ბრწყინვალე ქორწინებით დაუკავშირდა პოლონურ-ავსტრიული წარმოშობის დიდგვაროვანს, და ევროპული არისტოკრატის უმაღლესს და კოსმოპოლიტურ წრეებში ტრიალებდა, უმთავრესად ნიცასა და ვენაში ცხოვრობდა. პრინცი რომანი თავის ერთ-ერთ მამულში დამკვიდრდა, დიდებულ სასახლეში კი არა, მოკრძალებულ, პატარა სახლში, და იშვიათად ხედავდა თავის ქალიშვილს.

მაგრამ პრინცი რომანი შინ არ გამოკეტილა. აქაოდა, ჩემი საქმე მორჩაო. ახლო-მახლო კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძნელად თუ გარიგდებოდა რაიმე პრინცი რომანის რჩევისა თუ შეწვევის გარეშე, რაც ფუჭად არასოდეს ჩაივილიდა. მოსწრებულად ამბობდნენ, მისი დღეები მას კი არა, მის თანამოქალაქეებს ეკუთვნითო. და განსაკუთრებით თავდადებული შემწე გახლდათ ყოველი გადასახლებიდან დაბრუნებულისათვის. ქისითაც ეხმარებოდა და რჩევითაც. უგვარებდა საქმეებს და ცხოვრების სახსარს უჩვენდა.

ბევრი რამ მსმენია ბიძაჩემისაგან პრინცის თავდადებულ ღვაწლზე, რომ იჩენდა უბრალო სიბრძნეს, დიდ ღირსებასა და ზედმინევიანთ ყურადღებას კერძო თუ საზოგადო პატიოსნებისადმი. იმ შეხვედრის შემდგომ, საბილიარდოში, იგი ჩემთვის ცოცხალ ნიმუშად რჩება, რადგანაც როცა მღელვარებით ვისმენ მგლის მგლურ საქციელს, მაშინვე წუთით მივწვდები კაცს, ვინც აღმატებული გახლდათ ადამიანთა შორის, და შეეძლო ღრმად შეგრძნება, მტკიცე რწმენა და მგზნებარე სიყვარული.

„პრინცი რომანი“ მეორეხარისხოვანი თხზულებააო, – ასე აფასებს თანამედროვე ინგლისური სალიტერატურო კრიტიკა ჯოზეფ კონრადის ამ მოთხრობას და ეს განწყობილება არეკლილია კონრადის „რჩეული ნოველების“ 1997 წლის გამოცემის წინასიტყვაობაშიც, რომელიც კენტის უნივერსიტეტის პროფესორს კეით ქარაბაინს ეკუთვნის, – მაგრამ ღირს მისი ნაკითხვა სიუჟეტისა და, აქედან გამომდინარე, მკითხველის თანაგრძნობის მიუხედავად, თუნდაც ინგლისური სამწერლო ტრადიციის მიღმა დარჩესო, – ამასაც დასძენს.

ნაკითხვა ღირსო...

კიდევ კარგი, არ გვირჩიეს, ტყუილუბრალოდ ნუ მოცდებითო.

არადა, „პრინცი რომანი“ ინგლისური ნოველისტიკის შესანიშნავი ნიმუშია, გულისშემძვრელი ამ ისტორიული პიროვნების ბედისწერის ღრმა და განზოგადებული გააზრებითა და პოლონეთის 1831 წლის აჯანყების რელიეფური წარმოსახვით, ისეთი რეალების მარჯვე მიგნებითა და წამოწევით, მკითხველის ცნობიერებაში ამბოხის სრული სურათი რომ აიგება.

ჯოზეფ კონრადი, პოლონური წარმოშობის გაინგლისელებული მწერალი, არა მხოლოდ ამ ლიტერატურის, მსოფლიო კლასიკური მწერლობის სახელია, აღიარებული თავის დროზეც და ავტორიტეტი და პოპულარობა არც

დღემდე მახსოვს პრინც რომანის გამხმარი, დაკვრანჩხული ხელი, რომელშიც ჩემი პანია თავი ჩაიმალა და ბიძაჩემის ნახევრად სერიოზული, ნახევრად გაოცებული მზერა, თავის შემოხეტებულ ძმისწულს რომ დამყურებდა.

მათ გზა განაგრძეს და დაივიწყეს პატარა ბიჭი. მაგრამ მე ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია; მათ მივჩერებოდი არა იმდენად იმედგაცრუებული, რამდენადაც შეცბუნებული ამ პრინცის გამო, ვინც სულაც არა ჰგავდა ზღაპრულ უფლისწულს. ისინი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ ოთახს. ვიდრე კარს მიადგებოდნენ, პრინცი შეჩერდა; და გავიგონე – თითქმის დღემდე ჩამესმის – თქვა: „მინდა მისწეროთ ვენაში ამ თანამდებობის შესახებ. მეტად ღირსეული ყმანვილია – და თქვენი რეკომენდაცია გადამწყვეტი იქნება“.

ბიძაჩემმა შეხედა, მისი სახე ჭეშმარიტ განცვიფრებას გამოხატავდა. თითქოს პირდაპირ ეუბნებოდა, ნეტა მამის რეკომენდაციაზე უკეთესი რა უნდა იყოსო? პრინცმა სწრაფად წაიკითხა მის სახეზე ალბეტილი გამომეტყველება და კვლავ დაილაპარაკა იმ ადამიანის უტონალობო აქცენტით, ვისაც საკუთარი ხმა წლობით არ გაუგონია, და ვისთვისაც მღუმარე მსოფლიო უხმო აჩრდილთა სამყოფელს წააგავს.

და დღემდე მახსოვს მისი სიტყვები:

„იმიტომ გთხოვთ, რომ, იცით, ჩემს ქალიშვილსა და სიძეს არა სჯერათ, სწორად თუ ვაფასებ ადამიანებს. ფიქრობენ, რომ უფრო მეტად გრძნობებით ვხელმძღვანელობ“.

### ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

### მთარგმნელუბისაგან

შემდგომ გაფერმკრთალებია თუ მოკლებია (სხვათა შორის, უილიამ ფოლკნერი განსაკუთრებულ სულიერ

ნათესაობას ჰპოვებდა მასთან), და იოლად ამიტომაც არავინ წამოკრავს ხელს მის ნაწერებს.

მითუფრო დამაფიქრებელია ამ საუკეთესო ქმნილების ასეთი გამეტება თვით მისივე თავყანისმცემლისაგან, მეორეხარისხოვნებას რომ სწამებს და ინგლისური სამწერლო ტრადიციის მიღმა დარჩენას უწინასწარმეტყველებს. მიზეზი?

მიზეზი პოლონური პატრიოტიზმია, რაც ასე ხელშესახებად მოჩანს ნოველაში და ყოვლად მიუღებელი გახლდათ ინგლისური საზოგადოების იმ წრეებისათვის, რომელთა შეგნებაშიც რატომღაც გაიგივებულა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და ფაშისტური მოძრაობა, და ფანატიზმი ანტიჰუმანურ და ამორალურ მოვლენად მიაჩნიათ. მათთვის შემაცბუნებელია კონრადის მტკიცება, რომ: „ფანატიზმი ადამიანურია“, და რომ: ზნეობრივცაა და მომდინარეობს იმათ გამოუთქმელ მისწრაფებათა და საიდუმლო აუცილებლობიდან, ვისაც სწამთ.

ქარაბაინი დასძენს, რომ ეს თემა თავს იჩენს კონრადის სხვა თხზულებებშიც. ყოველთვის, როგორც კი მწერალი გადაუხვევს ინგლისურ შეხედულებებსა თუ შეფასებებს. ასეთია პროფესორი „საიდუმლო აგენტში“, სერვინი „ანარქისტში“, ჰოლდინი თუ ანტონოვანა, რუსი რე-

ვოლუციონერები, წიგნში „დასავლური თვალთახედვით“.

ჯერ კიდევ ფაშიზმის გამოჩენამდე ნაციონალიზმი აფრთხობდა ინგლისის ხელისუფლებასა და, მის კვალდაკვალ, მკითხველსაც, ფანატიზმი მათ არსებაში უნდობლობას იწვევდა და კონრადი ამიტომაც მოითხოვდა მკითხველისაგან „ერთგვარ სიდიადეს სულისა“ და „გრძნობათა სინაფელეს, უარყოფილს თანადროული აზროვნების მდაბიო მოდის მიერ“, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ გაუგებდნენ პატრიოტიზმს, მის დიად უბრალოებას, მომდინარეს ადამიანთა და საგანთა ბუნებისაგან.

„გაფრთხილებული და განწმენდილი მკითხველი მომზადებულია ამ უშუალო, ჰეროიკული ამბისათვის და ჩაეშვება პრინციის მგზნებარე საბედისწერო სიყვარულში მშვენიერი მეუღლისა და მამაცი ერისაღმი“ (კეით ქარაბაინი).

მართებული დაკვირვებაა. და მითუფრო გასაკვირია, რომ კრიტიკოსი თვითონაც იმათ მხარეს ყოფნას ამჯობინებს, ვინც შემკრთალი დგას იმგვარად მოთხრობილი აჯანყების წინაშე, მეამბოხეებს გმირებად რომ სახავს და არა სახელმწიფო დამნაშავეებად, და არა სურს განარჩიოს, რომ პრინცი რომანი თავის ქვეყანას კი არ უჯანყდება, არამედ რუსეთის იმპერიას, ვისი ძალმომრეობის ქვეშაც თანდათან იკარგება პოლონელი ერის თვითმყოფადობა და ინაწვება იდეა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა.

როგორი გადასატანია, როდესაც თავს შეიგრძნობ იმ ერის შვილად, რომელიც იმდენად ცოცხალი არ არის, რამდენადაც გადარჩენას ცდილობს, და ჯიუტად აგრძელებს ფიქრს, სუნთქვას, მეტყველებასა და იმედოვნებას საფლავეში – შემოზღუდული მილიონი ხიშტითა და სამგზის დაბეჭდილი სამი დიდი იმპერიის ბეჭდით.

ფიქრი და იმედოვნება საფლავეში!..

და ესეც ეზედმეტებათ – თუ საფლავეია, მამ სუნთქვაც უნდა შეწყვიტო და ჯიუტად აღარ ებლაუჭებოდე არსებობას საკაცობრიო რუკაზე, და მსოფლიოს ჩუმი დრტივინვა და ფარული თანაგრძობა კაბალის გარღვევის წადილს არ უნდა გიღვივებდეს.

გაგიღვივებს და: გამოუსწორებლის იარლიყსაც მოგაკერებენ და ცეცხლითა და მახვილითაც დაგატყდებიან თავს, და არამარტო რუსთათვისაა გაუგებარი შენი პოლონური პატრიოტიზმი, არამედ ინგლისელთა შორისაც შეცბუნებას იწვევს.

ბოლოსდაბოლოს, ეს ერთადერთი ნოველა შექმნა ჯოზეფ კონრადმა პოლონურ თემაზე, ამით სცადა ერთგვარად გამოესწორებინა ის ღალატი, რაც მისი კულტურის წინაშე ჩაიდინა, როდესაც სამწერლო ენად ინგლისური აირჩია და იმათი ლიტერატურის მონაწილედ გადაიქცა. და ესეც არ აპატიეს – დაამუნათეს და მიყრუებთაც მიყრუეს.

არადა, „პრინცი რომანი“ თითქოს შემთხვევით უფრო დაინერა.

კონრადი „დასავლურ თვალთახედვას“ უჯდა და, რომ შეატყო, ჩიხში ვემწყვედვი და სხვა რამეზე გადართვა მჭირდება, რათა „სანავი“ აღვიდგინო, მასალეის შეგროვებას შეუდგა მემუარული ჩანაწერებისათვის „რემინისცენციები“, და ნოველის პირველი ვარიანტი – 1908 წელს მოხაზული – ჩვეულებრივ მოგონებას წარმოადგენდა. იგი ხომ თვითონ შეხვდა მოხუცებულ პრინცს თავისი ბიძის თადეუშის მამულში, 1868 წელს, როდესაც ათი წლისა იყო.

ამ თემაზე საკმარის მასალაცაა დაგროვებული და წინა ტილორი, კონრადის ნოველის კვალდაკვალ, აღადგენს

პრინც რომანს სანგუსკოს პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, მიგვანიშნებს პოლონეთის ეროვნული ბედისწერის „ტიპოლოგიაზე“, აგრეთვე, იმ სიღუბნეებსა და „მარტიროლოგიაზე“, რამაც აღამაღლა პოლონური ღირსების, მოვალეობისა და პატრიოტიზმის გრძნობა.

ნოველას ორი მთხრობელი ჰყავს და, როგორც უკვე შეუნიშნავთ, ამგვარი სტრუქტურა მწერალს მანამდე გამოეყენებინა სხვა ნოველებშიც: „კარაინი: მოგონება“ და „ილკონდი“, – ოღონდ „პრინცი რომანი“ ამ მხრივ უფრო წარმატებული აღმოჩნდებოდა.

მართლაც ძნელი გასარჩევია, სად ამთავრებს მთხრობელი და სად იწყებს ავტორი, და ამის მიზეზს იმით ხსნიან, რომ კონრადი ორად იყოფა: ერთი მხრივ, თავისი სიყმაწვილის მოგონებას გვიზიარებს პრინცზე, მეორე მხრივ კი თავისი ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს შუახნის პოლონელის მეშვეობით, ვინც თანამემამულეთა ერთ ჯგუფს მიმართავს და ავტორიც მათ შორის იგულისხმება.

1831 წლის აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მართლა რაღაც წადუდუნებასავით გამოვიდა?

მაგრამ ამგვარ „წადუდუნებათა“ თანმიმდევრულმა სიჯიუტემ დააღწევინა თავი პოლონელებს ამ კაბალისაგან და შემდგომშიც, საბჭოთა იმპერიის არსებობისა და ძლევამოსილების ჟამს, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის რღვევა პოლონელთა წინააღმდეგობის მოძრაობით დაიწყო.

წადუდუნებაო და: პოლონეთის აჯანყების მონაწილეთაგან ბევრს საქართველოშიც რომ გადმოსახლებდნენ, ისინი არამცთუ ხელს არ აიღებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე, სულაც ქართველ შეთქმულთა შორის გაერეოდნენ და მონდომებით ჩაერთვოდნენ ჩვენს იატაკქვეშა მოძრაობაშიც – ამბოხების დღეს კი თავისუფლების მოედანზე, ცხადია, ისინიც აპირებდნენ გამოსვლას იარაღით ხელში.

პრინცი რომანი იძულებით ასცდებოდა ჩვენს შეთქმულებაში გარეჯას, იგი ხომ ციმბირის საბადოებზე გაისტუმრეს, სადაც იშვიათად თუ დაუსხლტებოდა სიკვდილს ტუსალი; ხოლო როდესაც რაღაც სასწაულით გადარჩებოდა და კავკასიაში გადმოიყვანდნენ რიგით ჯარისკაცად, ჩვენი შეთქმულნი ამ დროს უკვე გაემწესებინათ შორეული გზებისათვის – ვის სად ერგებოდა გადასახლება რუსეთის გუბერნიებში და ვის სად.

არადა, ჯერ კიდევ 1831 წლის აჯანყებისას გულდასმით ადევნებდნენ თვალს ჩვენი წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი პოლონელ პატრიოტებს და მათ კვალდაკვალ აპირებდნენ თვითონაც ამბოხების დროშის აფრიალებას ტფილისის თავზე. არამარტო საგაზეთო ცნობებს უკვირდებოდნენ, სტრიქონებს შორისაც ლამობდნენ რეალობის ამოკითხვას და მის ირგვლივ სჯა-ბაასი არა სწყინდებოდათ.

როგორ იყო, მანანა ორბელიანს რომ აცილებდით თქვენ, ლუარსაბ ორბელიანი, ელიზბარ და გიორგი ერისთავები და ალექსანდრე ჭავჭავაძე და გზაში სულ პოლონეთსა და იმათ შეთქმულებაზე ლაპარაკობდითო? – ამა-საც ეკითხებოდნენ გამოძიებისას ალექსანდრე ორბელიანს და იგი არც უარყოფდა და უარყოფას ან რა აზრი ჰქონდა, ეგაა, არ დაუზუსტებდათ, ვის რა მოსაზრება გამოეთქვა: მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და აღარ მახსოვს, ვისგან რა ითქვაო.

ტფილისს ერთხანს პოლონელი პეტრე ზავილიესკი რომ გუბერნატორობდა და ხალხს აშკარად ავიწროებდა, ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი თანამ-

ზრახველებს არწმუნებდნენ: განგებ იქცევა ასე, რადგანაც ჩვენშიც სურს არეულობის მოხდენაო. უმაღლესი მთავრობა მასობრივ კრივს რომ აკრძალავდა საქართველოში და ზავილესი კი პოლონელთა აჯანყების თანადროულად აღადგენდა კრივს ტფილისში, რითაც გამომწვევად დაარღვევდა კანონს, ჩვენი შეთქმულნი ამ აქტს მხარდაჭერად ჩაუთვლიდნენ: ჩვენ გვიადვილებს ამბოხების დაწყებასო.

ელიზბარ ერისთავი პოლონელ ჯარისკაცებს რომ გადააწყდებოდა, რომელნიც მონყალებას თხოულობდნენ, მაშინვე გამოემცნაურებოდა, თითო აბაზსაც აჩუქებდათ და გამოჰკითხავდათ: აქეთ რა ქარმა გადმოგაგდოთო.

– სამშობლოს გულისათვის, ბატონოო! – მიუგებდნენ გაუბედურებული ჯარისკაცები, ვინ იცის, პრინცი რომანის გვერდიგვერდ ნაბრძოლნიც, ყოველ შემთხვევაში, იმ დიდი მღელვარების მონაწილენი, ამხელა გამოხმაურება რომ მოჰყოლოდა ევროპაში და რომანტიკულ აჯანყებათა მსოფლიო ციკლის აუცილებელი რგოლიც შეიქნებოდა ჩვენს შეთქმულებასთან ერთად.

ელიზბარ ერისთავი თანდათან სხვა პოლონელებსაც დაუახლოვდებოდა და აჯანყების მთავარსარდლობას რომ ჩაიბარებდა, 500 პოლონელი მებრძოლის იმედადაც იქნებოდა თავისუფლების მოედანზე.

პოლონელ მეზარბაზნეებსაც შეიგულებდა, და იასე ფალავანდიშვილი – შეთქმულთა გამცემი – დიმიტრი ერისთავს ნიშნისმოგებით რომ გადაუკრავდა: შეთქმულნი ზარბაზნებს ვერ მოიხმარენ, რადგან ქართველთაგან არტილერიის საქმე არავინ იცის და ასე მალეც ვერავინ ისწავლისო, – დიმიტრი თავს გამოიდებდა:

– პოლიაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს ჩვენის მხრით გაზრდილნი და მცოდნენი ამისანი.

სამშობლოს გულისათვისო, – მაშინაც უთუოდ ამას იტყოდნენ, ზარბაზნების დაქუხება რომ მოეცნოთო.

ვარშავის დაცემა ქართველ მეამბოხეთაც ნაუხდენდა გუნებას და ერთხანს აჯანყების გადადებაც განიზრახავდნენ. თუ რატომ არ გადაიდებოდა ამბოხი და რატომ აღმოჩნდებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლნი ყაზარმასა და პატიმრობაში, ამჯერად შორს გაგვიტყუებს მსჯელობის ქარგიდან, ისე კი 1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო მასალების გაცნობისას კიდევ არაერთხელ ამოვიკითხავთ პოლონელებსა და მათ აჯანყებაზე: თუნდაც დიმიტრი ბატონიშვილი პეტერბურგში ქართველებს რომ ჰკიცხავდა: ძალიან აჩაგვრინებენ თავს რუსებსო, – პოლონელთა სიმხნევებსა და გაბედულებას მოიხმობდა პატრიოტიზმის ნიმუშად: აი, ვის უნდა მივბაძოთო... ანდა დიმიტრი ყიფიანი რომ გაიხსენებდა მეშუარეშიც, თუ როგორ კითხულობდა სოლომონ რაზმაძე შეთქმულთა წრეში ადამ მიცკვიჩის გახმაურებულ ლექსის – „ფარისი“ – თარგმანს...

როგორ დაეფრთხო ინგლისის ხელისუფლება და ინგლისელი მკითხველი ფანატიზმის ხსენებას, მისი ადამიანურობის მტკიცებას, და რა დაემართებოდა, აკაკი წერეთლის შეგონებისათვის რომ მოეკრათ ყური: სადაც ფანატიზმი არა ყოფილა, იქ საქმეც არ გაკეთებულაო.

არ დაგიდევდა აკაკი წერეთელი სნობებისა თუ თავთავიანთ ნაჭუჭში გამოკეტილი მკითხველის გემოვნებას და მანაც ფანატიზმის აუცილებლობას გაიმეორებდა, თუნდაც ამისათვის გზა თვალწინ ჩაჰკეტოდა ინგლისის საზოგადოებისაკენ.

– მე შევეუერთდი ეროვნულ აჯანყებას რწმენით! – გარდუვალი სიკვდილის საფრთხეს არაფრად ჩააგდებდა პრინცი რომანი.

– სამშობლოს გულისათვის, ბატონო! – ეამყებოდათ ის მღელვარე დღეები და კვლავ რუსული ძალმომრეობის დამხობაზე იოცნებებდნენ საქართველოში გადმოკარგული პოლონელი აჯანყებულნი.

– ხუთასი დარჩეული პოლონელიც გამოვა მოედანზე, ზარბაზნებს სულაც მათ ჩავაბარებო, – თავის ფიქრებს შესთამაშებდა ელიზბარ ერისთავი.

და ჯოზეფ კონრადს ერთხელ, ერთადერთხელ მიეხედა სამშობლოსაკენ, გულისგულში გამოკრულ სანუკვარ მოგონებას აეფორიაქებინა მისი არსება, ნოსტალგიას შეეძრა და პრინცი რომანის აჩრდილიც ასვეტოდა თვალწინ.

ერთხელ, ერთადერთხელ...

ამასაც არ ანებებდნენ.

მეორეზარისხოვანი თხზულებაა, მაგრამ ნაკითხვა ღირსო, – გვარწმუნებენ ინგლისელი კრიტიკოსები.

და თუ მართლა უპირებენ ინგლისური სამწერლო ტრადიციის მიღმა დატოვებას, ჩვენი ლიტერატურული ტრადიცია შეიკედლებს მის ქართულ ორეულს, ასე მახლობელს ჩვენი ისტორიისთვისაც, ზედ გადაჯაჭვულს 32 წლის შეთქმულების ტრაგიკულ ხვედრზე, მსოფლიო რომანტიზმის ერთ თვალსაჩინო გასხვივსებაზე.

ასე რატომ გამოვიდეთ მისთვის თავი? სამშობლოს გულისათვის, ბატონო!..

ჩვენი ფოსტა

ბატონო რედაქტორო!

წარმოდგენელი სიხარული მოგვგვარა თქვენს ჟურნალში („ჩვენი მწერლობა“, №9) მოთავსებულმა ნარკვევმა „სქეც ყველაზე პოპულარული პოეტი აკაკის ეპოქაში“.

ვამაყობთ, რომ გრიგოლ აბაშიძე („მენავე“) დილიკაურის მიწისმვილია, ჩვენი თანამემამულეა. მე რე რა, რომ აქ აღარც მისი სახლ-კარია და აღარც მისი შთამომავალი ცხოვრობს. დარჩენილია მისი მამული, რომელსაც დღესაც „აბაშოურს“ ეძახის ხალხი.

ეს საყვარელი მწერალი რამდენ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა, რომ სიცოცხლე ადრე არ დაესრულებინა ალექსანდრე ყაზბეგის მსგავსად. ვრცელი სიტყვა ხომ წარმოთქვა მის დაკრძალვაზე და იმერეთის სახელით გვირგვინიც მიართვა.

ჩვენს სოფელში გრიგოლ აბაშიძის შესახებ ხალხმა ან საერთოდ არაფერი იცის, ან მხოლოდ ცოტა რამ:

„აბაშიძე გრიგოლ (1866-1903) პოეტი, მთარგმნელი, მისდევდა ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ ტრადიციებს. განიცდიდა ილიას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენას. მისი შემოქმედების ძირითადი მოტივებია: პატრიოტიზმი, მშრომელთა ყოფა, სიყვარული, ბუნება“.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ: თქვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოაქვეყნოთ ამ პოპულარული პოეტის შემოქმედება: თარგმანები, ლექსები.

ძალიან მინდა ქართველმა მკითხველმა (და მათ შორის მშობლიურმა დილიკაურმა) დაინყებოს ბურუსიდან გამოიყვანოს ეს დიდი შემოქმედი.

ბოდიშს ვიხდით შეწუხებისათვის.

ლამარა ჭელიძე  
ლალი პერანიძე  
დილიკაური  
(ზესტაფონის რაიონი)

\* \* \*

გიორგი წერეთელს თანასოფლელი ჩამოადგება: უნდა მიშველოთ, თქვენს იქით გზა არ გამაჩნიაო.

– რა ხდება? – ეს ძალიან შენუხდება.

იმან კი, მოკრძალებული და ალალი სახით:

ესაო, ისაო, ძროხების ქურდობა მბრალდება და რკინის გისოსებს ვერ გადავურჩები, მონმეებიც გამოჩნდნენ, ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ მიერეკებოდაო. მონმეები რად მინდა, აგერ ვარ და ვადასტურებ – ჩემი გამორეკილია, მაგრამ ქურდობით არ მომსვლია, კლუბტომანი ვარ, სად რას ვიღებ, მე თვითონ ვერ გამიგია, მაგრამ ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული, ბოროტმოქმედი და ავადმყოფი ერთმანეთისაგან ვერ უნდა გაარჩიონო?

გაგულისებებს ვერა ფარავს.

– მე რა ვიღონო, გულით მომინდა დაგეხმარო.

– ავლიპი ზურაბაშვილს ალბათ იცნობთ, თუ არა, თქვენს სიტყვას ანგარიშს გაუწევს, ცნობა უნდა მომცეს, რომ ავადმყოფი ვარ და ყველაფერს ეშველება.

– ახლავე, ახლავე, – დაფაცურდება მასპინძელი და



თანასოფლელს ამშვიდებს, მეგობარი კაცია, ჩემი სიტყვა და შესრულება ერთი იქნებაო.

გამოჩენილი ფსიქიატრი გიორგი წერეთლის ხმას რომ გაიგონებს, მხურვალედ მოიკითხავს და: რა უნდა მთხოვო, არ შეგისრულოო.

ეს აცნობებს: ჩემი თანასოფლელია, კლუბტომანია სჭირს, გონდაბინდულს ძროხები გამოურეკავს და ახლა ქურდობას სწამებენ, შენი ცნობაა საჭირო, უცოდველი კაცი ციხისაგან უნდა ვიხსნათო.

ტელეფონის მეორე ბოლოზე ალტაცებული ხმა ჩაინავლება.

– რას გეტყვი, ჩემო გიორგი, იცი?..

– ახლავე მანდ წამოვიდეს, არა? დრო აღარ ითმენს.

– არა, აქ კი არ წამოვიდეს, თავისი გზით გაუშვი, მაგას მართლმსაჯულება მიხედავს, აქ კი შენ რომ მოხვიდე, ისა სჯობს.

– გიორგი წერეთელი ვარ, აკადემიკოსი, – ეს ცოტა არ იყოს შემცბარია.

– ჰო, ჩემო გიორგი ჰო... მოდი, სანამ ჯერ კიდევ დროა... ისე აქ სულ აკადემიკოსები მყავს და ასეთ საზოგადოებაში არ მოიწყენ!..

\* \* \*

კაფიობა იყო თუ... დუელი?


აბა, სეკუნდანტიები რისთვის დასჭირებოდათ?

მოკაფიავთ სეკუნდანტიები არასოდეს ჰყოლიათ, მოლექსეთა პაექრობისას ასეთი რამ უჩვეულოა და უცნაური, მაგრამ ქალაქურ ყოფას ეს სიახლეც უნდა შემოეტანა მესამე ლექსის ზეპირ მდინარებაში, სიახლე, რომელიც ასე ადვილადაც ვერ დამკვიდრდებოდა და იქნებ გაგრძელება არც მოჰყოლოდა, მაგრამ დაე ყოფილიყო ის დღე ამით გამორჩეული: მოპაექრენი და სეკუნდანტიები.

ერთი „დუელიანტის“ სეკუნდანტი ზეზვა მედულაშვილია, მეორისა – ნომადი ბართაია.

თვითონ კონსულტანტებად იხსენიებენ ერთმანეთს – სამეცნიერო ტერმინოლოგიისამებრ, მაგრამ სეკუნდანტიები არიან და სეკუნდანტიები.

ისე მოხდება, რომ ძირითადი პაექრობა მათ შორის გაიმართება, სეკუნდანტიები ნააჭარბებენ „დუელიანტებს“



და მაყურებლებიც სწორედ მათ მისჩერებიან, მათ აგულიანებენ ახალ-ახალი ექსპრომტებისათვის.

მეტად სახალისოდ კი წარიმართება პოეტური ორთაბრძოლა!

ნომადი ბართაია ცდილობს არ დაუთმოს ზეზვა მედულაშვილს, იოლად არ მოუხაროს ქედი მის ავტორიტეტს და ყველას დაუმტკიცოს, რომ არანაკლებ ძალად მოვლენია ამ უანრს.

ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა გავიდეს ზეზვა მედულაშვილის დროც.

და კარგა ხანს კიდევ შეინარჩუნებს წონასწორობას.

ანგარიში საყაიშოა და ეს კი ნომადი ბართაიას დიდ წარმატებას ნიშნავს – უკვე გატოლებას სახელოვან ფალავანთან, სულ მალე დაჯაბნვაც რომ უნდა მოჰყვეს.

„დუელიანტიები“ გვერდზე მიჩენილან და, მგონი, მაყურებლებშიც გადაუნაცვლებიათ.

ზეზვა ჩუმად ბრდღვინავს.

არ უჯდება ჭკუაში პაექრობის ფრედ დამთავრება და ერთს კიდევ ცდის:

**ეგ შაირი არ იცოდი  
სამამულო ომამდინ,  
შენი კონსულტანტი რა ვთქვი  
ბართაია ნომადი.**

„რა ვთქვი“ ეფემისტური შენაცვლებაა იმ ზმნისა, რომელიც ამ კონტექსტში განსაკუთრებული სიმძაფრით გაისმის და... მეტოქე სეკუნდანტი თუ კონსულტანტი მაშინვე თმობს ასპარეზს.  
მაინც მგონია, რომ გამარჯვებისათვის გადაწყვეტილი ორიგინალური, ასე მახვილად მოძებნილი რითმა აღმოჩნდა: ომამდინ – ნომადი.

\* \* \*



მხატვარი ვაჟა ქურხული

გიორგი შეთევკაურს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის პოეზიის განყოფილებაში ლექსებს დაუბრუნებენ: ჩვენი გაზეთისათვის შესაფერისი არ არისო, – და ის, განაწყენებული, მთავარი რედაქტორის კაბინეტში შეიჭრება:

– ბატონო ვახტანგ, მე ლექსები როგორ უნდა დამიბრუნონ, ვილაც კი არა ვარ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გახლავართ.

– რას ამბობ, კანდიდატი და თანაც ფილოლოგიურ მეცნიერებათა?! – ვახტანგ ჭელიძე გაოცებულ და მოკრძალებულ სახეს მიიღებს, თითქოს ამ წოდებაზე უფრო აღმატებული ტიტული ბევრი არა სმენოდეს.

– დიას! – ის დაიმედდება და ყელსაც მოიღერებს.

– მერე, შე კაი კაცო, კანდიდატი ვიყო, – რედაქტორი ხელსაც შემართავს, – და ლექსები ვნერო? – და შემართულ ხელს დაბლა დაუშვებს.

პლასტიკურადაც გამოხატავს კანდიდატის – თანაც ფილოლოგიურ მეცნიერებათა – წინაშე მონივნებას. ის პირუჩუმრად გაილალება.

სულ წერდა.

სულ კითხულობდა.

წერდა ლექსებს, ნოველებს, სტატიებს – ლიტერატურულსა თუ პუბლიცისტურს, გამოკვლევებს ქართულ ფოლკლორისტიკაში.

კითხულობდა ყველაფერს, რაც პირად – საკმაოდ მდიდარ – ბიბლიოთეკასა და საჯარო ბიბლიოთეკაში მოიძევებოდა, და კითხულობდა განურჩევლად – წიგნსაც, ჟურნალსაც, გაზეთსაც, ძველსაც და ახალსაც, კარგსაც და მდარესაც, ბრწყინვალესაც და უმდარესსაც.

ჰქონდა დიდი მიზნები და მოკრძალებული თხოვნა საზოგადოების მიმართ, თავისი მართლაც მუხლჩაუხრელი გარჯის საზღაურად:

**წერეთლის ქუჩა... მესხის ქუჩა  
და როგორ ვფიქრობ –  
არ ჩამიაროს ამ სიცოცხლემ ამაოდ, ფუჭად,  
რა იქნებოდა მეც შემწვედეს სიკეთის სითბო, –  
რომ ბოლოს ვიქცე მეც თბილისის პატარა ქუჩად.**

პატარა ქუჩადო – გამზირს კი არა თხოულობდა. სხვათა შორის, ეს ოცნება უღიტინებს გულში გურამ

დოჩანაშვილის ნოველის – „მიხილი და ალექსანდრე“ – მთავარ გმირს მიხილ სანაძესაც.

მე ძალიან პატარა მაცეტრო ვარ, – შესჩივის ახალგაზრდა კაცს, ვის წინაშეც გულის გადახსნას მოინდომებს, – დიდი მაცეტრო რომ ვიყო, სიკვდილის შემდეგ არ დავიკარგებოდი – რომელიმე ქუჩას ჩემს სახელს დაარქმევდნენ, უფრო სწორად – გვარსო.

თითქოს შეგუებულია თავის ხვედრს, მაგრამ ისეთი მღელვარე განცდით განაგრძობს ლაპარაკს, ადვილად მიუხვდება, ხშირად რომ უფიქრია ამ მოსალოდნელ პერსპექტივაზე და რალაც მიუღწეველი სულაც არა ჰგონია.

ნეტარებით კი აღწერს, რა უნდა იყოს ამაზე კარგი, როდესაც ბიჭი ეუბნება გოგოსო:

– ხვალ სად შევხვდეთ?

– სადაც გინდა.

– მაცეტრო სანაძის ქუჩის კუთხეში მოდი, 8 საათზე, კარგი?

– დიას, – პასუხობს მორიდებული გოგონა. და აღტკინებული პერსონაჟი ერთხელ კიდევ გაიმეორებს რიტორიკულ შეკითხვას.

– რა უნდა იყოს ამაზე კარგი, ჰა?

და წამიერად თითქოს გამოერკვევა:

– ხომ არ შევტოპე, ალექსანდრე?

ეტყობა, გიორგი შეთევკაურის ოცნებებშიც ეს ფრაზა კრთოდა და რიალებდა:

– შეთევკაურის ქუჩის კუთხეში მოდი, 8 საათზე, კარგი? და გოგონა მზადაა მივიდეს მაინცდამაინც შეთევკაურის ქუჩის კუთხეში.

... და არ ჩავივლის სიცოცხლე ამაოდ და ფუჭად.

ისე მონყალედ გელიმება, ძვირფასო მკითხველო, თითქოს უარს იტყოდ, შენი სახელობის ქუჩაზეც რომ შემდგარი იყო ის პაემანი.

ოღონდ ამისათვის ერთი აუცილებელი პირობაა მოსაგვარებელი, რაზეც ამდენი და ასეთი გატაცებით ეფიქრა გიორგი შეთევკაურს:

რა იქნებოდა მეც შემწვედეს სიკეთის სითბო, რომ ბოლოს ვიქცე მეც თბილისის პატარა ქუჩადო.

გულუბრყვილო კაცი გახლდათ და სიკეთის სითბოს ამიტომაც ეიმედებოდა.

... კანდიდატი ვიყო და... ლექსები ვწეროო? – არწმუნებდა მწერალთა გაზეთის რედაქტორი.

შეფარვით მიმოქვამს...

კონსტანტინე გამსახურდია თავისი სახელგანთქმული რომანის („დიდოსტატის მარჯვენა“) ბოლოთქმამი გვაუწყებს, რომ ამ ნაწარმოების შექმნისას მიზნად ისახავდა „მიჩქმალული გმირის“ ანუ მეფე გიორგი პირველის აპოლოგიას და „დიდი ხელოვანის განწირულ ბედს ტირანულ სახელმწიფოში“.

როგორც ცნობილია, „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოქვეყნდა 1939 წელს და ის, რაც მწერალს სურდა ეთქვა და ხმამალა თქმა არ შეეძლო, შეფარვითა თქვა ისტორიული რომანის ფურცლებზე.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ზემოთქმული „ტირანული სახელმწიფო“ იმდროინდელ საბჭოთა კავშირს უფრო მიესადაგება, ვიდრე XI საუკუნის საქართველოს.

კონსტანტინე გამსახურდიას არ ძალუძს უღალატოს ქვეყნარბი მწერლის ზნეობრივ ვალს, რომელიც გამოხს მართოდენ შავ-თეთრი ფერების პალიტრას. ამიტომაც არის, რომ გულწრფელი სიმპათიით გვიხატავს გიორგი პირველსაც და მის უდანაშაულო მსხვერპლსაც – ხუროთმოძღვარ არსაკიძეს.

საფიქრებელია, რომ მსგავსი განწყობილება ეუფლებოდა, როდესაც თანამედროვეობას განსჯიდა მოქალაქისა თუ მწერლის თვალთ.

„ბელადის“ ავტორის სულში ერთიმეორეს ებრძოდა და დროდადრო უზავდებოდა ორი ბუნებრივი ნაკადი – აზვირთებული ანტიპათია და ძალდაუტანებელი, გონებისმიერი თავყვანისცემა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა კონსტანტინე არსაკიძის მონოლოგი, რომელსაც წარმოთქვამს მთიელთა ამბოხების სათავეში ჩასადგომად გამზადებული შორენას ნინამე:

„მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მექლისედეკ კათალიკოსის მგალობელი, მაგრამ არა მგონია, შვიდმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შექმნან ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ. ჩემდა თავათ მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც ნილაღ ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავათ. ამიტომაც, ხვალ რომ ბერძენები, ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს. ყოველი კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა. თქვენს ხევისბერებს ჯერაც ცხვრის სუნი უდით და შენ ხომ იცი, ფარას თუ ყოჩი არ წარუძმდვანე, კბოდეზე გადასცვივა სულელი ცხვარი“.

ისტორიული ნაწარმოების შეთხზვისას მწერალს უჭირს, რომ მოსწყდეს თანამედროვეობას და სავსებით გადაივინყოს თავისი თუ მშობელი ქვეყნის სატიკვარი. დღევანდლობა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, გადაიჭრება ხოლმე წარსულში. მეორე მხრივ, საისტორიო წყაროებში ასახული წარსულიც, არცთუ იშვიათად, მოგვაგონებს აწმყოს ანუ, როგორც ამბობს ეკლესიასტე: „თაობა მიდის, თაობა მოდის. ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე... რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება: არაფერია მზის ქვეშ ახალი“.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ არქაიზმებით გატაცებული მწერლის რომანში არსაკიძე, XI საუკუნეში მცხოვრები კაცი, ზედიზედ ორჯერ ხმარობს სიტყვას „წყობილება“, რომელსაც არ იცნობს ძველი ქართული ენა.

ამგვარად, კონსტანტინე არსაკიძესაც ლოიალური დამოკიდებულება აქვს არსებულ წყობილების მიმართ, მაგრამ მწერალი, მრავალ მოკვდავთა მსგავსად, ვერ გაურბის გაორებას და შეფარვით თქმულში იოხებს გულს. თავის ნაფიქრალსა და განცდილს უშურველად უწილადებს სვეტიცხოვლის შემოქმედსაც და საქართველოს მეფესაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მწერალი განავრცობს და მხატვრული სახეებით გადმოგვცემს საისტორიო წყაროებში შემონახულ მასალას. იბადება საკმაოდ გამჭვირვალე პარალელები თანამედროვეობასთან, მყისვე რომ გეცემა თვალში.

გიორგი პირველი დაუფარავი სიძულვილით არის გამსჭვალული საქართველოს მტერ-მოყვარე დიდი მეზობლისადმი და გულახდილად აღიარებს: „მე ყველაფერი მეზიზღება ბიზანტიური“. ეზიზღება ბიზანტიელთა ზნე-ჩვეულებანი, დოგმატური პაექრობანი და ეზიზღება ბერძნული ენაც.

საქართველოს მეფე ათვალწუნებით შეჰყურებს სვეტიცხოვლის ტაძრის კურთხევაზე ჩამოსულ ბიზანტიელ სტუმრებს, მეფესთან სადილად მიწვეულნი მუსრს რომ ავლებენ ქართულ დელიკატესებს და მათი რეცეპტებიც აინტერესებთ. „ჩაკურატებული ბიზანტიელი არქიელები სასტიკად გაეჯობნენ ლოყებლაჟლაჟა ქართველ ეპისკოპოსებს“, – სარკასტულად შენიშნავს მწერალი.

სიკვდილი რომ დაადგება თავზე გიორგი პირველს და აღსარებას ათქმევინებს, კვლავ გაკოლვით მოიხსენიებს თვისტომთა ზნეობას: „მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოსები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს“.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი პირველს თავიანთი ანტი-ბიზანტიური სულისკვეთებით ტოლს არ უდებენ უარშიო და მემამოხე ფეოდალები, რომელთაც უზარმაზარი იმპერიის კეისარი მძლავრ მოკავშირედ ეგულებათ ქართველი მეფის წინააღმდეგ გაჩაღებულ სეპარატისტულ მოძრაობაში. არც არის გასაკვირი, ვინაიდან ისინიც ხომ ქართველები არიან სულითა და ხორციით, ისინიც ვერ ეგუებიან ბიზანტიელთა პოლიტიკურ-კულტურულ ექსპანსიას.

აზნაური შავლეგ ტოხაისძე გვარწმუნებს: „ბერძენებს ეს სწადიათ, ჩვენი ენა დაგვაწინყონ და თავიანთი შემოგვჩარონ პირში. ჩვენი წარსული დავივინყოთ და მათი შევისწავლოთ. ჩვენი სამოსი შემოგვაძარცვონ, მათი ჩავიცვათ. თუ ჩვენი კერპები ვახსენეთ და მათი დავგმეთ, მყისვე პირზე აკერიათ: „მკრეხელი, მწვალბული და მსტოვარი“ (ეს ტერმინები XX საუკუნის ენაზე რომ „ეთარგმნოთ“, იქნება: „ბურჟუაზიული ნაციონალისტი, რევიზიონისტი და იმპერიალიზმის აგენტი“).

იგივე პერსონაჟი დაცინვით იგონებს კეისრის საომარი სამზადისის დროს გამართულ საეკლესიო კრებებს, როდესაც ბიზანტიის უმაღლესი სამღვდელთა და გამორჩენილი სწავლულნი „ზედასკდებოდნენ ერთმანეთს“ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ ანგელოზს დაიტევდა ნემსის წვერი.

კონსტანტინე გამსახურდია, რომანის პერსონაჟთა შემკვობით, თამამად ამზეურებდა თავის გულისწადებს და ვერავინ ვერაფერს შეედავებოდა. მწერლის რა ბრალი იყო, რომ საბჭოეთს ნააგავდა ბიზანტია – მრავალეროვანი იმპერია, სადაც გულმოდგინედ ხორციელდებოდა დამორჩილებულ ხალხთა თვითმყოფადი კულტურის დათრგუნვა და ბიზანტიელთა კანონების დანერგვა.

მზვიარაპიცა და მწერალიც

რა ხელს შეუწყობდა „ცერეუს“ პოპულარიზაციას.

ჰანტმა ხალისით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. შეთანხმდნენ,

მოგეხსენებათ, როგორი პოპულარობა მოიხვეჭეს დასავლეთში წიგნებმა და ფილმებმა ბრიტანელი საიდუმლო აგენტის ჯეიმს ბონდის შესახებ. აშშ პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ „ბონდიანას“ შემოქმედის – იან ფლემინგის რომანი „რუსეთიდან სიყვარულით“ თავის საყვარელ წიგნთა ათეულში დაასახელა.

მაგრამ ჰოვარდ ჰანტი ამტკიცებს, რომ წიგნები ჯეიმს ბონდზე დაწერილია პოზიორისა და დილეტანტის მიერ. დაუჯერებელი აზრები არის და იაფ თავშესაქცევად თუ გამოდგებაო. მისი სიტყვით, ბონდის თავგადასავალი მკვეთრად განსხვავდება უორდის თავგადასავალთაგან, რომელთა აღწერისას ვცდილობდი, რომ სინამდვილისგან არ გადამეხვიაო.

ვინ არის ეს ჰოვარდ ჰანტი, რომელმაც ასე დააკინა მთელი დასავლური სამყაროს კერპად ქცეული ჯეიმს ბონდი ანუ „აგენტი 007“ (ფლემინგის მიხედვით, კოდი 00 იმას ნიშნავდა, რომ უშიშარ ბრიტანელ მზვერავს ლიცენზია ჰქონდა მკვლელობაზე).

ამერიკული „შპინონაჟის ენციკლოპედია“ გვამცნობს, რომ ჰოვარდ ჰანტი (დაბადებული 1918 წელს) გახლავთ მწერალი და, იმავდროულად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს („სი-აი-ეი“ ანუ „ცერეუს“) თანამშრომელი.

როგორც ირკვევა, დაზვერვაში თავისი პრაქტიკული გამოცდილების გადატანა ლიტერატურაში ჰანტს დაუწყია ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში. მის პირველ რომანს საფუძვლად დაედო აშშ სამხედრო-საზღვაო ძალებში სამსახურისას მიღებული შთაბეჭდილებანი.

როდესაც ტრავმის გამო ფლოტიდან დაითხოვეს, ერთხანს მუშაობდა ჟურნალ „ლაიფის“ სამხედრო კორესპონდენტად. ომი რომ დამთავრდა, ჰანტმა განაახლა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა, წერდა რომანებსა და კინოსცენარებს, მაგრამ ვერ ივინყებდა სადაზვერვო სამსახურში გადახდენილ თავგადასავლებს და გულმა ისევ იქით გაუწია. როგორც „ცერეუს“ აგენტმა მოიარა ბალკანები, შორეული აღმოსავლეთი, მექსიკა, გვატემალა და ურუგვაი.

1964 წელს ჰანტს დაავალეს დაენერა საჯაშუშო რომანების სერია, რაც უნდა გამხდარიყო თავისებური ამერიკული პასუხი ჯეიმს ბონდის ეპოპეაზე. ცენტრალური დაზვერვის დირექტორი რიჩარდ ჰელმსი, ისევე როგორც მისი წინამორბედი ალენ დალესი, დარწმუნებული იყო, რომ ამგვარი ლიტერატურა

რომ ყოველი ხელნაწერი უნდა წარედგინა სამმართველოში სათანადო მსჯავრისათვის.

ჯეიმს ბონდის ანალოგად და ერთგვარ კონკურენტად უნდა გამხდარიყო ჰანტის მიერ გამოგონილი პერსონაჟი – პიტერ უორდი, ბონდით უშიშარი აგენტი.

ჰანტი წერდა დევიდ სენტ-ჯონის ფსევდონიმით, მაგრამ აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ სარეგისტრაციო ბარათებში, რომლებიც დაეგზავნა ქვეყნის ყველა საჯარო ბიბლიოთეკას, მითითებული იყო ავტორის ნამდვილი გვარი.

როგორც აღნიშნავენ, ჰანტის რომანებში შეთხზული ამბები გადახლართულია რეალურ მოვლენებთან. ასე მაგალითად, რომანში „ბერლინური ეპილოგი“ არის მინიშნება, რომ დასავლეთ გერმანიის კანცლერი ვილი ბრანდტი იყო საბჭოთა დაზვერვის აგენტი. რომანში „ჰარგრევის ცხიერება“ აღწერილია აშშ კონტრდაზვერვის ხელმძღვანელის ჯეიმს ენგელტონის „გონებრივი ჭიდილი“ სახელგანთქმულ კიმ ფილბისთან.

როდესაც ჰანტს ჰკითხეს, როგორ შეეფარდება პიტერ უორდის „საქმენი საგმირონია“ ავტორის პრაქტიკულ გამოცდილებას დაზვერვაში, ჰანტმა მიუგო: ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში უკმაყოფილონი დარჩებიან, თუკი დავინყებ იმის თხრობას, სახელდობრ რომელი რეალური მოვლენები დაედო საფუძვლად სახელდობრ ამა თუ იმ ჩემს წიგნს. მერე კი აღნიშნა, რომ სამმართველოში იგი მუშაობდა დაზვერვის თეორიის საკითხებზე და კონკრეტული საქმეები არ ეხებოდა.

სინამდვილეში, 50-იან წლებში ჰანტი ამზადებდა პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ნიადაგს გვატემალაში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალებისათვის. ბალკანებსა თუ შორეულ აღმოსავლეთშიც, ალბათ, თეორეტიკოსობით არ იქნებოდა გართული.

დასასრულ, ჰანტი გაეხვია ენ. „უოტერგეიტის“ სკანდალში. ჩინებული ალჭურვილობა უბოძეს, სწორედ ისეთი, საჯაშუშო რომანებს რომ ეკადრება – პარიკი, სპეციალური ფოტოაპარატი, ყალბი პირადობის მოწმობა და საკუთარი ხმის შემცვლელი მოწყობილობა.

ჰანტი გაასამართლეს. მიუსაჯეს რვანლიანი პატიმრობა და 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს. რაც შეეხება პიტერ უორდს, მან ვერ წაართვა პირველობა ჯეიმს ბონდს.

ქრონიკა

ვაცლავ ჩერნის, ცნობილ ჩეხ ლინგვისტს, კავკასიოლოგსა და პოლინეზისტს, მთარგმნელსა და ქართული კულტურის მოამაგეს გაზაფხულზე 75 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით, 20 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ქართულ-ჩეხური ურთიერთობების ამსახველი მასალების გამოფენა და ჟურნალ „კავკასიის მაცნეს“ საგანგებო ნომრის პრეზენტაცია.

ეს საგანგებო ნომერი საზოგადოებას წარუდგინა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ. მან აღნიშნა, რომ ეს კრებული არის ახალი ფურცელი ქართულ-ჩეხური კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობათა სფეროში. ის მომზადდა პრადის კარლის უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით.

კრებული იხსნება ვაცლავ ჩერნის ბიოგრაფიით, რომელიც სამ – ქართულ, რუსულ და ჩეხურ – ენაზეა დაბეჭდილი.

ჟურნალის რედაქტორმა, მწერალმა და მეცნიერმა ვოვა კიკი-

ლაშვილმა ისაუბრა ვაცლავ ჩერნიზე, მის დიდ დამსახურებაზე ლინგვისტიკასა და კავკასიოლოგიაში. აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ინიციატორი ჟურნალის მომზადებისა გახლდათ ჩერნის მონაწივე ვოიტეკ კუბეცი. მან მალალი შეფასება მისცა „კავკასიის მაცნეს“ და თქვა, რომ ეს იქნება სიურპრიზი და სასიამოვნო საჩუქარი დოქტორ ვაცლავ ჩერნისათვის: „დღემდე ძალიან ფასეულია ქართული მწერლობის ის სიმდიდრე, რაც ვაცლავ ჩერნიმ გააცნო ჩეხეთის საზოგადოებას. მან თარგმნა ქართველი მწერლების 40-მდე ნაწარმოები – რომანები, მოთხრობები, პოეზია...“

პაროლდ შმალცელმა – „ზლატა პრადას“, საქართველოში ჩეხთა სათვისტომოს პრეზიდენტმა – მადლობა გადაუხადა გამომცემლებს ვაცლავ ჩერნის იუბილეს ასე მალალპროფესიულად აღნიშვნისათვის, შინაარსობრივად მრავალფეროვანი კრებული-სათვის, გამოფენისათვის.

პრეზენტაციაზე სტუმრად იყვნენ ჩეხეთის საელჩოს თანამშრომლები: ივანა კურანიანოვა, ანდრო კურანიანოვი, აგრეთვე ქართველი მეცნიერები და კულტურის წარმომადგენლები.